

მნათობი

5

თბილისი
1948



მნათობი

15741

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწიკლების
ქვეყნის ურველთვიური სალიბრატორა,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკოლიბრიკო
ქუჩაწლი



წელიწადი ოცდამეხუთე

5

ლ. ჯიჯიალი

ჯოჯოს მამა

რომანი *



თავი ოცდამეშვიდი

მანუჩა-მწყემსი უთენდა ცოემზადა სამგზავროდ. სამსონ ღარაძისათვის უნდა გაეგლო ბინაზე და მასთან ერთად გზას გადგომოდა ფერმისაკენ.

მთის კაცი ლოგინში იწევა, როცა მასთან გამოსაშვებობებლად შევიდა.

— გითვალყურებდი, მანუჩა, არ დაგვიანოს შენთვის... ვითომ აღრე არ არის? — ჰკითხა ლოგინიდან სწრაფად ამღვარა მთის კაცმა.

— თენდება, ჯოჯოს მამავ!

მთის კაცმა ფეხზე ჩაცმა მოასწრო მხოლოდ. ჩემი მიზეზით დრო არ გაუცდესო, და ტანსაცმელს ხელი არ ახლო. პეტანგზე მოიგლო ნაბადი და ნათლულს აივანზე გაჰყვა. აქაც თავი ვერ დაანება და ჰიშვარამდე გაცილება ისურვა.

— შენ იცი, მანუჩა, — ეუბნებოდა იგი მის გვერდით ზემაველ მანუჩას. — ხომ ხედავ, რა ბედს ვეწიეთ სოფელები. ფიქრობდი, ჩვენს უგზო, მიუვალ სოფელში ომს რა უნდა მეთქი, მაგრამ ფიქრი არ გამიშვართლდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ საიდან წამოსული მტერი ამ მთებში თავს შემოყოფდა?... შეიძლება, დიდი იქნეს ჩვენი განსაცდელი, შეიძლება ადვილად აგვეცდეს უბედურება... ჩემო მანუჩა, ახლა გმა-

რთებს ჰყუა და წინდახედულობა... ცხოვრებაში აჩქარება და დაგვიანება ერთნაირად მავნებელია. მაგრამ ადამიანი იშვიათად თუ დაინახავს მათ შუა სავალ გზას... სწორი, ნამდვილი გზა ამ ქვეყნად ისევე ძნელი მისაგნებია, როგორც ბედნიერება. ამიტომ გადაჭრილს ვერაფერს გეტყვი, სად და როდის როგორ მოიქცე, თუ მტერი შემოგვესია და თავისი ხარბი თვალეზი ჩვენს ჯოჯს დაადგა. ვერაფერს გეტყვი გარდა იმისა, რაც წელან ვითხარი. შენ იცი, ჩემო მანუჩა... ხიფათი ცხოვრების თანამგზავრია. მასთან ბრძოლაში ალღო ისევე შევლის ადამიანს, როგორც გონება. ხშირად კი უფრო მეტადაც, რადგანაც თუ უეცარია ხიფათი, უეცარივე უნდა იყოს შეველაც, სანამ გონება თვალს გაახელდეს. ამ აზრით გეტყვი: ბედი გწყალობდეს, ჩემო გაზრდილო... ჩემი ჯონდო ყოველთვის თან იყოლიე. ნუ ფიქრებ პირუტყვიანო, მეგობარივით გამოგადგება. თუ ცოცხალი ვიქნები, მეც შენთან მივლულე გაჰირეების დროს: მოგინახავ, მოვალ, გვერდში ამოგიდგები.

ასე მივიდნენ ჰიშვართან. მთის კაცმა ფართოდ გააღო კარი. მერე მანუჩას გადაეხვია. გულში შევილივით ჩაიკრა. გზა დაულოცა.

გულაძვერებული მანუჩა უხმოდ გა-
შორდა.

ჩაფიქრებული მთის კაცი კარგა ხანს იღვა კიშკართან. იგი მიმავალ მანუჩას გულჩათხრობილი უცქერდა, სანამ განთიადის ბინდ-ბუნდი ამის საშუალებას აძლევდა. მერეც ვერ მოეწყვიტა თვალი მისი ქურთუკის ხუთთითიანი დაღისთვის, რომელიც თითქოს მანუჩას გარეშე, დამოუკიდებლად სულჩადგმულივით ერთ ხანს კიდევ მოძრაობდა სივრცეში. იგი იმის შემდეგაც თვალწინ ეღვა მთის კაცს, როცა სინამდვილეში უკვე აღარ ხედავდა. უკვირდა:

— უკანასკნელი ნადირობის წინ ღამეს სიზმარში მოღანდებული უმანუჩო ქურთუკი ხელმეორედ ხომ არ მეცხადებაო?

ტყიანი გარემო ჯერ კიდევ ღამის ნესტით სუნთქავდა. განთიადი ნელა შლიდა ფრთებს. თოვლიანი მთების მონაბერი სუსხიანი ნიავე სოფელს თავს დაფარფატებდა. ხიდან ხეზე სისინით გადადიოდა და ოდნავ გახელილ მწვეანე თვალეზზე წამწამთ ურხევდა გამოსაღვიძებლად.

იგი კიშკართან მდგარ მთის კაცსაც ნაბადს ქვეშ შეეკრა, პერანგზე შემოეხვია და ტანს სიცივის ბუძვი დააყარა, ქურთუკის მოჩვენება დაუფრთხო. სინამდვილეს დაუბრუნდა.

აიწურა მთის კაცი. ნაბადი უფრო ვაწროდ შემოიკრა ტანზე და სახლს მიაშურა.

ოთახში შესული ლოგინს აღარ დაუბრუნდა. ხელ-პირი დაიბანა და ტანს სასწრაფოდ ჩაიცვა. იარაღი აისხა. კარი მაგრად ჩაკეტა. მიხურულ და რაბებს რაზები გაუსინჯა შიგნიდან და უკანა კარით ჯარგვლისკენ გასწია.

ცეცხლი გააჩალა კერაზე. საუზმის თადარიგს შეუღვა. — უნდოდა დღეს აღრე გასულიყო სახლიდან. იმის გავება ეჩქარებოდა, თუ რა ამბავი ჩამო-

იტანეს წუხელ დაზვერვაზე წასულმა ბიჭებმა, რომლებიც უნდა დაბრუნებულიყვნენ.

გეგზლინოთეკა

•
••

ამ დროს კირილე გორაკოვი და მაცი ზურუბაია წუხელ შეპყრობილი დივერსანტის დაკითხვას მორჩომილიყვნენ და, სკოლის შენობის სარდაფიდან ამოსულები, კოლმეურნეობის სახლისაკენ მიიმედ, გვერდისგვერდ მიალაგებდნენ. უძინარნი იყვნენ და დაღლილნი. სდუმდნენ. თვითეული თავისი ფიქრით იყო გართული, მაგრამ ჯარისკაცურად შეწყობილ ფეხის დგმასა და ტანის მოძრაობაზე ეტყობოდათ, რომ ერთნაირი ჰქონდათ საგონებელიც.

სიჩუმის დარღვევა უმიძიდათ.

სკოლის ეზოდან შუკაზე გავიდნენ.

აქ მაცი ზურუბაიამ, ცოტა შეანელა ნაბიჯი. ოდნავ ჩამორჩა კირილეს და, თითქოს თავისი ჩუმი ფიქრი მის გასაგონად განაგრძო, ფრთხალი, დაბალი ხმით წარმოსთქვა:

— მთის კაცის პატიოსნებაში რომ ეკვის შეტანა არ შეიძლება, ჩემთვის ცხადია, ამხანაგო კირილე.

ეს და თქვა მხოლოდ და გაჩუმდა. ისევ გაუსწორდა გორაკოს.

კირილე გვიან გამოეხმაურა მის სიტყვებს.

— წარმოიდგინე, მეც ასე მგონია... თითქმის მიმზღადარიცა ვარ საიდან მომდინარეობს ეს არა სასიამოვნო ამბავი... მაგრამ ხომ იცი, ასეთ დროს რამდენი სიფრთხილის გამოჩენა გვევალება! ბუნებითა და გამოცდილებითაც ექვიანი არ ვიყო, პოლიტიკური სიფხიზლე მაინც მიკარნახებს, რომ დაფიქრება ზედმეტი არ იქნება საბოლოო დასკვნის გამოტანამდე... ჯამუშმა ხომ გარკვეულად სთქვა, მთის კაცთან გამომაგზავნესო... რატომ მასთან

მიხედვით და არა შენთან, მაგალითად? ამას გარკვევა უნდა გაიარეს.

— ჩემი აზრით, — დაიწყო ერთი ხნის შემდეგ ისევ მაციმ, — ორნაირად შეიძლება აიხსნას მთის კაცის დასახელება, ამხანაგო კირილე.

— აბა, მითხარი...

— ან ვერაგი მტერი მიზნად ისახავს ჩვენს შორის უნდობლობა დასთვის, ავერიოს... მაგალითად დღეს მთის კაცს დაადოს ხელი, ხვალ ჩემში შეატანოს ექვი ამხანაგებს და ასე..

— ან?

— ან ის, რომ მთის კაცი ხომ მეჯოგე იყო...? ისედაც გაელენიან პირად ითვლებოდა აქაც და იმ მხარეშიც, სადაც ახლა მტერი დგას...

— მესმის, შენ გინდა სთქვა, რომ მტერი მაგისტანა ხალხის მიმხრობას ედილობს! კუსთან ახლოა ეს შენი აზრი.

— გარდა ამისა, — უფრო თამამად განაგრძო კირილეს სიტყვებით წაქეზებულმა ზურუბაიამ. — ვინ იცის, იმათში, ვინც ძველად მეჯოგედ იცნობდა მთის კაცს, ახლა არა ერთი მოლაღატე ურევია. ალბათ მოაგონდათ ძველი ნაცნობი მთის კაცი, შემოუთვალეს: მოედივართ, დაგვხვდი, გაგაბედნიერებთო... და ეს დივერსანტი გამოუგზავნეს მოციქულად. ის გარემოება კი, რომ მთის კაცი დღეს სხვანაირ ბედნიერებას შესტრფის და ჯორჯოს გარეშე მას სიცოცხლაც კი ვერ წარმოუდგენია, ეს მათ არ იციან... და აი, სცაღეს ანკესი გადმოუგდეს.

— ვერაფერი შვილი ანკესია, ჩემო მაცი, უნდა ვითხრა, ეს მათი ანკესია... მტერსა და მოყვარეში თუ ვერ ერკვევიან, ისე ფათურით თუ უნდათ უცნობ ფონში გასელა, დალუპულან ის უღღონი და ესაა... შენი მოსაზრება უნდა გამოგიტყდე, მომწონს, ამხანაგო მაცი... იგი მეც მიტრიალებდა თავში... მაგრამ, მოდი, კიდევ ვიფიქროთ...

იმითომ რომ... სიფრთხილეს თავი არ სტკივავო, ხომ გაგიგონია? ერთხელ კიდევ მოვსინჯოთ მთის კაცისა და ჩვენს რწმენის და ესოდენი ნდობის საფუძვლები... ამით არა დაგვიშავდება რა. უნდა ვითხრა, ძვირფასო მაცი: ვინ იცის, რამდენი ხვეული აქვს ადამიანის სულს და რომელი მათგანი რა ზრახვასა და საიღუმლოებას ჰფარავს. პირდაპირი ჩხრეკით ვერაფერს გაიგებ, მაგრამ ზოგჯერ მოხდება, რომ ხმის კილო, თვალის გამომეტყველება და უნებლიედ წამოცდენილი სიტყვა უბრალო საუბრის დროს, რომელიც საგანს, იქნება, არც კი შეეხება, მოულოდნელად ფარულ ზრახვათა კვალს მიგაგნებინებს...

ეს რომ სთქვა, უცებ დადგა გორაკი. მაციასკენ მიტრიალდა. ისიც შესდგა. ერთმანეთს შეხედეს.

— იცი, კიდევ რა ვითხრა, მაცი? მთის კაცის საქმე მარტივია ჩემი აზრით... მისი წარსულის ანარეკლთან გვაქვს საქმე... სხვა რამე უფრო მაფიქრებს, უნდა გამოგიტყდე... მე მგონია ამ ამბავმა ჩვენს მუშაობას უფრო მიაცენა ჩრდილი, ვინემ მთის კაცს... ეს ახლა მომივიდა აზრად, და ვწუხვარ, რომ ჯაშუსის დაკითხვის დროს არც კი გამხსენებია...

მაცი დაფიქრდა.

— არაფერი მესმის, ამხანაგო კირილე... რა ჩრდილზე ლაპარაკობ?

— ვერც კი მიხვდი, არა?

— მართალი ვითხრა, ვერა, ვერ მივხვდი...

გორაკოვმა ისევ გზისკენ იბრუნა პირი და ფეხი აიღვა.

— აი მომისმინე: ჩვენებიდან ხომ გამოირკვეა, რომ ჯაშუსში მთის კაცის სახლისაკენ მიდიოდა ჯიქურ. ეტყობა, იცოდა სად მიდიოდა. ხომ მართალია?

— მართალია... ხეცს რომ გადადიოდა, მაშინ დაეღანდეთ... მერე ის იყო

მთის კაცის ჭიშკართან მივუსწართ. ასე იყო.

— ჰოდა, აქედან რა გამოდის? როგორც ირკვევა, შემთხვევით არ მომხდარა, რომ დივერსანტი მთის კაცის ჭიშკარს მიაღდა.

— როგორც ჩანს, არა.

— რა იცოდა, რომ ის სახლი, სადაც მიდიოდა, ნამდვილად მთის კაცის იყო და არა სხვისი? როგორ მიაგნო საიდან სად მოსულმა?

— ჰოო... მართლა, ამაზე არც კი მიფიქრია...

— ვინმემ უჩვენა... მისაწავლა უთუოდ... ვინმე აქაურმა, ჩვენთანმა, სოფელმა!

— ეტვის გარეშეა, სხვა ვინ იქნებოდა.

— აქედან ცხადია, ის, ვინც მისაწავლა და არ გათქვა, არ შეიპყრო ან არ შეგვატყობინა, რომ სოფელში უცხო ვინმე შემოვიდა, აი, ის არის საშისი და არა მთის კაცი... ვინ არის გზის მაჩვენებელი? ვიცი? არა... რას ვაკეთებთ მამ, თუ მოლაღატე გვრევი და აქამდის იგი ვერც კი შეგვჩინებდა! აუცილებელია, იმის კვალს უნდა მივაგნოთ!

— კი, მაგრამ... შეიძლება ეს ისე მოხდა, რომ გზის მაჩვენებელმა არც კი იცოდა, თუ ვინ ეკითხებოდა მისამართს.

— როგორ თუ არ იცოდა? — გააწყვეტინა კირილემ სიტყვა ზურუბაიას. — უცხო კაცი რომ იყო, ვერ იცნო? ეჭვი არ დაებადა, როცა გარშემო დივერსანტები გვახვევიან და დღე და ღამე ვებრძვით მათ. ბაღლებმაც კი იციან, რომ ყველა უცხო დღეს საეჭვოა და გასარკვევი? შენ რა გგონია, უთუოდ სასყიდელიც მიიღო იმ არამზადამ გზის ჩვენებისათვის!... ჰე, ჩემო მაცი, ჯერ კიდევ გვაკლია სიფხიზლე და გულუბრყვილოდ გვჯერა, რასაც პირში გვეუბნებიან... აუცილებელია, დივერსანტის დაკითხვა უნდა

გაგრძელდეს დღესვე, რომ მოლაღატე აღმოვაჩინოთ, სანამ ზურუბაიას ჩაცემდეს...

კოლმეურნეობის სახლს დაუახლოვდნენ. აივანთან შეჩერდნენ.

კირილე სვეტს მიეყრდნო. ერთი ხნის სიჩუმის შემდეგ მშვიდი ხმით განაგრძო:

— კიდევ კარგი, რომ პატიმარი დაჭრილია და მისი გაგზავნა სოხუმში ამჟამად არ მოხერხდება, თორემ ვინ იცის, როგორ გეიგებენ იქ ამხანაგები მთის კაცის დასახელების ამბავს... შეიძლება დიდი გაუგებრობა მოხდეს... წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ ამხანაგები, განმარტება და ჩვენი აზრი ღროზე მივაწოდოთ.

— იქნება, არც არის საჭირო ამის გახმაურება, ამხანაგო კირილე, — გაუბედავად შენიშნა ზურუბაიამ.

— ჰა, როგორ შეიძლება დაფარვა? უნდა იცოდნენ თუ არა ეს ამბავი იმათ, ვისაც ასეთი საქმე ეკითხება. გახმაურება რა შუაშია... მთის კაცმაც უნდა გაიგოს, რაც მოხდა.

— კი, მაგრამ ეწყინება მოზუცებულ კაცს... რაც უნდა იყოს, მაინც არასასიამოვნო ამბავია.

— როგორ თუ ეწყინება? პირიქით, გაუხარდება, როცა გაიგებს, რომ ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს მის პატიოსნებაში...

— ეს კი გაუხარდება, რასაკვირველია.

— მაგრამ იცი, რა გითხრა, ჩემო მაცი... სანამ ვერცოდე, წინასწარ გავესაუბრები მაინც... ახალი თვალთ დავაკვირდები... წელან გითხარი, ერთხელ კიდევ შორი-ახლო შევიჭვრიტავ მის სულის ხეულებში, ყოველ შემთხვევაში!

ეს სიტყვა და ჯიბიდან თავის ოთახის გასაღები ამოიღო. მაცის გაუწოდა. გამოცვლილი, თავისი ჩვეულებრივი ხმით მიმართა.

— შინ ახლა რაღას წახვალ. ჩემს ოთახში შედი. უძინარი ხარ, ცოტა

ხანს თავი მიღვეი... მწვერავებს ჩემს მაგიერ დახვდი... მერე მაცნობე: მთის კაცთან ვიქნები.

ის იყო უნდა გზას გადგომოდა, რომ ანაზღად მათი ყურადღება მიიპყრო აღმაინის ფეხის ხმამ, რომელიც სახლს უახლოვდებოდა.

როცა შორიდან ვინაობა ჰკითხეს, სარდაფის დარაჯი აღმოჩნდა.

— რა იყო? — მაშინვე მიიქცა მოსულისაკენ გორაკოვი.

— ტყვე სისხლიდან დაიკალა, ამხანაგო! კირილე. — მოახსენა მოკლედ დარაჯმა.

— ფერშალი ხომ მანდ არის?... — ვერაფერი გააწყო... სული ამოხდა...

სიჩუმე ჩამოეარდა.

— მ... ვერ არის კარგი ამბავი! დაკითხვა არ დამთავრებულა!

— რა ვუყოთ, ამხანაგო თავმჯდომარე? — იკითხა მერე დარაჯმა.

— რაც სხვებს! რას შეკითხები? — თითქოს შეუწყრაო, ჩსე უპასუხა გორაკოვმა დარაჯს და მაშინვე მაცისკენ მიბრუნდა.

— წელან რომ გითხარი, მოლალატე გვირეცია მეთქი, იმისი კვალი დავკარგეთ ამ ჯერობაზე, ამხანაგო მაცი! — უთხრა სინანულით და მთის კაცის სახლისაკენ გაემართა.

თავი ოცდამეცხე

მთის კაცი საუზმობდა, როცა ეზოში ძაღლების ყეფა ატყდა. არავის მოელოდა ამ დროს. საუზმეს თავი ანება და ჯარგვლიდან თოფიანი გავიდა. ჰიშვარისაკენ გაიხედა.

ვიღაცა კაცი ეზოში შემოსულიყო. ძაღლებს იგერიებდა. სახელს ეძახდა და ამოშმინებდა. გაკვირვებულმა მთის კაცმა შორიდან ვერ იცნო სტუმარი.

— ჰეი! — დაუძახა უცნობს.

პასუხი არ იყო.

„ავი დროა, ვინ იცის, ვინ არის და რა განზრახვამ მოიყვანაო“, განფიქრა და თოფი მოიმარჯვა.

— ვინ არის? — შესძახა მერე უფრო ხმაშაღლა.

— მიშველე, მთის კაცი. ძაღლები არ მიშვებენ შენთან!

კირილე გორაკოვის ხმა იყო.

გაუხარდა მთის კაცს. შორიდანვე შეუწყრა ძაღლებს. სტუმართან მიიქცა. მიესალმა სახლში მიიპატიეა.

— ადრე ამდგარხარ, მთის კაცი, რომ გამოწყობილი დამხვდი!

— შენთან მოვდიოდი, ამხანაგო კირილე. დამასწარი. ალბათ ჩვენი მწვერავები დაეშვნენ უღელტეხილიდან და ახალი ცნობა მოიტანეს!

— ჯერ კიდევ არ გამოჩენილან... საცაა მოვლენ.

გაუკვირდა მთის კაცს.

„მამ ასე ადრე რამ მოიყვანა? უთუოდ სხვა რამე გაქირვებაა“, გაიფიქრა და თვალი ირიბად შეავლო სტუმარს.

— შენ ალბათ, გიკვირს თუ მწვერავები არ დაბრუნებულან, ასე ადრე რატომ გეწვიე... მარტო მწვერავებს კი არ მოაქვთ ჩვენთან ახალი ამბავი, მთის კაცი... სხვა წყაროდანაც ვიგებთ.

მხრებზე მოკლე ნაბადი ესხა კირილეს. ხელში საყვარელი კარაბინი ეჭირა ჯობივით. თავზე ნაცრისფერი ბოზოხი ეხურა, წინ ოდნავ ჩაკეცილი, გვერდზე მოგდებული. უძილობისა და დაღლილობისაგან წითლად ამღვრეულ თვალებს მოუსვენრად აციცებდა აქეთ იქით. მთის კაცს ქვეშ-ქვეშ, თითქოს მალულად აკვირდებოდა.

— შინ შემობრძანდი! — მიმართა მასპინძლური თავაზიანობით მთის კაცმა და პირი აიენისაკენ იბრუნა. სტუმარს შინისკენ გაუძღვა. მაგრამ მალე შესდგა.

— სახლი შიგნიდან მაქვს დაკეტული, ძვირფასო კირილე. — უთხრა ბო-

— სიცოცხლე და გახარება ნუ მოგვკაელოს გამჩენმა! შეაგება სიტყვა მთის კაცმა.

დალიეს.

მასპინძელმა კიდევ მოისურვა არაყის დასხმა.

— მეტი არა. საკმარისია. უძინარი ვარ და ძილი მომეკიდება... ჩვენს მშვერავებს მთერალი ხომ არ დავხვდები.— ყანწი ტაბაკზე დააყუდა კირილემ. საშველს შეეშტა.

— კი, მაგრამ ძილი მაინც საჭიროა, ძვირფასო კირილე. მოდი ნასაუზმევს აქვე მოისვენე... ცეცხლის პირას გაგიგებ ლოგინს... თვალს მაინც მოატყუებ, ისიც კარგია.

— ვნახოთ...

— ჯერ კიდევ კარგად არც კი გათენებულა. აღრეა. მოასწრობ.

— ჰეე, მოვხუციდი მგონია, მთის კაცო... ერთი ღამე რა არის, სამიცი ზედიზედ რომ არ დამეძინა, უძილობას კაცი ვერ შემატყობდა.

— სიბერეს შენთან რა უნდა, ამხანაგო კირილე? რაც მე გიცნობ, არ გამოცელილხარ. ისეთივე ხარ; რაც ამ ათი წლის წინათ იყავი... რუსი კაცი გვიან ბერდებოა, გამიგონია!

— ვხედავ, შევალე სოუს ჩემი ახალგაზრდობა, მთის კაცო!

— მართალია, დიდი ამაგი დასდევ ჩვენს სოფელს.

— მარტო წუხანდელი ღამე რად მიღირს?

— ჰო, მართლა... რა მოხდა წუხელ ისეთი, რომ არ დაგიძინა?

— იმ შენს დაუპატიებელ სტუმარს გადაეყვი... ახლაც გონს ვერ მოვსულვარ.

— ვინ სტუმარი იყო?

— აი შენს ჭიშკართან რომ შეიპყრეს წუხელ.

— ჰაა... ვინ არის ნეტავი?

— მაგათ რას გაუგებ? გერმანელი ვარო ვითომ... შეიძლება... ჩვენებურს კი არა ჰგავს.

— ალბათ, ეს არის, ცნობა სხვა წყაროდანაც მოგვდისო, ჩვენდენ... რომ ამბობდი... დაკითხავდი ~~უფაურად~~...

— ჰო ნეტავი არ დამეკითხნა...

ისედაც ვიწრო თვალები უცებ მოქუტა გორაკოვმა და მთის კაცს მიაპყრო. ცოტა ხნის შემდეგ წარმო-სოქვა:

— იცი, რა მითხრა?

მაგრამ სიტყვა არ გააგრძელა, ისევ დადუმდა. მერე ხელის ჩაქნევით სოქვა:

— თუმცა უკვე აღარ ღირს, მთის კაცო, ამაზე ლაპარაკი. გათავდა, მორჩა!

— საიღუმლოება იქნება, ალბათ...

— რატომ საიღუმლოება? — სიტყვა ჩამოართვა კირილემ და ტაბაკზე დაყუდებული ყანწს მისწვდა. აი-ლო. — დამისხი კიდევ ის შენი არაყი, მთის კაცო... დაელოთ ერთიც.

მთის კაცმა ყანწები აავსო.

— ჩვენი მეგობრობის სადღეგრძელო მინდა დაელოთ, მთის კაცო... წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

— წინააღმდეგი რატომ ვიქნები? ნუ მოიშალოს ჩვენი მეგობრობა, ძვირფასო კირილე!

გადაჰყრეს.

— ასე დაელიოს სამშობლოს მტერი და ორგული!

— ამინ!

— მაგარია თავლის არაყი... დამცხა. — სოქვა კირილემ და ნაბადი მხრებიდან გადაიგდო. ცეცხლს თავი გაარიდა.

— ჰოდა, იცი, რა მითხრა? — გაიმეორა და ისევ დადუმდა.

წითურ უღვაშს ქვეშ ამდენ ხანს უჩინარი მისი დამახასიათებელი ორპროვანი ღიმილი ისე აუციალდა, თითქოს ზედ ცეცხლი წაეკიდაო. მისი ანარეკლი ეღალ თვალებშიც ჩაუდგა, რომელიც მთის კაცისთვის მიეპყრო.

ვერ მიხვდა მთის კაცი: საიღუმლოებას უჩხრეკდა გულში მოურიღებ-

ლად, თუ მეგობრულ გრძნობას უმელავენებდა თავისებურად?

არ ესაიამოვნა კი.

კირილემ დუმილი განაგრძო.

— უნდა მეყოს მოთმინება, ამხანაგო კირილე, რაკი სათქმელს ასე აგვიანებ... მეტი რა გზა მაქვს. — ვითომ იხუმრავ, ისე სთქვა მთის კაცმა, რათა გორაკოვის დუმილი დაერღვია და მისი მომნუსხველი თვალების მშერა თავიდან აეცილებინა.

— როცა ვკითხე, — დაიწყო კირილემ გულჩათხრობილად, მაგრამ სახის გამომეტყველების შეუცვლელად.

— ალბათ, ვინმე მასპინძელი გეგულეობდა, თორემ უცნობ სოფელში ასე როგორ შემოიჭერი მეთქი, ვითომ გაუკვირდა ჩემი შეკითხვა. მერე უარი სთქვა, ვინ მასპინძელი, რა მასპინძელიო... მაგრამ ბოლოს მაინც გამოტყუდა... აბა თუ მიხედები, მთის კაცი, იმ გარეწარმა ვინ დაასახელა?

— დავიჯერო სოფელი იყო?

— კი, სოფელი ნამდვილად.

— ჯვარი აქაურობას.

— აბა, მითხარი, ვინ გგონია?

— გულთმისანი არა ვარ, ამხანაგო კირილე.

— მაინც? — და კირილეს მოკუტულ თვალეში ცბიერმა შუქმა გაითამაშა.

— არა მჯერა რაღაც... მგონია მეხუმრები, თვალი ისე ეშმაკურად გიცინის... არა, სოფელი არ იქნებოდა.

— გეუბნები, სოფელია.

— თუმცა ქრისტეს თორმეტი მოწაფე ჰყავდა, ამხანაგო კირილე, თორმეტიდან ერთი გამცემი აღმოჩნდა... სოფში კი ორასზე მეტი მცხოვრებია... ვინ იცის!

— ჰოდა, მით უმეტეს, რატომ გიკვირს? მე მაინც არ დავიჯერე, რომ ის, ვინც იმ ურჯულომ დაასახელა, მოლატეა! ხომ შეეძლო ეთქვა, მაცი ზურუბაისთან ვარ გამოგზავნილი, იმას

უნდა გაეწია ჩემთვის დახმარება. დამეჯერებინა?

— ჰა, ეს დაუშვებელია! — ამას ვერ იტყოდა... ვერ დავიჯერებ! — იყვირა მთის კაცმა.

— მაგალითისათვის ვითხარი... — კირილემ ისევ მონუსხა მოკუტული თვალეებით მთის კაცი და მერე განაგრძო: — რომ მეთქვა მთის კაცი დაასახელა მეთქი, უფრო დავიჯერებდი?

— რა თქმა უნდა, ძვირფასო კირილე!

— შენი დასახელება მაინც რატომ იქნებოდა უფრო დამაჯერებელი, მთის კაცი? — და კირილეს ახლა თვალეები თითქოს გაუფართოვდნენ, უღიმოზ და მცდელნი გაუზდნენ.

— იმიტომ, ამხანაგო კირილე... როგორ ვითხრა, არც კი ვიცი... მაცი სხვაა, მე კიდევ სხვა ვარ.

— როგორ გავიგო ეს შენი სიტყვები?

— აი, გინდა ისე, რომ მეჯოგე მე უიყავი და არა მაცი...

— მერე რა?

— კი, მაგრამ, ამხანაგო კირილე... მე ისე მენიშნება რალაცნაირად, ასე რომ ჩამაცივდი, მგონია, იმ წყეულს მართლაც მე ვყევარ დასახელებული... გამოტეხილად მითხარი, არ შემეშინდება...

— დაიცა, მთის კაცი... განაგრძე როგორც დაიწყე... ბოლომდის მინდა მოგისმინო... მეჯოგე რომ იყავი, მერე რა?

— გასაგებია, მგონია... ამით ის მინდა ვთქვა, რომ ამ ჩვენი ქედის პირიქითაც მთის კაცს მეძახდნენ წინათ, მიცნობდნენ. ათასნაირ ზალხთან მქონდა ურთიერთობა, მისვლა-მოსვლა, დამოყვრება, საჩუქრების გაცვლა-გამოცვლა, როგორც ამას ჩემი საქმე მოითხოვდა.

— მესმის.

— ზოგიერთი ჩემი ყოფილი ნაცნობი, იქნება, გვერდში ამოუღდა მოსულ

მტერს, ქონებას, დიდებას დამიბრუნებდნენ...

— სწორია, მთის კაცო! — თითქოს წააქეზაო, ისე შესძახა გორაკოვმა.

— ჰოდა, ვისმე მათგანს თუ ჰკითხეს, ქედს იქით თუ გვეულება ნაცნობიო, იქნება, გავახსენდი რომელსაჲმე გარეწარს მთის კაცად წოდებული ძველი მეჯოგე და... თორემ მაციის სახელი, იქნება, გაგონილიც არა აქვთ!

— კმარა, მთის კაცო! — გააწყვეტინა სიტყვა კირილემ. — ახლა მე მომიხმინე... სწორედ ასევე, თითქმის სიტყვა-სიტყვით ვფიქრობდით და ემსჯელებდით ამ დილით მე და მაცი ზურუბაია... მერწმუნე. მაგრამ ეს იყო მას შემდეგ, რაც იმ ურჯულოს დაკითხვაზე შენი ძლივს გამოტეხილი სახელწოდების გაგონებით გამოწვეული გონების პირველი ამღვრევა შენდამი რწმენამ დაგვიცხრო და მდგომარეობის გააზრებამ ასევე გვაშკელა, როგორც ახლა შენ მსჯელობ...

გორაკოვის პირდაპირ ცეცხლის მეორე მხარეს მგდარი მთის კაცი ცალი ყურით მისკენ მიქცეულიყო და სულგანაბული უსმენდა. მის გაკვირვებულ თვალებს ორნაირი ცეცხლი შეჰკიდებოდა გიზგიზით. ერთი შინაგანი — ჯავრისა და რისხვის. მეორე — კერის, რომლისკენ შეუშინებლად მთელი ზედატანით გადახრილიყო კირილეს სიტყვების მოსასმენად. ერთ ხანს ხმა ვერ ამოეღო. მერე ჩამოწმენქილი წარბები ფრთხილად აიქნია. სული ღრმად მოითქვა შინაგანი დაძაბულობის შესაწვლელად და, სინანულის მწარე ღიმილით საბე-მოქცეულმა ნალვლიანად წარმოსთქვა:

— აკი ვითხარი, მენიშნა მეთქი და კიდევაც გამართლდა... ჩანს, ადამიანს თავისი წარსული გუდა-ნაბადივით მაშინაც კი ზურგზე ჰკიდია, როცა მის არსებობას არც კი ამჩნევს... ვითომ მოვესწარ იმ ღროსაც, როცა მთის კა-

ცისა და ჯოტოს მამის აქამდე შეურცხვენილ სახელს ლაქა ^{შეურცხვენილ} არავითარსა ლაქა არ მოგვცხებიო, რადგანაც ჩვენ სრულ ნლობას ვიცხადებთ. შენს პეტროსნებაში ექვი არავის შეუტანია! მიხარია, და შენც უნდა გიხაროდეს, რომ ვერაგი მტრის ხერხმა ვერ გასჭრა: ვერც შენ მოგაყენა ჩრდილი და ვერც ჩვენ შეგვირყია რწმენა ადამიანისადმი... მომეცი ხელი, ჩვენო მთის კაცო!

ორივენი ერთდროულად წამოდგნენ. ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და თვალი თვალს გაუსწორეს.

თავი ოცდამეცხრე

კერის ცეცხლის პირას, დათვის ტყავ-გადაფარებულ მოგრძო ტანტზე ეძინა კირილე გორაკოვს, როცა მთის კაცის ეზოს კიშკარს მაცი ზურუბაიას მიერ გამოგზავნილი შიკრიკი მოაღვა. ძაღლების შიშით ეზოში შესვლა ვერ გაბედა და მასპინძელს შორიდან უხმო.

ხმაზე იცნო იგი მთის კაცმა, რომელიც ამ ღროს აივანზე იმყოფებოდა ფიქრში გართული.

— მაციის შიკრიკია. ალბათ, მზვერავები დაბრუნდნენო, გაიფიქრა მაშინვე და კიშკარს მიაშურა.

მოსული მისი მეზობელი იყო, კოკლი მაქსიმე, სოუს საბჭოს უცვლელი შიკრიკი. მიესალმა მთის კაცი. კარი გაუღო. სახლისაკენ გაუძღვა.

— დაბრუნდნენ?

— ეს-არის მოვიდნენ.

შეწუხებული სახე ჰქონდა მაქსიმეს. ეტყობოდა, კარგის მაუწყებელი არ იყო.

— რას ამბობენ, თუ იცი?

— მოდიანო ის წყეულები! მოდიანო, მთის კაცო! ვაიმე ჩვენს მოსწრე-

ბას! ეს რა ცეცხლში ჩავარდით სოუ-
ელები!

სიყმაწვილეთი დაშავებულ ცალ ფეხ-
ზე კოჭლობდა სოუს მოხუცი შიკრიკი.
დაზიანებული ფეხის მხოლოდ ცერს
ხმარობდა ბზის თავკაუჭა, მომსხო
ჯოხის მიშველებით, რომელიც ყო-
ველთვის მომარჯვებული ეჭირა ხელ-
ში, ბოლოთი ცერთან მიბჯენილი. მა-
გრამ კოჭლობა ხელს არ უშლიდა მაქ-
სიმეს შიკრიკობაში. ისეთი დაუზარე-
ბელი და მარდი იყო, რომ ფეხმალი
სოუელების გაკვირვებასაც კი იწვევ-
და. აღმართი თუ დაღმართი, მოკლე
თუ გრძელი გზა სულერთი იყო მის-
თვის. ორი მოსწრებული ვაჭი ჰყავდა,
ორივე ომში ეგულეობდა. ამით გულ-
დათუთქული მტრის სახელს ისე არ
ახსენებდა, რომ ხელების ცისკენ აპ-
ყრობით ზედ წყველა-კრულვა არ და-
ერთო.

— შენი ჯოტოს სურათს ვაკრავდი
საბჭოს წინ თავმჯდომარის განკარგუ-
ლებით, როცა ბიჭები მთიდან დაეშ-
ვნენ... მომილოცავს, მთის კაცო, ვა-
ჩის ბედნიერება...

— მოსალოცი მაშინ ვიქნები, მაქ-
სიმე, როცა დამიბრუნდება.

— რატომ? ახლაც და მაშინაც... მე
ჩემი ბიჭების წერილიც კი რამდენი
ხანია არ მიმიღია! იქნება, ცოცხლები
აღარ არიან!

— მალე გაგეგონოს მათი უცნებ-
ლად ყოფნის ამბავი, ჩემო მაქსიმე! ნუ
გეშინია, დაბრუნდებიან, ისევ გვერ-
დში ამოგიდგებიან!

— ნუგეში ნუ მოგაკლოს გამჩენმა...
ასე გაიარეს ცოტა. მერე მაქსიმე
გვერდზე მიეკრა მთის კაცს, თავი ას-
წია და საიდუმლოებასავით ყურში
ჩასაჩურჩულა:

— ჩვენს ბიჭებს ორი სამხედრო
ჩამოჰყვა უღელტეხილიდან... ერთი
უფროსი ჩანს. კირილეს ნახვას მოით-
ხოვს... რალაცა ამბავი უნდა იყოს...

ამიტომ გამომგზავნა მაციმ, კირილე
უნდა წავიყვანო.

— კი, მაგრამ, ჩემო მაქსიმე, ახლ-
ხან მიუღლა იმ კაცმა თვალი. სწორე
გითხრა, მენანება მისი ვალვიძება. —
სთქვა მთის კაცმა.

— თუ ეძინოს, ვალვიძეთო, ბრძანა
მოსულმა... გაკვირვებაა უთუოდ... ჩვე-
ნი მშვერავებიც არ არიან გუნებაზე...
მაციმაც რამდენჯერმე მომადხა: რომ
ეძინოს, ვალვიძეთო... ბოდიში, მაგრამ
თუ შენ გერიდება, მასწავლე, სად
სძინავს, და მე გავალვიძებ.

ჯარგვალს რომ მიეახლნენ, ნახეს:
კირილე გორაკოს თავი გამოეყო გა-
მოღებულ კარიდან და მათ ლაპარაკს
ყურს უგდებდა ჩუმად.

— ვალვიძება არ მჭირია, ჩემო მაქ-
სიმე. არ მძინავს. ძილში ჩამესმა შენი
ხმა. გელოდებოდი. — გაეხმაურა იგი
შიკრიკის უკანასკნელ სიტყვებს. ფარ-
თოდ გააღო კარი და ნაბადმოგდებუ-
ლი გარეთ გამოვიდა თავისი კარბინი-
თურთ. — მაშ, დაბრუნდნენ ჩვენი ბი-
ჭები... მადლობა ღმერთს! ვიაროთ,
მთის კაცო! — მიმართა მან მთის კაცს,
მაგრამ არც კი შემდგარა, არც კი დაუ-
ცლია მისთვის, ისე ჭიშკრისკენ გაიქ-
ცა. ხტუნვით მიჰყვა მაქსიმე.

— კარებს დავხშავ და დავწვევი-
მეტი საქმე არა მაქვს! — მიადხა მთის
კაცმა და ჯარგვლისაკენ მიიქცა.

სოუელ მშვერავებს მთებიდან სან-
ქაროს გადასავალის დამცველი ნაწი-
ლის უფროსის ადიუტანტი ჩამოყოლო-
და მხლებელი ჯარისკაციურთ, —
ახალგაზრდა ლეიტენანტი, მალალი,
ტანწერწევა ყმაწვილი, გონიერი და
მტკიცე სახის გამომეტყველების ცოტა
მოდუღილი, მოლოჭივით პირველად
აფეთქილი. ჯერ კიდევ ხელუხლებე-
ლი საწვერულვაშო გინგლით შებად-
რული.

კირილე გორაკოს მოლოდინში
იგი თავისი მხლებლითურთ საბჭოს

აივნის წინ ამართულ ვეება ფიჭვის ხესთან დამდგარიყო და მაქსიმეს მიერ მასზე გაკრულ გაზეთს ათვალეიერებდა, რომლის გვერდზე ჯოტოს სურათი ეხატა და მისი გმირობის ამბავი იყო მოთხრობილი.

მალე გამოჩნდა სირბილისაგან აქუნებელი კირილე გორაკოვი. შორიდანვე იცნო სტუმარი, რომელიც მისი ნაცნობი აღმოჩნდა. მიეგება, მაგრამ მაინცდამაინც დიდი სიხარული არ დატყობია. — ჯარის ნაწილის ადიუტანტის ასე ადრე გამოცხადება სოუსში, ალბათ, უბრალო სტუმრობით არ აიხსენებოდა.

— რას მივაწერო არ ვიცი თქვენი მოულოდნელი გამოჩენა აქ ამ ადრიაინი ფილით, ამხანაგო ლეიტენანტო. თუ კარგი ამბავი მოგვიტანეთ, ხომ გაგვახარებთ და ის-აჩის, თუ არა, დარწმუნებული იყავით, რომ სოუს მზად არის პირდაპირ თვალში შეხედოს მომდგარ საშიშროებას, — მიმართა მან სტუმარს და ხელი ჩამოართვა.

— ამდენი არაფერია, ამხანაგო კირილე... ყველაფერი რიგზეა. — ისე დინჯად, მშვიდად უპასუხა ლეიტენანტმა, რომ კირილეს უცებ რიხი დაუცხრა.

— თუ ასეა, ძალიან მიხარია! — უპასუხა კირილემ. მაგრამ თავისი მცდელი თვალეები მაინც მიაპყრო სტუმარს, რასმე ხომ არ მიმალავსო. ლეიტენანტმა მისი არასასიამოვნო მზერა იმით აიციდინა, რომ ხეზე მიკრული გაზეთისაგან თითი გააშვირა და სოუსელი გმირის იშვიათი ვაჟკაცობის ამბავი და გამარჯვება მიულოცა სოუსს მოხალისეთა რაზმის მეთაურს. აცნობა, რომ მის ნაწილსაც გუშინ მიეღო სამხედრო გაზეთი ჯოტო ქარდუას ამნაირივე სურათითურთ, რასაც ჯარისკაცებში დიდი აღფრთოვანება და სიხარული გამოეწვია. ამის შემდეგ დინჯმა ლეიტენანტმა სასაუბრო საგანი უცებ გამოცვალა. ახლოს მივიდა

კირილესთან და დაბალი ხმით უთხრა: — დავალებული მაქვს ცალკე — მოგელაპარაკოთ სასწრაფოდ საქმეზე, ამხანაგო... თუ შეიძლება, ოთახში შევიდეთ.

გორაკოვმა მაშინვე შეიწვია იგი თავის ოთახში, სადაც ამ დროს მაცი ზურუბაია იმყოფებოდა. მისი ნახვა გაუხარდა სტუმარს...

— რაკი სოუს საბჭოს თავმჯდომარე ბრძანდებით, და გარდა ამისა სოუს რაზმის უფროსის მოადგილედ, ორნაირად შეგეხებათ ის, რაც უნდა გითხრათ, — მიმართა მან მაცის, რომელმაც დასაჯდომად სკამი მიაწოდა ლეიტენანტს.

დასხდნენ თუ არა, სტუმარმა საქმიანი ხმით დაიწყო.

— ის, რაც დავალებული მაქვს თქვენ გაცნობოთ, ამხანაგებო, სამხედრო საიდუმლოებას წარმოადგენს, მაგრამ თქვენ იგი იმდენად გეცნობებათ, რამდენადაც შეგეხებათ. საქმე ის არის რომ ბრძანება არის მოსული ვისგანაც ჯერ არს, მეტად მნიშვნელოვანი ამ რაიონისათვის. ამ ბრძანების თანახმად ჩვენმა ნაწილმა დღესვე უნდა დასტოვოს სანჰაროს უღელტეხილი. სამაგიეროდ იგი უნდა გამაგრდეს ბზიფზე, სანამ მაშველი ჯარით არ შეივსება. რომელიც ორ დღეში სოხუმიდან აქეთ დაიძვრება ბზიდის ხეობაში შემოჭრილი მტრის გასანადგურებლად.

— ნუთუ ეს მართალია, ძვირფასო ლეიტენანტო! წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს სოუსთვის ეს გადაწყვეტილება? — ვერ მოითმინა და სიტყვა გააწყვეტინა ლეიტენანტს აღელვებულმა კირილე გორაკოვმა. ხელის გული აიფარა თვალეებზე და იდაყვით მაგიდაზე დაეყრდნო, რათა თავი შეეკავებინა უკმაყოფილების უფრო მძაფრად გამომჟღავნებისაგან.

— მოითმინეთ, ამხანაგო, ბოლომდის არ მოგისმენიათ... თქვენ, იქნება, იფიქრეთ, რომ ეს ჩვენი უკანდახევა

დამარცხებას ნიშნავს?... შემძლია და-
გარწმუნოთ, რომ ეს ასე არ არის... პი-
რიქით, იგი ერთი დიდი ნაბიჯია წინ
გამარჯვებისაკენ!

— ბოდიში, ბრძანეთ... — დასცხრა
კირილე. თვალეზზე აფარებული ხელი
ძირს დაუშვა.

— ეს ბრძანება თქვენთვის იმი-
ტომ კი არ მომიხსენებია, რომ იგი სა-
კამათოა, ამხანაგო კირილე. ცუდია თუ
კარგი, მისი გარჩევა ჩვენ არ გვეკით-
ხება. ჩვენ გვევალება მხოლოდ მისი
ზუსტი შესრულება. რამდენადაც თქვე-
ნი რაზმი საერთო თავდაცვის სისტე-
მაშია გათვალისწინებული, მასაც უშუ-
ალოდ ეხება სარდლობის ბრძანება...
ჩვენი უფროსი ფიქრობს, რომ სოუს
მოხალისეთა რაზმი, რომელსაც თქვენ
მეთაურობთ, თუმცა მცირერიცხოვა-
ნია, მაგრამ მთის პირობებში მნიშვნე-
ლოვან დამხმარე ძალას წარმოადგენს.
ჩვენ რა თქმა უნდა, თვალს ვადევნებთ
თქვენს მოქმედებას. სასიხარულოდ
მიგვაჩნია, რომ თქვენმა რაზმმა დაამ-
ტყიცა ბრძოლის უნარიანობა. განსა-
კუფრებული მხნეობა დივერსანტების
წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინა მან.
ეს ბრძოლა ბზიფის პირობებში, დი-
დად მნიშვნელოვანი გამოდგა... ჯერ-
ჯერობით იგი ჩვენ გვაქვს მოგებული
თქვენი წყალობით. საგულისხმოა ის გა-
რემობა, რომ თქვენი რაზმელები ზედ-
მიწევნით იცნობენ აქაურ ადგილმდე-
ბარეობას, რასაც თუ არ ვაღამწყვეტი,
დიღზე უდიდესი მნიშვნელობა ექნება
მომავალ ჩვენს ბრძოლაში, რომლის
გამართვას მომხდურ მტერთან ჩვენი
სარდლობა აპირებს ამ მოკლე ხანში.
ამის გამო მიზანშეწონილად არის ცნო-
ბილი თქვენი რაზმის შენახვა მთავარ,
გადამწყვეტ ბრძოლამდე. ამის საფუძ-
ველზე წინადადება გეძლევათ ჩვენს
ნაწილთან ერთად თქვენც დაიხიოთ
ბზიფის ახალ პოზიციებზე და იქ ახა-
ლი ჯარის მოსვლას უცადოთ. ჩვენი
ჯარის ნაწილი კი დღეს საღამოს რეი-

დან ცხრამდე დაეშვება უღელტეხილი-
დან და დაახლოებით ამ დროს გაბე-
ლის სოუსზე, სადაც მას თქვენნი რაზ-
მი უნდა შეუერთდეს გაუხმაურებლად.

ასე დაამთავრა თავისი სიტყვა ახალ-
გაზრდა ლეიტენანტმა. ოთახში ერთ
ხანს მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. თუმცა
ნათელი და გასაგები იყო ლეიტენანტის
სიტყვა, მაგრამ გორაკოვისა და ზურუ-
ბაისათვის მაინც გაურკვეველი რჩე-
ბოდა სოუს ბედი, რაზედაც არაფერი
იყო ნათქვამი. სიჩუმე პირველმა კირი-
ლემ დაარღვია.

— ყველაფერი გავიგეთ, ამხანაგო,
რაც გვითხარით. რასაკვირველია, ჩვენ
დავემორჩილებით სარდლობის ბრძა-
ნებას და თქვენი ნაწილის აქ დასახვე-
დრად მოვემზადებით. ამის შესახებ
ორი აზრი არ შეიძლება ჩვენს შორის
არსებობდეს. გვესმის, რომ სოუსთვის
ბრძოლას მაშინ აქვს აზრი, როცა ის სა-
ერთო ბრძოლის ნაწილია, საერთო სამ-
ხედრო ღონისძიებასთან არის შეთან-
ხმებული. მაგრამ, მართალი ვითხრათ,
სოუს დატოვებას უბრძოლოდ არ ვა-
პირებდით, რაც უნდა დაგვეჯდომოდა.
თქვენი სიტყვიდან გამოდის, რომ სან-
ჰაროს დატოვება და ბრძოლის პოზი-
ციების ბზიფზე გადატანა, სოუს და-
ტოვებასაც მოასწავებს.

— ექვს გარეშეა, რომ ნამდვილად
ასეა, ამხანაგო კირილე. სტრატეგული
მოსაზრებით მიზანშეწონილად არის
ცნობილი სოუს დროებით დატოვება
უბრძოლოდ. გამარჯვების უზარუნ-
ველსაყოფად საჭიროა მტერი უღელ-
ტეხილიდან დაეშვას, სოუსში მოაქუ-
ნოს თავისი ძალები, რაც ბზიფის და-
საპყრობად მოყვანილი ჰყავს, რათა
მისი განადგურება ისე მოხდეს, რომ
შემდეგში უღელტეხილზე ფეხის მო-
კიდება ვერ შესძლოს... სოუს განწირ-
ვას, თუ შეიძლება ამას განწირვა ეწო-
დოს, დროებითი ხასიათი აქვს, რო-
გორც ჩვენს უკანდახევას საერთოდ.
დიდი, დიდი ერთი კვირა გაგრძელდეს

სოუს მტრის ხელში ყოფნა. სამწუხაროა ეს, მაგრამ მოგვხსენებათ, ვამარჯვება უმსხვერპლოდ არ იქნება.

კირილე გორაკოვი და მაცი ზურუბაია წამოდგნენ.

— მოახსენეთ თქვენს უფროსს, ამხანაგო ლეიტენანტო, — წარმოსთქვა გორაკოვმა, — რომ სოუს მოხალისეთა რაზმი მზად არის ზუსტად შეასრულოს მისი ბრძანება.

ლეიტენანტმა მადლობა გამოუცხადა მას და ხელის მაგრად ჩამორთმევით აგრძობინა თავისი დიდი კმაყოფილება მომხდარი შეთანხმების გამო.

— ერთი პატარა დავალებაც მაქვს თქვენთან. ამხანაგებო. — განაჯობო ლეიტენანტმა და ახლა მაცი ზურუბაიას მიუბრუნდა. — იმ ბრძანებასთან ერთად, რომელიც მოგხსენდათ, ჩვენ მივიღეთ აგრეთვე თქვენთვის გადმოსაცემი, რესპუბლიკის უშიშროების კომისრიის რწმუნებულის ფრიად სასწრაფო მოწერილობა, რომელსაც ახლავე ვადმოგვცემთ. — ამ სიტყვებით ლეიტენანტმა გულის ჯიბეზე გაიკრა ხელი, გახსნილი კონვერტი ამოიღო და მაციის წინ დაუდო. — რადგანაც თქვენ ბრძანდებით სოუს საბჭოს თავმჯდომარე, მოწერილობაც თქვენ შეგეხებათ. ჩემი მოვალეობას შეადგენდა კონვერტი გამეხსნა და მისი შინაარსი უფროსისათვის მომეხსენებინა, რადგანაც კონვერტი მის სახელზეა გამოგზავნილი. უშიშროების კომისრიის რწმუნებული წინადადებას გაძლევთ საჩქაროდ წარგზავნოთ მასთან თქვენი სოფლის მცხოვრები მთის კაცი, რომლის სონტში გამოცხადების ვადა დღეს შეუღამეს თავდება. ეს მთის კაცი, ალბათ, ის სახელგანთქმული სოუელი მონადირეა, რომლის შესახებ ჩვენც აქ ზეერი რამე გავვიკონია. მისი გადაუღებელი გამოცხადების უსრუნველყოფა თქვენ გვევალებათ, როგორც ამ ქალაქში სწერია.

სანამ ლეიტენანტი ლაპარაკობდა,

მაცი ზურუბაიას კონვერტიდან ამოღებულ მოწერილობა, გაეშალა და ხელში დაეჭირა, რათა უმაღლესი წესკმახნა, როგორც კი სტუმარი თავისი სიტყვის მორჩებოდა. მოულოდნელ ცნობას კირილე ისე აელეღვებინა, რომ არ იცოდა ლეიტენანტისათვის ეგდო ყური, თუ მაციისათვის მოწერილობა ჩამოერთმია და პირველს წაეკითხნა. მაგრამ ეს ვერ მოეხერხებინა.

— იქნება, იცით, ამხანაგო, მთის კაცს ასე სასწრაფოდ რატომ იბარებენ? — შეეკითხა იგი სიტყვის დამთავრებისთანავე ლეიტენანტს ბავშვური სულწასულობით.

— გარდა იმისა, რაც მანდ სწერია, არაფერი ვიცი! ის კი სიტყვა-სიტყვით გადმოგეცით. — უპასუხა მან.

ამასობაში მაციმ მოასწრო მოკლე მოწერილობის წაკითხვა, რომელიც კირილეს გაუწოდა. მერე ლეიტენანტს უთხრა:

— ესეც ზუსტად იქნება შესრულებული, ამხანაგო!

ამის შემდეგ ლეიტენანტი გამოემშვიდობა სოუს მეთაურებს. საღამოს კვლავ შეხვედრის იმედი გამოთქვა შეთანხმების თანახმად და გასასვლელ კარს მიაშურა. კირილე გორაკოვი გაჰყვა, დაწინაურდა და კარი გაუღო. თვითონ განზე გადგა და სტუმარს ვასვლა შესთავაზა.

— არა, როგორ იქნება? პირველი თქვენ მიბრძანდით, — უპასუხა ზრდილობიანმა ლეიტენანტმა.

— სტუმარი ბრძანდებით, ამხანაგო, ვთხოვთ! — არ ინება კირილემ ვასვლა.

— უფროსი ხართ. თქვენ გეუთვნით! — თავის დახრით მიუგო აუჩქარებელმა ლეიტენანტმა და ბეჯითად უკან დაიხია.

კირილეს კი ეჩქარებოდა. სული მიუღლიოდა, როდის გაესაუბრებოდა მაციის მოულოდნელი მოწერილობის გამო და თავის აზრს გაუზიარებდა მთის კაციის სოხუმს დაბარების მიზეზის შესახებ.

„ამასაც კიღევ რა ცერემონია უსწავლიაო“, — გაიფიქრა უცმაყოფილომ და ერთხელ კიღევ სთხოვა სტუმარს პირველი გაბრძანებულიყო ღია კარში. მაგრამ რა შენიშნა, რომ ლეიტენანტის შეუვალობას არაფერი ეშველებოდა, ბოდიში მოიხადა და გავიდა.

აივნის დაბალ კიბეზე დაშვებისას კვლავ შედგა სტუმარი. უხმოდ გაიშვირა წინ ხელი და უცნაურად გაღიმებულმა კირილეს ანიშნა, ინებეთ, მიბრძანდითო.

— ეს რა ღეთის რისხვა ყოფილაო“, გაიფიქრა კვლავ გორაკოვმა და დამარცხებული კაცის მორჩილებით კიბეზე პირველი დაეშვა.

მიაკალა თუ არა მთავარ შუკამდე ლეიტენანტი, კირილე გორაკოვი მაშინვე უკან დაბრუნდა. მხოლოდ ახლა შენიშნა მთის კაცი, რომელიც სახლის სვეტს მიყრდნობოდა და მას ელოდებოდა.

კირილე უცებ დაიბნა. ვერ მოიაზრა, როგორ მოქცეულიყო ან რა ეთქვა მისთვის. თავში ის აზრი ჰქონდა, რომ მანამ მაღისთან წინასწარ არ მოეთათბირნა მიღებული მოწერილობის გამო, არაფერი ეთქვა მთის კაცისათვის. მაგრამ ისიც უხერხულად ეჩვენა, რომ მის წინ სულ უხმოდ გაველო. ყოყმანით შესდგა, მაგრამ როგორც კი გაუსწორა მთის კაცს თვალები, მაშინვე შეგობრულად ხელი ამოსდო მკლავში.

— მობრძანდი, მთის კაცო... აქ რატომ დამდგარხარ? — უთხრა და ოთახში შეიყვანა.

წინ გაშვებული მოწერილობით შეეგება მაცი ზურუბაია მთის კაცს და, თითქოს კირილეს დაასწრო, უთხრა:

— მოწერილობაა, მთის კაცო, მოსული!... სოხუმში გიბარებენ სასწრაფოდ... დღეს შუალამემდე იქ უნდა იყო.

არ მოელოდა ამას მთის კაცი. ის იმის გასაგებად იყო შემზადებული, თუ რატომ ეწვია სოუს ამ უჩვეულო

დროს ჯარის წარმომადგენელი, რომელთანაც თათბირი ეწყობოდა ოთახში გამართულმა მსხვერპლმა მზვერავებმა რა ახალი ამბავი ჩამოიტანეს სანჯაროზე მტრის მოძრაობის შესახებ. ამიტომ გაოცებული მიშტერებოდა მაცი, რომელსაც ხელში მისკენ გაწვდილი მოწერილობა ეჭირა.

„ვინ და რატომ უნდა მიბარებდესო“, ფიქრობდა გაოგნებული და ხმავერ ამოელო.

კირილემ თავს იღო დაწვრილებით განემარტა მთის კაცისათვის მოწერილობის შინაარსი. მერე დასძინა:

— როგორც ხედავ, აქ არ სწერია, თუ რა მიზეზია, რომ ასე ფიცხლად გიბარებენ... საშიში არაფერი უნდა იყოს... რამე გაუგებრობა თუ არის?

— რა გაუგებრობა უნდა იყოს ვითომ? — ფრთხილად შეეკითხა მთის კაცი.

— თუ გინდა, იმისთანა რამე, რაც აქ მოხდა!

ვერაფერი გაიგო მთის კაცმა. მაგრამ გამოკითხვის მაგიერ გაცხულებული სახე უჩვენა უხმოდ.

— აი, იმნაირი, დივერსანტმა რომ აქ ჩვენება მოგვცა შენს შესახებ, შეიძლება დავუშვათ, რომ შენთან მეორეც იყო გამოგზავნილი, მაგრამ იგი, იქნება, სოუს ასცდა, და გზადაბნეული სოხუმელ ამხანაგებს ხელში ჩაუვარდა... იმნაც იქ ისა სთქვა დაკითხვის დროს, რაც აქაურმა აქ ჩვენ გვითხრა... და ახლა დასაკითხავად თუ გეძახიან... მაგრამ არაფერია, თუ ორ დღეში უკან არ დაბრუნდი, შენთან გავჩნდები, საცა უნდა ვიყვე და რა საქმეც მქონდეს. აუხსნი და გავაგებინებ ამხანაგებს ყველაფერს...

შეიშმუნა მთის კაცი. შეწუხდა. ჯაერისაგან სახე მოქცა.

ამას რომ მაცი ზურუბაიამ შეხედა, თავათაც შეწუხდა. იგი კირილეს აზრს არ იზიარებდა. უმართებულოდ მიანიშნა მისი ეჭვი. შეწუხებული მთის კა-

ცის დამშვიდებაც სურდა. ამიტომ ბეჯითად ჩამორათვა სიტყვა გორაკოვს და განაცხადა:

— დაუჯერებელია შენი აზრი, ამხანაგო კირილე... დაბარების მიზეზი, ალბათ, უფრო უბრალოა და გასაგები.. მე მგონია, ჯობოს თუ შეემთხვა რამე და ამის გამოსაცხადებლად იბარებენ მამას.

თითქოს გულში ტყვია მოხვდაო, ისე ბარბაცით დაიხია მაცისაგან სახე-აღწილმა მთის კაცმა. რაც კი ჩუმი ეჭვებით იყო აფორიაქებული ომში წასული შვილის გამო, ყველა ერთბაშად გაუტხოველდა. მკერდიდან ღმუილისებური ხმა აღმოხდა და თვალეზიდან ცეცხლი გამოაფრქვია.

— თუ დაშავედა, ან თუ დაიჭრა მეტი, მეტი კი არაფერი მითქვამს, მთის კაცი! — სიტყვა გაისწორა ვითომ მაციმ. მაგრამ გვიან იყო. მთის კაცის ყურში ჩაწვეთებულმა შხამმა თავისი ქნა.

მთის კაცი მოსწყდა თავის ადგილს. ერთი მიმოიხედა ოთახში და მეორე ფანჯარას მივარდა, თითქოს გადახტომა სწაღიაო. გარეთ გაიხედა. ისევე კირილესა და მაცისაკენ შემოტრიალდა. მაცის მიეახლა.

— მომეცი ის ქალალდი, შემოგველე!.. მაგვიანდება! — დაოკებული ხმით მიმართა და მოწერილობას ხელით წაებოტინა.

მაციმ გადასცა ქალალდი.

მთის კაცს მეტი ხმა არ ამოუღია, ისე ოთახიდან ქარივით გავარდა.

კირილემ კარამდე მისდია.

— საგზალი რამე წაიღე... — მიამახა.

იქნება, ვაგონა კიდევაც, რადგანაც დაინახა, რომ მთის კაცს გეზი თავის სახლისაკენ აეღო.

თავის მაგიდასთან დაბრუნებულ გორაკოვს ერთ ხანს ხმა არ გაუცია მამა.

ცისათვის, თითქოს უწყრებოა მოუგზრებელი სიტყვისათვის.

— საიდან მოიტანე მკვლელობა და გორის თუ დაშაგების ამბავი? ეს როგორ მოგივიდა? — უსაყვედურა მერე ამხანაგს.

— იგი კეკუასთან უფრო ახლოა, ვინემ შენი ვარაუდი, ამხანაგო კირილე... — ნიშნის მოგებით უპასუხა მაციმ. — მეგონა, ვითომ დაეამშვიდებდი.

— კაცს შეიღზე მზე ამოდის, და შენ ეუბნები, იქნება, დაჭრილიაო!.. ხომ დაინახე, ჩემს ნათქვამს მაინცდამაინც არც კი აუღელვებია... სიმართლეს რომ გრძნობს და არ ეშინია, ალბათ, იმიტომ.

ამ სიტყვებით კირილე თავის ადგილზე დაჯდა და მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ გამოცვლილი, საქმიანი ხმით მიმართა ზურუბაიას.

— ასეა თუ ისე, ამით გათავდეს ეს ამბავი! ალბათ მალე გავიგებთ ნამდვილ მიზეზს... და იმისდა მიხედვით მივეშველებით მთის კაცს... ახლა კი უწინარეს ყოვლისა ამხანაგები უნდა მოვიწვიოთ... თათბირია საჭირო... პარტორგი ნახე სასწრაფოდ. თუ საგულშაგოზეა, შესცვალე... ჩემდა თავათ თათბირის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები შემომატვს: რაშმის სოფლან გასვლის მოწყობა... | სურსათ-სანოვავის მომარაგება მებრძოლებისათვის... ვის შეუძლია კიდევ იარაღის ასხმა და ბზიფზე წამოსვლა? საერთო გახიზნის თადარიგი. ბავშვები და ქალები თუ ჰკანანებენ კიდევ სოფელში, რომ მტრის მძვინვარებას განვარიდოთ! აქავე ქარის ფერმის მდგომარეობა... რამდენი გახიზნეს საქონელი? რამდენი დარჩა გაუხიზნელი? უკანასკნელი გახიზნის ვადა ზვალინდელი დღე... ეს არის... დანარჩენი კიდევ მოიფიქრეთ... არც ერთი წამის გაცდენის უფლება არ გვაქვს, იცოდე.

თავი-ოცდამათე

თითქოს ქარტეხილს გადაეჩეხოს მაღალი მთებიდან, ისე დაეშვა მთის კაცი ბზიფიდან ზღვის პირის ვაკის სწორ გზაზე.

საკვირველი იყო მისი მგზავრობა. რამდენი მთა ვადმოელახნა, ზურგს უკან მოეტოვებინა! რამდენი გაუგნებელი, უღრანი ტყისათვის თავი დაედო! წაეარნებით ეარნა ჯიხვსავით, კლდეებს ქარაფებს თავს გადავლებოდა. წვეარამების ფსკერზე ეხეტიალნა. შვეულ ფერდებზე ებობლნა.

არც აქ შემდგარა ვაკეზე. თითქოს სულიც არ მოუთქვამს, გზა ისე განაგრძო მუხლებში ქარდახვეულივით. — ძალასა და სიმზნეს ის მატებდა, რომ შუადამე უფრო შორს იყო, ვინემ სოხუმი, სადაც თავგანწირვით მისწრაფოდა.

ვაკეში ცხელოდა. ეჩვენებოდა, რომ არ ჰყოფნიდა ჰაერი და ამის გამო იყო, რომ სული ეხუთებოდა. ეშინოდა, უნებურად ნაბიჯი არ შეენელებინა. ამიტომ წელს ზემოდ წინ წაზნეჭილიყო, რათა ზორბა ტანის სიმძიმის ძალა ფეხებისათვის მიეშველებინა.

გრძნობდა, რომ ზღვას უახლოვდებოდა, მაგრამ მისი ნიავის ქროლვის არე მანც შორს იყო მისგან.

ახალ-ჩამოწოლილი ღამე ჯერ კიდევ დღის სიციხით სუნთქავდა. არსად იყო სიგრილე, რომელსაც ესოდენ ნატრობდა უწყვეტი მოძრაობისაგან ცეცხლმოკიდებული ტანის გასაგრილებლად.

ისევ მთებთან ჭიდილი ერჩინა, სადაც ნიავი ჰქროდა, აქ დაუბრკოლებელ სვლას.

შინდისფერი ჩოხა გაეხადნა. მხარზე გადაეგდო პატარა აბჯის ზემოდ, რომლითაც საგზალი მოჰქონდა, სოუდან აქამდე ხელუხლებელი, დაეწყებულ. ქამარ-ხანჯალი მკერდზე შეხსნილ

ახალუხზე შემოერთა. გვერდზე მოეგდო სამაწონო თხის კატარა გულა, ახლა ცარიელი და დაფუჭებული. წყურვილისაგან ამოესრუტნა ცივი მაწონი, — მთის მგზავრის წყურვილისა და შიმშილის, სიციხისა და დაღლის თანაბრად მომკვლელი.

მაღალ მუხლზე ოფლო სდიოდა. პირისახის ნაოჭების ღარებს გამოყოლილი, იგი ნიკაპზე უკროვდებოდა და გადაღელილ გულმკერდზე წურწურით ეღვენთებოდა. როცა ძალზე შეაწუხებდნენ ავი კბენარებივით დასეული მისი წინწყლები, თავს გააქნევდა კანტურით, ჩამოიბერტყდა და შვებას იგრძნობდა.

ნეტავი სხვა ხერხიც სცოდნოდა რამე ამგვარი, რომ მაწუხებელი ფიქრებიც იმ წინწყლებივით თავიდან მოეშორებინა და მათ გამო დაღლილი გულისთვის წამით მანც შვება მიეცა.

მაგრამ რომელი ერთი ფიქრი იყო, რომ გულს უღრღნიდა მაცი ზურუბაიასა და კირილე გორაკოვთან ამდილანდელი გასაუბრების შემდეგ სოუდან წამოსვლის წინ? რომელი ერთი უნდა მოეშორებინა?

მისი მაწუხებელი მთავარი ფიქრი მოუშორებელი იყო. მას უბრუნდებოდა წამდაუწუმ, სჩხრიკავდა, სინჯავდა, გულამკერებელი!

მის გარეშე, იქნება, ვერც კი გაეცლო ამდენი მანძილი... უიმიოდ, იქნება, ძალა და ღონე აქამდე გამოლეოდა!

ეს იყო მაცი ზურუბაიას მიერ მის ყურში შხამივით ჩაწვეთებული ჯოტოს დაჭრის თუ დაშავეების ამბავი, რომლის საოწყებლად იგი სოხუმში იყო დაბარებული.

ჰმ... დაჭრის თუ დაშავეების!

რატომ არა დალუპვის? რატომ არა სიკედილის?

განა ომმა აკის დაზოგვა ან შებრალება იცის?

ჯოტოზე ფიქრი წინ ეზიდებოდა. სხვა ყველაფერი დაეიწყებოდა. იმის

შიში არ ჰქონდა, რომ ლონეს ემტყუ-
ნებინა მისთვის. მის მთებში გაკაე-
ბულ ძვლებსა და კუნთებს ძალას რა
გამოუღევდა? ეშინოდა მხოლოდ ერ-
თისა, რომ მოთმინება არ დალეოდა,
სანამ სოხუმში ჩააღწევდა და ნამ-
ღვილ ამბავს გაიგებდა.

თავისუფალი ხელის მოძრაობა ნა-
ბიჯის დგმისათვის შეეწყო. მისი ორი
თითი ოდნავ წინ გამოეშვირა, ერთიმე-
ორზე მიწყობილი. დანარჩენები მოე-
კეცა. ამ ორიდან ხან ერთს ასწევდა და
დასწევდა. ხან კი მეორეს. თითქოს
ათამაშებდნენ, — იულონ გარსიას საქ-
ციელი მეხსიერებაში ჩარჩენოდა. მაგ-
რამ ნამღვილად გულში მკითხვევით
შვილის დაღუპვა-გადარჩენის საკითხს
არკვევდა ამის მიხედვით. ვერ კი მიმ-
ხვდარიყო, რომ სასოწარკვეთილი მით-
თავის უმწეობას ამჟღავნებდა მხო-
ლოდ.

ვილაყეები წარმოედგინა, უცნობნი
და უნახავნი. მათთან საუბარი გაემარ-
თნა ფიქრში, ბოდვის მსგავსი, უცნა-
ური და გაუგებარი.

მისი ანთებული ტვინი მართლა ბო-
დავდა, ხოლო უხმო, უსიტყვო იყო ეს
ბოდვა. მაგრამ მას მაინც ესმოდა.

— პოო, ნუ გამაგონებთ ჯოტოს
უბედურებას, დალოცვილებო. დამი-
მალეთ, ნუ მეტყვიით, თუ რამე იცით.
სხვას ყველაფერს აიტანს, ყველაფერს
შეურიგდება ეს ჩემი ბებერი გული.
დეე, შეილახოს ჩემი პატიოსნება...
გაითელოს ჩემი სიმართლე... უსაზიზ-
ღრესი ცილი დამწამონ მტრებმა... არ
მეშინია. ვიცი: სიმართლე აღსდგება
ისევ და მისი ნათელი ჩემს პატიოსან
სახელს კვლავად მოეფინება. ჯოტოს
უბედურებას კი ნუ გააგონებთ მის
მოხუც მამას!.. რატომ გინდათ, რომ
მე იგი ვიცოდე, ამისთვის თუ მიხმობთ!
მითხარით, ცოცხალი არის თქო, მითხა-
რით ასე, ტყვილიც რომ იყოს, რადგა-
ნაც იმედით ცოცხლობს ადამიანი,
რომც არასოდეს არ გაუმართლდეს...

პოო, იმედი, თუ გინდ ამაო, მაგრამ
მაინც იმედი სიკვდილის მძინარეში
ყვება ყველას, ვინც ამ ქვეყანაზე აღ-
მიანად დაბადებულა... ცოტა რამეა
იგი. წონა არა აქვს, არც ფასი, ხოლო
ყველას — როგორც დიდს, ისე პატა-
რას, — თანაბრად გულის სიკვრში აქვს
გამოკეტილი, სანამ სული უღვია. ნუ
მეტყვიით უნარს ამ ცოტა რამეზე, თო-
რემ მოხუცს სიკვდილი გამოიჭირდება,
ანთებული სანთელივით გარს შემო-
გვევლეთ ყველას!..

•••

იგი ნაცნობი ქუჩით შედიოდა სო-
ხუმში, მაგრამ არ გრძნობდა, რომ ქა-
ლაქში იმყოფებოდა. არავინ დაუნახავს
შეგ შემავალი. იქიდან მოშავალიც არა-
ვინ გამოჩენილა.

ქალაქს სიცოცხლის ნიშანწყალი არ
ეტყობოდა. ისეთი სიწყნარე იყო დამ-
კვიდრებული, თითქოს უსიერ ტყეში
იმყოფებოდა.

ნაბიჯს მაინც არ ანელებდა.

გულჩათხრობილი მდუმარებით მო-
ცული სასაფლაოს ძეგლებივით ამა-
რთულიყვენ ბნელი ქუჩის გაყოლე-
ბაზე უკაცური და უსინათლო სახლე-
ბი, რომლებიც უნებური სიფრთხილის
გრძნობას აღძრავდნენ მასში. რაც უფ-
რო წინ მიიწევდა, მით უფრო ეზრდე-
ბოდა ეს გრძნობა და ეგონა, მთელ ქა-
ლაქში მისი ჩქარი და მძიმე ნაბიჯის
ხმა და იყო მისი შემწე და მესაიდუ-
მლე.

ეჩვენებოდა, თითქოს ბედის წერა-
სავით თავიდან აუცილებელი საფრ-
თზე ყოველი მხრიდან უთვალთვალეზ-
და, მაგრამ ნამდვილად კი არასდ ჩან-
და, ძველი ყურსაღივით სადღაც ბნელ
კუთხეში ჩასაფრებული. ხოლო მით
უფრო საშიში და უმწეობის გრძნობის
მომგვრელი იყო იგი.

შეჩერებას მაინც არ აპირებდა. არც
უფიქრია რასმე საფრთხეს განრიდე-
ბოდა. ოღონდ იულონ გარსიას სახ-

ლამდე მიეღწია, ლია ენახა, ამბავი გამოეკითხნა და სწორი გზა ესწავლა მისგან უშიშროების კომისარიატის რწმუნებულთან მისაგნებლად, რომლის მოწერილობა ჯიბეში ედო.

ნაცნობ ალმართს შესდგომოდა, რომლის ბოლოში თავისი მუდმივი სოხუმელი მასპინძელის სახლი ეგულებოდა.

ცხადი იყო: დანიშნულ ვადისათვის დაესწრო, უფრო ადრე ჩამოსულიყო:

როგორც დაღლილი, ნამგზავრი ცხენი გზის დასასრულს სვლას მოუმატებს ხოლმე, ისე აუჩქარა ფეხი, როცა შორიდან იუღონ ვარსიას სახლკარი დალანდა.

მაგრამ აქ უეცრად, როგორც ნაღმი, ისე აფეთქდა ქალაქს თავს დაწოლილი, აქამდე დაურღვეველი სიჩუმე. ზღვის პირის მხარეს ცამდე ავიარდა შემმაძრწუნებელი საგანგაშო ხმა და გაბმული შეცხადებასავით წვილიკვილით სოხუმს კიდით კიდემდე მოედვა.

ახლა კი ფეხმოყრით შესდგა მთის კაცი.

სანამ მოიფაქრებდა, თუ რას მოასწავებდა ატეხილი ვანგაში, მის თავზე ჰაერში მეხის ბოძლებივით დატრიალებულმა მაშხალებმა ჭეჭა-ჭეხილით გაინავარდეს. ჰაერშივე აფეთქდნენ. ქალაქს ცეცხლი დააწვიმეს, და მალე ქვემეხების გრიალმა შეაქანა ცა და დედამიწა.

მათ გრიალს სხვადასხვა ხმისა და ძალის ქუხილი მოჰყვა ყოველი მხრიდან. შექანებული ჰაერის ქარზე უსწრაფესმა, მაგრამ დოლივით შემკერივებულმა ტალღებმა სოხუმი ბუღიდან ამოაგდეს. ერთგან რომ ღრენითა და ყეფით შიგნით ქუჩებში დატრიალებდნენ, მეორესგან ქალაქს თავს გადაუჭროლეს ზათქით მიაწყდნენ შორეული მთების მწვერვალებს და ხეობებში ღმუილით ჩაინთქნენ.

მათ კვალს ზედიზედ ახლები მიჰყვნენ უწყვეტად.

თვალშეუწვდენელ ცაში მოქმედი ხმლებივით შეიშართნენ პროექტორების სინათლის ვეება სვეტები. ოთხივე კუთხით რისხვით გაითარეშეს. მილეწ-მოლეწეს ლაქვარდის თაღი და მის სიღრმეში რბევით შეიჭრნენ. საიდანაც გამოჩენილ, გზაკვალ-დაბნეულს თვითმფრინავს მიენთნენ. მწვერებივით გამოუდგნენ. გადაჯვარედინდნენ. რკალში მოამწყვდიეს. თავდაშსხმელი იყო.

— ჰეა მაგასო, — თითქოს იერიშის მომტანთ აქეზებენო, ისე ჰქუხდნენ მიწაზე ხარბაზნები, გუგუნებდნენ მსწრაფლ და შორისმსროლი ქვემეხები.

მალე მღვეარი თვითმფრინავები გაეკრნენ ზეცას. მტერს ალყა შემოარტყეს. გზა გადაუჭრეს.

ამის შემყურე მთის კაცს არც კი უფიქრია თავშესაფარის ძებნა. შიშიც არ უგრძვნია შუაქუჩაში დამღვარს. თავ-აწეული, სულ-განაბული შესცქეროდა იგი ცის წიაღში დატრიალებულ საკვირველ ბრძოლას.

შესცქეროდა და აჰავეკარაზე მზის ჩასვლისას ნახული ცეცხლის უცხო ფერებისა და საკვირველ ლანდების რევა ახსენდებოდა მისი უცნაური სიზმრის მომგონებელი. ისე წარმოედგინა, ვითომ აქაც ჯოტოს ზედავდა მეთაურად მტრის მღვეარ თვითმფრინავთა გუნდისა ბრძოლის ცეცხლის შუაგულში უშიშრად შეჭრილს.

ასე წარმოედგინა, რადგანაც სულერთია, სად და რომელ ცაზე იბრძოდა ჯოტო, ყველგან ალბათ მტერს ასევე თავგანწირულად უტევდა.

და ამ ბრძოლის სურათის მიხედვით სცდილობდა, საყვარელი შვილის ვაჟკაცობა ნათლად წამოსახოდა: — გაეზომა იგი, ან აეწონ-დაეწონა, თუ რა გული ან რა თვალი უნდა ჰქონოდა

ჯოტოს, რომ არც ერთსა და არც მეორეს არ ეღალატნა მისთვის განსაცდელის დროს.

ბუნებით მარადეამ გმირობისა და მამაცობის თაყვანისმცემელს, სიკვდილის პირისპირ ბედის ცდის უშიშარ მოტრფიალეს, ახლა თითქოს შური იპყრობდა შვილისადმი, რომელთანაც გატოლებაც კი ვერ გაებედნა, თუმცა ვაჟკაცობაში ბადალი არასოდეს არავინ ჰყოლია.

მაგრამ ეს იყო მამის შური მჯობნი შვილისადმი, გულის საოხად და დარდის გასაქარველად მის მიერვე გამოგონილი.

— შეხედე ჯოტოს, რა გაბედული ყოფილა იგი!.. ასეთ გმირადაც უნდა სიკვდილს, ძაბუნო, რამ გულში მისით აგტირებია. — უსაყვედურებდა იგი თავის თავს ამასწინანდელი ბოდვის გამო და გრძობდა, რომ შვილისათვის შიში, სოუდან გამოყოლილი, გულიდან ამოვარდნოდა.

— ჰკა მაგასო! — ცაში გამართული ბრძოლის ეშხით აღგზნებული ქვემეხებთან ერთად გრგვინავდა გულში და თავის გმირ შვილთან ყოფნას ნატრობდა, რომელიც მას ადამიანის გაბედულობის უკანასკნელი, თავბრუდამხვევი მიჯნიდან სავაჟკაცოდ ეძახდა ვითომ.

(დასასრული იქნება)

პარლამენტული

შრომის გმირებს

★

შირაქის გაზაფხული

ზეს ყვავილობა უხდება,
ალაზანს — ზვირთთა დინება.
ველს შვენივს აზურმუხტება,
ჯეჯილს კი აბიბინება.

პოხიერ მიწის სახნავად
მინდორში რკინის ხარია...
— „მე ქავთარაძე გახლავარ,
შირაქში გამიხარია.

აქ ჩამოვდია კახური
პურის ალალი მარცვალი.
ცვარია ყანის მსახური,
სეტყვია დედინაცვალი.

აზღვავდეს, ამოლანდეს
თავთუხი არა-გვიანი.
კალოზე ოქროდ დახვავდეს
ზორბალი ბარაქიანი.

მტკიცეა, როგორც ფოლადი,
ჩემი აღთქმული პირობა.
შირაქმა მომცა დოვლათი,
ბელადმა — შრომის გმირობა.“

ასე ამბობდა ვაყკაცი,
გულს დარდი არ ამჩიმებდა.
წინ გაზაფხული კაშვიაშით
მზის სხივებს აციმციმებდა.



ჯაბუას ყანა

იქნებ ტყეა ალვისხეთა,
მწვანე ფოთლებს აშრიალეებს!..
ხისოდენა სიმიწის ხედავ,
არ უჯერი ნათელ თვალებს.

ეს ჯაბუას ყანა არი,
თვითონ გეტყვის: გმირის ვარო!
ვხიბლავს ღერო ტანნაყარი,
ბევრს ასხია ცხრა-ცხრა ტარო.

მარცვალი აქვს ცერის სისხო,
წისქვილს უჭირს ზისი დაფქვა.
როს დოლაბმა ბრუნვა იწყო,
შეჩერდა და...
ქვამა რა თქვას!..

ღღში თურმე თითო ქცევას
ათი კაცი ძლივსლა. ტებდა.
ჰგავდა შავ ზღვის მიმოქცევას
მოძრაობა მარჯვე ხელთა.

ფურცელ-ფურცელ ჩანაფერი
ირხეოდა ქარვის ყანა,
თვალს არასდროს არაფერი
არ ენახა ამისთანა.

შეხაროდა ლხენით გული
დიდ ბელლებთან ზომღვარ ურმებს.
ასე უხვი ჭირნახული
ჰუდამ ჰქონდეს კოლმეურნეს.



ჩაის ფოთლები

ყაფიურზის არემარეს
ღღეს მერცხალი სტუმრებია.
მზე წამწამებს აელვარებს,
სხივთა ბრწყინვა სწყურებია.



სადაც მწვანე აბრეშუბად
გადაშლილა მინდვრის კალთა,
დგას ხუკუქა ბუჩქი ჩუმად,
ვარს არტყია გუნდი ქალთა.
ნიავეარიც დააქროლებს
ღარეჯანის ქებას ველად:
„ღარეჯანი ჩაის ფოთლებს
ჭრედს ჩქარა და ხვავრიელად.
გოდრებს აესებს თუ კალათებს;
გმირს შრომაში ბაძავს ყველა.
ფიცს არასდროს უღალატებს,
ვინც სამშობლო ასახელა“.
ნატერისთვალზე უტურფესი
არის ახლა ჩვენი მხარე.
იქ პატარა ბუჩქის ფესვიც
წრფელი გრძნობით შევიყვარეთ.
მზრუნველობით თავს ვეველებით,
ვზრდით, ვახარებთ კაი გულით,
რომ გვატკობდეს სურნელებით
„საქართველოს თაიგული“.



ჰართლის ხილი

მე ქართლის ბაღში ვიყავი,
ვნახე ატენის ხეობაც.
თვალეზო, ეს რა მიყავით!
მწვანეს სილამაზის ტყვეობა.

მზე აციმციმებს ალუბალს,
ბალი კიაფობს ლხენითა.
ფუტკარს ნესტარიც გაულბა
გულაბის თაფლის წვენითა.

როცა გორის გზას მოჰყვები,
ხეხილებს გვერდს ვერ აუვლი.
შეწითლებული ლოყებით
მოგზიბლავს თურაშაული.

ყურძენთან ერთად ქებულა
ხიდისთაური ატამი.
რა ტკბილად დაშაჰრებულა
ქერამი გვალვის ამტანი.



კანი ასკდება ბროწეულს,
სიმწიფით ბრწყინავს კლიავი.
ლელეს, დიდ ფოთლებში მოქცეულს,
ეტრფის სხივი და ნიავი.

წალკოტის კარი შევადე,
მომესმა ხმა სიმართლისა:
ხალხია ქართლის მებაღე,
ხილია ეშხი ქართლისა!

★

ვაზის ლხინა

იცრემლება ვაზი ლხენით,
ზედ ციმციმა ცვარია.
ვერ გამოთქვამს კაცი ენით,
რა ლამაზი ზეარია!

შიგოს ციცქა ახვევია,
ლერწი მალლა აყრილა.
მზეს პერანგი გახვევია,
რქაწითელზე დახრილა.

მზე გორიდან ვიდრე ჩავა
სხივებს აფრქვევს საფერავს.
ნერგს ახარებს თბილი ჰავა, —
თუ ნიავიც დაბერავს.

უხვად ისხაჲს ატენური,
ოჯალეში, ხვანჭკარა...
ბრწყინავს წითლად ანთებული
ყურძენი რომ დამკვნარა.

ჩხავერი და თელიანი
ლხინში მუდამ ქებულა.
ჩვენში მრავალმტევნიანი
მწვანეც დამკვიდრებულა.

ხშირად ამბობს მევენახე:
ყველა ვაზი ნახეთო!
შენზე კარგი მე ვერ ვნახე,
ზერების დედაც — კახეთო!

ლალ ავალიანი

ყარობი გმოსანი

გოგელა

★

1845 წლის 17 ივნისი მელიტონ ბათაშვილის ოჯახისათვის იღუმალი ზეიმის დღე იყო; ტატოს თელავს გამწესება ყველას გაეხარა, მაგრამ ამ გრძნობის ლატად გამოხატვას მიიწვერავენი ჰმედავდა. ეფიქრებოდათ, სხარულის ნაადრევ გამყლავნებას რაიმე არ ევნო აქამდე ბედისაგან მოძულე-ბულ მავიდის უფროსის წარმატებულ-სათვის.

საკვირველი ის იყო, რომ ტატოც სდუმდა, სდუმდა მაგრამ ვერ ისვენებდა. დილიდანვე დაწრიალებდა ოთახებში და თითქო ემშვიდობებო, ისე აკვირდებოდა ყველაფერს, რაც მისთვის ძნელად დასათმობი და მოგონება-თა აღმძვრელი იყო. ერთი ნივთი აგონებდა მეორეს, რომელიც უკვე აღარ არსებობდა... მას მერე, რაც მელიტონი თავდაზნაურთა მარშლობიდან გადააყენეს, გაჭირვებამ უწყალოდ მოითარება ერთს დროს ყოველი სიკეთით სავსე ოჯახი. ტატომ დღეს, წასვლის წინ, უფრო იგრძნო ოჯახის დაცემა; რაც აქამდე შეუმჩნეველი დარჩენოდა, ახლა ყველაფერი მეტის სიციხადით გადაეშალა თვალწინ და... ხელი უნუგემოდ ჩაიჭნია. ტატოს აქამდე არ მიუქცევია ყურადღება არც ამ ოთახებისათვის და არც ავეჯისათვის; ახლა კი ყველაფერს გულმოდგინედ, მუშტრის თვალთ აკვირდებოდა და შიში, სიბ-

რალული იპყრობდა. ამ სახლში ყველაფერს საგანგებოდ დაჰკარგოდა ძველებური ელვარება, მიმზიდველობა; სილარიბესა და გაჭირვებაზე დაღადებდნენ ჩამოხუნებული კედლები, ძველად ნაკიდ ხალსა თუ სურათების ადგილას რომ შერჩენოდა აღრინდელი ფერი; საღებავ გადაცლილი იატაკი, ფიცრებს შუა ვიწრო ღარებში რომ ჩარჩენილიყო ქართული აგურის ფერი საღებავის სქელი ფენა, ოქროთი მოვარაყებულ ხის ნაწილებიან სავარძლესაც თითქო ჭეცი შეჰყრია-თო, ისე გამოიყურებოდა საზურგეზე და სახელურებზე ბუსუს გადაცლილი და გაქუქყიანებული. ოდესღაც ლომისფერი ზავერდი. ველარ აიტანა ტატომ აგრე რიგად ნირშეცვლილ დარბაზში მარტოდ ყოფნა, სადაც ახლა არა თუ ფეხის ხმა, ნელი ჩურჩულიც საკვირველის! ხშიანობით გაისმოდა, ყოველი კუნძული ბანს იძლეოდა, უხილავი მტერივით შეჰსისინებდა... ტატოს ახლა შინაურთაგან მარტო მელიტონი გაახსენა ამ სავალალო სანახობამ, თითქო მისგან ელოდა პასუხს. სხვა დროს მამის გახსენებას ტატოსთვის არ ჩაუნერგავს ნუგეში და მხნეობა, მით უმეტეს არ უგრძნვია მისდამი სიბრალული, მაგრამ ახლა თვითონვე ეოცა ჰაბუქს, მელიტონის გახსენებამ რომ გული აუჩუყა. უმაღ მას

მიამურა... ორჯერ ფრთხილად შეაღო მელიტონის ოთახის კარი, მაგრამ ორჯერვე უკან დაიხია და იქაურობას გაშორდა. მელიტონი შუბლშეკრული იწვა. ხელები თავქვემ შემოეწყო და ღია ფანჯრიდან დეკანოზის სახლს გასცქეროდა. თავად-აზნაურთა ყოფილი მარშალი, რომელსაც წამდაუწყებელანდებოდა ნეიდპარტის სახე, დღე და ღამ იმის სინანულში იყო, რომ ამ ქვებუდან მთავარმართებლის ჯავრი ვერ იყარა... ნეიდპარტმა გამოასალმა მელიტონი ყოველ სიკეთეს, რაც ადრე ერთვულ სამსახურით მოიპოვა. მან დასცა დამბლა თავისი უღმობელი უარით, მელიტონის ყოველ უმორჩილესს, დამსახურებისა და ღირსების შემლახველ თხოვნაზე რომ აწერდა. რა მცირე და დამამცირებელი იყო ახლა მელიტონის თვალში ის მოწყალება, მისი ვაჟისათვის ძლიერადივიობით რომ გამოიმეტეს... რა ძუნწი და უღმობელია მლიქვნელობით განდიდებული კაცუნა... თუ ზინც ამ ნამკეცა მოწყალების მიღებას თავად-აზნაურთა ყოფილი მარშალი ტატოს არ უშლიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ გულის სიღრმეში უთუოდ ჯერ კიდევ ოცნებობდა ძველი დიდების აღდგენაზე და... შურისგებაზე.

ტატომ დედის უჩუმრად ჩაიარა კიბე. სადარბაზო მისასვლელის ზღურბლზე ანაზღად შესდგა... ზარბაზანის ხმამ ქალაქს ყრუ ვრგვიანით გადაუარა... ორიოდ წამის შემდეგ შტაბის საათის გაბმული ელარუნიც მოისმა... ტატოს გაეღიმა, მერე უცებ შუბლი შეიკრა. ადრე, ბავშვობაში ის მუდამ მოუთმენლად ელოდა შუადღის მაუწყებელ ცერემონიას, მაგრამ ახლა როგორღაც ავად ენიშნა ზარბაზნის ხმაც და საათის დუნე ელარუნიც... ისეთი უვიდევანო ექვით იყო შებყრობილი ბედისაგან ათეალისწინებული ქაბუკი, რომ ყველა ბგერაში, ყოველ ფერში, ყოველ საგანში ლამობდა აღმოეჩინა

თავისი სურვილების და მიზნების განხორციელების დამაბრკოლებელი. რამ მიზეზი: გულჩათხრობილმა ის იყო დააპირა ქუჩაში გასვლა, მაგრამ ხმაურზე უკანვე შემობრუნდა... ნახშირიან ტომარებით დატვირთულ სახედრების ჯოგს ისე გაეჭედა ვიწრო ქუჩა, მგზავრს აღარ გაეღებოდა. როცა სახედრებმა, შავი მტვერით თავები გამურულ პატრონთან და ორიოდ მოხელესთან ერთად მელიტონის სახლის წინ ჩაიარეს, ტატომ მალეით თვალი გააყოლა უბადრუკ ქარავანს და გაიფიქრა: „რა დროა! ნასწავლი ქაბუკები ვირებს გზას უთმობენ და... ხახვის ფრანტებს კედლში მისჩანჩალებენ... მახლას!“ ტატო გავიდა თუ არა ქუჩაში, ჩალის ქუდიტ მზისაგან სახე მოიხრდილა და მოკლე ნაბიჯი მარჯვედ, მაგრამ ოდნავ შესამჩნევი კოჭლობით გადასდგა. რამდენიმე წუთს ამაყად ექირა თავი. მერე შეუშინეველად ფიქრმა გაიტაცა, ამაყად მზირალმა თავი დახარა, მიწას დაამტერდა. კოჭლობა ახლა უფრო შეეტყო. მიდიოდა პირდაპირ, შუა ქუჩაში; გზას არავის უთმობდა, გვერდს არავის უქცევდა, არც არაფერი ესმოდა, ვერც ვერავის ამჩნევდა, სხვა დროს ესოდენ მკვირცხლი, ცნობისმოყვარე და გამკილაევი... გამვლელ-გამომვლელთა ყაყანი, დავა, სიცილი, მაჩაბლის სიმღერები, ვერცხლის ფულივით გავრცელებული სავათნავას ლექსები, ერთნაირის გატაცებით რომ მღეროდნენ ქალაქელები ლხინშიაც, ჭირშიაც, ბანზედაც, ქუჩაშიაც, ბაღებშიაც, მოგებულნიც, წაგებულნიც... ტუჩაბზეკილ აქლემების ექვანთ წკარუნი, ქუჩაში გუნდ-გუნდად მოხეტიალე ბიჭების ყრიაპული ფიქრებით გართულ ტატოს ისე ზაესმოდა, როგორც შორეული და თანაც აბეზარი რამ ხმები. ზარბი-ხანასთან ის უცებ შეაკრთო ზინარეთის ბიენიდან მოლას თავგამეტებულმა, ერთფეროვანმა მოძახილმა.

ტატომ ირგვლივ მიმოიხედა. გაუქვრდა: რა-რიც ვატყობული უნდა ყოფილიყო ხვალინდელ მგზავრობასა და თელავს მოწყობაზე ფიქრით, რომ ქუჩაში მიმავალს არავისზე და არაფერზე თავისი ყურადღება არ შეუჩერებია... მთავარულსავეთ გაუვლია გიორგი ზეფის ყოფილ სასახლესთან (რომელიც საგანგებოდ დაამახინჯა მეორე სართულის დაშენებით ვიღაც სალამბეგოვმა, თბილისელმა მოქალაქემ), არც როსტომის სასახლის ნანგრევები შეუნიშნავს; რკინეულობის რიგს, სალაცხოსს, ნათლისმცემლის ეკლესიას თუ სასახლის აბანოსაც არ მიუტყვევია მისი ყურადღება... მუდის რივიც, ხარახანაც, სიონიც, მელიქისა და ყოფილი სამეფო ქარვასლაც გამოჰპარვია მხედველობიდან...

მინარეთის აივნიდან კვლავ მოისმოდა გლოვის ზარივით სევდის ამშლელი მოძახილი მოლასი. ტატოს ახლა სევდების აშლა აღარ ეჭირებოდა; თითქო უსიამოვნო ბეგრებს იგერიებსო, გაშლილი მკლავი უცაბედად ჰაერში აიჭნია, ხელისგული ცალყურზე მიიღო, და მინარეთს მწყრალად გაჰხედა. „ნეტავი რა მიზიდავდა ორთაქალისაკენ?, — გაოცებით ჩაეკითხა თავის თავს, — რომელი მოქიფე, დარდიმანდი და ამ ცხოვრებაში მოგებული გახლავართ, რომ ორთაქალის ბაღებში შუბლი გავივრილო, გულო მოვალხინო...“ მყის ზურგი შეაქცია მინარეთს, ზარბი-ხანას; ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა რკინეულობის რიგს, ლილაჩანას და, ოქრომუქედლებს მინიატურულ დუქნების გრძელ წყებას მიაშურა. აქედან დიღმის კარით გარეთ-უბნამდე გზას უფრო მოკლედ მოსჭრიდა.

ზოლებიანი უბეში ტილოს საჩრდილობელი ზოგი დუქნის წინ ჯერ ისევ აკეცილი იყო. ამ მინიატურულ დუქნების ვიტრინებში გამოფენილი და გამოკიდებული სამკაულები, ლალი,

ზურმუხტი, იაგუნდი, წახანაგებობის ალმასი, ვერცხლის ძეწქვენი, პირმოქედლილი ყანწები, თეთრი დუქნები ძელისბალთებიანი ტყავის ქანრები, ქილები, ხანჯლები, ახარფეშები, ჯვრები პაწაწინა ოქროსი, და ხუთგოჯიანი, რელიეფური ჯვარცმით — ვერცხლისა. ტატომ გულმოდგინედ ჩაათვალიერა... მზის სხივებზე მოკამკამე ერთი დიდი საყურე თვალშტ ეცა. ძვირფასმა სამკაულმა უნებლიედ შეაჩერა, მიიზიდა მგოსანი. ზისი შუქის ერთი სხივი სულის სიღრმეში ჩასწვდა და მიუჩინებელი გრძობები აშალა... მოხიბლულმა ჭაბუქმა იღუმალი სიხარულით გაიფიქრა — „კატინკას საყურესა ჰგავს, სწორედ ისეთია, მაგრამ... სად მავთულზე დაკიდული და სად კატინკას ყურის ბიბილოზე გრძნების ამრევად მოვლვარე, თავისს აჩრდილთან ჰოთამაშე!“

საყურეს ჰვრეტით ვატყობულ ტატოს შემპარავი, აღერსიანი ხმა ჩაესმა — ჩემმა მზემ... ეგ საყურე კარგი საჩუქარი იქნება!...

ოქროსავით სანდო, სუფთა და კეთილშობილი ხელოსანი მინიატურულ დუქნის კარის ზღურბლზე მომდგარიყო და მუშტროს წაქეზნას ლამობდა. ტატომ ქელოსხისაკენ გააპარა მზერა, მაგრამ თვალებში არ შეუხედნია, მის თითებს დააკვირდა — გამხდარს, უცნაურად წაგრძელებულს და წმინდა სანთელივით გამჰვირვალეს, ფაქიზ თითების სწრაფი მოძრაობით ხელოსანი ტყავის ნაჭერში გახვეულ ოქროს ბეჭედს ჰფერავდა. ტატომ კვლავ საყურეს გადახედა ალმაცერად. თითქო ეალერსებო, მოწიწებით გაუღიმა და ღიმილში შერხეულ ბაგით უნებლიედ დასცდა ჭებაც, სინანულიც... — მომწონს... კარგი ოსტატის ხელი ატყვია, — კვლავ ოსტატის სწრაფად მოძრავე თითებს დააკვირდა, — მგერამ... არა მჭირდება...

ბოლო სატყევები ისე წარმოსთქვა ტატომ, რომ შეუძლებელი იყო მისი მთქმელი არ შეგბრალებოდათ... ხელოსანი კი, მუშტარს ეტებდა და არა სიბრაულეს. თუმც ვულით სურდა, მაგრამ განშორებისას არც ხელოსნისათვის, აღარც საყურესათვის ტატოს არ შეუხედნია. თავდახრილი, გაწბილებული გაშორდა ხელოსნის დუქანს. გზა და გზა შინიატურულ დუქნების ვიტრინებიდან გამაღიზიანებლად გამოკრთოდა ოქროს სამკაულებისა და ძვირფას ქვების ფერად-ფერადი შუქი. ძალაუნებურად თავისკენ ახედებდნენ ქაბუკს. ეს უხვად გამოშეურებული ძვირფასი სამკაულები აღიზიანებდნენ, შესცინოდნენ და თითქო დასცივნოდნენ კიდეც. რაკი მათზე ხელი ვერ მიუწვდებოდა ტატოს.

— ეს ტატოა?!

ნაცნობი ხმით წარმოთქმულმა სახელმა ტატო უკან მიახედა. ოთხიოდენ ნაპირზე, დუქნის წინ დაბალ სკამის ნაპირზე ჩამოშვდარი ნაცნობი ჰონი შენიშნა. ჰონი დიმილით იცქირებოდა ტატოსაკენ და თანაც გაწაფულ ხელს დრო და დრო დინჯად შლიდა ჰაერში, მუხლზე გადაკიმულ ტყავის ნაპირს ძაფით უხვევდა. მისი ხელის მოძრაობა — თავისუფალი, ბეჯითი და თავისებურად გრაციული — უსიტყვოდ ზოგიერთობდათ იმაზე, რასაც ხელოსანი ასე გატაცებით ასრულებდა.

— მოიხედე! — შესძახა ჰონის ტატომ და უმაღლეს მასთან გაჩნდა. ამ კაცს ასეთი უცნაური სახელი ერქვა, „მოიხედე“, და როცა რიგის ბოლოდან ნაცნობი ხელოსნები დაუძახებდნენ, გამვლელ-გამომვლელი, ვისაც ქართული ესმოდა, ყველა უკან იხედებოდა.

ჰონმა იდაყვს ზემოდ აკაპიწებული, დათვის ტყავივით ხშირი ბალნით დაფარული ხელი ტატოს დინჯად გაუწოდა, დუნედ ჩამოართვა.

ოთხიოდენ თვის წინ ჰონების უბანში გაჩენილ ცეცხლს „მოიხედეს“ დუ-

ქანი თავის ავლაღიდებით ნაცნოდ უქცევია. მშრალზე დაჩენილ ჰონს ორიოდ თვე უსაქმოდ უდგოდა მერე ცოლის ძმას თავის დუქანში პატარა კუთხე მიუჩენია მისთვის და ხელმომართული ხელოსანი მალე წელშიაც გამართულა.

— სადაურსა სად წაიყვანო, სწორედ ჩემხედ უთქვამთ, ტატოჯანი, — სიცილით სთქვა „მოიხედემ“ და თავის მეზობლებზე თვალით ანიშნა ქაბუკს.

— მეც იმიტომ ვერ შეგნიშნე... ჰონი ოქრომჭედლებში!

— ჩემმა მზემ, ეს გლახები ისე დავამშვენიე არა... — თავმომწონედ დასძინა ჰონმა და ორივე ხელი ოქრომჭედლების რიგის მარცხნივ და მარჯვნივ ერთბაშად გაშალა; მერე მსუქანი თათი, მუხუდოს ოდენა ზეკეტიან ლოკაზე ლბილად შემოირტყა და ეს მედიდური ეესტი რომ უფრო მიმზიდველი გამოსულიყო, ბოლოვებით დაბლა დახრილ ფართო უღვაშზე სალოკი და შუა თითი თავმომწონედ ჩამოისვა.

ტატო მისი ხელის მოძრაობას გატაცებით ადევნებდა თვალს. ჰონის სალოკ თითზე ბეჭედივით წამოცხული უქუდო სათითვე ხელის ყოველ გაქნევაზე მზეში თვალის მომჭრელად ბზინავდა.

როცა „მოიხედემ“ ტყავის ნაპირის ამოხვევა ჩაათავა, ძაფი კბილით მოკვნიტა და ზღაზვნით წამოდგა. შორი ახლოს ატუზულ შეგირდს ტყავი უეცრად სანეში მიაფეთა. მაგრამ ოსტატის ოინებს შეჩვეულმა შეგირდმა ტყავის მარჯვედ დაჭერა მოასწრო და ერთი სკუბით დუქანს შეაფარა თავი.

შეგირდის სიმაჩუკით ნასიამოვნებმა ხელოსანმა უღვაშებში ჩაიციინა, წა-

მოკაპიწებული ხელი წელზე მიიბჯინა და ტატო ირიბად აათვალ-ჩაათვალღერა. ნახშირით მოსმულ ლაქსავით შავი, გრძელი წარბი უცებ სხარტად აზიდა, ერთ წამს კიდევ გამტერებით უმზირა და ზერე შევების მომგვრელად გადაიხარხარა, თანაც დაკაპიწებული ხელი ტატოს ქუდს წაატანა.

— ე, რა გზურავ?! —

ტატომ გაკვირვებით გაიღიმა, მშვიდად მიუგო:

— მოხელის ქუდიია!... ამ სერთუცს ეგ უხდება...

— სერთუცსა?! სერთუცი რას მიქვიან, თუ შენ არ მოგიხდება... ვაჰ!...

ტატომ გაიციინა.

— მაშ... არ მიხდება?! —

— გახსოვს? პატარა რომ იყავ, უკეთესად გაცმევდა მელიტონ ნიკა-ლაიჩი!..

— ის დრო წავიდა.

— სად წავიდა?! — დაუფიქრებლად გაიმეორა ჭონძა, უმალ გამოერკვა, ამოიოხრა, — საკვირველი ეგ არის — დროს თავის შესაფერი ხალხიც რომ გაპყვება ხოლმე!.. წვრილფეხობას და გადაამთიელებს დარჩათ ქალაქი...

— კარგად იხედები, „მოიხედე“!

ჭაბუქის შენიშვნაზე „მოიხედემ“ ნაძალადევად გაიღიმა, მალლა აწეული ხელი კი უიმედოდ ჩაიჭინა.

— ტატო-ჯან! იმას ვამბობდი... ჩემმა მზემ, მამაპაპურს ქუდს გიფეშქეშებ, ოღონდ ეგ... — ჭონძა ერთხელ კიდევ აღმაცერად გაჰხედა ჩალის ქუდს.

— შერე... რა მოხელის საქმეა მამაპაპური ქუდის ტარება!

— ვაჰ!.. მაშ, მამაპაპურის, მაგიერად ყველამ უცხოური ჭილოფი დავიხურეთ და ხმალიც ქოლგაში გავცვალოთ... არ იქნება, — და ვიდრე ტატო რამეს უპასუხებდა, ხელსანმა, ერთი მამაპაპურად გასჭყვილა შევირდს, — ბიჭოუჰ!..

ამ მკახე დაძახილის უძალ შევირდი კარის ზღურბლს ფეთქებულად წაიჭყდა.

— ერთი, ეგ მამტას ~~ლექსი~~ მხახხედემ“ ცურით ანაშნა შევირდს ვიტრინაში გამოკიდებულ ტყავის ქუდზე.

ბიჭმა თვალის დახამხამების უძალ მიართვა, ხელსანს წაბლისფერო, ჩახუჭუჭებულ ბეწვიანი ძვირფასი ტყავის ქუდი.

— გინდ მოხელე იყა, გინდ ნამესტნიკი, შენ სწორედ ეს ქუდი მოგიხდება!... ბელატონის შვილი არა ხარ? ტატო! უბრალო არ გეგონოს, ნამუსის ქუდი!

შევირდს ქუდი გამოსტაცა, მოიქნია და გაშლილ ხელისგულზე ისეთი ტლამანი გაადენინა, რომ ქუჩაში გამვლელთა ყურადღებაც კი მიიქცია. დუქნის გასწვრივ, მარცხნივ და მარჯვნივ, „მოიხედეს“ დარდიმანდული ეესტი და შენიშვნა ხმამაღალი სიცილით შეაქეს ხელსანებმა. ტატომ გოცებით გაჰხედა ოქრომჭედლების რიცხს. თავ-თავის დუქნის წინ დაბალ სკამზე ჩამომჯდარ ზოგიერთ ხელსანს შუბლი, ყბა თუ ხელი შეხვეული ჰქონდა. ტატოს მოაგონდა, რომ მეფის-ნაცვალის ჩამოსვლის სწორედ წინა კვირას ზემოურებს და ქვემოურებს დიდი კრივი გაუმართავთ. ტატომ ახლა-ღა შენიშნა რომ „მოიხედესაც“ შეხვეული ჰქონია თავი შეწინწყლებიან ლურჯი ბაღდადით.

ტატოს თვალწინ „მოიხედემ“ ერთხელ კიდევ შეათამაშა ქუდი.

— რა ბაღდადით მთავაზობ და... მწონებ!.. მოიხედე-ჯან, არ იცი ვინა? ნამუსის ქუდს ახლა უნამუსო გოგრები უფრო ეტანებიან, თავიანთი უნამუსობა რომ უკეთ დაძვარონ!..

— ვაჰ!.. მაშ ვახმეს რაღა ეს ტიელი მარჯვენა, თუ უნამუსო გოგრების შესამკობად ირჯება!

— აგრეა და...

— არა გცოდნია, კნიაზო! თარაქამების დაძახილზე მოიხედე არ იხედება!

წამით დუმილი ჩამოვარდა.

— მოიხედე! არა სჯობია, ეგ ქუდი თავის ადგილს დააბინავო, მე კა... შენი გაბზარული თავის ამბავი მიაძხო? აქ არ გახლდი, კრივის ვერ დავესწარი! კრივის ხსენებაზე ხელოსანი ისე აენტო, თითქო ზემოთრებისათვის სამაგიეროს საზღვევად ეძახიანო. უნებურად თავზე ხელი შემოიღო, პრილობა დიდი ხანია მოშუშებოდა, მაგრამ... როცა იმ მარცხს გაახსენებდნენ, სირცხვილისაგან ის პრილობაც ხელახლა ასტკივდებოდა ხოლმე.

— დამარცხდით ჯა და... — ნაღვლიანად შენიშნა „მოიხედემ“, მაგრამ მოგონებები ისე ცხადად აეშალა თვალწინ, რომ უნებლოდ გაიტაცა იგი, (— იცოცხლე დავერიენით... თავშიშველნი მკერდ მოღვლილნი, ჩონის კალთებ აკეცილნი, წინდების ამარა... კიდევ ვიფრინეთ ჩულურეთლები, მგვრამ დავგასწრეს და... დამარცხებულებმა ქვისა და აგურის სეტყვით ახლა ჩვენ გვიფრინეს რიგიანად... ცოტას გასწყდა, არ გადაგვთელეს... მალე არც ჩვენმა ქვამ და აგურმა დააყარა ხეირი იმ უჯილაგოდ... გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩებოდა, რომ ის ღორისშვილები, კუკიელი მეღორე მწყემსები არ წამოშველებოდნენ ჩულურეთლებს... იმათ მოგვიღეს ბოლო... — „მოიხედემ“ ერთხელ კიდევ შემოიღო თავზე ხელი. — არა უშავს, გაისად ამოვიგენო... გაისად გაყურებიანებ, ტატოჯან, მაგათ სეირს!..

— დაეხსენ... წელს გაგიტყხეს, გაისად სულ არ დაგატოვებინონ, მოიხედე-ჯან ეგ თავი!

— არხეინად იყავ, კნიაზო!.. არა, თუ მეც მაგ ჭილოფის ქუდის დახურვა მომელის, მიჩვენებინ ეს ტიალი გოგრა კრივში დაეტოვო... —

— რას შემოაუჩინდი ამ ქუდსა!..., — დიმილით გაეკამათა ტატო.

— ტატო-ჯან, მამ მამაპაპურს ქუდზედ უარს მეუბნები!.. მაინც,

არისაგან არის, რომა... მე და ჩემმა ღმერთმა, ახლანდელი კაბუტყებისა კერაფერი გამიგია!... რუქ... ხელმწიფეს ემდურთან, ავინებენ, მტუტმულებასაც უწყობენ და... თანაც მის სამსახურს, მის ერთგულებას თავდაუზოგავად სწირავენ თავიანთ ყმაწვილკაცობას, ნამუსს, ჯანსა და ქონებას!... ქუდიც ვერ გაგიმეტებიან... ვამ, გაგონილა?!

ტატო თავდახრილი, ყურადღებით უსმენდა გაკვირვებულ ჭონს.

— ჩვენი უბედურებაც იქნებ... ეგ არის!, — ნაღვლიანად, უფრო თავისთვის, ვიდრე ხელოსნის გასაგონად ჩაილაპარაკა ტატომ. — მოიხედე-ჯან, საკემეს რათა სცდები?... სხვა დროს განახე...

ტატომ აჩქარებით ჩამოართვა ხელი გულშემატკივარ ხელოსანს და გზა განაგრძო. „მოიხედე“ საბტად დარჩა, ვეღარც ხმა ამოიღო, ვეღარც ხელში შერჩენილ ქუდისათვის მოეხერხებია რამე...

ხელოსნის სიტყვები ტატოს გულის ღრმა იარებს შეეხსენ; აჩრდილებივით წამოიშალნენ პოეტის გულში უდროოდ დამარბული სურვილები და ოცნებანი; მაგრამ... ამაო იყო ახლა ყველაფერი. რაც დამარბულა, გაიციხლება აღარ უწერია.

წელან ვიტრინაში დანახულმა საყურემ კელავ მოაგონა სამეგრელოს დედოფალ კატერინე, ოდესღაც ესოდენ ახლობელი კატინკა... ის საღამოც, როცა კატინკას საყურის თამაშმა მონიბლა და გაახელა. თუმც ფუჭი იყო წარსულის მოგონება, მაგრამ გულის ამო ლელვას მაინც არ ეურჩებოდა გაშბილებული მგოსანი. „მამ ასე, ტატო!.. შენთვის ყოველივე ამო ყოფილა... ჩვენი ცხოვრების მიზანიც გამოუცნობი გვჩნება, ადამიანის სურვილები კი უსაზღვროა, ხოლო ყოველივე ამჟვეყნიური წარმავალია! ყოველივე ამან აავსო ჩემი სული საშინელის სიცარიელით“.

ზოულოდნელად, სწორედ ტატოს ცხვირწინ, ღვინის სარდაფიდან ტორტმანით ამოვიდა: ორი, თავვისფერ სერთუციანი მოხელე. ერთი მათგანი — გარსევან ვარლამოვი ტატომ უმალვე იცნო. მეორე კი, უცხო, უთუოდ ახალი ჩამოსული იყო. თავვისფერ სერთუციანებს ყურადღება არ მოუქცევიათ ტატოსთვის; ნელი ნაბიჯით და ტორტმანით განაგრძეს გზა დიღმის კარისაკენ.

ტატომ ნაბიჯს უკლო და ყური მიუგდო მათს ლაპარაკს.

უცხო გოცებული იყო:

— რა იაფი და საამური ყოფილა აქაური ღვინო!

თანამგზავრის შენიშვნაზე ვარლამოვმა გოცებით შეათამაშა ხელი ჰაერში.

— მაგრამ.. რა ძვირია, ივან პეტროვიჩ, ევროპული საქონელი!..

თანამგზავრი ყურს არ უგდებდა ვარლამოვს, რასაც თვითონ ამბობდა, ზარტო ის მიანხნდა, როგორც თქმის, ისე მოსმენის ღირსად. ვარლამოვიც მიუხედა და უმალ მის ნებას დაჰყვა.

— როგორის გულმოდგინებით თამაშობენ პრეფერანსს!

— რა ბალები იმართება, ივან პეტროვიჩ!

— ზარიტონიჩ! დაგაეიწყდათ?!

— მაპატიეთ. რასაკვირველია — ივან ხარიტონიჩ!.. თქვენ კიდევ კარგად არ იცნობთ თბილისს... ერთი კვირა ზეტად მცირე დროა. ჩვენი ქალაქის ვასაცნობად... აი, იმ მთას ხედავთ? მის კალთაზე რომ მამადავითის მონასტერია... — ვარლამოვმა ხელი გაიშვირა მთისაკენ.

— ეგ ვიცო... ალექსანდრ სერგეიხს მოხდენილად უწოდებია მანდაურობისათვის თბილისის პოეტური საკუთრება!

— თვითონ კი დაისაკუთრა, არა?... ორივემ ჩაიციხა.

— როდის მამევენებთ გარსევან... მაგ პოეტურ საკუთრებებს?.. ეგ ექვს ქალებიც დადიან?... *გიგლომთქვა*

— ქალებიც დადიანო?!... ვერც ერთი ბალი წმინდა დავითის ხსოვნის მოსაგონარ დღესასწაულს ვერ შეედრება, ივან ხარიტონიჩ! თუ კოპწია ქალაქელი კნეიების ნახვა გინდა, იმ დღეს უნდა დაუცადო!..

— როდის იმართება ეგ დღესასწაული?

— აღდგომის შემდეგ მეშვიდე კვირის ოთხშაბათ დღეს...

— ორ კვირას ქალების უნახავად ივან ხარიტონიჩ ვერ გასძლებს!..

— თუ ნახვა გსურს, კიდევ უნდა გასძლო!.. ივან ხარიტონიჩ, ყური მიგდეთ... იმ დღეს მზე გადაიხრება თუ არა, ზონასტრისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკზე აჩრდილებივით იწყებენ ქროლვას გამჟვირვალე, თეთრ საბურველში გახეული ქალები... ზოგი ფეხშიშველია...!

— ფეხშიშველი?!... ჰა, ჰა... მოდაა?...

— ღმერთს მოდა არ უყვარს, ივან ხარიტონიჩ, ეგ უფრო მოწიწებაა!.. პატარა, ლამაზი, თეთრი ფეხებით ოდნავ ეხებიან ბილიკის ქვიშას და ტანის კრაციულ რხევით სდგამენ მოკლე ნაბიჯებს... ზოგს ძვირფასი, ფერადი ძაფებით მოქარგული და ვერცხლის ნალებით ძირ მოჭედილი ქოშები აცვია... შეხედებით მოხუცებსაც...

— ეგ არ მაინტერესებს.

— ზონასტერში გალობენ და ლოკულობენ. მონასტრის წინ, მოედანზე უთვალავი ხალხი ირევა... თეთრი-საბურველიანი ყმაწვილი ქალები ანგელოსებივით გუნდ-გუნდად დგანან აქიქ. მოხუცი ქალები კი შავ საბურველში თითქო იმისათვის გახეულან, რომ უკეთ უთვალთვალონ ყმაწვილებს, თავიანთი ეჭვიანი წყურვა თვალებისა კი შეუმჩნეველი დარჩეს...

— ეგ არ მაინტერესებს...

— ჩაცმულობას აღარ იყითხავ? გეგონება ფარშავანგის ფრთები გაუშლიათო მონასტრის მოედანზე... შუახნის ქალებს ქართულ ტანსაცმელზე უცხოური მოსასხამი წამოუხურავთ და მიიჭრა ქველუცობენ. ახალი, გარუსებული თაობა ზომ თანამედროვე მოდელების წამდევილი გამოფენას!... აღარ იცი, რას შიამციო ყურადღება, თვალეზი გიჭრელდება.

— დარდი ნუ გაქვს, ჩემი თვალეზი მიჩვეულია...

— ოლონდაც, — მყის ჩაუროთ ვარლამოვმა.

— სულ ეგ არის? — გულგრილად იყითხა ივან ხარიტონიძე.

— თუ არ ზოიწყენთ...

— განაგრძეთ, ვარლამოვ...

— შორიახლო აბრახუნებენ დოღს, ბზუის ზურნა, ცეკვავენ ლეკურს, ბაღდადურს და ცხარე ტაშით, გამამხნევებელ შეძახილებით ცეკვის მოყვარული ბრბო მიდამოს აყრუებს. ვისაც ღონე ერჩის, საჭიდაოდ იწვევს მოქიშებს. იყრება წრე. საიდანაც, სულზე მოსწრებელი მედოლე, მეზურნეებითურთ საჭიდაოს უკრავს. ყოველ მარჯვე სარმაზე, მოჭიდავეთა ყოველ საეჭვო წაბორძიკებაზე, იმართება ყიყინა, მაგრამ... ეს სეირი დიდხანს არ გრძელდება. წესრიგოსათვის მოწოდებულ პოლიციელთა გამოჩენაზე უწყსოების მოყვარულნი აქეთ-იქით იფანტებიან... ამ ალიაქოთში დინჯად დააბოტებს მესტვირე ბლიაძე... ის ხან სკაბილოს ეძებს და... მოჭრავს თუ არა თვალს უცნაურ, სასაცილო გარეგნობის მოჭალაქეს, ან ვისი ჯავრიც გულს ჩარჩენია, სახელდახელოდ გამოუთქვამს ლექსს... შეჯგუფულ ხალხის თავადებულ ხარხარში პოულობს მესტვირე ჯიღლოსაც და ნიამოვნებასაც... ხანაც სტვირის აკომპანიმენტზე წყნარად ღიღინებს არსე-
3. „ნათობი“ № 5.

ნას ლექსს... აქაც გმირობის მოყვარულნი მრავლად იკრიბებიან და უკანასკნელ სტრიქონამდე უსმენენ განთქმულ მესტვირის ტკბილი ჰანგით გამოთბარ შაირს. ამასობაში ღამდეზა კიდევ... ლოცვით, სიმღერით, სოცალით, გულმოგებრებული ხალხი იმავე ბილიყით ბრუნდება ქალაქში. მთის ახლომახლო მცხოვრებნი ამ დღეს თავის დღესასწაულად სთვლიან... შინისაკენ მიმავალთ გზაზე უხვდებიან, ნაცნობები თავიანთ სახლში მიჰყავთ და... დიღამდე ქეიფობენ... შარშან ზეც გახლდი... ასე თავდება დღესასწაული... სოფლოდან ჩამოსულნი ურმებით ისევ უკან ბრუნდებიან, დანარჩენები — ზოგი ფეხით, ზოგი სახედრით, ცხენით თუ მსუბუქ ეტლით, ბნელში გაყუჩებულ ქალაქის ვიწრო ქუჩებით და მოედნებით შინისაკენ მიეშურებიან...

— ეგ მართლაც დღესასწაულსა ჰგავს, მაგრამ... კეკლუც ბანოვანთა შესახებ, შენ მაინც ცოტა რამა სთქვი... ზად არის ის თქვენი ქალღმერთი, ღამაზების მარშალი... მანანა ორბელიანი!...

— ჯერ მანანა არ გინახავს? — ვარლამოვმა გაოცებით გადახედა ივან ხარიტონიძეს, — მანანას ხილვაზე, ივან ხარიტონიძე, სწორედ... დაიჩოქებ!...

მანანაზე ლაპარაკით გართული თავისფერსერთუკიანები დიღმის კარით ერეგნის მოედანზე გავიდნენ. ტატოც აქამდე ძალაუნებურად, შორიახლო მისდევდა მათ, უსმენდა და გუნებაში ეცინებოდა ვარლამოვზე, უცხო მოხელის ივან ხარიტონიძის გულის მოსაგებად ენას რომ ასეთ ჯაფას აყენებდა.

....

— აქ რა ხმაურია?! — გოცებით იკითხა ივან ხარიტონიჩმა, როცა მათ ერევნის მოედანზე პატარა, ქუჩუკიან დუქანს ჩაუარეს.

— ეგ ყავახანაა, ივან ხარიტონიჩ!...

— არ ვინახულოთ?

— ღმერთმა დაგვიფაროს...

— რაო?...

— ღმერთმა დაგვიფაროს, მეტქი!... რაც ქალაქში უთვისტომო და ოხერია, სულ მანდ იყრის თავს!... როსკიპებსა და მკვლელებსაც შეხედებით! ჩვეულებრივ კი ეგ ბინძური ადგილი სამსახურიდან დათხოვნილ გადამწერთა, გადამდგარ იუნკერთა, ფუნთუშების დამტარებელთა, უახნოების მსახურთა, ცუდლუტ მოსწავლეთა და ყომაზის აზარტულ ზოთამაშეთა თავშესაფარია!

ივან ხარიტონიჩი ყავახანაზე უფრო მეტად გააოცა სემინარიის გასწვრივ დაჭობებული მოედნის ხილვამ... ჭაობის ნაპირას წაწოლილი ვეება ღორი თავის უსახლვრო კმაყოფილებას ნებიერი ღრუტუნით გამოჰხატავდა.

— ეგ ჩვენი ქალაქის წარუხოცელი ლაქა...

— ღორი, თუ ჭაობი?!

— ღორზედ არ მოგახსენებთ... ღორი ჩვენი ქალაქის სრულუფლებიანი მოქალაქეა!...

ორივე თავისფერ სერთუკიანმა ხმა-შეწყობით გადახარხა...

— ზე ჭაობზე მოგახსენებდით... არ იქნა მაგის ამოშრობა... წლიდან-წლამდე ასე, თითქო ღორების სანებიეროდ გაუშვიათო. მამაჩემმა ერთი სასაცილო შემთხვევაც მიამბო ამ ჭაობის გამო. 1837 წელს, ხელმწიფე — იმპერატორი ნიკოლოზ I ტფილისს რომ ესტუმრა, თავადახანურობას მისი უდიდებულესობის პატივსაცემ-დ ბალი გაუმართავს... იმ დღეს რაღაც ეშმაკად წვიმა მოსულა და მთელი ერევნის მოედანიც, რასაკვირველია, კარვად აუტალახებია... ეს ჭაობი ხომ ერთი-

ორად გაზრდილა... ბალზედ მიმავალთ, ვისაც ეტლი უშოგნისა, უშრა-ლად მიუღწევია სემინარიის სადარბაზო მისასვლელამდე, ვისაც არა, ფეხით გაუტოპია ეს ამოდენა ტლაპო და... წარმოიდგინე რა რიგ დამშვენებული გამოცხადებოდა ბალზე.

ვარლამოვს არც ის გამოჩნა, აქ ერევნის მოედანზე კვირაობით ბაზრობაც რომ იმართება... სახელდახელოდ ფარდულებს სდგამენ და... ჰყიდიან ძველ ტანსაცმელს, ძველ ავეჯს, ჭურჭელს — ვერცხლისა, ფაიფურისა და სპილენძისას. ჰყიდიან ხილსა და ბოსტნეულს... ბაზრის შორიახლო, მაღალ ბოძებზე გაკიმულ თოკზე სპარსული მუშაითები თამაშობენ, ქვეზოდ კი მათს ქცევას იმეორებენ სასაცილოდ მოკაზმული ტაკიმასხარები. ვილაც აბელი, ხელობით დურგალი, ოთხი არშინის სიმალლე ორჩოფეხებით დადის და მთელი ბაზარი პირდაღებული შესცქერის ამ სანახაობას.

როცა ვარლამოვი და ივან ხარიტონიჩი სემინარიის წინ ჭაობის მხერით სტკებოდნენ, ტატო უკვე ზეფისნაცვლის სასახლის წინ მიაბიჯებდა და გუნებაში ღმერთს მადლობას სწირავდა თავისფერსერთუკიანებთან შეხვედრას რომ გადაურჩა.

— მე ვიკითხო, თორემ იმ თარაქამებს რა უჭირთ... ჩემი ყმაწვილკაცობა ასე უგზოუკვლო ხეტიალში და ბედის ძიებაში უნდა გაეატარო... ვიპოვნი რასმე სახეიროს თუ არა, ისიც ღმერთმა უწყის... რა მომცა „სულა ირასპარავისა“ და ახალ პალატაში ცხრაწელიწადს სამსახურმა... რა მინდოდა ნახჭევანს... რას ვპოვებ თელავს?!“

ტატომ ჯიბიდან ამოიღო დაკეცილი ქალაღი, ბრაზით ჩასჭიდა თითები, დაქუწა და ქუჩის მტვერში მიმოაბნია. დილით დაწერილ, ძია გრიგოლთან გასაგზავნ ბარათზე იყარა ჯაჭრი. სწორედ ახლა, თელავს გამგზავრების წინა დღით, ერთხელ კიდევ დარწმუნდა,



რომ ზოგჯერ თურმე ახლობელ, საყვარელ ნათესავის იმედიც არ უნდა იქონიო. განა მარტო გრიგოლს ეხებოდა მისი იდუმალი საყვედური... სხვებმაც, რამდენმა წარუყვეთეს სასოება.

ამ ცხოვრების უკუღმართობას ვერ უჩივდებოდა... ეტლში უღარდელად განრთხმულ, მლიქვნელობით განდიდებულ, დამცინავად ზოლიმარ მოხელეთა დანახვაზე გული უკვდებოდა და მრავალჯობის გაფიქრებულს, კვლავაც თავისთვის გუნებაში იმეორებდა — „სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!...“

— ერთგულემა, თავდადება!.. რა ფუჰ მცნებებად ქცეულანი! განა მე ცხრა წელიწადს გულმოდგინედ არ ვიმსახურე იმ დაწყველილ „სულა ი რასპრავასა“ და პალატაში?... რა მიბოძეს მაგიდის უფროსობა?... ჰირსაც წაუღია მაგ თარაქაშების მაგიდაც და ცალიერი გოგრააც!.. რაც ვნაზე და ვიგემე, რასაც ვხედავ, თუ ყველაფერი ცხადია და მართალი, მაშინ ეს ქვეყანა ცრუთა, ორბირთა და მლიქვნელთა თავისუფლად სათარეშო ასპარეზი ყოფილა...

გულჩათხრობილ ტატოს უეცრად ჩაესმა ნაცნობის ხმით წარმოთქმული:

ამავსებ ღვინით,
ავავსებ ღვინით...

იამა ეს სიტყვები... არ მიუხედნია, მაგრამ მიხვდა, რომ უახლოვდებოდნენ... ერთი წამის შემდეგ კვლავ მოესმა:

— ტატო!

არც ახლა მიიხედა.

— წიკალაი მელიტონიჩ!

ტატომ გაიღიმა და ნაბიჯს მოუჩქარა...

— ბარათოვ!

თითქმის ყურთან ჩაესმა და ვერც კი მოასწრო მობრუნება, რომ ნაცნობ, დარდიმანდ ქაბუქების უეცრად მო-

ვარდნილმა ტალღამ თან გაიტაცა ტატო.

....

ბარათაშვილი ქეიფის გუნებაზედ არ იყრ. მოლხენის ქინით შეპყრობილ აზხანაგებს ვერაფერი შეასმინა, ხელი ჩაიქნია. სანამ ძალით ჩაითრევენ, ნებით ჩაყოლა ამჯობინა. გაიფიქრა: „ხვალ ამ დროს აქაურობას უნდა გამოვეთხოვო. ვინ უწყის, კვლავ როდის ეიხილავ თბილისს... ან ვიხილავ ვია, როდისმე?... თავისი ადრინდელი ნათქვამიც მოაგონდა: „ამყვეით სოფელს შეურჩენელს და მომღერალსა...“ სოლოლაკის ბაღებიც ახლოს იყო. სათარა და ორი თეთრჩოხიანი ქაბუქი დარდიმანდების ჯგუფს სწორედ ბაღის შესასვლელთან წამოეწია ეტლით. სათარა და ტატო მეგობრულის მოწიწებით ზიესალმნენ ერთმანეთს. გზა ერთად განაგრძეს ბაასით, უცებ თითქო ხმას იწმენდსო, სათარამ ისე გულიანად წაიმღერა, რომ ყველას სმენა მიიბურო, მოლხენის ეინი გულჩათხრობილ მკოსანსაც კი გაუღვიძა.

— სათარ-ჯანი!

— აბა სათარ, შენებურად...

მოსიმა აქეთ-იქიდან.

— სათარ-ალავ! — შემოსუყვივლა ყველაზე მაღალმა, დარდიმანდმა და თითებ დაკოცნილი ხელი აუქნია, სათარამაც უშალ უთაეაზა დაკოცნილი, აღმასის და ლალის თვლებიანი ბეჭდებით შემეკული თითები.

ბაღის სიგრილვე, ფოთლების იდუმალი შრიალი მოლხენისა და ღვინის წყურვილს უფრო მეტად აღვიჭებდა. ტან-ვეება, ასწლოვან კაკლისა და თუთის ხეთა უხვად შეფოთილი ტოტები ერთმანეთში ჩახლართულიყვენენ; ბალი ერთ უზარმაზარ თალებიან დარბაზს ჰგავდა, ბაო ჩრდილებით ზოხატულ ბალახის ნოხებით მოფენილს. ახლა ამ ნოხებზე წერწერ ტანის მდიდური ზხვეით და მხარზედ ფეცილ მტრედისფერ, ლომისფერ, ვარდის-

ფერ სარჩულიან ყურთმაჯეობის ფრიალით მიაბიჯებდნენ დარდიმანდი არიფები.

ზაქიქამიასეულ ბაღის შუაგულში, ქერქდამსკდარი ვეება კაკლის ხის ძირას ინებეს არიფებმა სუფრის გაშლა. ტატონაც მოიწონა ეს მყუდრო ალაგი, უხვად დაჩრდილული, ოციოდე ნაბიჯზე ორის მხრივ ბროწეულის, უნაბის და თუთის ნორჩი ხეებით შემოფარგლული. ერთი თვის შემდეგ, ქალაქურ სიცხისაგან შეწუხებული მოსახლეობა კრწანისის, ორთაქალის თუ გარეთუბნის ბაღებისაკენ რომ იზამს პირს, ამწვანებულ და ბაო ჩრდილებით ასე მოხატულს ალაგს ძნელად-ღა მონახავს კაცი.

ტანვეება კაკლის ხის ძირას, ამწვანეზე გაშალეს ნოხი, ზედ დაფინეს თოვლივით ქათქათა, ფოჩიანი სუფრა. სუფრაზე მარჯვედ მიღობანებს ახლად-დაკრუფილი ვარდები, ჩამოაჩრავს თითო მტკაველა შავი ყანწები. სუფრას მოუხდა ქორთა წიწმატი, ოხრაბუში, ტარხუნა, მწვანე ხახვი, თოთო ბოლოკი. მადას აღვიძებდა აღზე მომწვარი ბუშტულებიანი ლავაში. სუფრის შუაგულში, მწკრივად, ერთმანეთზე მიწყობილ მოძერო ლავაშებზე დააწყვეს დათლილი ყველი, ზურგილი, ჩრამული. ბლომად იყო ქალაქელების საყვარელი ხიზალაღაც. როცა სუფრა მამაპაპურად გაივსო, თავდაჭერილი არიფები მუხლმოკეცით შემოუსხდნენ გარშემო, მალაღმა, თეთრჩოხიანმა, ჩამოვარდნილი ყურთმაჯა კვლავ მხარზე შეისროლა და მალლა აქნეულ ხელით მებაღესაც ანიშნა რაღაც... თავის მხრივ, მებაღის ხელის, როგორც მაგიური ჯოხის, აქნევის უმალ, სუფრას შემოესია ათიოდე კოკამოკიდებული ბიჭი. ვიღრე ყანწებს ცივი კახურით ასავსებდად ბიჭებისაკენ გაიწვდიდნენ, სუფრაზე მსხდომთ ბჭობა შეექმნათ... ვინც პირველად დაიძახა ტოლუმბაში ავირჩიოთო, სწორედ მას დაულოცეს

ტოლუმბაშობა. ხუთმეტროდე შავმა ყანწმა მერცხალივით შეინავარდა ქაერში; მარტო ერთს დაუვარდა, სხებმა მარჯვედ დაიჭირეს და უმალ გაუწოდეს ყანწები კოკამომარჯვებულ ბიჭებს. გამზიარულდა სუფრა, ხმადაბლა იცინოდნენ და მახვილსიტყვაობდნენ არიფები. კოკების ყელიდან ღვიწხოსთან ერთად ისეთი რაკრაკი მოედინებოდა, თითქო ისინიც ბაძავდნენ სიცილში მსმელებს. ბიჭები მარჯვედ, მაგრამ წვრილად ასხამდნენ ყანწებში ღვინოს და თან სულ მალლა-მალლა სწევდნენ კოკებს, რათა შხის სხივებზე ქარვისფრად მოკაქკამე ღვინის ჩქერს უფრო აღეძრა არიფთათვის სძის ეინი. შესასმელად მომარჯვებულ საესე ყანწებით ყველანი წამოდგნენ, ტოლუმბაში რიგრიგობით გადაკოცნეს. პირველი ყანწით მისი სადღვგრძელო შესვეს და კვლავ დასხდნენ. წამით დუმილი ჩამოვარდა. ტოლუმბაშის ამხანაგად დასახელებულმა ქაბუტმა ამ წუთიერი გაყუჩებით ისარგებლა, სუფრას ლალად გამხედა, წამოიშარათა. ყველანი მას მიიჩერდნენ. კვლავ დუმილი გამეფდა. ტოლუმბაშის ამხანაგმა ერთი დარდიმანდულად წამოუქნია ხელი სუფრაზე მსხდომთ და ომანიანად შემოსძანა — ტოლუმბაში ბრძანებს, რომა, გულისპირი შაიხსნათ და მყერდი მაილელთ!

უმალ შესრულდა ტოლუმბაშის ნება და ქეიფსაც შეუდგნენ მამაპაპურის შნოთი და გატაცებით. ტოლუმბაშის მოკლე, ნოსწრებულ და მახვილზეებით დამწვენებულ სიტყვებს ცივი-ცივი კახურით ნათლავდნენ... „ალლავერდისა“ და „იხშიოლ“-ის შეძახილებში აღმადგრენაც მატულობდა. ბაღში, სხვაგანაც, რამდენსამე აღვილს ქეიფობდნენ — წარჩინებულნიც, მდაბიონიც და, ყოველის მწრიდან უფრო ხშირ-ხშირად მოისმოდა ეს „ალლავერდი და იახშიოლ“, ისარზე უსწრაფეს და უმკრდავეს მახვილ სიტყვაზე ატეხილი

სიცილ-ხარხარი, დოღის, ზურნისა და საზანდრის ხმები... მეზობლად მოქეიფე ხელოსანთა ჯგუფში ვილაცამ ქათამივით წაიმღერა-წაიკაკანა:

ზღვაში ვემი არა რჩება,
სული გეაში არა რჩება...
ე სიკვდილსა ვინა სჩვიის,
საყვარელი სხვასა რჩება!

ტატო თავდაბრალი უსმენდა და ილიმებოდა. თითქო ტატოს ღიმილმა წააქეზაო, ტოლუმბაში უცებ ხელი აიჭნია და ბოხის ხმით გადასძახა მეზობლებს:

— ეე! ეგრე ჩხავილი არ იქნება... ბულბულეები დაფრთხებიან!, — და სათარას თვალი უყო. მედიდურად წელში გაბართულმა სათარა-ალამ, თითქო ტოლუმბაშის დასტურს ელოდაო, წვერა-ულვაშზე ხელი ჩამოისვა, გიშერივით თვალეები ჯერ ბრიალით მოაველო კაკლისა და თუთის ტოტების თაღს, მერე თანდათან მიანაბა და... უცებ, ლალი, ნარნარი ხმა ერკოლის მომგვრელად დაირბა ბაღში. ყველამ სული განაბა, სმენად იქცა მიღამო... სათარა-ალას ხმა ჰფარავდა თუ თავად მიუყრდნენ, აღარც ჩიტების ყივილი ისმოდა.

ჯერ ღვინომ, მერე სათარას სიმღერამ, დოღმა და ზურნამ უფრო გაახელა მოქეიფენი; ორმა-სამმა მებალის ბიჭებს, მიზარებული დამბაჩები მოატანინა და ყოველ სადღეგრძელოს შემდეგ დამბაჩის სროლით ტოლუმბაშის თილისმურ მახვილსიტყვაობას დასტურს აძლევდა.

როცა ცივმა კახურმა მოქეიფეთ ტვინი გაუხურა, მტკაველა ყანწს ხელი დაუქნიეს... კულაზე და ახარფეშაზე მიდგა ჯერი.

სმა რომ დაიწყო, სუფრაზე საკვებლამაც იმატა. მრგვალად მოხარშულ ქათამს ჩიხირთმა ეცილებოდა, ჩიხირთმას ბოზბაში... ცხვრის დუმით გაკეთებული ფლაჟიც არავის დაუწუნია. ისი-

ნი, რომელთაც ღვინის სმაში თავის გამოჩენა განეზრახათ, სხვაზე უცოტას სკამდნენ. კრდევ ერთხელ ტოლუმბაშის შეკვეთით, მეორედ ტატოს თხოვნით სათარამ უფრო მეტის ხალისით იმღერა. უკანასკნელმა ნაღვლიანმა სიმღერამ დააფიქრა ტატო, ღვინო საკმაოდ შესვა, მაგრამ სიფხიზლე მაინც არ დაუჯარგავს. ტატოს გვერდით მუხლმოკეცილი ლუჯა ისარლიშვილიც ყოჩაღად გამოიყურებოდა, დროდადრო სკოლის მეგობარს რომელიმე თანამესუფერეზე ხუმრობით რამეს ეტყოდა და თვითონვე იცინოდა, რაკი მეგობარი არ თანაუგრძნობდა.

— ტატოე! ეგრე მოწყენილი მაინც რათა ხარ?... სხვა დროს გასვენებაშიაც ოხუნჯობდი, აქ კი... ლხინია!..

— როგორც შენა სთქვი, ლუჯაე, ის სწორედ სხვა დრო იყო და მეც...— ტატომ შუბლს ქვემოდან აპხედა მეგობარს, — თავი დამანებეთ ზეთქი, გეაჯეთ და... არ შეისმინეთ. ვიცოდი, ახლა ლხინშიაც ვერ მოვილხენდი!

— დაღრეჯილობა მაინც არ უნდა გმართებდეს... სამსახური გიშოვნია... თელავს გაუმწესებიათ!

— ძლივს!— წარმოსთქვა ტატომ მძიმედ.

— ნუ ვეშინიან! ყველანი ასე ძლივს—ძლივობით ვაკოწიწებთ ჩვენს გაჭირვებულ ცხოვრებას!... მართალია, არც თუ ისე შეგაფერება. მაგრამ...

— შესაფერს ჩვენთვის ვინ გაიმეტებს!..

— ეს რა ბედის ეჩინაობაა?! უღირსსაც და ღირსეულსაც შეუფერებელს რომ სთავაზობს!... უღირსს ყელთამდე აავსებს სიკეთით, ღირსეულს კი იმ სიკეთის ნამციცებლაც ძლივს დაუყრის...

— შენც რა გაგვირვებია... ღირს ღირის წილს აძლევს გამჩენი, ქორს ქორის წილსა... — ირონიით შენიშნა ტატომ.

საზანდარის ხმასა და სათარას ნელ დღინში ასე ჩუმი და მყუდრო ბაასი სასიამოვნოც იყო.

— ტატო-ვ! იცი რა უნდა მეთქვა? შენს ლექსს რომ ვკითხულობ ზოლმე, რაღაც ისე დიდადა მყავხარ წარმოდგენილი და... შემოგნატრის!... როცა ასე გხედავ, პატარაც მეჩვენები, და მებრალეები კიდევცა!.. არ გაიციინო... მგონი, დავითვერ...

— არ ვეტყობა...

— ტატო, წარმატებისა რა ისმის? მახსოვს, ელოდი!

— არამზადების ხელში წარმატებას ნუ ელი, ვიდრე შენც არამზადა არ გახდები!... დაპირებისა ნუ გჯერა, თუ შენც არაფერს ჰპირდები... კაცად არ ჩავთვლიან, ვიდრე თავიანთ ღორულ მისწრაფებათა განსახორციელებლად არ დასჭირდები!

— ეკ, — ამოიოხრა ლუკამ, — ეს ჩვენი ცხოვრების დღეები ქუქყის ლაქებივით აჩნდება სულსა!... ტატო! ჯანი გავარდნია, მოდი ჩვენც მივბადოთ ღორებსა და არამზადებსა!

— სანამდე შევძელ ჩაყვები ტლაპოსა... მეტად გული აღარ მიმიდის... კაცური ღირსება ნებას არ მაძლევს... თავი შენანება! მეშინიან ამ კოჭლის ფეხით ისე არ შეგტოპო, რომ მერე...—მწარე ღიმილით შენიშნა, აღარ დააბოლოვა სათქმელი ტატომ.

— ნაკვირველი რამ ცხოველი ყოფილა (განდილებული) არამზადა!.. აგერ, რა უყო იმ ნეიდპარტმა მამაშენსა... კაცი მარშხლი იყო და... მართლა, ტატო, ამ გახსენებაზედ, როგორ ბრძანდება შელიტონ ნიკოლაიჩი? რაც დამზლა დასცემია, აღარ მინახავს.. ვერიდები... კვლავ ანჩხლობს?...

— ის აღარ არის, რაც იყო! შავრამ... ესეც საკითხავია... ვანა ჩვენ ისა ვართ, რანიც ვიყავით, ან როგორნიც უნდა ვყოფილიყავით?!

ტატოს საჭირბოროტო კითხვამ შე-

გობრები ერთის წამით მძიხედ ჩააფიქრა.

— აფსუს, ჩვენო გმეტუმჩქისცმაწეილკაცობაჲ — მწუხარებით შენიშნა დუმილის შემდეგ ისარლიშვილმა.

უცებ, თითქოს დაიჭუხლო, ისე მოესმა გულჩათხრობილ ტატოს ტოლუმბაშის აზხანავის ბოხი ხმა:

— ეი, ტატო, ალავერდი შენთან!

ტატო მყის გამოერყვა, აზარფეშა ასწია და ეს, სევდის უკუმყრელი წამალი, თუმც ახლა მასზე არ მოქმედებდა, ერთხელ კიდევ, უკანასკნელად სულმოუთქმელად დალია. ტატოს პირდაპირ მჯდომმა, ორმა ჰაბუკმა ზედიზედ გაისროლა დამბახა. ტოლუმბაშის ამხანაგმა აბუჯილ ცერით მესურნეებს თავისებურად ანიშნა და მათაც ტკილად, ნელის დუღუნით წამოიწყეს ლეკური, ცოტა მოგვიანებით მედლოვმაც დუნედ შემოჰკრა დოლის ნაპირს დაბეგვლი თითები. დოლის და ზურნის ხმაზე ერთი, დაბალ-დაბალი ჰაბუკი მკვირცხლად წამოიჭრა ზეზე, მკლავგაშლილმა სუფრას ფეხის ნელი სრიალით შემოუარა; თეთრი ქულაჯის ცისფერ სარჩულიანი ყურთმაჯეებო მოტეხილ ფრთებივით ეკიდა გაშლილ მკლავებზე. მოქეიფენი ტორტმანით წამოიშალნენ; ვინ რას იძახოდა, გაგება აღარ იყო. სუფრის ახლო ბოზი ჩრდილებით მოხატულ მდელიოზე წრე შეჰკრეს, ორი მარჯვე მოციკევავე შუაში შეიმწყვდიეს და გახელებულ ტაშით, შექახილებით, აქეზებდნენ...

ტატომ დრო იხელთა, ტვინგახურებულ ჰაბუკებს შეუშინველად გაუსხლტა. ოდესღაც პირველი მოლევერე, ახლა ჰირივით გაურბოდა ცეკვას. ლუკა ისარლიშვილსაც არ შეუშინეცია მისი გაპარვა.

...

ტატომ ამ ლხინის შემდეგ უფრო მწვავედ იგრძნო თავისი მარტობა... მთაწმინდისაკენ მიმავალს უნებლიედ გაახსენდა ის სიტყვებიც, შარშან ნახი-

ჩვენთან რომ მოსწერა ქაიხოსრო ორბელიანის ასულს — მპოკოს, და გაუყვირდა, რომ მას შემდეგ არაფერი არ შეცვლილა.

მზე უკვე დავითის მთას ეფარებოდა. გარეთუბანი და ყალბა ჩრდილში მოქცეულიყო. ისინი, კუკიისა და ჩულურეთის მიდამოებს კი ჯერ ისევ აფერადებდა ლომისფერი შუქი ჩაშავალ მზისა.

მთის ძირას, საიდანაც იწყებოდა მიხევულ-მოხვეული ვიწრო ბილიკი, სამი ურემი იდგა. ორი — ფარდავითიყო გადახურული. გადახურავ ურმის კოფონზე იჯდა წითელხალათიანი, პატარა ბიჭი და სახრეთი დრო და დრო ქრელ ხარს გადატყაულ ფერდზე მისეულ ბუზებს უგერიებდა. ტატოს, თითქო მთაწმინდის მიდაშოთა ხილვამ ძალა შემატაო, მარჯვედ შეუდგა ბილიკს. ოციოდე ნაბიჯზე, პირველ მოსახვევთან, პირისპირ, ბალახებში ორი მათხოვარი იჯდა. ისინი მოთქმის კილოზე ხან სომხურად, ხან თათრულად, ხანაც ქართულად რაღაც ლოცვისებურს შეუსვენებლად ბუტბუტებდნენ და თან ყველას დასანახავად წინ იშვერდნენ თავიანთ მახინჯ კიდურებს. ტატოს ბევრი უნუგეშო მთხოვარა ენახა ადრე, მაგრამ ძონძებში გახვეულ ამ ური მოძრავი სულიერის ხილვამ დღეს საკვირველად შეჰხარა. მან ისე გაიარა. თითქო მთხოვარები არც შეენიშნოს და მათი „განიკითხეთ მონა...“ და „გვემწე“ — ც არ სქენოდეს. გუნებაში კი სინანულით გაიფიქრა — „ყველაფრით უზრუნველყოფილთა, თუნდ პორფირისილთა ცხოვრება რა არის... ამ, ყოველივე კეთილს მოკლებულთა, სულით ხორცამდე განძარცვულთა ცხოვრება რაღა უნდა იყოს!!!“

თუმცა მსწრაფლ გაშორდა იქაურობას ქაბუკი, აღარც მთხოვარები მოსჩანდნენ, აღარც მათი „გვემწე“ ისმოდა, ფიქრი კი ამ ორ დაბეჩავებულ არსებაზე მაინც თან სდევდა ერთხანს..

რაც უფრო მიიწევდა მაღლა დამაფიქრელ, ვერან დაუფიქრებელი აღვილთა ხილვა ისევ ისე აჯადოვებდა მგოსნის არსებას... გული იღუმალის ჩურჩულით მიმართავდა | გულდახუტრულთა მეგობარს, ღრუბლიანს მთას:

ვინ მოგიბილოს, რომელ ზეისვე თვისთა ფიქრთ შევბა არა იპოვოს და არ დახსნას გულსა ვაება;

მაგრამ ვაების ნატამალი გულს მაინც რჩებოდა და იზრდებოდა, რაჟამს მგოსანი განშორდებოდა ამ წმინდა ადგილს. ჩურჩულსა და ფეხის წმანე ტატომ ბილიკის მარცხენა ნაპირისაკენ გადაინაცვლა, გზა დაუთმო ზონასტრისაკენ მიმავალ ყმაწვილ ქალებს. ისინი თავით-ფეხამდე გახვეულნი იყენენ თხელ კვამლივით გამჟვრვალე თეთრ საბურცელში. საბურველიდან ლანდად გამოკრთოდა აბრეშუმის კაბების ხალისიანი მტრედისფერი, კოკობ ვარდისფერი, შეინდისფერი, ოქროსფერი და ნორჩი ფოთლის ფერი. მოახლოვებულ ქარიშხლის ხმოვანებისებრ, აბრეშუმის კაბების შრიალ-შრიალით ატყროლეს მგოსანს ქალწულებმა. თავის ოდნავ გრაციულ მობრუნებით გადმოხედეს შავსერთუკიან მოხელეს. ერთ-ორს ტატომაც შეავლო თვალი და საბურველს მოფარებული მათი ზინაზებული სანე, მკერდზედ ჯვარედინად დაწყობილი, სპილოს ძვლისფერი მკლავები ახლა უცნაურად მიშვიდველი ეჩვენა... ეშმაკურად მინაბულ თვალთა მწველი, გამოშწვევი მზერაც არ გამოჰპარვია მგოსანს... საბურველი კეკლუც ქალწულებს სითამამეს ჰმატებდა, თანაც ზედმეტად ჰაეროვანი ელტვრით ჰმონავდა. შორიდან რომ გეშხირათ მათთვის, სადამოს ბინდბუნდში მაინც ისე, მოგეჩვენებოდათ თითქო მიწაზე ფეხის დაუკარებლად, ნელი, მთროთლვარე რხევით მიფარ-

ფაქტებდნენ გაკაფულ ბუჩქთა შორის, ბილიკის გასწვრივ...

ტაოს გულიც და თვალიც ახლა საგაგებოდ გაურბოდა ხაცნობებთან შეყრას, და იღბლად, მონასტრისაკენ გუნდგუნდად მიმავალ, ან იქიდან დაბრუნებულ ქალწულთა თუ ხაიერთა შორის ასეთი მართლაც არავინ სჩანდა.

ტატოს გულს ძველებურად აღარ ელხინებოდა, რომ მონასტრისაკენ მიმავალ ქალწულთა ეშმაკურ, გამოშფევე მზერისთვის ეპასუხნა, მათთან ელა-ცონცნა...

შავად მღელვარ ფიქრებს საკუთარ ბედზე, შინაურებზე, ოდნავ თუ უმსუბუქებდა თელავის გახსენება; ტატო უკან მიბრუნდა, ბილიკს თვალი ჩააყოლა, და რაკი ქვემოდან მომავალი არავინ სჩანდა, გრიბოდოვის აკლდამის ცოტა ქვემოდ, გზა გადასქრა, ხრამში თავქვე დაეშვა; ერთხანს ბუჩქებში მისი მხრები და თავი-და მოსჩანდა, მერე სულ ჩაიშალა. ამ ღრეში ზეტიალს ჩვეულმა ტატომ ახლა დიდის ვაი-ვაგლახით მიადწია მოპირდაპირე მალლობს. მეტის-მეტად უფრთხილდებოდა თავისს ერთადერთ, ჯერჯერობით მრთელად შენახულ სერთუქს. რა შთაბეჭდილებას მოახდენდა პალატის საგუბერნიო მლივანი, მაგიდის უფროსი, ხვალ საღამოს თელავის ზაზრის უფროსთან დახეულ სერთუკით რომ წარმდგარიყო...

მალლობიდან ტატომ ამაყად მოაქლო თვალი ნაცნობ ადგილებს. აქაურობის ხილვა მუდამ შვების მომგერელი იყო შგონისათვის.

აქედან კარგად ჩანდა მთაწმინდის უბეში. ციხის გალავანივით ამართულ მთის კალთის ფონზე მონასტრის თეთრი შენობა. მთის კალთა შიფერის მუქფენებს დაესერა. ფენებს შორის მწვანედ ჭათქათებდნენ ნორჩი ბალახის ზოლები. უხვად მოსდებოდა კალთას პუქპუქაც. აქაიქ თვალს მოკრავდიან ბროწეულის ბუჩქს. ბუჩქის ნორჩ —

ძწვანე ფოთლებში წითლად კიფობდა ხახევრად გაღვივებული კვირტები.

ამ ულაძახესი ბთის მწუნდროს უბეში პირველი საშლოცველოს საძირკველის ჩაყოას ძიაწერენ წმიდა დავითას, რომელმაც ცაძეტ სირიელ მაძასთან ერთად, მე-VI-ე საუკუნეში, ქრისტეს მოძღვრების გასაფრცვლებლად მოაძურა საქართველოა... ძას შეძღვგ ეს ადგილი ბევრჯერ გავერანდა და კვლავ აღორძინდა. XVI საუკუნიდან XVIII-ის მიწურულამდე აქაურობას მზრუნველი არა ჰყოლია. მხოლოდ 1809 წელს ამ გავერანებულ, წმიდა ადგილისათვის მოწყალეს თვალით მიუხედნია საქართველოს კათოლიკოსს ანტონ მე-II-ს. ძველად ნაგები, აწ დაქციული ეკლესია აღუდგენიათ და მისი მოვლა-პატრონობა დაუკისრებიათ ქაშუეთის ზღუდლის თომასათვის. ეს თომა ერთ დროს იყო მეფისწულის იულონის მოძღვარი. 1817 წელს თომას თხოვნით გენერალ ერმოლოვს, კავკასიის შაშინდელ მთავარმართებელს, ეკლესიისაკენ მიმავალი ვიწრო ბილიკის გასაფართოვებლად მიუჩენია ერთი ასეული. ეს ამბავი ტატოს „ბოლასლოვ“ პლატონისაგან ჰქონდა განაგონი... მონასტრის შენობის და მის ბიღამოთა ხილვაზე ტატოს იმავ „ბოლასლოვ“ პლატონისაგან ტბილად ნაამბობი სხვა შემთხვევებიც მოაგონდა:

ერეკლე მეფე, თავისი შვილის—სოლომონის გარდაცვალების გამო ფრიად დამწუხრებული, დროებით აქ, მთაწმინდის მონასტერში განმარტოვებულია. აქედან ზართავდა იგი ერთხანს ერსა და ქვეყანას. მეფეს თურმე ყოველდღე ნახულობდა კათოლიკოსი—პატრიარქი ანტონ I. ერეკლეს, რასაკვირველია, თანა ჰსლებია მთელი სახლობა... გიორგი მეცამეტეს ჩვეულედ ჰქონია წმიდა დავითის დღესასწაულის დღეს, პირველი მეუღაბნოვს სამყოფელის ნანგრევთა მონახულება... 1795 წელს ალა მაჰმადის შემოსევის



ვამს ქალაქის მცხოვრებთაგან 50-დე
კაცს, რომელთაც ვერ მოუსწრიათ გაქ-
ცევა, აქ, მონასტრისთვის შემოუფა-
რებიანთ თავი და გადარჩენილან...
სპარსელებს რაღაც გამოუცნობ მიზე-
ზების გამო მონასტერი არ მოუთარე-
შებიათ.

კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი შე-
თხვევა უამბნია პლატონს ტატოსთვის
ამ წმინდა მთის და მონასტრის წარსუ-
ლიდან... როცა ტატო ამ მთის ბილიკ-
ზე მიაბიჯებდა, მუდამ თვალწინ ევგა
თავის დიდ წინაპართა სახე და მათს
ნატერფალზე მავალი თავს უნებლიედ
უფრო ამაყად გრძნობდა.

გულისთქმას აყოლილმა მგოსანმა
თავი ასწია, შუბლზე ხელმოფარებით
ერთხელ კიდევ გახედა მონასტერს,
მის მოედანს, სადაც ჯერ კიდევ, მოჩ-
ვენებებსავეთ მიმოქროდნენ გამჭვირ-
ვალე თეთრ საბურველში გახვეული
ქალები... მათ ზილვაზე ტატო კვლავ
მოგონებებმა დაიმართობელეს... ახლა
სინანულით აგონდება ტატოს აქ, კა-
ტინკასთან, მაიკოსთან და სხვა, კიდევ,
თავის გულის ორიოდ მესაიდუმლეს-
თან გატარებული დრო, ბედნიერი წუ-
თები... ახლა კი... რა შორსაა, რა რიგ
მიუყარები და მიუწვდომელია ის კე-
ლუცი კატინკა.

— ნეტავ ერთხელ კიდევ მენა-
ზა თელავს წასვლის წინ ყარბს
შგოსანს!.. — გაიფიქრა გულდაწყვე-
ტილმა.

სკოლის ერთი ამხანაგი, რომელიც
ახლა ზუგდიდის ცხენოსანთა ასეულ-
ში მსახურობდა, გასულ კვირას ტა-
ტოს შეხვდა და „ახარა“ — ეკატერინე
ალექსანდროვნას დედოფლობა მეტად
შვენისო!... დასეირნობს თურმე სასახ-
ლის ბაღში წითელ მოსასხამის შრი-
ალოთ, თორმეტ წარჩინებულ ქალწუ-
ლის, მოძღვრის და ხუთი-ექვსი შეი-
არალებული კაბუტის თანხლებით. ზოგჯერ, ხეივანში ან აუზის პირას

განმართოვებული, კითხულობს ხელ-
ნაწერ რვეულს და რვეულთის უერთად
მალავს... ცრემლებს. ვინ იცის, იქნებ
ტატოს ნახვაც კი მოენატრა... მისი
სტრიქონებით გულაჩუყებულს. არც
მამადავითისა თუ ყაბახისაყენ გასეირ-
ნებაზედ იტყოდა ალბად უარს დედო-
ფალი; მაგრამ ახლა, უთუოდ გრძნობს,
რომ სამუდამოდ წავიდა ის დრო,
ოდეს თავის უმანკო, ბავშვურ სურვი-
ლებს აყოლილი, თავისუფლად ნავარ-
დობდა ქალაქში საყვარელ ტოლ-
მეგობრებთან ერთად. აუზის პირას,
გრძელ სკამზე აქანდე გულჩაბორობით
მჯდარი, უნებლიედ შეკრთება და მი-
მოიხედავს... მხლეიელთა სიახლოვე,
მათი ეშმაკური თვალთვალი, ნებას არ
აძლევს თავისი გრძნობები ერთი ზედ-
მეტი საეჭვო მოძრაობითაც კი, თავის-
დაუნებურად ამხილოს. მოგონებებით
გულამღვრელი დედოფალი თავს
კვლავ მოწიწებით დახრის დაბლა...
ახლა ის გამტვრებით დასცქერის აუზს,
რომლის სიღრმეში თავდაყირა ჩანან
უზარმაზარ ხეთა ფართოდ გაშლილი
ტოტები, მზის სხივებითა და ჩრდი-
ლებით აფორაჯებული ფოთლები, ცის
მუქი ლურჯი, ხელის გულისოდენა,
ფოთლებს შორის გამოშხირალი ნაჭ-
რები. ამ დაყირავებულ სურათისა და
მსუბუქად მიმოსრიალე თევზე-
ბის ჰერეტიტ გართულ დედოფალს
რვეულის ფურცელა უნებლიედ ტა-
ტოს მოაგონებს... აუზის სიღრმეში
მისი სახე მოელანდება... ბუდემურად
მოყვანილი, შავი, მკვირცხლი თვალე-
ბით დაფინებით შემოსცქერის მგოსანი
და ამ თვალთა ელვარებით დატყე-
ვებულ დედოფალს მისი კაეშნიანი
ჩურჩულიც ესმის... მასთან ერთად
თვითონაც იმეორებს იდუმალ ნაჩურ-
ჩულევს:

„სატრფოვ მახსოვს თვალნი შენი
მშვენიერნი ცრემლით კრთოდნენ“...
თვალეებზე მომდგარი ცრემლები,
კატინკას უშლის ტატოს სახისთვის

ცქერას, მაგრამ ამ ხილვის გაქრობის შიშით ახლა ოდნავ განძრევისაც ეშინიან. მკრთალადღა ელანდება სახე მგოსნისა — ზოგძო, მოთეთრო, სუფთა... ახლაც გრძნობს კატინკას ხელი, ტატოს წაბლისფერი თმების სირბილეს... ეს გრძნობა ჯერ კიდევ არ გაუქვრია წელთა სიმრავლეს... შავი, ხშირი წარბები მკაფიოდ ატყვია ფერმკრთალ სახეს... კატინკა ნელ-ნელა იხრება აღზისაკენ, მარჯვენა ხელით მკერდში ტატოს რვეულს ჩაიკრავს, მარცხენას სკამის ნაპირს მოსჭიდებს, უფრო დაქონებით აკვირდება მგოსნის სახეს და დაუსრულებლად ჩურჩულით იმეორებს: „სატრფოვ მახსოვს... სატრფოვ მახსოვს...“ ახლა მეტი არავინ, აღარაფერი, საკუთარი თავიც აღარ ახსოვს დედოფალს... მაგრამ უეცრად, მწერის დასაქვრად, თევზის ნახტომისაგან წყლის ზედნაირის შერხვევის უმაღლესი ჰქრება ხილვა... სასოწარკვეთილი დედოფალი უმაღლესი წამოიჭრება და ანგარიშმიუცემლად გადასტყორცნის აღუზი თითიდან წაძრობილ ოქროს ბეჭედს... გვიანდა იყო; ძვირფას ხილვის გაქრობით გამოწვეული გულისწყრომა უმასუხოდ დარჩა... ლალით შემკულმა ოქრომაც ვერ იყარა ჯავრი.

დედოფალი კაფითრებულ თითებს შუბლიდან ცხვირის გასწვრივ გაფითრებულ სახეზე ჩამოისვამს და უკანასკნელ ნუგეშს, სანატრელ ხილვის მოკლებული, ისევ სკამზე ეშვება ნელი ოხვრით; რვეულს უბრუნდება, თეთრი, პაწაწინა თითებით ხანდახმით ფურცლავს ხელნაწერს და თან დრო და დრო ჩურჩულით ლოცვასავით აღმოხდება მხურვალედ:

„ვინი ხმა არის ეს საჯიბრელი?

რად აქვს გულს ესე ჩემი ნაღველი?“

ტატოს ახლა აღარ აგონდება, უამბეს თუ სიზმრად იხილა, მაგრამ ეს ყოველივე სჯერა, და თვითონაც იტანჯება.

ფიქრებში გართულ ზგოსანს შეუძინებლად შემოაღამდა. ზაფხულის მთქვანის შუქზე მთაწმინდა, თავისი ნახარალებით, გორაკებით, კალთებით, ბუჩქებით, მონასტრის შენობით, კიდევ უფრო საოცნებო რამ სანახავი იყო.

ტატო ბროწეულის მაღალ ბუჩქის ძირას დაფენილ ცისფერ ხელსახოცზე იჯდა. ცალ მუხლზე იდაყვდაყრდნობილს, მთვარისაკენ ოცნებით მიეპყრო მხერა. ფეხის ხმაზე მან ყური სცქვიტა, ბუდეშურად მოყვანილი შავ-გუფა თვალები მკვირცხლად მოავლო მიღამოს. ოაკი ახლომახლო ვერავინ შენიშნა, ფეხის ხმა კი ისევ მოესმა, შემპარავად წამოიწია; მთვარით განათებულ ხეებში, ბუჩქებში შორის უცხოს ზოპკრა თვალი. არ ელოდა. უცხოს უჭირდა ამოსვლა, ბუჩქებს ეკიდებოდა. დრო და დრო ჩერდებოდა კიდევ; გაკვირვებით ათვალეირებდა იქაურობას, სადაც ტატო იდგა, თითქო ეჭვობს — ზომ არ მეჩვენებაო და ისევ მიიწევდა მაღლა, ხეებშით, უსწორმასწორო ნაბიჯით. ტატომ ზურგი შეაქცია იმ მხარეს, საიდანაც ის შავით მოსილი მოდიოდა და გულზე ხელდაკრეფილმა ქვემოთ, ქალაქისაკენ იწყო ცქერა.

შავითმოსილი უცხო მაღლობზე ვაივაგლაბით აშოვიდა, სამოსის კალთები გულმოდგინედ ჩამოიბერტყა, შემდეგ ერთი-ორჯერ მორიდებით ჩაახველა, ნელი შემპარავი ნაბიჯით ტატოს დაუახლოვდა და ბოლოს ისე გაუთამამდა, რომ მის ზურგს უკან აიტუზა. ტატო არ განძრეულა, კვლავ ქალაქს გადასცქეროდა. უცხომ ისევ ჩაახველა და გაუკვირდა რომ ეს ტანშორჩილი, ჩაცმულობით ვიღაც პატარა მოხელე ყურადღებას არ აქცევდა.

უცხომ, თითქო სურს დარწმუნდეს — ეს კაცი ნამდვილად ზორციელი არსებობა თუ არაო, ერთი ნაბიჯი კიდევ წასდგა წინ, აქამდე მხრებში ჩამალული თავი უცებ წამოსწია, კისე-



რი სასაცილოდ წაიგრძელა და მარცხნიდან, მარჯვნიდან შეავლო თვალი ჰაბუკს, რაჟი ზის იერში არაფერი საეჭვო და საფრთხილო არ ენიშნა, თავი ისევ ჩამალა მხრებში, მარცხენა ხელი წვერის ბოლოზე მოივლო და მოშეშარის სიფრთხილით წინ გაწვდილ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ტატოს ბეჭზე შეახო. შავით მოსილმა კიდევ იმიტომ გააბედა—ასე შეხებოდა უცხო ჰაბუკს რომ მისი ვარაუდით ის იყო, სწორედ, ვიღაც უბრალო, უსაქმური, პატარა მონელე, მაგრამ... თითის შეხების უმალ ტატო მობრუნდა თუ არა, მის ბუდეშურად მოყვანილ, ახლა ფართოდ გახედილ, შავფევა თვალთა უძიროებაში, როგორც ოქენეში გადასაროლილი კენჭი, ისე ჩაინთქა შავით მოსილი. ამ უცნაურმა გრძობამ ისე შეაერთო მოხუცი, თითქოს თავის შეკავებას ლამობსო, აკანკალებული ხელი წინ გაიწოდა. ტატოს კი ეგონა, ჩემს იერში ცოდვის მანიშნებელი რამ თუ იხილა და... პირველად მწერსო... უმალ, წამით თავი დახარა. მერე ისევ გაუშტერა—თვალი შავით მოსილს და გზოცდა; მოხუცი შიშით აკვირდებოდა მას. თავი უფრო ჩემალა მხრებში და გაქვავებულის მზერით მისჩერებოდა მგოსანს. მოხუცი ახლა მარტო ჰაბუკის თვალებს ხედავდა, უცნაურად შავს, აღზნებულს და უძიროს; მარტო ის აჯადოვებდა. როცა შავით მოსილი მოხუცი მიეჩვია მგოსანის თვალთა მზერას, როცა დაწმუნდა, რომ მის წინ ადამიანი იდგა და არა აესული რამ ჰაბუკის სახით, სულ მობრუნებულმა საცოდავად დაიქანავლა.

— ვინა ხარ, შვილო?... ამ დროს აქ რა გინდა?

შავი სამოსის ნაოჭში ჩამალული ვერცხლის დიდი ჯვარი მოხუცმა ორი თითით გამოსწია, გამოაჩინა.

ტატომ შენიშნა მოხუცის ხელის მოძრაობა, ჯვარი, და თვალი გაუშტერა მთვარის შუქზე რელიეფურად გა-

მოკვეთილ ჯვარცმის გამოხატულებას. ჯვარცმის ჰერეტიკი გაართულმა ტატომ იგრძნო რომ პასუხი დაუგვიანდა, მარჯვენა ხელით მოხდენილად მოხაზა სივრცე და ნაღვლიანის კილოთი შენიშნა:

— ჭალაქს დაეცქერი!

შავით მოსილი ტატოს ხახ სიბრაღულით შეჰყურებდა, ხანაც აღტაცებით; მის ყოველ მოძრაობას ყურადღებით აკვირდებოდა. ეს ჰაბუკი ხან უსახლდრო იქვს იწვევდა მასში, ხან უსახლდრო ნდობას. ტატო კი მშვიდად შეჰყურებდა შავით მოსილს და ოდნავაც არ ამქვადებდა გულისწყრომას თუ უკმაყოფილებას იმის გაბო, მოულოდნელი წვევით მყუდროება რომ დაურღვია მან ოცნების წილს შეხიზნულ მგოსანს. მდუმარე, მაგრამ გამოძვევად მზირალ მოხუცს ტატომ გაუღიმა და ხელები გაშალა:

— წყნარს საღამოს ვეტრფი, მამაო!.. როცა ამ უდაბურს ადგილს ვესტუმრები, მავიწყების საწუთროება!

ემსაკურად თვალმოკუტულმა მოხუცმა, მალვით ზიმიოხედა ირგვლივ და თავისი მზერა ისევ ტატოს მიაკურა. ტატოს მოგრძო სახე, ახლა, მთვარის შუქზე უფრო ფერმკრთალი სჩანდა, წარბებს და თვალებს კი სიმუქე ერთი-ორად ზომატებოდათ.

— რა დაგიშავა, შვილო, საწუთრომ, მის დაეწყებას რომ ლამობ, ჯერ კიდევ ესრეთ ყმაწვილი?!

ტატომ მოკლედ, მკაფიოდ მიუგო:

— გამამწარა!

შავით მოსილს თუმც ეოცა პასუხი, ჰაბუკის გულის ტყვილი იდუმალ თვითონაც გაიზიარა, მაგრამ უბრალო, ადამიანურის სიბრაღულით ის მაინც არ შენრალებია, წინ ფრთხილად გაწვდილი ხელი მხარზე დაადო და დაიქანავლა:

— ჰრქვა იესუ: უკეთუ სოფელმა

თქვენ მოგიძულოს, უწყოდეთ, რამეთუ პირველ მე მომიძულა!

ბედისმომღერავი მგოსანი თუმც ქალაქს გადასცქეროდა, მაგრამ გულისყური შავით მოსილ მოხუცისავენ ჰქონდა მიპყრობილი, მოწიწებით უსუნენდა.

შავით მოსილიც ტატოს მოწიწებით შესცქეროდა და სანამ რამეს ეტყოდა, ქერა უღვაშის ღერებით ნახევრად დაფარულ თნელ ტუჩებს გამალეებით აცმატუნებდა.

— ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს!

ამ სიტყვებში ტატო უფრო ააღელვა. „ცხონებას არ ველო!“ — გაიფიქრა თავისთვის, მოხუცს კი ირონიული ლიმილი ჰკითხა:

— და ტანჯვაც სიხარულით მივიღო მუდამ?!

შავით მოსილმა უწამწამო ჭუთუთობის დაფახურებით დაუდასტურა კითხვა და წასვლა დააიჩრა.

ტატომ უფრო გესღიანად გაიღიმა. — ასპუქაკი ხომ არა ვარ, მამაო!

შავით მოსილი მობრუნდა. ტატოს სიტყვები კარგად არც კი გაუგონია.

— ღმერთი მოწყალეა... ილოცე!... წადი...

ტატო დაეწია მოხუცს, ფერდობზე ჩასვლაში შეეშველა:

— სად წავიდე ესრეთ უბედო?... კვლავ დაფარულ ირონიით იკითხა ტატომ მცირე დუმილის შემდეგ.

შავითმოსილი უთუოდ შინ წასვლას გულისხმობდა, როცა ტატოს უთხრა — „წადი“, მაგრამ ახლა, როგორღაც ეხამუშა, ეცოტავა თავისი რჩევა და...

— მონასტერში! — ყოყმანით დაუმატა ნათქვამს.

ტატომ გაიღიმა ჩვეული ირონიით ჰკითხა შავით მოსილს:

— განა იქ... კოჭლებს ღებულობენ?...

მოხუცი უმაღ შესდგა; ახედ-დახედ და ჰაბუკს, მერე ისევ განაგრძო გზა ფრთხილად ახლა აღმზარდს... მუხტუნენ ისინი. ტატო ვერ ისვენებდა.

— თქვენ მაინც თუ ხართ, მამაო, კმაყოფილი ბედისა, ღვთის განაჩენისა.

— ღვთის განაჩენს ვერავინ დაემღურება, ვერც | გაეჭყევა!, — ცოტახანს იუყჩა, შემდეგ განაგრძო, — შეილო ჩემო! ამა ქვეყნად ალბათ გიციც არ არის კმაყოფილი და ჰქვიანს ვით დაძრახავ, თუ... — აქამდე რომ ბუტბუტით მიაბიჯებდა, შავითმოსილი, უცებ შესდგა, ტატოს მხარზე ხელი მოხვია, თითქო დიდ საიდუმლოს უმხელსო, მრავალმნიშვნელოვანად წასჩურჩულა ყურთან, — აღამის ძე ხარბია, ხარბი!

ტატომ და შავითმოსილმა ერთი დამავე დროს შეხედეს ერთმანეთს. აქამდე მინაბული თვალეზი მოხუცმა გამოაყვესა და ისევ ნელიად მინაბა, გულის ხიღრმიდან კი იღუმალი ოხერა აღმოხდა.

ტატო დააფიქრა ამ საყოველთაო აღამიანურმა ჩივილმა და უკმაყოფილებამ, ყოველი მეტყველი სულიერის გვამში ნაპერწკალივით ოღნავ შესანჩნევად რომ გაიკიაფებნ ხოლმე დრო და დრო.

...
როცა გრიბოედოვის აკლდამის ცოტა ქვემოთ, ბილიჯზე გავიდნენ, შავითმოსილმა გზა დაულოცა ჰაბუკს, ტატომაც ღამე მშვიდობისა უსურვა, მოწიწებით, თავის ოღნავ დახრით გამოემშვიდობა. ფიდრე აქაურობასაც დაემშვიდობებოდა, მგოსანმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი მთვარის შუქით განათებულ, მონასტრის პატარა, უბრალო, მაგრამ ახლა საოცნებოდ ახილულ შენობას, გულისტკიველით, ძალით მოსწყვიტა თვალი ამ სანახარბას და ბილიჯზე თავქვე დაეშვა.

ტატოს ჯერ უხაროდა, ჩქარი ნაბიჯით რომ მიექანებოდა დაღმართზე; უნებლიე დაძაბულობა მხნეობას ჰგვიონდა, მაგრამ ანაზღად იმის გაფიქრებამ, რომ ეს სწრაფად გადაღმებული ყოველი ნაბიჯი აშორებდა, იქნენ სამუდამოდაც, ამ წმინდა მთის დამაფიქრველ, ვერან და უდაბურ ადგილებს, რომელთაც, ვინ მოსთვლის რამდენჯერ უძღვნიათ მისთვის შვება, განუქარებიათ მკმუნეარება და ჩაუნერგავთ ხვალინდელი დღის რწმენა, შეაძრწუნა მგოსანი. ტატომ მარცხენა ხელი უმაღ მკერდზე იტაცა, მარჯვენა კი ბუჩქის გამოწვდილ ტოტს სტაცა და მკვირცხლად შემობრუნდა: ქვემოდან ერთხელ კიდევ ვახვდა ნაპრალების განიერ ჩრდილებით დასერილ მთაწმინდის უბეში მონასტრის ოქროსფრად ზოკიანე ჯვარს. მუჭლურჯი ცის თალი ურიცხვ ვარსკლავებით მოოჭვილი და ამ თალში ჩასმული მრგვალი სარკმელიდან გადმოფრქვეული შუქი სიზმარივით აფერადებდა და აპეროვნებდა მონასტრის თეთრ შენობასაც, მოედანსაც და მღუპარებით აღვსილ ნაპრალებსაც. ახლა ამ მთას, ნაპრალებს, ამ ცას ხარბად შესცქეროდნენ ბუდეშურად მოყვანილი თვლები და როგორც ციური ცვარი შვენოდა ცისკარზე მთაწმინდის ბალახს და ყვავილებს, ისე შვენოდა ახლა მგოსნის თვლებს იღუმალი ცრემლი.

დიდხანს იღვა ასე, ცისაქენ თვალმიპყრობილი, მოჯადოვებული ტატო და მის ხსოვნაში თავაწყვეტილ ზერნის სისწრაფით მიჰქროდნენ მოგონებათა წყებანი.

ეს მოგონებები არც მაშინ დამცხრალან, როდესაც ტატომ პირი იბრუნა და კვლავ განაგრძო გზა ქვემოთ.

ბილიკი დასრულდა. მთის ძირას გზა ერთბაშად ფართოვდებოდა, დაღმართდაღმართ ეშვებოდა გოლოვინის პროსპექტისაკენ. გზის ორივე მხარეს მოჩანდა ხეხილში და ვარდის ბუჩქებში

ჩაშჯდარი თითო, უფრო იშვიათად ორ სართულიანი კოხტა სასტუმრო-მეორე სართულის ვიწრო-ბრა-სარკმელდებით ოთახში დაილანდებოდა მთვარის შუქი, ორ-სამგან ბეუტავდა ციციანთელას ოდენა ალი ქრაქისა.

ფართო გზის დასასრულს, სადაც მას ჰვევთდა გოლოვინის პროსპექტი, მარჯვენა იღვა ამ უბნის შშვენება-სახლი ალექსანდრე ჰავევაძისა. მეორე სართულზე, კუთხის ოთახი განირაღდნებული იყო. მუდროებით მოცულ ქუჩას ღია ფანჯრებიდან ეფინებოდა ფორტოპიანოს ხმა და ქალის სიმღერა. ტატოს ყურადღებაც უნებლიედ მიიქცია განირაღდნებულმა ფანჯრებმა, ფორტოპიანოს ხმამ და სიტყვებმა — „ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა...“ მგოსანმა ნაბიჯი შეანელა, ფანჯრის მიმართულენით გადასჭრა ქუჩა, სახლს ფეხაკრეფით ჩაუარა... ფორტოპიანოს აკომპანემენტზე მინორულად, გულის ზომკვლელად მღეროდა ყმაწვილი ქალი ტატოს ლექსს... ტატო უკვე პროსპექტის მეორე მხარეზე იყო გადასული, როცა უქანასკნელად, შორით მოესმა აღგზნებულ ქალწულის დაუცხრომელი: „ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა“. უქანასკნელად მოჰხედა ჰავევაძის სახლს მგოსანმა — ფართოდ გაღებულ ფანჯრიდან განირაღდნებულ ოთახის მოპირდაპირე კედელზე დაინახა ყელაზიდული ლანდი, რომელიც ირჩეოდა სიმღერის ტაქტზე.

ხვალ დილით თელავს გამგზავრების ზოლოდინში თბილისზე უკვე გულაყრილ მგოსანს ერთის წამით კვლავ მოენატრა შშობლიურ ქალაქში ყოფნა... მთაწმინდაზე შემოღამება... გართუბნის ბალებში მოღხენა და გვიან ღამით, კვლავ ქალწულის ნელნარნარის ხმით შესრულებული — „ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა...“ იღუმალ მოსმენა, მაგრამ როგორც ბევრ სხვა ოცნებას მგოსნისას, ამ უქ-

ნასკნელსაც არ ეწერა აღსრულება. ტატოს ისღა დარჩენოდა ნუგეშად, რომ უამთა ვითარებაში მისი გულის კაემნიანი ოხვრანი შეუძმჩნეველად იჭრებოდა თანამემამულეთა გულში და ყარიბ მგოსნისადმი თანაგრძნობით მსჭვალავდა ზათ.

....

შუალამეს ქალაქი მდუმარედ ეგებებოდა აუტანელია და შემზარავი ეს მდუმარება, როცა ქალაქს ბნელიც მოსავს და ყოველი ხე თუ შენობა შიშის მომგვრელ მოჩვენებასავით ოდნავ გასარჩევად აღმართულა წყვედიადში, ახლა კი მთვარის შუქით მოსილ არეზარეში ყველა შენობა, ხე თუ ბორცვი, ამალეებული და გასპეტაკებული ეჩვენებოდა მგოსანს. ბევრმა ტკბულმა მოგონებამ გაიფაჩუნა ტატოს ხსნოვნაში კლოუნების და გიმნაზიის ხილვაზე... ქაშუეთი ნათლის სვეტივით აზიდულიყო ცაში... კლოუნებიანი სასახლე შეფის ნაცვლისა მედიდურად გასცქეროდა დრომოქმულ ყალას, მეტეხით გვირგვინმოსილივით მზირალ ისანს, შორს გადაკარგულს ჩულურეთს და კუკიას.

ტატო კვლავ დიღმის კარით შევიდა ყალაში. კართან, სადარაჯო ხელაში განცხრომით ხვრინავდა აფთიანი ბებური ჯარისკაცი — ომის ინვალიდი. როგორც ასაკს და დამსახურებას შეეფერება, მათ დღისითაც ასევე გულდამშვიდებით სძინავთ, წესრიგის დაცვა კი მოქალაქეთა სინდისს აბარია. ტატომ შორიდანვე შენიშნა, რომ თავიანთ სახლში მხოლოდ მელიტონის ოთახის ფანჯრები იყო განათებული. ეს ამბავი ავად ენიშნა ქაბუქს. როგორც წესი, მელიტონის ოთახში ყველაზე ადრე აქრობდნენ სინათლეს. ლოგინად ჩავარდნილ მარშალს ძილი თუმც არ ეკარებოდა, მაგრამ ასე, სიბნელეში და მყუდროებაში განმარტოებული, წარსულის მოგონებით გულს უფრო იოლად იოხებდა.

ომის ვარაუდი, რომ თელავს გაბზავრება რაიმე მიზეზით შემძლება ჩაშლოდა, გუნებაში ზაჩენის დღეს აწყველინებდა ტატოს; ჩქარი ნაბიჯით მიმავალი, თითქო თავისთავს აბრაზებდა, უფრო შესამჩნევად კოკლობდა. რაც მეტად უახლოვდებოდა თავის სახლს, საექვეო მიზეზით ატეხილი გულისძგერაც მატულობდა. ქუჩაში, სახლის პირდაპირ წამით შესდგა, ყური მიუგდო, განათებულ ოთახის ღია ფანჯრიდან ჩქამიცი არ ისმოდა; მხოლოდ დრო და დრო კერზე გადაიქროლებდა ხელის ლანდი, მაგრამ ეს იდუმალი ქროლევა ლანდისა ავს მაინცა და მაინც არ აუწყებდა შემფოთებულ ტატოს. მან სწრაფად გადასჭრა ქუჩა, სადარბაზო მისასვლელის კარი ხმაურით მოიჯახუნა. თუ სირბილში უშლიდა, კიბეზე მარჯვედ აბიჯებდა დამოკლებულ ფეხს. ბნელ დერეფანში წინგამვერილ ხელის სავსავით მიიკვლევდა გზას, თანაც ზოკლე ფეხს უნებლიედ უფრო მაგრად, ხმაურით აბიჯებდა. მელიტონის ოთახის წინ, როგორც სჩვეოდა, ოდნავაც არ შეყოყმანებულა, არც ყური დაუგდია — თუ რა ხდებოდა ოთახში, გული ველარ უთმენდა, ვიდრე დანამდვილებით არ შეიტყობდა, მართლა ხიფათი რამ ელობებოდა მის ხეაღინდელ გამზავრებას, თუ ეს ყველაფერი ჩვეულებრივ ექვემბის და გავზიადებულ ცნობისმოყვარეობის შედეგი იყო. ჩასჭიდა თუ არა ტატომ მელიტონის კარის სახელურს ხელი, სხვადროს ზამის მიმართ ფრთხილმა და მორიდებულმა, ახლა ჯიქურ შეაღო კარი და... სახტად დარჩა...

ტატომ გაკვირვებით მოაელო თვალი ოთახში მყოფთ. კარის გაღების უმაღლ, გამჭოლ ქარზე სანთლების აღსლიცილი შეექმნათ. კარისავენ გოცებით მზირალთა სახეხედაც ნელა ირხეოდნენ მუქი ჩრდილები.

ოთახში იყვნენ — ლოგინად ჩაეარ-
დნილი მელიტონი, როგორც ლხინში,
იგი მწუხარებაში ერთნაირად ზიზზიდ-
ველი — ეფემია, უფროსი და ტატო-
სი — კატო და მისი მომდევნო ბაბა-
ლე. ნინუცას და აპლიპუტილას უკვე
ეძინათ. ოთახში იყო აგრეთვე მხედრუ-
ლად ჩაცმული სტუმარი. რომელიც
ტატომ თავდაპირველად ვერ იცნო.

ტატოს დიდი ხანია ელოდნენ. მელი-
ტონს სალაპარაკო ჰქონდა მასთან, და
რაკი ტატო იგვიანებდა, მაშინ იფიქრა,
განზრახ არ მეკარებაო. ამის თაობაზე
წელან ერთხელ კიდევ მოუარა ყოფილ
მარშალს ძლივს გადაიწყებულ — გა-
დაჩვეულმა სიანჩხლემ. იღბლად, სტუ-
მარი რომ არ მოსვლოდათ, მელიტონს
დიდხანს ვერ დააწყნარებდნენ შინაუ-
რები.

ტატოს უეცარმა გამოჩენამ, მისმა
აგრერიგად შეშფოთებულმა იერმა ენა
დაუბა ლოდინით გულგადაღულულ ში-
ნაურებს. ეფემიას ისე უთრთოდა ბა-
გე, რომ თავისი ნუგეშის, ერთადერთი
ვაჟის დანახვაზე მისაალერსებელი
სიტყვის თქმაც ველარ მოეხერხებინა.
მელიტონს, ბალიშზედ მისვენებული
თავი, კარისაკენ ოდნავ მიებრუნებია
და ირიბად, მწყარალად გასცქეროდა კა-
რის ზღურბლზე გაშვებულ ტატოს.
ზღურბლზე კიდევ ერთ წუთსაც რომ
შეყოვნებულიყო ტატო, მელიტონს
დღეს უთუოდ ხელმოკრედ აუშლიდა
შფოთის საღერღესს. მელიტონის სა-
ხის გამომეტყველებამ უთუოდ აგრძ-
ნობინა ეს მოსალოდნელი ხიფათი მუ-
დამ უკიდურესად გრძობიერ ეფემიას;
უკნასკნელი (ძალიონე მოაკრებინა,
უძალ შვილისაკენ გაეშურა, მამის მო-
სალოდნელ, უმიზეზო რისხვისაგან
რომ დაეფარა იგი, ისედაც შერისხუ-
ლი და ყველასაგან შეუწყნარებელი.

როგორც ჯამს რასმე, ორივე ხელს
შემოაქდობენ, ისე მოჰხვია ტატოს
ყბებს ხელი და თვალთა, ნეტარების
გამომხატველ ნაბვით სამჯერ უხმოდ

აკოცა შუბლში ეფემიამ. შვილის
ალერსით ასე იოლად ეფემიას გულს
ვერ იჯერებდა სხვა დროს; მაგრამ სახ-
ლა მარტო არ იყო და ოთახში მყოფთ,
განსაკუთრებით მელიტონს, და სტუ-
მარს უყურადღებობად რომ არ ჩამო-
ერთმნათ მისი ზურგშექცევით დგომა,
უმაღლ მობრუნდა ეფემია. — ტატო,
შვილო, ვერ იცან, განა?! — და სტუ-
მარზე ანიშნა. სტუმარი წამომდგარი-
ყო, ტატოს გულლიად, თანაც გაოცე-
ბით უღიმოდა.

ეფემიამ ტატო წინ გაუშვა, თვითონ
ფეხაკრფით აედგენა მის ლანდს.
სტუმარიც გამოემართა, ზოზომილი,
მხედრული ნაბიჯით. ცალი ჩექმის
პრიალი თითქო ხაზს უსვამდა ნაბიჯის
რიტმს. სტუმარმა და ტატომ ჯერ მო-
რიდებით გაუწოდეს ხელი ერთერთს,
მერე თითქოს სითამამე მოემატათო,
გადაეხვივნენ კიდევ და სამჯერ ლო-
ყის მონაცვლებით გადაჰკოცნეს ერთ-
მანეთი; როცა ასეთი მეგობრული სა-
ლამით და ფერებით გული იჯერეს,
კვლავ შორიანლოდან აათვალ ჩაათ-
ვალიერეს ერთიმეორე და ტატომ,
სტუმარზე ცოტა დაბალმა, ქვემოდან
უსწორა თვალი და სიხარულისაგან ათ-
რთოლებულ ბავით წარმოსთქვა ხმა
დაბლა:

— მამუკა!

ოთახში მყოფთ გული აუნუყდათ.
ეფემიას ცრემლიც მოერია. მარტო მე-
ლიტონი გამოიყურებოდა მკაცრად და
ცივად.

— ტატო... ტატო!, — სიხარულით-
ვე ომორებდა მამუკა თავისი სკოლის
ამხანაგის საალერსო სახელს.

როგორც პირველად ჩასტიდეს ხელი
ერთმანეთს, ისევე ხელგაუშვებლად გა-
დასდგეს რამდენიმე ნაბიჯი და ერთ-
მანეთის გვერდით ჩამოსხდნენ ტახტზე
ტატო და მამუკა. ვიდრე ტატო გამოჩ-
ნდებოდა, მელიტონის ლოგინის თავ-
თან ახლო, დაბალ მრგვალ მაგიდაზე,
ორი თეფშით მორთმულ, ბალს შექმ-

ეკოდა სტუმარ-მასპინძელი. ბალი დი-
ლით ორთაქალის ბალიდან გამოეგზავ-
ნა მელიტონისათვის ძველ ნაცნობს,
მებაღეს. როცა ტატო და მამუკა ტახ-
ტზე ჩამოსხდნენ და ოთახში ეკლავ
მყუდროება ჩამოვარდა, ბაბაღემ შე-
ნიშნა: ტატო რაღაც დაჟინებით მისჩი-
რებოდა თეფშებზე ლალისფრად მო-
კიაფე ბალის მარცვლებს, იფიქრა ზო-
ნატრებიანო, და გადასწყვიტა მიერთ-
მია; მაგრამ მელიტონსაც რომ გადახე-
და, ცოტა შეუყოყმანდა. იგი ისე გამოი-
ყურებოდა, როგორც ლომი, გამოხ-
რულ ძეალის ახლო რომ ზის და ვაი
მას, ვინც იმ გამოხრულ ძეალსაც კი
შეეხება... მაინც ვაჰბედა ბაბაღემ,
კუნწებ შეერთებული ორი წყვილი
მარცვალი გამოარჩია და ლალისფერი
ბალი სიცილით და სიყვარულით ყუ-
რებზე დაკვიდა მმას, როგორც ბავ-
შვობაში სჩვევოდა. დის ალერსი და
ხუმრობა ტატოს გულში დიდად იამა.

მელიტონის სიახლოვეს ტატო თავს
მუდამ უხერხულად გრძნობდა. ვერც
ლხინში, ვერც ჭირში მათ გული ვერ
გადაუშალეს ერთმანეთს, ვერ დაახ-
ლოვდნენ, ვერ მორიდდნენ. მელიტონი
დამბლადაცემის შემდეგაც ანჩხლობას
ვერ იშლიდა; ტატო კი, -სულიერად
აფორიაქებული, მუდამ მყუდროების
ძიებაში იყო, თუმც არაფერი გამოუ-
დიოდა. კარგად გრძნობდა, იცოდა, სა-
ნეტარო მყუდროებას მელიტონის
ჭერქვეშ ვერა ჰპოვებდა, მაგრამ მაინც
საკუთარი თავის გაწირვა, მსხვერპლად
მიტანა უფრო ეადვილებოდა, ვიდრე
სხვისა. „ასპუტაკი ვარ ასპუტაკი, ეს
ქვეყანა კი უღაბნოა ჩემი სულისათ-
ვის!“—ხშირად უფიქრია გამწარებულს,
მაგრამ მისი გულის ესოდენ ჩივილი
წამალდა ჯერ მაინც არავის სმენოდა,
გარდა ორიოდ მეგობრისა. თუ გამძ-
ლეობა არ აკლდა ლხინში, უფრო გამძ-
ძლე და სულგრძელი იყო ჭირში. აღ-
ბათ ამიტომ, დიდად ვაჭირვებულ იც
თუ იცინოდა და თან ცრემლები სდიო-

და, გარეშენი სიცილს ანჩხედნენ,
ცრემლებს კი ვერა, დაეცუნათ, რომ
არც ისე ცუდად არის... მელიტონისა
და განაჩენების“ მდივნისა და მა-
გიდის უფროსის საქმე, როგორც ზოგ-
ნა ფიქრობენო, ტატო მათთვის იყო
მხოლოდ უბრალო მოხელე, საგუბერ-
ნიო მდივანი; ისინი კარგად ხედავდნენ
მის შავ სერთუქს და მოხელეთა წესი-
სამებრ, მუნდირის ბიხედვით სცემდნენ
პატივს; მაგრამ მაგიდის უფროსს სერ-
თუქს შიგნით თუ მგზნებარე პოეტის
გული უცემდა, მათ ეს ვერც წარმოედ-
გინათ, ვერც ეგრძნოთ, ვერც მიმხედა-
რიყვნენ, თუმცა სმენოდათ, რომ
„ისიც ვითომ“ ლექსებსა სწერდა...

— მე ისევე იქ მეგონე... შენი ამბის
შესატყობად შემოვიარე... რას ვიფიქ-
რებდი თუ აქ დამხედებოდი, — გაკ-
ვირვებულის კილოთი, დინჯად, სვენებ-
სვენებით ლაპარაკობდა მამუკა, — ასე
მაღე გამოექცე ნახიყვანა?!

ტატომ მტყუანსავით დახარა თავი,
ბალის კუნწები, რომლებიც ყურებზე
შერჩენოდა, ახლავა იგრძნო და ჩა-
მოიხსნა, ლალისფერი მარცვლები ხე-
ლის გულზე დაიწყო.

— მაინც რად გამოექცე? — ძველავ
გაუმეორა მამუკამ.

— ბედს ეძიებს! — უადგილოდ იხუმ-
რა კატომ.

ტატოს არ მოეწონა დის ირონიული
სიტყვები, თავის შეკავება სცადა, მაგ-
რამ მაინც დასცდა უნებლიედ:

— ...და ვინც ეძიებს, განა ყველა
ჰპოვებს, არა?...

თაქვეშ ხელებ-შემოწყობილმა,
აქამდე ბაგე მოკუმულმა მელიტონმა
საწოლის ბოლოში მდგომ ეფემიას შე-
ხედა და თითქო მას უსაყვედურებსო,
გესლიანად სთქვა:

— მაგისოდენი კაციშვილს არ ურ-
ბენია, მაგრამ ჯერ ვერაფერი ჰპოვა...
მხოლოდ წაღები გასცვითა...

ტატომ კიდევ უფრო ჩაჰკიდა თავი,
ბალი იატაკზე დაუცვივდა ეფემიამ

თვალა მოარიდა მელიტონს. ფეხაკრე-
ფით გაემართა ტახტისაკენ. ვაჟს გვერ-
დით მიუჯდა, ჩუმი ზილურსებით,
მისი გამხნელება სცადა.

ტატოს გულით ეწადა მელიტონის
ოთახიდან გასულა, მაგრამ სტუმრის
ხათრით თავს იკავებდა, თვითონ არას
ამბობდა, სხვები კი ვერ მიმხედარიყ-
ვნენ ტატოს გულის წადილს.

მამუკას არ იამა ტატოს ასე ამოჩემე-
ბა და გესლვა. რაც აქამდე გაეგონა მე-
ლიტონის უხასიათობაზედ, ახლა ცხა-
დად იხილა, საკუთარის ყურით მოის-
მინა და უფრო მეტად ეტყინა გული,
ვიდრე ოდესმე სტყენია, უფრო მე-
ტად შეებრალა სიყრმის მეგობარი.

— ტატო-ჯანი!..

— მამუკა... შენ ზაინცა სთქვი სანუ-
გეშო რამ...

— აკი ვაპირებდი...

— ზაინცა...?

— წელან აბლიბუტილა მუხლზე
მეჯდა... კარგად რომ დავაეცქერდი, სა-
ოცარი მსგავსება დავინახე...

— არ ვუსურვებდი, მე რომ მგვა-
ნებოდა!

— რათა?! — გაოცდა მამუკა.

— რათა შეილო?! — წყენით, თანაც
აღერსით გაიმეორა ეფემიამ.

— ერთი უბედურიც ეყოფა ჩვენს
ოჯახს!

აქამდე მელიტონი სულგანაბული
რომ უგდებდა ყურს ამ საუბარს, ვა-
ვის შენიშვნაზე მყის აენთო; მელი-
ტონს ეგონა ეს გადაკრული სიტყვა მე
მეხებო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ იმ
სიტყვებში ტატო თავის-თავს, თავისს
უბედობას გულისხმობდა.

— მაგას რათ ამბობ! — წაიჩურჩუ-
ლა შეილის ცოდვით გულდათუთქულ-
მა დედამ.

ტატომ თუმც ნუგეშის თვლით შე-
ხედა დედას, მაგრამ ვერც აიძნა გაუ-
მრთელა გული ეფემიას; დაუსაბამო
დარდს და ვარამს მისი სათნო სახე

4. „მნათობი“ № 5.

ისე დაედლა სევდის ბეჭდით, რომ
ახალ საწყენ სიტყვებსაც კი აღსაშენ-
წევდათ ძალა, ეფემიას ტანჯული იე-
რი კიდევ უფრო გაძლიერებინათ.

— ტატო, გესმის?

— შესმის, მამუკა!

— მეც იმას ვამბობდი, რომ... ჩვენ
მუდამ გვენმოდა ერთმანეთისა!...

— ოღონდაც!

მამუკამ მხარზე ხელი გადახვია
ტატოს, თავისკენ მიიზიდა.

— რამდენჯერ ვსმენია შენგან...

ერთი დამხმარე მინდაო, ხრიოკს ად-
გილს რომ გამოყვანოს და გაშლილს
ადგილს დაზაყენოსო... შენთვის მართ-
ლაც რომ ერთობ ხრიოკი იყო ის პა-
ლატა, — მამუკამ გაბმით ამოიოხრა,

გაიფიქრა: — „თავი შეურცხვეს გრი-
გოლსა!... ნამესტნიკის ტოლი კაცია
და... ნეტავი ისეთი რა გაუტყირდა, თა-
ვისი დისწულისათვის ერთი კარგი სამ-
სახური ვერ იშოვნა“... მამუკამ კვლავ

ზიზიდა, შეანჯღრია ტატო. თითქო
ამხნევენსო, — მე კი... იმდენი რა შე-
მიძლიან, ტატოჯან, მაგრამ... თუ გა-
მომყვენი... იმ ხრიოკს ადგილს რო-

გორმე გაგიყვან და, მერე შენ იცი!..
მჯერა და დიდი იმედიცა მაქვს-ივარ-
გებ, გვასახელებ! თუმცა... ისიც კმარა,
რაც გვასახელებ!.. ტატო, ერთი ოჯა-

ხიდან შარშანწინ შენი „მერანის“
ხელთნაწიერი წამოვიღე მას აქეთ თან
დამაქვს უბით და ასე მგონია ჩემი გუ-

ლიც იმ მერანზედა ზის... ვისაც წა-
ვაკითხე, ზოგი ლამის ვაგოცდა, ზოგს
ცრემლი მოერია... — მამუკა გატაკე-

ბით ლაპარაკობდა ტატოს „მერანზე“
და ზან კატოს შესცქეროდა ზან ბაბა-
ლეს. კატო და ბაბალე, თითქო დღეს
პირველად გაიგეს რომ ტატოს ასეთი

ლექსი ჰქონია, ვაკვირებით და რალაც
უნდობლად შესცქეროდნენ მამუკას.

— სწორედ რომ შეშარავს კაცსა—

.ნუ დავიშარხო ჩემსა მამულში, ჩემთა
წინაპართ საფლავებს შორის“... ვახ-

სოვს კატო? — კატოს სირცხვილისაგან თვალები აუხამხამდა, სახეზედაც წამოწითლდა, — არც შენ ვახსოვს, ბაბაღე?... — ბაბაღემაც ისე უხერხულად გაიღიმა და გაიქნია თავი, რომ მამუკასაც კი შერცხვა; ტატოს მალულად გადახედა. მამუკაც დახარა თავი და უფრო წყნარის, თითქო გულის სიღრმიდან აღმოსულის ხმით განაგრძო:

„ნუ დამიბრძოლს სატრფომ გულია,
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის;
შავი ყოვანი გამოიბრძოს საფლავს
მღვლეოთა შორის ტილის მინდვრის,
და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მამაყრის...“

— გეყოფა, მამუკა!, — ედრებით წასჩურჩულა ეფემიამ და უშალ ტატოს პიუბრუნდა, — რათა, შევილა... სამაგისოდ რომ არ გაგვიწიოხარ...

კატო და ბაბაღე ისეთის გაოცებით შესცქეროდნენ ტატოს, თითქოს მისი „მერანი“ ჯერ არა სმენიათო. მელიტონს ფართოდგახელილი თვალები ჭერისაკენ ზიებურო და ქვასავით მღუმარებდა. მამუკამ ვერ შეისმინა ეფემიას ედრება, მაინც განაგრძო:

სატრფომს ცრემლს წილ მკედარსა ოხერსა
დამეცეშიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მთვალულბენ სევენი მუივარნი!
გაჭწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,
გარდამატარე ბედს სამძღვარო,
თუ აქამომდე არ ემონა მას,
არც აწ ემონს შენი მხედარი!

ეფემიას თავმუკაცებულმა ქვითინმა უნებლოდ შეაწყვეტინა მამუკას ლექსის კითხვა; ტატოსაც, მამუკასაც მოერია ცრემლი. წამით გამეფებული დუმილი ისევ მამუკამ დაარღვია:

— ტატო! ეს რამდენიმე ხანია, ელისავეტოლის მარის უფროსი გახლავარ!... აღბათ შეიტყობდი.

ტატომ თავი ასწია, მაგრამ მამუკასათვის არ შეუხედა, ისე, გაოცებით, თან სიხარულით მიუგო:

— არა მსმენია-რა!.. — და წაქეზების ნიშნად წარმატებულ^[1] მწგომარს, ორსამაგურ მხარზე რბილად^[1] დამკრა ხელი.

— ტატო! ყველაფერი შევიტყვე შენს მოსვლამდე... არა უშავს... მოდი შენს ვაჟეცობას, გამომეც... — მამუკამ თვალი გაუსწორა ტატოს, — ჰო, დაეხსენ თელავსა!

მამუკას უკანასკნელ სიტყვებზე ტატო შეერთა. ყველას ყურადღება მიიპყრო მისმა ზოძრაობამაც და უჩვეულო იერმაც.

— ელისავეტოლსა?! — აკითხა განცვიფრებულმა.

— ჰო, ჩემთან წამო... ელისავეტოლსა!

ამის ხელმეორედ გაგონება და ტახტზე მამუკას გვერდით მჯდომარე ტატოს ხარხარით კედლისაკენ გადაქცევა ერთი იყო.

ქალებს ფერი ეცვალათ. ორმაგმა შიშმა შეიპყრო ისინი. აღარ იცოდნენ, ტატოს მიშველებოდნენ, თუ მელიტონის მოსალოდნელ გაანჩხლების საწინააღმდეგოდ ელონათ რამე. ტატო გულამომჯდარი ხარხარებდა, ტახტზე წაწოლილი მთელი ტანით ტოკავდა, ხელფეხსაც ისე იქნევდა, თითქო უღიტინებენ და თავს იცავსო. მართალია, მისი ხარხარო დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ სიცილი მაინც არ შეუწყვეტია. შინაურები ვერ მიხვდარიყვნენ, მართლა იცინოდა იგი თუ სტიროდა, კატომ წყალი მოარბენინა ფინჯნით, მაგრამ ტატომ არ დალია.

მამუკა პირველად გაამხნევა კიდევაც ტატოს გულმოდგინე ხარხარმა; ეგონა, ჩემის რჩევით გავახარეო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ტატოს უჩვეულო ხარხარი სიხარულისა არ იყო. უშალ დადუნდა გაწბილებული მეგობარი. ის ახლა შუა ოთახში იდგა და შალვით ხან მელიტონისაკენ აპარებდა მზერას, ხან ტატოსაკენ. ტატო ისევ



იცინოდა რაღაც უცნაურად, უსიამოვნოდ.

დედა, დები თავს ევლებოდნენ, რიგობით ჩასძახოდნენ — „რა დაემართა, რა ამბავია“, მაგრამ ვიღრე ღონე შესწევდა, ტატოს სიცილი არ შეუწყვეტია. როცა გაეუჩნდა, მარტო მაშინლა აუწყა იქ მყოფთ, რაც დაეპართა, რა ამბავიც იყო მის თავს, რასაც მოასწავებდა ეს უცნაურად ატეხილი სიცილი. მამუკას კითხვაზე: — „ტატოჯან ეგრე რათ იცინოდით“, ტატო გოცდა:

— ვიცინოდი?! თუმცა... სწორედ რომ სსსაცილოა ჩემი საქმე!... სულ იმის შიში მქონდა, თელავს წასვლა ჩაზეშლება — მეტქი, თუმცა... უშაღლეს გვამთა მიერ უკვე გამწვესებულ ვიქმენ აღვიღზე და... გზის ხარჯიც მომცეს, მაგოამ... რა შეუძლიანთ თურმე თვით უშაღლეს გვამთაც, თუ... — მწარედ ჩაეცინა, — ზინც რა საკვირველი რამ არის ადამიანის წინადგრძნობა... რა რიგ ვჩქარობდი აქაურობას გაცელოდი... ერთი ღამე-ღა დამრჩა გასათევი და... ვჩქარობდი იმისათვის, რომ ექვი არ მასვენებდა... ვეკვობდი იმისათვის, რომ ამ სურვილის განხორციელებაც ნაკლებად მჯეროდა... აქამდე ტატო მუხლებზე იდაყვ დაყრდნობილი და თვალებით იატაკის ერთ წერტილს მიციებულო, საერთოდ, ყველას გასაგონათ, თუ მარტო თავისთვის ლაპარაკობდა, ახლა უცებ შეიცვალა მდგომარეობა, მეგობარს მიუბრუნდა და გაბედულად ჩაჰხედა თვალეში.

— მამუკა! რაც თავი მახსოვს პირველად და იქნებ უკანასკნელადაც შეისმინეს ჩემი თხოვნა... ძლივს რივიანს ადგილს გამამწესეს და ახლა ჩემს წადილზედ უარი ვთქვა?

— ტატო! — წაიხურჩულა მამუკამ, და ისე შეხედა, რომ ძნელი იყო ამ შეხედვას თანაგრძნობა არ გამოეწვია სიყრმის მეგობარში, — ტატო, მენდე!.. მაინც რა ვახდა ეგ თელავი... რა უნდა იზიდავდეს იქით შენს გულსა... რომე-

ლი მეგობარი გელოდება... რა იცი, ვინ ოხერია, ვის ხელში უნდა ჩაეარდე!... ელისავეტპოლს კი მე ვიქმენ და... შენს თავს იქ ვერავინ დამიჩაგრავს!... მელიტონ ნიკოლაის წედან ვეთათბირე... ჩემს რჩევას მხარს უჭერს. ეფემია კი... ცოტას ჰოქმანობს, მაგრამ... დედის გულს სხვათვალ არც ძალუქს...

ეფემიამ თავი ასწია, მამუკას მავედრებელი მზერა ზიპყრო და შიშით, ხმის თრთოლვით წაიხურჩულა.

— შორია, მამუკა! — გუნებაში კი გაიფიქრა — „სულ არ დაეკარგო მე უბედურმა!“

— ტატო, მაშ... ჩემი რჩევა ქუქაში არ დაგიჯდა! — წყენით შენიშნა მამუკამ, — შენ ოლონდ დაგეყაბულდი და... დანარჩენი ჩემზედ იყოს, უფროსებს მე დაეითანხებებ — მამუკა მალვით, შუბლს ქვემოდან გასცქეროდა მდუმარე მეგობარს და თან გულისტკივილით ფიქრობდა: — „ყველაფერთ ღირსეულს, ყოველივე ამ ქვეყნიურის სიკეთის ღირსს ჯერჯერობით არაფერი არ ეღირსა!“

— მე თელავს წასვლა მინდოდა, მაგრამ... ესეთი ყოფილა ჩემი ბედი!... საითაც პირს ვიხამ, რაღაც განგება უშალ შეზარუნებს და სულ სხვა მხრით მანიშნებს... მამუკა! უარს გეტყოდი, დაჯერებული რომ ვიყო, კვლავ სხვა რამ მიზეზი არ გადამახვევინებდა ჩემის ნებით არჩეულ გზიდან... რახან შენ მიჩნევ და ჩვენებიც თავიანთი დუმილით გემზრობიან, წაშოვალ... ელისავეტპოლსა!

ამ თანხმობამ მარტო ეფემია შეაკრთო, ოთანში მყოფთ თვალი მოავლო. ყველანი სდუმდნენ. მამუკას რჩევას აქამდე კეთილ. მეგობარულ სურვილად სთვლიდა ეფემია, ის კი ვერ წარმოედგინა თუ ტატო ასე მოულოდნელად გამოიცვლიდა აზრს და პატარა კახის ძველს ბუდეს — თელავს. შურავს შეაქცევდა. შვილის გადაწყვეტილება, თელავს წასვლაზედ უარი, ავად ენიშნა

ეფემიას. კვლავ გაცეზით მოავლო თვალი შინაურებს და გაიფიქრა: „ნუთუ ვერავეინ გრძნობს, არავეის ესმის ტატოს შეცდომის სიცნადეო“. რაკი უმრავლესობა საბედისწერო დუმილით მამუკას რჩევას და ტატოს განზრახვას მხარს უჭერდა, მარტო ეფემიას რაღა შეეძლო. სასოწარკვეთილმა ესლა სთქვა კენესა-ვედრებით:

— შორია, ხალხო!...

მაგრამ რახან შინაურებიც და მამუკაც ნაჭმეს უკვე მოგვარებულად სთვლიდნენ, ახლა ელისავეტპოლის სი-

შორესაც არად აგდებდნენ, ზედმეტად მიაჩნდათ ასეთ წერილმანზე წუხილი.

— ეფემია, / გეთაყვა, ცალკულად გაუღიმა მამუკამ ტატოს დედას, — ნუ ვეღარდება... თუ ელისავეტპოლი აქედან შორსაა, სამაგიეროდ... ტატო ჩემთან იქნება ახლოსა!

ვერც ამ შენიშვნამ დააწყნარა საეკვოდ ატეხილი დედის გული. თუმც მამუკას აღარაფერი უთხრა, მაგრამ გუნებაში, ერთხელ კიდევ გაიფიქრა შიშით და სინანულით: — „სულ არ დავკარგო მე უბედურმა!“

იონა პაქალი

თ ა მ ა რ მ ე უ ე

★

ღ რ ა მ ა ნ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა დ

მ ო ქ მ ე დ ე ნ ი პ ი რ ნ ი:

- თ ა მ ა რ ი — ს რ ე ლ ი ა დ ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო ს მ ე ფ ე.
 ღ ა ე ი თ ს ო ს ლ ა ნ ი — თ ა მ ა რ ი ს მ ე უ ლ ლ ე.
 რ უ ს თ ა ე ე ლ ი — მ გ ო ს ა ნ ი ღ ა ს ა ხ ე ლ მ შ ი ფ ო მ ო ლ ე ა წ ე.
 მ ი ქ ა ე ლ — კ ა თ ო ლ ი კ ო ს ი.
 გ უ ზ ა ნ — ე რ ი ს თ ა ე დ ე რ ი ს თ ა ე ი.
 ვ ა რ დ ა ნ ღ ა დ ი ა ნ ი — მ ს ა ხ რ თ - უ ხ ე ც ე ს ი.
 კ ი ა ბ ე რ ი — მ ა ნ დ ა ტ რ თ - უ ხ ე ც ე ს ი.
 ბ ო ც ო მ ს ა ჯ უ ლ თ - უ ხ ე ც ე ს ი.
 ზ ა ქ ა რ ი ა მ ზ ა რ გ რ ძ ე ლ ი } მ ზ ე დ ა რ თ მ თ ა ვ რ ე ბ ი.
 შ ა ლ ვ ა თ ო რ ე ლ ი }
 რ ა ტ ი ს უ რ ა მ ე ლ ი }
 გ უ ლ ნ ა ზ ი — კ ი ა ბ ე რ ი ს ქ ა ლ ი.
 გ ვ ა ნ ც ა — თ ა მ ა რ ი ს ს ე ფ ე ქ ა ლ ი.
 ი ო ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი }
 ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე } კ ა რ ი ს მ გ ო ს ნ ე ბ ი.
 შ ე რ გ ი ლ გ უ ლ ა ბ რ ი ძ ე }
 ა ნ ტ ო ნ ქ ე ო ნ დ ი დ ე ლ — ბ ე რ ი, შ ე მ დ ე გ მ შ ი გ ნ ო ბ ა რ თ - უ ხ ე ც ე ს ე.
 ზ ა ნ ქ ა ნ ზ ო რ ო ბ ა ბ ე ლ ი — ღ ი დ ი ე ა პ ა რ ი.
 ჯ უ ჯ ა — კ ა რ ი ს ხ ე მ ა რ ა.
 ბ ე რ ი ე ა — მ დ ა ბ ი ო თ ა წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი.
 ი ვ ო რ ბ ო გ უ ს ლ ა ე ი — ი უ რ ი ბ ო გ ო ლ ე ბ ს კ ი ს ს ი ყ რ მ ი ს მ ე ვ ო ბ ა რ ა.
 ა ლ ე კ ს ი კ ო მ ნ ე ნ ი — ბ ი ზ ა ნ ტ ი ე ლ ი უ ფ ლ ის წ ე ლ ი.
 ხ ა ლ ბ ი, მ ზ ე დ რ ე ბ ი, ს ა ს უ ლ ი ე რ ო პ ი რ ნ ი. უ ე ს მ ა ნ ე ბ ი ს ე ფ ე ქ ა ლ ნ ი ღ ა ს ზ ე ა

მოქმედება პირველი



პირველი სურათი

გუზანის სახახლე, ქალებს ფარდაგ-ხალიჩები გამოაქვთ დარბაზის მოსართავად, ხოლო შინამოყმენი სავარძლებს ალაგებენ: შემოდის ბერიკა, მას შემოყვება რამდენიმე ქალი, რომლებიც საჩქელის წმენდას შეუდგებიან.

ბერიკა — აბა, ასე თქვენ იცით, ჩემო კარგო ყვავილებო! ჩემო კობტა-გერიტუნებო! თქვენც ბიჭებო, არიქა, დატრიალდით... ხომ იცით, ჩვენი გუზან ბატონი რა ახირებული აჯამია! თუ რამ შენიშნა უწესრიგოდ. სუყველას ოთხში ამოგვიღებს!

ეი, ქალებო, ჯუჯა მოდის და გაუფრთხილდით!

(შემოდის ჯუჯა)

შენ საით ჯუჯა?

ჯუჯა — მეც შენთან, ბერიკავ... საცა ამდენი ანგელოზია, იქ ერთი კულიანი ეშმაკიცაა საქირო!

I ქალი — ორი დღეა, რაც არ ჩანდა ეს ოხერი ჩვენი ჯუჯა!

ჯუჯა — ასე ზალე მოგენატრათ, ხეიბარო თმახუჭუჭა?!

I ქალი — სთქვი, სად იყავ, გახსენ ჩვენთვის დახურული გულის კარი!

ჯუჯა — მოდიტ, ჩემო ყვავილებო, მოდიტ გულზე მომეკარით!

II ქალი — იქით ხელო! იქით, თორემ ჩემი ქმარი გაჯაფრდება!

ჯუჯა — სანამ ქმარი შეიტყობდეს, ჩვენი საქმეც ვათავდება!

II ქალი — ჰუ, რას ამბობ, სასიყვდილეც, ხელს ნუ მკიდებ ქურთუჯზედა!

ჯუჯა — მამამთილი ვირზე შესვი! დედამთილი მურტუჯზედა.

(ყველანი ხარხარებენ).

II ქალი — ჩვენი ჯუჯა მეტისმეტად კუშტია და ენა მწარე...

ჯუჯა — თუ აგრეა, ჩემო ოქრო, დამშაქრე და გამახარე!

II ქალი — გახსოვს, ქალო, შენ რა ვითხრა?

I ქალი — გულში ციციხლს ნუ ზიდუნებო!

ჯუჯა — აგრე ერთად ნუ ჰიკიკებთ, თქვენ სამოთხის ჩიტუნებო!

II ქალი — ეი, ჯუჯა, რას გადაგვეციდე!.. ცოლი არა გქავს, შე ხეიბარო შენა?

ჯუჯა — არა ვეთაყვა, მომიკვდა უბედური.

I ქალი — როგორ თუ მოგიკვდა?



- ჯ უ ჯ ა** — ჩემთან ყოფნას საიქიოს წასვლა ამჯობინა!
- ბ ე რ ი კ ა** — კარგი უქნია... რაკი ეშმაკს მოშორდა, იქ უფრო მოსვენებული იქნება ანგელოზების სამფლობელოში!
- ჯ უ ჯ ა** — შენ, ეი, ბერიკა, ენა დაიმოკლე!
- ბ ე რ ი კ ა** — რაზე დიდგულობ, შე ბედშავო, განა დაგავიწყდა, რომ შენ, მაძიჩემის ბუში ხარ, ნაბიჭვარი?
- ჯ უ ჯ ა** — დიდი სულელი ყოფილა მამაშენი, თუ თავისთვის შენისთანა სულელებს აკეთებდა და სხვისთვის ჩემისთანებს!
(ყველანი ხარხარებენ).
- აგრე, აგრე, ჩემო გვრიტუნებო, აგრე იმხიარულეთ!
ამ ბრიყვს რას უყურებთ... მხიარულების ღმერთი ყოველთვის როდია გუნებაზე: ერთ წამს იციანის და ერთ წამს აღარა! ჰო და სანამ ის იციანის, თქვენც მოასწარით შევბა-ლხენა, თორემ, თუ ერთხელ წარბი შეიყრა და გული გადაეცემა, მერე თქვენს მტერს — ზარით და გოდებით შეგაწუხებთ!
(მემოდის შერგოლი)
- მგოსანს ვახლავართ, შერგილ მგოსანს!
სად ხარ, ბატონო, დიდიხანია აღარ ჩანდი!
- შ ე რ გ ი ლ** — ოსეთში ვახლდი, ხეიბარო!
- ჯ უ ჯ ა** — მამ, ისიც მოთხარ, ოსები რას შვებინა?
- შ ე რ გ ი ლ** — ჩემისთანებს, შენისთანებს თავებს სკრიან წყალში ყრიან!
- ჯ უ ჯ ა** — მერე, შენ რამ გიშველა?
- შ ე რ გ ი ლ** — ჩემმა ღმერთმა და ჩემმა ბიჭობამ!
- ბ ე რ ი კ ა** — ღმერთი რა ეიცო და შენი ბიჭობა ვერაფერ სამსახურს გავწევდა.
- შ ე რ გ ი ლ** — შენ, ეი, ვინა ხარ, რომ აგრე უტიფრად კადნიერობ?!!
- ჯ უ ჯ ა** — როგორა ბედავ, შე ბედშავო! იცი ვინ არის ეგ რაინდი?
კარის მგოსანია, შერგილ გულანრიძე.
- ბ ე რ ი კ ა** — მე ასეთი მგოსანი ჯერ დუნიაზე არ მსმენია.
- შ ე რ გ ი ლ** — შენ ბევრი რამ არ გსმენია, მაგრამ, ღვთის მადლით, ქვეყნად არსებობენ!
- ბ ე რ ი კ ა** — რათა ვეთაყვა, შეიძლება... მაგრამ ის რა მგოსანია, რომელიც ხალხის გულამდე ვერ მისულა! გინდა, რუსთველი ზეპირად წაგიკითხო?!!
- შ ე რ გ ი ლ** — წადი, გამეცა, დაიკარგე! ხედავ, ჯუჯა, ამ სახელმა სუყველგან თავი როგორ მომაბეზრა!.. მისგან არც დღე, არც ღამე აღარ მაქვს მოსვენება.
- ჯ უ ჯ ა** — რას იზამ, შერგილ... მუზების ღმერთი ყველა ღმერთებზე სასტიკია. აგერ, ზანქანიც!
(მემოდის ზანქან ზორობაბელი)
- შ ე რ გ ი ლ** — შენ საით, ზანქან?
- ზ ა ნ ქ ა ნ** — აგერ, მიუღივარ აბულასანისას, გიორგი უფლისწულის მოსაყვანად. იცი, მგოსანო, ეგ დღევანდელი თათბირი რა მიზნითაა მოწყობილი?

- შერგილ — როგორ არ ვიცი! გუზან ბატონი ახლა მხოლოდ იმის ცდაშია, რომ სვინჯიდან შენ მიერ მოყვანილი გიორგი უფლისწული თავის მეგობრებს მოაწონოს!
- ზანქან — შენი ამბავი მე რომ ვიცი, ჩემო მგოსანო, ფიქრი არ არის, რომ შენც დიდად მოგეწონება.
- შერგილ — ნეტავი იმას მოეწონოს, ვისაც ვაყუთვებთ... ისე კი... ყველა დიდად აქებს... ამბობენ, კარგი მოყმეაო.
- ზანქან — მერე როგორი! მოყმეა ქველი, ყოველგვარი სიკეთით საესე!
- შერგილ — ეგ გვინდა ყველას, თუ კარგია... მაგრამ არ იქნა, ვერ ვეღირსე იმ დალოცვილის ხილვას და შეფასებას!
- ზანქან — აი, მიედიფარ, ჩემო შერგილ, ახლავ მოვიყვან და შენ თვითონვე დარწმუნდები.
- (ზანქანი გადის)
- შერგილ — ეი, ბიჭებო, დატრიალდით მყისვე აუწყეთ გუზან ბატონს, რომ მსახურთ უხუცესი თამარისა, დიდი ბატონი ვარდან დადიანი მობრძანდება.
- (შემოდის ვარდან დადიანი)
- ჯუჯა — მაღლობა უფალს, თქვენს მობრძანებას ველოდით, ბატონო, დიდის ამბით!
- ვარდან — გუზან სად არის?
- ჯუჯა — ახლავ გეახლებათ... გულწრფელ სტუმრისთვის მუდამ ღიაა ჩვენი ბატონის, დიდი გუზანის გულისა და სახლის კარი.
- ვარდან — დავიგვიანე, თქმა არ უნდა!
- შერგილ — არა, ბატონო, სწორედ რომ დროზე გვეახვლით... აგერ, მართლმსაჯულების ბურჯიც მოგვეახლა!
- ვარდან — ხედავ, ჯუჯა, როგორ მოკოკლობს ეგ ჩვენი მართლმსაჯულების კეისარი!
- ჯუჯა — ეს აგრეც უნდა, ჩემო ბატონო! ყოველ ქვეყანაში მართლმსაჯულება კოკლია და რაღა მაინცდამაინც ჩვენში უნდა იყოს ფეხსწორი?
- (შემოდის ბოცო მსაჯული)
- ბოცო — ო, ჩემო ვარდან, ჩემო ერთგულო მეგობარო, აბა, შერგილიც აქ ყოფილა!
- შერგილ — ჩემი სალაში ჩვენ ბრძენ მსაჯულს!
- ბოცო — ამას ვის ვხედავ! შენ ცოცხალი ხარ კიდევ, ჯუჯა?!
- ჯუჯა — აბა, რა ვითხრათ, ერისთავო! თუ ფილოსოფოსებს დაეუჯერებ, არც ცოცხალი ვარ და არც მკვდარი...
- ვარდან — ამით რის თქმა გასურს, ხეიბარო?!
- ჯუჯა — იმის, ბატონო, სიკვდილ-სიცოცხლე რომ ერთი და იგივეა!
- ბოცო — მაშ, თავს რად არ იკლავ, თუ სიკვდილ-სიცოცხლე ერთი და იგივეა?

- ჯ უ ჯ ა — მიტომ, მსაჯულო, რომ არავითარ განსხვავებას არ ვხედავ მათ შორის...
- შ ე რ გ ი ლ — აგერ, მსაჯულო, გუზანიც მობრძანდება!
(შემოდის გუზან ერისთავი.)
- გ უ ზ ა ნ — ჩემი სალაში გულითადი ვარდანს და ბოცოს!
კეთილი იყოს თქვენი ხლება, ჩემო მეგობრებო! რაკი მოხვედით, მყის ჩვენი თათბირიც დაიწყება.
- ვ ა რ დ ა ნ — სად არის შიქელ? რად არა სჩანს! განა კათალიკოსი არ უნდა გეხლებოდა სათათბიროდ?!
- ბ ო ც ო — რად იგვიანებს ჩვენი მოძღვარი, ერისთავო?
- გ უ ზ ა ნ — კათალიკოსი დიდად ნაწყენი ყოფილა, მეგობრებო, მაგრამ მაინც მოვალაო, შერგილს პირით მატყობინებს.
- ვ ა რ დ ა ნ — მოვალაო, შერგილ?
- შ ე რ გ ი ლ — ვიდრე ზანქან ჩვენს სტუმარ უფლისწულს მოიყვანდეს, ჩვენი მოძღვარიც მობრძანდება!
- გ უ ზ ა ნ — მაშ, ეგრე მეგობრებო, ვიდრე მიჭელ მოვიდოდეს, სამორინოში წამობრძანდით, ნარდით და ქადრაკით თავი შევიქციოთ!
- ბ ო ც ო — რა დროს ნარდი და ქადრაკია... ქადრაკის დაფას გამწვანებული სუფრა მირჩევნია!
- ჯ უ ჯ ა — მიმინოსა მწყერი უყვარს,
შევარდენსა ნადირობა...
თუ გუზანი პატივს დაგვდებს,
ახლა კია სადილობა!
- ვ ა რ დ ა ნ — მედაჩემმა ღმერთმა, ჯუჯა მართალია!
- გ უ ზ ა ნ — მაშ, კარგი, მეგობრებო! ვიდრე ჩვენები მოვიდოდნენ, ებრძანებ, აქ მცირე სუფრის გამოტანას. სად ხარ ბერიკა!
ჩქარა, თუნგით ღვინო და ფიალები! შენ რა ჰქენ, შერგილ? ოსეთში რა გაიგე? ხომ არ აპირებს ჩამოსვლას სოსლანი სადარბაზოდ?
- შ ე რ გ ი ლ — იქ არ დაჩიხვდა, ჩემო გუზან, ბატონიშვილი!
- გ უ ზ ა ნ — მაშ, სად არისო, რას ამბობენ?
- შ ე რ გ ი ლ — აქეთ, ბატონო, ქალაქს გეხლებია სადარბაზოდ!
- გ უ ზ ა ნ — გესმით, ძვირფასო მეგობრებო! ჭიანჭერი დიდი ჭიანჭერი კაცია. ის ტყუილ-უბრალოდ როდღი ჩამოიყვანდა თბილისში დავით სოსლანს! მას უნდა ჩვენ საქმეს როგორმე წინ აღუდგენს... მაგრამ ვერა, ჭიანჭერი, რაც უნდა ეცადო, მე მაინც შევეძლებ დიდგვაროვანთა უფლების აღდგენას — ესოდენ დამცირებულს თამარისაგან!
- ბ ო ც ო — მარგალიტი გცვივა პირიდან, ერისთავო-ერისთავო...
ეგ შენთვის ნათელ ღმერთს ჩაუგონებია ჩვენდა სანუგეშოდ!..
- ვ ა რ დ ა ნ — მაგრამ მაინც საფიქრებელია, ჩემო გუზან! ჩვენი მოპირდაპირე დასიც დიდად ემზადება. ჭიანჭერი, რატი სურამელი, მხედართმთავრები: შალვა და ზაქარია: დავით სოსლანის მხარს იჭერენ! ეურჩებიან დაყინებით უცხოს მოყვანას!

გ უ ზ ა ნ — ეგ არაფერი, შემოქმედი წარმოაგუნს ნათელ
ძალებს ჩვენდა წინამძღვრად!

ბ ო ც ო — მაინც რა სახით, ჩემო გუზან!

გ უ ზ ა ნ — განა დავუშვებ ჩემო ბოცო, რომ ჩვენი წრიდან, თითქმის ჩვენი-
ვე ხარისხის და წოდების პირი-ერთ მშვენიერ დღეს ყველას ბატონად
მოგვევლინოს! რით გვეჯობს სოსლანი ან მე, ან შენ, ან თუნდაც იმათ,
რომლებიც ახლა მის ამაღას შეკედლებიან! არაფრით მეთქი, მეგობ-
რებო! და მიტომ ვამბობ, რომ ჩვენთვის ახლა თამარის საქმროდ უცხო
უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სოსლანის განდიდება!

შ ე რ გ ი ლ — გვიან მიგიხედი, ჩემო გუზან, გულის ხეაშიაღს!

ბ ო ც ო — მეც გვიან მივხედი, ერისთავო!

ვ ა რ დ ა ნ — რაც უნდა თურმე დიდი იყოს მთისა მდინარე, ზღვას გულში
მაინც ვერ ჩაწვდება!

გ უ ზ ა ნ — დიახ, ეგრეთა სოსლანი უნდა გაირიყოს!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — უარი სოსლანს! გიორგი უფლისწულს გაუმარჯოს!

გ უ ზ ა ნ — ეი, ჯუჯა! სად დაიკარგე, ხეიბარო!

(შემოდის ჯ უ ჯ ა)

ჯ უ ჯ ა — აქ ვარ, ბატონო!

გ უ ზ ა ნ — მოდი აქ, სტუმრები გამართობს ელოდება!

ვ ა რ დ ა ნ — მოდი, ეგ ყანწი ხელთ აიღე!

ჯ უ ჯ ა — ვერა, ბატონო, ვერ ავიღებ, მეტად დიდია, მეშინია, შიგ არ ჩავი-
ძირო!

ბ ო ც ო — აი, რეგვენი! რატომ ჩვენ აღარ ციძირებით?!

ჯ უ ჯ ა — ეგ სიმსუბუქეზეა დამოკიდებული, ჩემო მსაჯულო!

(ყველანი იცინიან: ბერიკაცს შემოაქვს შემწვარი ტახის თავი.)

გ უ ზ ა ნ — ყოჩაღ, ბერიკაცე, კარგად შეგებრარწავს! აბა, ჯუჯა,
ამ ღორის თავს ზმა არ უნდა!

ჯ უ ჯ ა — როგორ არ უნდა ჩემო ბატონო, ზმასაც ახლავე მოგახსენებ!

გ უ ზ ა ნ — აბა, შენ იცი, შეკმაზე ენა შენებურად!

ჯ უ ჯ ა — ამ ღორის თავმა სწორედ დიდ წარმატებას მიადღწია ახლა, ბატო-
ნებო. დიდ ერისთავთან მიიტანა თავისი თავი მოკრძალებით, რომელიც
ამავე დროს, ჩვენი სუფრის ღირსეული თავიც ბრძანდება, და რაკი
ახლა ეგ სამი თავი ამეამად ერთად შეიკრება, — ერისთავი, სუფრის
თავი და ღორის თავი, — დიდ ბედნიერებას უნდა მოველოდეთ გან-
გებისაგან!

(ყველანი იცინიან)

გ უ ზ ა ნ — ხა, ხა, ხა, შენ კი მოუკვდი შენ სიყრმესა, როგორ გამაცინე!

ვ ა რ დ ა ნ — ძალიან ტახი კი გინადირინია, ჩემო გუზან, სწორედ ვეშაპია!

გ უ ზ ა ნ — ამას, ჩემო ვარდან, მე ჩემს მეძებარს უნდა ვუმადლოდე!

ვ ა რ დ ა ნ — ძალიან მეძებარი ყოფილა!

- გ უ ზ ა ნ — მერე არ იტყვი, როგორ უყვარვარ იმ წყეულსა!
- ჯ უ ჯ ა — ჩვენს საერისთაოში ისე არავის უყვარს ჩვენი ბატონი, როგორც იმ პატარა კულბროლიას!
- ბ ო ც ო — ჰა, დაიჭო, მიჩუქნია!
- ვ ა რ დ ა ნ — მე კი, ბატონო, რაღა ამის პასუხია და ისეთი ცხენი ვიყიდე აფხაზიდან, რომ ქვეყანაზე კაცის თვალი უკეთეს ვერას ნახავს! რა ჯირითი, რა თამაში... ყველაფერით მოსაწონია, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი შეითვისა: კბენა და წიხლი დასჩემდა იმ წყეულსა!
- ჯ უ ჯ ა — ახალი პატრონისგან ისწავლიდა, შენი კენესამე!
- ბ ო ც ო — ჰა, ხეიბარო! ეგ სწორედ კობტად ზოგივიდა!
- გ უ ზ ა ნ — მაშ, ერთიც კიდევ, მეგობრებო, ვიდრე უფლისწულს მოიყვანდნენ!
- ბ ო ც ო — აღარ ვიკმარებთ, მეგობრებო?
- ვ ა რ დ ა ნ — არ ვარგა, გუზან, ეგრე თავის ამსუბუქება, ჩვენ მძიმე საკმეს არ შეფერის!
- გ უ ზ ა ნ — მოგიკვდე, თუ ეგ გაყაბულო!
- ვ ა რ დ ა ნ — არ ვარგა, ძმებო, დამიჯერეთ მცირე ხნის შემდეგ, დარბაზის ერის თათბირი დაიწყება, სჯობს ფხიზლად შევხედეთ დარბაზობას!
- შ ე რ გ ი ლ — ვარდან ჩემო!
- ვ ა რ დ ა ნ — რაო, მგოსანო!
- შ ე რ გ ი ლ — თუ ღვინოს სვამ, რას უყურებ, დალიე, სხეასაც-სწყურის, ნულარ დახხვალე!
- გ უ ზ ა ნ — ყოჩაღ, შერგილ! შოთას შემდეგ შენ პირველი ხარ მოშაირე!
- შ ე რ გ ი ლ — როგორ თუ შემდეგ? მარკვი: ვინ მისცა რუსთველს პირველობა!
- გ უ ზ ა ნ — ის ახლა ისე შორს წავიდა ჩემო შერგილ, რომ შეილიდიდან გატყორცნილი ისარიც ველარ დაეწევა!
- შ ე რ გ ი ლ — და ვერც მახვილი შეაჩერებს?
- გ უ ზ ა ნ — ხა, ხა,ხა, რა უცნაურად ლაპარაკობ!
(შემოდის ბ ე რ ი კ ა)
- ბ ე რ ი კ ა — მობრძანდა, ბატონებო, კათალიკოსი მიქაელ, მოგვეახლა!
- გ უ ზ ა ნ — გთხოვთ, მეგობრებო, თუ არ დაიზარებთ, ჩვენს მამათმთავარს სასახლის ბჭესთან შევეგებოთ!
(ყველანი გადიან, სცენაზე რჩება ჯ უ ჯ ა და ბერიკა)
- ბ ე რ ი კ ა — ყოჩაღ, ჯუჯა! დიდ ერისთავებს შენ დღეს ენაკვიმატად შეუტე!
- ჯ უ ჯ ა — განა არ ეკადრებოდათ, რაც ვუთხარი?
- ბ ე რ ი კ ა — ნეტავი შენ... გულში რაც გაქვს, როგორც ხუმარა, ყველაფერს ლაპარაკობ, ამით შენ საქმესაც აკეთებ და ლუკმასაც შოულობ!
- ჯ უ ჯ ა — ეხ, ბერიკავ, მწარე ლუკმაა ხუმარას ლუკმა... ყოველ ჩემს სიტყვას, თითოთორთა ცრემლიც ახლავს! დასწყევლის ღმერთი ჩემს გაჩენას! გულში ათასი დარდი, რომ მიდულდეს, მაინც სხვების გაართობისათვის უნდა ვიღობო დღენიადგ. ეხ, რას იზაბ, თურმე ღმერთი ეგრე აჩენს კაცს ქვეყანაზე: ერთს ბატონად და მეორეს მებატონის მაიმუნად.

ბერიკა — ეხ, ჩემო ჯუჯა! ერთ დღეს ეგ შენი ოხუნჯობა სიტყვებს არ დაგაყრის... აქედან კატის კნუტივით გაგაგდებენ და მერე სად წახვალ, შე ბელშაო?

ჯუჯა — ეგ არაფერი, ჩემო კარგო, ვიღრე ამ ქვეყნად ხუმრობას ფასი ადევს-ჰკვიანებმა იციოხონ, თორემ ხუმარა-შასხრებისთვის კარი სულ-ყველგან ღია არის.

ბერიკა — შოდი, ჯუჯა! აქ, რაღაც ამბები ზდება და ვერ უავიგე... შითხარ, რად მოიყვანეს სვინჯიდან ის გადამთიელი უფლისწული?

ჯუჯა — ალბათ საქმე ითხოვდა და იმიტომ, ჩემო ბერიკა!

ბერიკა — ზაინც რა საქმე, ჩემო ჯუჯა!

ჯუჯა — ზოგი რჯულს იცავს, გონია, რომ ცაში ხსნა არის, ზოგიც დაძებებს სიბრძნის წყაროს ახვეულ თვალთ, ზოგიც ტრფობის ღმერთს ეწაფება, — მონაა ქალის, ზოგიც რაინდობს, — ემარჯვება მოქნევა ხმალის, მაგრამ ვისაც აქვს გახელილი გონების თვალი, და წუთისოფლის სიამენით არ არის შთვრალი, იმან იცის, რომ ყველაფერი ამოა არის!

ბერიკა — სუყველაფერი, ჩემო ჯუჯა?!

ჯუჯა — დიად, ბერიკა!

ცხოვრება გიყი მდინარეა, სწრაფი და ჩქარი, იქ ვინც წასულა, აქ მომსვლელი არაფერ არი... ჩვენც, მეგობარო, სხვა კილოზე მოვმართით ქნარი, სიმაართლის ღმერთმა, რაც გვიბოძოს, ჩავსჭიდოთ ბრჭყალი, თორემ სანამ ჩვენ სანადიმოდ მოვემზადებით, — საესე ფიალას შეგვიწავამენ არამზადები!

ბერიკა — ყოჩაღ, ჯუჯა! ოქრო სიტყვებია! ავერ მოდიან!

(ჯუჯა და ბერიკა გახიან. შემოვლენ ერისთავები და შემოყავთ მიქაელ ქათალიკოსი)

მიქაელ — შეუძლებელია, დიდებულნო, მეტის მოთმენა შეუძლებელია!

გუზან — რაო, რა მოხდა, მეუფეო?

მიქაელ — თქვენ აქ მზიარულებას ეძლევიტ, ღვინით დროს ატარებთ და არც კი უწყით, თუ იქ რა მოხდა საეკლესიო კრებაზე თამარის შთავგონებით!

ბოცო — რაო, მიქაელ! ნეტავ ეგეთი რა უნდა მომხდარიყო?!

მიქაელ — ტახტის დიდებულნო... წმიდა ეკლესია ტახტს დაუმორჩილეს, ზოგი დიდებულიც დაამცირეს. ხედავთ სანამდე მივიდა თამარის ხელმწიფობა!

გუზან — აი, სასწაული! გიორგი მეფეც ამას ცდილობდა თავის სიცოცხლეში და კი ვერ შესძლო ცხონებულმა!

ქარდან — მოუსვენარი მეფე იყო, დაუდეგარი...

მიქაელ — ის ხმლიტ გვებრძოდა, მისი ქალი კი დადგენილებითა და კანონის ძალიტ გვზღუდავს და გვაეიწროვებს!

გუზან — ღმერთმა გაკურთხოს, მეუფეო... დიდად მიხარის, რომ ეგ სიტყვები შენგან მესმის!

- ვარდან — დიად, მიქაელ! უნდა გაიგო, რომ ეკლესია დიდგვაროვანთა გარეშე ვერას გახდება თამართან ბრძოლაში. დაუჭირე მხარე გიორგი უფლისწულს, შერთე იგი თამარს, და ჩვენც მხარში ამოგადგუბით ყველანი რაინდულად!
- ბოცო — შენს ჯვარს, ჩვენი მახვილი გაამაგრებს!
- გუზან — ეგ უფლისწულიც — ჩვენ სწორედ იმ შიშნით მოვიყვანეთ, რომ ჩვენ უფლებათა გაფართოებას ხელი შეუწყოს. ის ყველაფერში ჩვენი მორჩილი იქნება, მეუფეო... მას უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს... რადგან ეგ კაბუჯი თავის ქვეყნიდან დევნილია!
- მიქაელ — თუ ეგ მართალია, ესეც დიდად სახიფათოა, დიდებულნო! ასეთი კაცი არც სახელმწიფო საქმეში იქნება გამრჯე და მეცანი!
- ვარდან — რისთვის ყოყმანობ, მეუფეო? აბა, დაფიქრდი, განა ჩვენ რომ მხარი არ დაგვეკვირა, ანტონ ქყონდიდელს შენ მრატო წაართმევდი ვაზირის კვერთხსა?!
- მიქაელ — ამას რად ამბობ, ერისთავო?
- ვარდან იმიტომ ვამბობ, თუ ჩვენ მაშინ საჭირო გახლდით, ახლა შენ ძალგიძს დაგვეხმარო შენის სიბრძნითა!
- შერგილ — აგრეა, ჩემო მეუფეო, ხელი ხელს ბანს და ორივე-პირს, როცა გვეკირდება...
- ბოცო — იმიტომ საჭიროა შევეკრათ კავშირი საუკუნო. შენ შენი საღმრთო მტყვეულებით, ჩვენ კიდეც ჩვენი ძლიერი შემართებით.
- მიქაელ — რაეი აგრეა, მზად ვარ ფაქურთხო თქვენი არჩევანი, უხმეთ უფლისწულს!
- შერგილ — მაგრამ თამარ თუ დაგვთანხმდება, აი, რა არის საგულისხმო.
- მიქაელ — ეგ არაფერი. როს სადარბაზო თათბირი დაიწყება, წარესდგეთ ყველანი მის წინაშე... თუ ნებით არ იქმს, ძალით და მუქარით ვაიძულოთ! აგერ, ზარებიც მოუხშირეს... მადლობა უფალს, მალე დარბაზის ერის თათბირი დაიწყება.
- ბოცო — შერგილ შენ წადი, ზანქანს უთხარი, ახლავ გიორგი უფლისწული დარბაზის ერის თათბირზე მოიყვანოს...
(შერგილ მიდის).
- გუზან — მაშ, მეგობრებო, დე, ღმერთმა ეს ჩვენი კავშირი განამტკიცოს. ეუსურვეთ ისეთი ნაყოფი გამოეღოს, რომელიც იქნება ტკბილი ბაგეთა ჩვენთათვის, ღირსი ანგელოსთა ტაბლანზე მინართმევად და ერისათვის დიდად სასარგებლო.
- ყველანი — ამინ!
- მიქაელ — მაშ, მოდიოთ, დიდებულნო, და ამ პატარა სასწაულმოქმედი ხატის წინაშე დავიფიცოთ! ოი, შენ, ძლიერო და სასწაულმოქმედი ხატო წმიდაო გიორგისა! თუ აქ დამსწრეთა შორის რომელიმე ჩვენგანმა ჩვენს შეთანხმებას თავი აარიღოს, — რამდენი შესაწირავიც არ შეგპირდეს — არ ააცილო თავიდან შენი რისხვა და სასწაული!
- ყველანი — ამინ!
- გუზან — ნურაფერს ცოცხალს ნუ გააჩენ მის საბადებელში, გადააშენე გვართ და ნაშიერთ!
- ყველანი — ამინ და ამინ!

გუზან — ასე ჩააქრე მისი სული, როგორც ამ ანთებელ კელაპტარს შე
ჩაუქრე პატრუქი წმინდა!

ყველანი — ამინ და კირიელეისონ!

ეროვნული
გენერაციის

მეორე სურათი

თამარის სასახლე. დარბაზის ერის საკრებულო.

მიქაელ — მაშ, ყველაფერი იციან ჩვენი შეთქმულების შესახებ, ჩემო შერგილ?

შერგილ — სუყველაფერი, თქვენო მეუფებაე! თქვენი საიდუმლო თათბირიც გაუგიათ გიორგი უფლისწულთან!

მიქაელ — ეგ როგორ მობდა? ნეტავ ვინ გასცა ჩვენი საიდუმლო?!

შერგილ — ამაზე ვერას მოგახსენებთ! მხოლოდ ეს კია, რუსთველი ჭიაბერთან, რომ საუბრობდა, ყური მოვკარი...

მიქაელ — რაო, მითხარი, რას ამბობდა?

შერგილ — თქვენს მეუფებას უკადრისად იხსენიებდა!

მიქაელ — ხედავთ რას ბედავს ეშმაკის მოციქული!

შერგილ — აგრეა, მეუფეო, თვალში არაფინ აღარ უჩანს.

მიქაელ — ეგ არაფერი, ჩემო შერგილ, მალე რუსთველის ადგილს შენ დაიჭერ!

შერგილ — თქვენო მეუფებაე!

მიქაელ — ვინც ჩემი სახლო და ერთგულია ზე იმას ცამდე ავამალლებ, ხოლო ვინც მტრობას გამიბედავს, მოვსპობ, ჩაეახშობ არ დაეინდობ!

შერგილ — თქვენო მეუფებაე!

მიქაელ — შენ ფიქრი ნუ გაქვს... თუ დღემდე ის იყო სათაყვანო, ის პირველობდა, ამიერიდან შენ იქნები! შე ვიცი, შერგილ, ბებერ ჭიაბერს რა სწავლია! მას უნდა რუსთველი სიძეე ყავდეს!

შერგილ — ნუ ზომავონებ, თქვენო მეუფებაე!

მიქაელ — მაგრამ ჭიაბრის სიძე შენ იქნები!

შერგილ — (თავს დახრის და მიქაელს კალთაზე ეამბორობა) თქვენო მეუფებაე, ჩემო სიკეთეე, ჩემო ნუგეშის საძირკველო!

მიქაელ — აგერ მრღიათ, აღსდგე, მგოსანო! წამო ჩემთან!...

(მიქაელ და შერგილ გადიან. შემოვლენ ჭიაბერი და მგოსანი ზვეთელი)

შვეთელი — მაშ გადასწყვიტეს, პირიც შეკრეს, ჩემო ჭიაბერ!

ჭიაბერი — დიახ, მგოსანო... გუჯამ მაცნობა ყოველივე... სურთ იძულებით აქორწინონ ჩვენი პირიმზე!

შვეთელი — რაკი აგრეა, რალას ვღვევარ, წავალ და ჩვენებს მყის ამ ამბავს შევატყობინებ.

ჭიაბერი — რალა ღროს არი, შეგობარო... გუზანის დასი უკვე ზეიმობს გამარჯვებას!

(შემოდის დავით კოსლანი)



სოსლანი — ო, ჭიბბერ, ლამის ჭკუიდან შევიშალო!

ჭიბბერი — დაიცა, დაეით, სად მიდიხარ?

შავთელი — შესდგე, შეჩერდი, უფლისწულო!

სოსლანი — თუ ჩემი სიკეთე გულით გწადის, აქედან გამოყვანე!

ჭიბბერი — როგორ იქნება, უნდა იყუჩო, უფლისწულო!

სოსლანი — ვეტრფოდი, ვესწრაფოდი, მომიხაროდა აქეთ და მჯეროდა ჩემი კეთილი სუე-ბედისა... მაგრამ რა მოველ და ზოგაღწე, უკვე აღარა მჯერა. ჩანს, რომ დაგვასწრეს ჩემო კარგო!

შავთელი — ვინ? როგორ! რას ბრძანებ, უფლისწულო?

სოსლანი — განა ვერ ხედავ, როგორი ფრთხილი მზადება აქეთ ჩვეს წინააღმდეგ! შეთქმულებაა ვფიცავ ზეცას... აქა ყავს გუზანის ჩრდილოეთიდან მოყვანილი ჩემი რაყიფი!

ჭიბბერი — დამშვიდდი, შეილო მღელვარება არვინ შეგნიშნოს!

სოსლანი — რათა, რად მიხმე, თუ ეგეთი ბედი მელოდა...

თუ ეგრე თავსლაფს დაგვასხამდა გუზანის დასი!

ჭიბბერი — იყუჩე, დაეით, აგერ, მოდიან საღარბაზო!

(ღარბაზი თანდათან იესება ხალხით, დიდებულებით, მხედრებით, სეფე ქალებით... ისმის მრავალყამიერი სუენის სიღრმეში იღება ოქროს კარი, ამ კარს იქით კიდევ კარი და როდესაც შეტრე კარი გაიღება — შემოვლენ ორ წყებად სხედასხეაფერ ტანსაცმელში გამოწყობილი ასულნი და ტაბტის გვერდით ღვებთან. შეკლვამ ამისა გამოჩნდება მიქაელ ქათალიკოსი. ღარბაზში გასმის „ისპოლა“, ხოლო, როდესაც „ისპოლას“ ხმა მიწყნარდება, მას შეეცვლნ თამარის სადიდებელი ჰამნი; ბოლოს გამოჩნდება თამარი, ერისთავთა ცოლებსა და სეფე-ქალთა თანხლებით).

ჭიბბერი — ღარბაზის მოყმენო, ერისთავთ-ერისთავნო და დიდნო მოძღვარნო, ზობრძანდება დედოფალთ-დედოფალი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა: გურულთა მზე, მესხთა მთოვარე, აბხაზთა ნუგეში, იმედი რაჭველთა, კახთა დიდება, ლიფლიფი ქართლისა, ოდიშართა ცისკარი და სათნოებით მონუგეშე აგარიანთა, თამარ ასული გიორგისა.

მიქაელ — ღმერთმან აღიღოს და განამტკიცოს სჯულდებულება და ძლე-ვანი მისნი!

(მიქაელ მიეგება თამარს და ჯვარს ვადასახეს)

მადლი, მშვიდობა და წყალობა ქრისტესი იყავნ შენზედა კეთილზიარებელი, ნეტარო დედოფალო!

თამარი — მადლობას გწირავ, მეუფეო! ერის ხმა და ღვთის ნება თავათ ხმა არის სიმაართლისა. მოყმეთ და ღარბაისეღთ ჩემი სალაში! სალაში მხედრობას! სალაში ყველას, ვინც კვეყნის და ტაბტის ერთგულია!

(ყველანი თავს დახრიან და თამარს მოკრძალებით მიესალმებიან).

შეკრებიღთ შორის რად არა ჩანს ჩვენი მგოსანი?!

ჭიბბერი — აგერ, რუსთველიც, ხელმწიფეო!

(რუსთაველი შემოსვლისთანავე მიესალმება თამარს და მის მიერ მითითებულ ადგილს დაიჭერს)

სოსლანი — ჩემო ჭიბბერი!

ჭიბბერი — რაო, დაეით?

სოსლანი — ვუშურ ღვთაებრივს და სიმშვიდეს ვეღარ ვახერხებ!

ჭიბბერი — იყუჩე, შეილო! აგერ, თამარი სიტყვას ბრძანებს...

თამარი — დარბაზის მოყმენო, და თქვენც წმინდანო მამანო, ქვეყნის უსახურნო და პასუხისმგებელნო მისი ბედისა ღვთის წინაშეს რქმევით! შარადის სულგრძელნი, ვითარცა შაცხოვარი — წამების დროს — მარტოაღნი, ვითარცა იობი — გამოცდის დროს, ბრძენნი ვითარცა სოლომონ — მართლმსაჯულების დროს. ნუ მოერიდებით ნურავის: გამოიძიეთ ყოველი კეთილად, დაამტკიცეთ მართალი, რომ სიმართლითა თქვენითა ერმა შეგიყვაროსთ თქვენ. დაიწყეთ პირველად თუნდა ჩემგან. ნუ მოერიდებით ჩემსა მეფურსა ცხებულებას, რადგან გვირგვინი ესე არის ხალხის სამსახურად ბოძებული და არა საგმობლად სიკეთისა... ნუ იქნებით მიკრძობებულნი დიდისა და მფლობელ გვარისადმი იმის გამო, რომ ისინი დიდნი არიან მოღვებით, ხოლო ნუ დასჩაგრავეთ მცირეთა, რამეთუ ისინი უმწერონი არიან საკუთარი უბედობით. თქვენ სიტყვით, მე საქმით ვიმოქმედებ. თქვენ მოძღვრებითა და მსაჯულებით, მე აღსრულებითა და შთაგონებით. ხელი-ხელს მივცეთ ურთიერთს სჯულის და ღირსების დასაცადად... თქვენ, ვითარცა მღვდელნი, მე ვითარცა მეფე... თქვენ ვითარცა მწენი, მე კი ვითარცა სახელმწიფოს დარაჯი მშვიდი... ნეტარო მამანო, აუწყე დარბაზის ერს საეკლესიო კრების განაჩენი!

მიქაელ — შეიღწო ჩემნო, უსაყვარლესო ძენო ქართველთა მოღვმისაო! იცის ღმერთმა, რომ დღეს ივერი ძლიერია. უწყის ერმაც, რომ მისი ხელმწიფე მტკიცეა სულით... მან ყოველივე ბრძნულად და კეთილგონიერად მოიფიქრა, აკრძალა ღვთის შთაგონებით საეკლესიო კრებაზე სიკვდილის დასჯის კანონი, რაიც დასაბამიდან დღემდე არსებობდა, ხოლო საქმე ესევეითარი, რომელიც ვერ იტვირთა წმინდა საკრებულომ, რადგან იქ არ ესწრებოდა დარბაზის ერი — იყო მონახევა და მოყვანება მოყმისა მეუღლედ თამარისა! გთხოვთ, შეიღწო ჩემნო, ეს ჩემი განაცხადი კარგად განსაჯოთ და ამ საქმეზე თქვენი სურვილი გაგვიმტლავნოთ!

თამარი — გთხოვთ მეუფეო, ნურას იტყვით ქორწინებისთვის!

გუზან — აქ მისთვის შეგკრბით, ხელმწიფეო, რომ ღვთის ნება და ჩვენი სურვილი ნათელი ვყოთ! ჩვენს მეფეთა გვარში შენს მეტი არავინ დაგვრჩენია სასოდ და იზედად, შენ კი ჯერ, ქმარი არა გყავს, რომ შემკვიდრე გეაჩუქოს! ამიტომ გთხოვთ, შეირთოთ ქმრად მოყმე ქველი და ანაგად თვალსაჩინი, სვინჯიდან წარმოგზავნილი ჭაბუკი, ანდრეი ბოგოლუბსკის-მე ჩვენი ერთმორწმუნე ერის შვილი — უფლისწული გიორგი!

რუსთველი — ნუთუ მატყუებს სენა ჩემი! გასკვი მიწავ და ჩამიტან!

სოსლანი — კიბერ!

კიბერი — იყუჩე, უფლისწულო!

გუზან — დარბაზის მოყმენო, დროა წარესდგეთ და შევევედროთ ჩვენს ნეტარ დედოფალს, რომ ჩვენი სურვილი შეიწყნაროს!

ხმები დარბაზიდან — გთხოვთ, გვედრებით, ხელმწიფეო, გთხოვთ, გვედრებით!

გუზან — აი, ხომ ხედავთ, ხელმწიფეო, შენი მოყმენი ბედნიერებას გილოცავენ სამუდამამოდ!

ვარდან — სამუდამამოდ, დედოფალო, სამუდამამოდ!

- ბოცო — მოყმე უებრო და ყოფილი სიკეთით საესე — პასუხს მოვლის, ხელმწიფო, ამ თათბირისგან, რომ მარად გახდეს ერთგული და მოყმე თე ჩვენს!
- სოსლანი — ღმერთო, რა მომდის კიდევ წუთი და ჩემი ხმალი თავის ბუდიდან ჩემს უნებურად გაიღვებს!
- თამარი — მოწამე არს ღმერთი, ჯერ არ ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქორწინებისა და ახლაც ამის ვარ მოაჯე! მესმის, ტახტს რომ შემეცოდრე უნდა ყავდეს, მაგრამ აგრე რად ისწრაფვით თქვენი დედოფლის ქორწინებას? განა შეიძლება ამა საქმისა ეგეთი აჩქარებით გადაწყვეტა! არა ციციტ იმ უცხო კაცისა არცა ქცევა, არცა საქმე, არც ბუნებისა და ჩვეულებისა, არც მხედრობისა და სიქველისა... სჯობს თქვენც ჩაფიქრდეთ, დიდებულნო, თქვენი თათბირი ღმერთთან და ხალხთან უნდა იყოს შეთანხმებული!
- ხაქარი — სწორია, დიდებულნო! რა გავგიჟირდა ეგეთი? რად უნდა შვერთოდ ჩვენს პირისმზეს ისეთი მოყმე, რომელიც თურმე თავის ქვეყნიდან დევნილია!
- რატო — ეს რომ ღირსი და მეცანი ყოფილიყო, თავის ქვეყნიდან გუდნაბადს არ აუკრავდენს!
- შალვა — სჯობს არ აჩქარდეთ! ბევრი გვიცდია, ბარემ მცირედიც მოვიცადოთ!
- ქიამერი — ჭეშმარიტად! აქ მეტად დიდი სიფრთხილე გემართემს, დიდებულნო! ზარქეთ, რაში გამოგვადგება თავის ქვეყნიდან გამოძევებული უფლისწული! რა სიკეთესა და მადლს შიანიქებს იგი ჩვენს ხალხს... უფრო მეტს ვეტყვით, რისთვის უნდა ვაწყენინოთ მეზობელ ერს? განა მას გაუხარდება, რომ მის მიერ დაწუნებული, საქვეყნოდ შერისხული უფლისწული აქ ჩვენს, სამეფო კარზე ავიყვანოთ!
- ხაქარი — სწორედ ეგ არის სავალალო. სჯობს ისევე ჩვენს შორის მოეძებნოთ ქაბუკი ბედსვიანი!
- ბოცო — ბერე სად? გვარქე, ვინ არის ღირსი ეგეთ წარჩინებისა.
- შავთელი — არის, მსაჯულო!
- რატო — გვყავს მოყმე ყველაფრით ღირსეული!
- შალვა — ბრძენიც არის და ჭეშმარიტი რაინდიც!
- მიქაელ — ვიცი, ვინც არი! მაგრამ ის ჩვენთვის არ ეგების... ის მაგრატიონთა გვარისა... სისხლის შერევის ცოდვას ვერ ვიტყვითებ!
- სოსლანი — ოი, ქიამერი, მეტის მოთმენა აღარ ძალმდის!
- ქიამერი — იყუჩე, შვილო! რა გაღვლეგებს... ხედავ თამარი უარზეა!
- მიქაელ — ჩემო ხელმწიფე, ეგ შენი ღუმბილი ცუდი ნიშანია!... განა არ უწყვი, როგორი შფოთის წყარო არის სახელმწიფოში, როცა შემეცოდრე ტახტს არა ყავს... ამიტომ შწადის დაჩქარება ქორწინებისა!...
- თამარი — უწყის ღმერთმა, მეუფეო, რომ დიდად მწადის, ერის ეგ თხოვნა შევიწყნარო, მაგრამ, დამისახელეთ კაცი, რომელიც იქნება ქველი გულითა, ბრძენი მეცნიერებითა და მცდელი ხელოვნებით! განა შენ თვითონ დარწმუნებული ხარ, რომ იმ ქაბუკს არავითარი ნაკლი არ ექნება და ჭეშმარიტად გამოდგება სამეფო კარზე?!
- მიქაელ — ამას რას ბრძანებთ, ხელმწიფეო! რაკი კაცი ვართ, უწყის

- ლმერთმა, უნაკლო ვერ ვიქნებით... მაგრამ თუ შენ, მხოლოდ შენი შესაფერი ეძიე, — ეგეთ კაცს მთელ ქვეყანაზე ვერ იპოვნი!
- გუზან** — კათალიკოსი სიძარტლეს ბრძანებს, ხელმწიფეოს დასტური, გვედრებით მოყმენი შენნი!
- ვარდან** — აი, ხომ ზედავ, ხელმწიფეო ვითარი გზნებით და მუხლმოდრეკით გვედრებით, რომ თხოვნა ჩვენი შეიწყნარო!
- ბოცო** — ყოყმანი მეტად ცუდი არის, შენთვის, ჩვენთვის და ყველასათვის!
- ხმები დარბაზიდან** — დასტური ბრძანეთ, ხელმწიფეო, ქორწინებისა... ბრძანეთ დასტური, გვედრებით მოყმენი შენნი!
- თამარი** — შენ მანდ რად დგებარ ეგრე ჩუმად, ჩემო მგოსანო! ნუთუ შენს გუმანს არაფერს ეუბნება შენი დედოფლის მწუხარება?
- რუსთველი** — ეჰ, ყოვლისა ქვეყნის დამამშვენებელი ნეტარო დედოფალო, შენ ისეთი უებარი ხარ, რომ მე შენი შესაფერი ქმარი სრულიად არ მეგულვის და რადგან შენი სადარი არ არის ქვეყანაზე, ამიტომ შენი გაცემის დასტურიც არ ეგების!
- თამარი** — მადლობა უფალს!...
- მიქაელ** — ნუ ერწმუნები, ხელმწიფეო, რუსთველის სიტყვებს. ის შენი სიტყვით აღზნებული ამჟამად ღმერთსაც დაიწუნებდა, რომ ეხილა აქ ხორცმესხელი!
- რუსთველი** — ეგ მართალია, მეუფეო! ჩვენს ფიქრთამყრობელს არ ეკადრება მოკვდავ შეილთა უღირსმა რჩევამ, ეგ მძიმე საქმე დააყისროს!
- მიქაელ** — ვესმით რას ამბობს ეგ წარმართი? ჩვენს წმიდა საქმეს წინ აღუდგა საშინო კაცი!
- თამარი** — ოჰ, ღმერთო, როგორ დამღუპველია ერისათვის ამგვარი დაინება... ამ სიჯიუტეს ძალუმს მთელი ქვეყანა დააყინოს!
- მიქაელ** — შეიძლება დამღუპველია დაინება, ხელმწიფეო, მაგრამ ქარი, რომელიც ძლიერად ქრის და იალქნებს ათამაშებს, ხშირად ისიც დამღუპველია, მაგრამ უმისოდ განა გემს წინსვლა შეუძლია?
- თამარი** — ჩემი სურვილი მე უკვე ცხადყავი, მეუფეო. ვერ ჩემგან ქორწინებაზე დასტური არ ეგების. მაგრამ ერის სურვილი რაკი ეგრე მავალებს დაინებით, მე დაეწინდები თქვენ შიერ მოყვანილ უფლისწულზე, ახლოს გავიცნობ მის ხასიათს, მის შემართებას, და თუ აღმოჩნდა იგი ღირსი მოწონებისა, მაშინ დე, დარჩეს ჩვენთან იგი სამეფო კარზე — ისე ვით თქვენი სურვილია.
- სოსლანი** — ლამის გავვიტდე, ღმერთო ჩემო... მეტის მოთმენა აღარ ძალმიძს!

(ღაკითი აღუვებელი გადის დარბაზიდან.)

- გუზან** — ჩვენო პირიმზევ!
- ვარდან** — ძლიერებავ სათნოებისავ!
- ბოცო** — ფურჩვნილი ვარდის თანაბარო!
- მიქაელ** — დამილოცნიხარ, დედოფალო! იყავ დღეგრძელი უკუნითი უკუნისამდე!

(თამარი ჩამოდის ტაბტიდან და სეფექალთა თანხლებით გაემართება თავის საყვინსავე. ერისკაცნი და სამღვდლო პირნი მიდიან; სცენაზე რჩებიან მხოლოდ რუსთველი და თამარი.)



- შ ა ვ თ ე ლ ი — შაბაშ, მგოსანო! ვიქებ გუმანს და სითამამეს!
შენმა სიმართლემ დღეს აქ მეზივით დაიქუხა!
- რ უ ს თ ვ ე ლ ი — ქვეყანას უნდოს სიცრუის ქური უნდა ერქვას, ჩემო ქე-
თილო!
- შ ა ვ თ ე ლ ი — რათა, მგოსანო?
- რ უ ს თ ვ ე ლ ი — ცრუა, მაშ რაა საფუძველი ჩვენი იმედის?
- შ ა ვ თ ე ლ ი — საფუძველიო?
- რ უ ს თ ვ ე ლ ი — დიახ ისიც აბა, მითხარი
რანი ვართ ქვეყნად, წარმავლნი და ბიწიერნი,
თუ არა მხოლოდ ქონდრის კაცი... ჩვენს სურვილ-სწრაფვას
თავის ნებაზე ათამაშებს ბედი ცბიერი...
შვებას — ცრემლი სცელის და ცრემლს-შვება ნათელ-ძლიერი,
და არ არსებობს ქვეყნად კაცი, რომ ყოფილიყო
დაბადებიდან-სიკვდილამდე სვებედნიერი!
აგერ, სოსლანიც მოგვეახლა!
- (შემოდის დავითი და რუსთველს დაეხვევა).
- ს ო ს ლ ა ნ ი — ჩემო მგოსანო! ო, რა რიგად მადლობელი ვარ...
აქვე ვიდექ და შენი სიტყვა მესმოდა ისე,
როგორც ქუხილი სიმართლისა თავბრუდამხვევი!
- რ უ ს თ ვ ე ლ ი — მეც! მეც შენებრ ვარ გულმოკლული მკაცი ბედისგან
და აქ მომხდარი ამბებისაგან შეძრწუნებული!
- ს ო ს ლ ა ნ ი — ეგ როგორ მოხდა, რომ მოსულმა უცხო ქაბუტმა,
ყველა ვაჟკაცი დაგვაკინა ქვეყნის წინაშე!
არ შემძლია თავს შეუნდო ასეთი მარცხი!
- რ უ ს თ ვ ე ლ ი — ნურც თავს, ნურც გუზანს ნუ შეუნდობ! კათალიკოსიც
ღრმად ჩარეულა ამ საქმეში და მოკლეთ გეტყვი:
რომ მათი დასი მოქმედებდა უფრო ძლიერად,
ვიღრე ჩვენ ყველა, ფუშ თათბირებს გადაგებული!
- ს ო ს ლ ა ნ ი — რაკი აგრეა, მოველავ გუზანს, ვფიცავ პირიშნეს!
შ ა ვ თ ე ლ ი — ახლა ეგ უკვე გვიანაა, ჩემო რაინდო!
- ს ო ს ლ ა ნ ი — მაშ, იმ უცხო ყმას ჩაეაძინებ სამუდამამოდ!
- რ უ ს თ ვ ე ლ ი — ამასაც ნუ იქმ... არ ეგების ზასზე მძლავრობა.
- ს ო ს ლ ა ნ ი — მაშ, მარტვი რა ცქნა? რა ვიღონო, როგორ მოვიქცე...
მელუპვის, ვხედავ სასოების ძვირფასი წაბი
და უმოქმედოდ როგორ ვიყო იარაღსხმული!
- შ ა ვ თ ე ლ ი — ვეფხვს არ შეფერის მღუმარება, ბატონიშვილო!
- ს ო ს ლ ა ნ ი — დე, ბასრმა ჩემმა გაღასწყვიტოს ჩვებედი-ჩემი!
(რუსთველი შეაჩერებს)
- რ უ ს თ ვ ე ლ ი — ჩააგე, დავით! ახლა ამის დრო არ არის! ახლა თამარის
სიბრძნის მახვილი ტრიალებს და ვაი იმას, ვისზეც გამოსცდის იგი თავის
ფხის მკვეთლობას!

მოქმედება მეორე

პირველი სურათი

თამარის საცანე. კარის გულსიდან მოისმის ნელი სავალბელი. შემოდის თამარი, მას გვერდით მოყვებიან სუფიქალები: გვანცა და გულნაზი.

თამარი — გვანცა!

გვანცა — რაო, ნეტარო დედოფალო?

თამარი — რა ჰქენ, ხომ გადაეცი მიქაელ კათალიკოსს რუსთველის ხელნაწერი?

გვანცა — დიახ, ხელმწიფეო... დღეს დილით ვეახელ მამათმთავარს... ხელნაწერი უსიტყვოდ ჩამომართვა და როს გაშორდა, თავისთვის ასე შემზარავ ხმით დაიბობლინა: „ახ, ის სატანა, ჯოჯობეთის მოციქული!“

თამარი — რაო? ეგრე სთქვა: „ჯოჯობეთის მოციქული“?

გვანცა — დიახ, ხელმწიფე! დიდი ხანია არ ასვენებს ჩვენს მოხუც მოძღვარს რუსთველის ეგზომ წარმატება!

თამარი — რას იზამ, გვანცა, შემოქმედს ეგრე შეუქმნია: ჩამავალო მზე, ამომავალ მთვარეს ყოველთვის განზე უყურებსო.

გულნაზი — მაგრამ სხეაც ბევრი მინახავს ჩვენს სასახლეში, რომლებიც მგოსანს ჩუმად მტრობენ, ნეტარო დედოფალო!

თამარი — ეგრეა, ჩემო სასურველო! ვინც მალლა იწევს, უღირსთა გულში გაბოროტებას იწვევს მხოლოდ. წადი, გვანცა, კარის მოძღვარი გააფრთხილე, ნულარ შელოდება... დღეს დედოფალი თავის სენაკში ილოცებს-თქო!

გვანცა — ახლავ ვაუწყებ, დედოფალო!
(მიდის)

გულნაზი — მე რას მიბრძანებთ, ხელმწიფეო?

თამარი — თუ მე მიკითხოს უფლისწულმა, ეგრე უთხარი: დედოფალი არავის ღებულობს-თქო!

გულნაზი — გუშინაც ეგრე მოვახსენე, ჩემო ხელმწიფე და ნაწყენი წავიდა... დიდად განიცდის... მეტად შწავედ გრძნობს თქვენს განდგომას სვეუბედური.

თამარი — მეც ვიტანუგები, ჩემო გულნაზ! ჩემს გულს არ ჰკითხეს, არც ერის სურვილს პატივი ჰყვეს, და მოიყვანეს ჩემდა საქმროდ ისეთი ზოყმე, რომლის ღირსება ჩემი სულისთვის უცხო არის... გულის სურვილი კი სხვა იყო... სულ სხვა, რომელსაც სვე თვალბედიით ჩემთან ერთად უწყალოდ სდევნის.

გულნაზი — ეგრე ნუ ბრძანებთ ხელმწიფეო! თქვენი გვირგვინი მარადისობის ზადლით არის მირონცხებულთა...

თამარი — ეხ, ჩემო გულნაზ! მხოლოდ ბავშვობა ყოფილა უკეთესი დრო სიცოცხლისა... უმანკოების გვირგვინს თურმე მაშინ იდგამს ყოველი ჩვენგანი და შემდეგ, აღარავის გვაქვს უფლება მისი ტარებისა.

გულნაზი — ეგრე ნუ, ჩემო ხელმწიფეო ეგრე ნუ! ჰგოდებ, წავალ და მამაჩემს გამოვგზავნი! აგერ ჩისი!.. მშვიდობით ნეტარო დედოფალო!

გულნაზი გადის. შემოდის ჭიანჭერი.

ჭიანჭერი — ნება დამართვეთ მოგეახლოთ, ჩემო ხელმწიფეო!

- თამარი — მოდი მოხუცო, შენი ხლება — შეგნა ჩემი!
- ქიანბერი — რადა ხარ ეგრე დაღვრემილი, ჩემო სიკეთე? *ეგრე ეგრე*
- თამარი — ჩემო ქიანბერ, ჩემო ბრძენო და სპეტაკო მოხუცო, *ეგრე ეგრე*
ხედავ ჩემი დაქრილი გულის აღმოთქმასა?
- ქიანბერი — გულთამხილავი მხოლოდ მაღალი ღმერთია, ნეტარო დედოფალი!
- თამარი — როგორც თითის ტყვიის გული გრძნობს და გულის ტყვიის არავენ, ეგრეა ჩემო ჩემი ხვედრიც... ყველა ჩემკენ მზერს, ჩემგან ელის ნუგეშის სიტყვას... ჩემზეა, ჩემზე, ერის თვალი მოშტერებული და სასწაულსა მოითხოვენ...!
- ქიანბერი — მაგრამ მე უფრო ის ზაფიქრებს, ჩემო ხელმწიფე, რომ შენი ტანჯვა კვლავ გაგრძელდეს... დავით სოსლანი არაფერს ვეატყობინებს!
- თამარი — შენც დაგიფიქრა და მეც დამთმო, ჩემო მოხუცო!
- ქიანბერი — ამბობენ, თითქოს დვალეთშია. — დრტვინავს იქ თურმე ღრმა მწუხარების სახმილისგან შეძრწუნებული!
- თამარი — ეგრემც იქნება... ფიცისგამტეხი ვერსად მოისვენებს!
- ქიანბერი — შეუღღით, დედოფალი, იმის ბრალი არ ყოფილა!
- თამარი — მაშ, ვისგან არის სული ჩემი ეგრე მტირალი! სახლსა შინაგან მყოფი ტყვეს ვგეგარ, ღალატით შეპყრობილსა, შეღამებით გათენებად დე ვკენისი და ვვალალებს..
- ქიანბერი — ეგრე ნუ ჰგოდებ დედოფალი! შენ, შენი თავი არ გეკუთნის... შენ ერისა ხარ! შენ ჩვენთვის ქალიცა ხარ და ვაჟიც! რომელმან შესწიროს თავი თვისი მშობელ ქვეყანას, ის ეზიაროს უკვდავებას!
- თამარი — მძიმე აღთქმაა ეს, მოხუცო... მეტად მძიმეა უსიხარულო სასოება... ნუ თუ ვერ უნდა აღორძინდეს სიყვარული გულის ყვავილად...?!
- ქიანბერი — აღორძინდება, დედოფალი... წმინდა გრძნობები არასოდეს არა კვდება!
- თამარი — ჩემო ქიანბერ, გული მოკვდა და დაიფერფლა!
- ქიანბერი — ეგრე არ გახლავთ, ხელმწიფეო!
- თუ გული პირად გრძნობისათვის ჰკვდარია უკვე, მკვდრებით აღსდგება იგი ერის სასიქადულოდ...
კმარა გოდება... საქართველო გულის პირიშუეს...
აგერ, ვაზირნიც მოგეაზღუნენ, სურთ გეთათბირონ!
- (მომოვლენ: ზაქარია მხარგრძელი, რატი სურამელი, შალვა თორელი, ბოცო მსაჯული, გუზან ერასთავი და ვარდან დადიანი.)*
- ზაქარია — მიიღეთ ჩემგან უმდაბლესი ყმური სალამი. თქვენი ბრძანება უკვე შესრულებული გახლავთ, ხელმწიფეო!
- თამარი — სად გყავს ლაშქარი, სპარსალარო, დავანებული?
- ზაქარია — დენის სანახებში, მეფეთმეფეო. ხოლო ნაწილი აქ ჩამოვიყვანე თქვენი ბრძანებით და ქალაქის ციხე-კოშკებში დავაყენე!
- თამარი — კარგად მოუარეთ, ქვეყნის დამცველთ პატივი არ მოაკლდეთ!
- ზაქარია — ნუ გეფიქრებთ, ხელმწიფეო, თვალის ჩინივით შევინახავთ!

- რატო — ჩვენც ხელმწიფეო, უკვე შევუდებით თქვენი ნებასურვილის შესრულებას... უკვე დავიწყეთ ჰერეთში არხის გაქრა!
- შალვა — დიახ, ხელმწიფეო... მალე მდინარე ალაზანი თუხადი მოიწყვეტება ხრიოკნი ველნი ჰერეთისა...
- თამარი — ყოველივე იგულვეთ, დიდებულნო, რათა არხი იგი გაქრას კეთილად, ზღუდე აშენებული იქნეს ქვითა და კირითა... გონივრად იშრომეთ და კეთილად გაისარჯენით!
- ერიხთავები — ეგრემც იქნება, დედოფალო! ყოველგვარად ვიგულმოვდგინებთ, რათა სურვილი შენი შეეასრულოთ!
(რატო, შალვა და ზაქარია ვაღიან)
- გუზან — ჩვენ რას გვიბრძანებ, ხელმწიფეო?
- ვარდან — რა დავალებას დაგეჲაქსრებ აღსასრულებლად!
- თამარი — რა უნდა გითხრათ, დიდებულნო! თქვენ უკვე ქვეყნის საქმეზე აღარ ფიქრობთ!...
- ვარდან — ო, ხელმწიფეო! ეგ საყვედური არ გეჲკუთვნის, ღმერთია მოწმე!
- თამარი — მაშ, ვის ეკუთვნის? ჩემი სურვილის წინააღმდეგ, განა თქვენ თვითონ არ მოიყვანეთ ის ტაბუკი, რომელიც დღემდე აქ, ჩვენს სამეფო კარზე იმყოფება?
- ვარდან — როგორ, დედოფალო?
- ბოცო — განა მხოლოდ ჩვენ ვზრუნავდით იმ უფლისწულის ზოყვანისთვის?!
- გუზან — ის ხომ შთელი ერის ნებასურვილმა აირჩია, ნეტარო დედოფალო!
- თამარი — მაგრამ მიალწიეთ კი თქვენი წადილის შესრულებას? თქვენ თქვენის დაქინებით საქმის წახდენა შესძელით, მაგრამ გამოსწორებას ვერ ახერხებთ!
- გუზან — ღმერთია მოწმე, რომ ჩვენ გულწრფელად ვმოქმედებდით!
- თამარი — დე, ამისათვის ჯოჯოხებთმა გითხრათ მაღლობა!
- ბოცო — ჩემო ხელმწიფეო...
- თამარი — ვთხოვთ, რომ დამტოვოთ, დიდებულნო... ახლა დრო არაა ზაქანს და შემდეგ ღმერთმა, თუ ინება, მოვიცილი თქვენთვის.
- გუზან — წაიდეთ, ვარდან... ჩვენი აქ ყოფნა ზედმეტია!
(გუზან, ვარდან და ბოცო ვაღიან)
- ქიამერი — მატრიმოყვარე ხალხისათვის მეტად მძიმეა, ხელმწიფეო, ამგვარი ვასტუმრება!
- თამარი — ვიცი, ქიამერ, რომ მძიმეა, მაგრამ ესენი ჩვენთვის სანდონი არ არიან!
- ქიამერი — ამას ვის უხედავ, ღმერთო ჩემო! დაეით სოსლანი, ხელმწიფეო!
(შემოდის დავით სოსლანი)
- სოსლანი — ჩემო ქიამერ... ჩემო კეთილო მოამაგე!
- ქიამერი — არ გეკადრება, უფლისწულო, ეგეთი გულციეობა... სად დაიკარგე, აგრე სულ როგორ დაგვივიწყე!...
- სოსლანი — ჩემო ქიამერ, განა შემეძლო შენი დავიწყება?
- ქიამერი — ვიცი, შვილო, ყველაფერი მესმის... წავალ და ჩვენებს შენს ჩამოსვლას შევატყობინებ!
(ქიამერი ვაღიან)



- სო სლ ა ნ ი — ჩემო შინადარო ხელმწიფეო!
- თ ა მ ა რ ი — მიკვირს, რა პირით მოხველ ჩემთან, სვეუბედურო!
- სო სლ ა ნ ი — მოველი, რათა ორი წლის უმკაცრესი განმარტებამ შემდეგ უკანასკნელად მაინც ვიხილო შენი სახე!
- თ ა მ ა რ ი — თუ ამისათვის მოხველ ჩემთან, გიჯობს წახვიდე!
- დ ა ვ ი თ ი — ორი სასტიკი და უბედური წლის შემდეგ ესე არ წავალ, დედოფალო, რომ შენი რისხვის მიზეზი ვერ შევიტყო!
- თ ა მ ა რ ი — და მაინც მიზეზს კითხულობ შენ?
- დ ა ვ ი თ ი — მინდა ვიცოდე, შენს წინაშე, თუ რა ბრალი მაქვს?
- თ ა მ ა რ ი — ფიცის გაბტები და მუხთალი, უნდა უწყოდე, ზეცის წინაშე პასუხს აგებს!
- დ ა ვ ი თ ი — და შენს წინაშე, ოლონდ მითხარო, რა მიმიძღვის დანაშაული?
- თ ა მ ა რ ი — განა არ იცი, რაც მიგიძღვის? ეს ჩემი გული, მე მხოლოდ შენ ერთს შემოგწირე. შენი გულისთვის უფრო დიდ მსხვერპლსაც გავიღებდი, რომ შენი სული არ შეხილა დაკნინებული... არაფერს ამბობ? ან რისი თქმა ძალგის შენ ახლა, განადგურებულს საკუთარი უმეცრებითა! რაღაი დამთმე, აწ მეც დაგთმობ, ღმერთმა ქნას მალე გადავიხადო ცუდად შენი ხელოვანება!
- დ ა ვ ი თ ი — ეგრე ნუ შრომხავ, გვედრები უკანასკნელად!
- თ ა მ ა რ ი — მაშ, ვინ შევრისხო? აღარ გახსოვს ის თათბირის დღე, დარბაზის ერთი, რომ იდექი თავისთვის ჩუმად... ერთი ხმაც შენგან არ მსმენია და როცა მძიმე განსაცდელისა და მზადყოფნის წუთები დადგა — განშორდი დარბაზს მედიდურად!
- დ ა ვ ი თ ი — მარჯვი, რა მექნა, ხელმწიფეო? იქ რომ ვცდილიყავ, განა შევძლებდი დიდებულთა განზრახვის ჩამლას?! ეს იქნებოდა სიგიჟე და სხვა არაფერი... და ამას გარდა, შენმა დასტურმაც გული მომიკლა მე უბედურს!
- თ ა მ ა რ ი — ოი, უგუნურო! რაზე ვერ მიხვდი, იქ შეფარვით ნათქვამ დასტურსა გულის დასტური რომ არ ახლდა. ის იყო მხოლოდ დროს მოგება, სხვა არაფერი!
- დ ა ვ ი თ ი — ო, ჩემო, მარად სვეუბედურო დედოფალო!
- თ ა მ ა რ ი — უმჯობესია მეუღარი ვიყო, ვიდრე უბედური: ნეტავი სრულიად უბრალო აზნაურის ქალი ვყოფილიყავ, განშორებული სრასაახლეს, გვირგვინს, დიდებებს, დიდგვაროვანთა მანქვა-გრეხას... მაგრამ რაკი მუფე ვარ, ყოველივე უნდა ავიტანო... უნდა ვიბრძოლო შენთვის, ჩემთვის და ყველასათვის, ადამიანის უფლებების დაცვისათვის... და შენ ამ ბრძოლებში ჩემი შემწე და ქომაგი უნდა იყვი!
- დ ა ვ ი თ ი — მაშ, აღარ მიჯაერდები, ჩემო ხელმწიფევი? შემცოდე ვარ მაგრამ პატივებს არა გთხოვ... მომეცი ნება თავი დავისაჯო!

თ ა მ ა რ ი — ამას რად ამბობ! სწორედ ახლაა საჭირო შენი შემართება... უფლისწული უკვე დაექანა თავის ბუნებრივ ცდუნებებს! თქვამს, თვით-ნებობს, გულხეწვობს... ახლა თვით მისი მომხრე დიდებულნიც აღარ არიან კმაყოფილნი უღირსი მოქმედებით.

ღ ა ვ ი თ ი — ო, ჩემო ბრძენო ხელმწიფეო... ასე მგონია ხელახლა დავიბადე!

თ ა მ ა რ ი — წარვედ, შეკრიბე, ვინც გეგულის ჩვენი ზომბრენი და სამოქმედოდ განეშადე.

ღ ა ვ ი თ ი — ვფიცავ ყოვლისა დამბადებელ დაუსაბამოს, რომ სიტყვა შენი შევასრულო ღვთის საქმედ თქმული.. მშვიდობით ჩემო ხელმწიფეო!

(ღ ა ვ ი თ ი თამარს გამოთხოვება და მიდის. მცირე ხნის შემდეგ დ ე დ ო ფ ა ლ ი მივა კედლთან, ფარდას გადასწევს და ხატის წინ დაიჩქებს. შემოდის რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, როცა შენიშნავს ხატის წინ დაიჩქილ თამარს, — მოწიწებით უკან დაიხვეს).

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ღმერთო! რა ცუდ დროს შემოვედი... რა წამებაა, შენს წინ ღვთაებრივ ქანდაკებას ხელაღე ცოცხალს, დამაბრმავებელ, მაცდუნებელ სილამაზისა და ახლოს მოსვლა არ შეგეძლოს!... ოი, აღასფერი! მე შენსა ტანჯვას ნათლად ვხედავ... ახლა გავიგე, რომ სულის მსჭვალვა იყო შენი ძრწოლის შიზეზი?!

თ ა მ ა რ ი — (ლოცულობს) ღმერთო ზაღალო! ყოვლისა შემძლე ზენაარსო, შენ უწყვი, რომ მე, ეგრე შეთენილს საწუთროში უკვე აღარავინ გამაჩნია ჭირისუფლად... არცა დედა, არცა მამა და არც სხვა ვინმე მამაკაცთაგან ნათესავი... მხოლოდ შენ მექმენ შემწედ და მფარველად, რათა განსაცდელის ეპსს, ვერცა ვიწრობამან, ვერცა შიშმან, და ვერცა ცდუნებამან სოფლისა, ვერ შეარყოინ სული ჩემი! ნუ განმაშორებ, გვედრები, ჩემი სულის სწორს, ყრობისა დღიდან ჩემს ოცნებასთან შეზრდილ ყრმასა... მიეც იმას და მეც მომხმადლე წყალობა შენი!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ამინ!

თ ა მ ა რ ი — ეგ რა ხმა იყო!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — მე ვარ, მზის დარო ხელმწიფეო... შენს წმინდა ლოცვას შორიდან ყურს ვუვადებდი.

თ ა მ ა რ ი — მოდი, მგოსანო, შენც ილოცე!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ჩემს სულს ლოცვები აღარ შევლის, ჩემო ხელმწიფეო!

თ ა მ ა რ ი — ეგრე რად ამბობ... ლოცვის შემდეგ ჩვენი ფიქრები — ყოველთვის წმინდა და უმანკო ხდებიან ხოლმე!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — მაგრამ ლოცვაშიც ვერ იპოვნის კაცი დიდ ნუგეშს, თუ საფუძველი იშედისა დანგრეულია!

თ ა მ ა რ ი — ხუთუ შენც დიდად იტანჯები, ჩემო მგოსანო!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ათასჯერ მეტად, ვიდრე თქვენ ამას წარმოიდგენთ!

თ ა მ ა რ ი — მაინც რა მოხდა, რა მიზეზია, რომ ეგრე ალეღვებული ლაპარაკობ?

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ჰკითხეთ მიქაელ კათალიკოსს... მან ჩემი თხზულების გადაწერა ბერებს აუკრძალა!

თამარი — როგორ თუ ბერებს აუკრძალა?

რუსთველი — აგერ, ის თვითონ გამოცხადდა. დაე, თვითონ სთქვას, ჩემს წინააღმდეგ, თუ რა მტრობა ამოქმედებდა!

(შემოდის მიქაელ)

მიქაელ — მაქვს პატივი გეახლოთ, ნეტარო დედოფალო!

თამარი — ნუ თუ მართალია, თქვენო მეუფეზე, რაც მე რუსთველის წიგნზე მოვისმინე?

მიქაელ — მართალი, გახლავთ, ხელმწიფო!

თამარი — მერე ეგ რად ჰქენ? ვის გაუგანია ერთ სახელმწიფოში ორი მოთავე ერთმანეთის საწინააღმდეგო ბრძანებას იძლეოდეს!

მიქაელ — მაგრამ არც ის ეგების, ჩემო ხელმწიფეო, რომ საერო თხზულებას მონასტერში ვგზავნიდეთ გადასაწერად. ეს წიგნი კი არა, უწყის ღმერთმა, ხორცის დამწველი კოცონია... ამის დამწერიც საშიშია, შენთვის, ჩემთვის და ქვეყნისათვის.

რუსთველი — რით ვარ საშიში, მეუფეო!

თუ სასაფლაოდ გსურს აქციო მთელი ქვეყანა,

დაე, უწყოდე, მას ვერ შესძლებ, რადგან ძალები,

როზელმაც შექმნა ეს სამყარო, უფრო დიდია,

ვიდრე ქადილი მომაკვდავთა! უძლეური ხელი

ვერ შეაჩერებს ამა სოფლის ბრუნვის კანონებს!

აბა, შეხედე დიდ შემოქმედს, მისი ძალები

როგორი ლალის ნებისყოფით თავისუფლობენ!

ყვავილდის ყლორტში ითმენს ჭიას, შენ კი უბრალო

ფოთლის შრიალი შიშის ზარს გვემს, მზად ხარ აკრძალო

ყოველი წმიდა ჩანაფიქრი მომავლის შიშით!

მიქაელ — შესდექ, ლეთის მონავ, უკმეხია შენი ყვედრება!...

განა მე შენი დაღუპვა მსურს?

რუსთველი — მაშ, ვისგან არის სული ჩემი ეგრე დევნილი?

მე მინდა თავისუფლება, შენ კი მას წინ ელობები დაბრკოლებად... მე

მინდა ცხოვრება, შენ მას ძირში ჰკვეთ უმოწყალოდ... მე მაქვს მიზნები,

მაგრამ ისინი შენი გულმრუდე მოქმედებით იღუპებიან!

მიქაელ — შენც დაიღუპვი მათთან ერთად!

თამარი — შესდექ, მიქაელ! გონს მოეგე, შენგან ეგ რისხვა არ ეგების!

მიქაელ — ან მე, ან ეგ ყმა უნდა იყოს ამ ქვეყანაზე... ჩვენ ორში ერთერთი აირჩიე!

(გარედან ხმაური და ჩოჩოლი მოისმის. შემოდის კიბერი)

თამარი — რა ჩოჩოლია... საიდან მოდის ეგ ხმაური?

კიბერი — ჩემო ხელმწიფეე... ის საზარელი ცემა-ტყეპა კვლავ განმეორდა... გიორგი უფლისწული ახლაც ლამობდა შემოჭრას სასახლეში, მაგრამ, როცა გუშაგები წინ აღუდგენ, ერთ მათგანს სცემა უნაწყალოდ.

თამარი — ოი შენ, ღმერთო, დიდებულო!

კიბერი — მითხარ, შობრძანე, რა მოვაგეარო, ხელმწიფეო!

თამარი — ბევრი ვითმინე, კიბერო! მეტის მოთმენა აღარ ძალმიძს... სასწრაფოდ მოუხმე დარბაზის ერს: დე, ამ საღამოს გადაწყდეს საბოლოოდ



რის ღირსიც არის უფლისწული!

(მიაბერი გაღის)

მიქაელ — ჩემო ხელმწიფეო!

თამარი — კმარა, მოძღვარო! აწ ერთ სიტყვასაც არ მოვისმენ... რაც სათქმელი გაქვს, იქ, დარბაზის ერის კრებაზე მომახსენე!

მიქაელ — მშვიდობით, ჩემო ხელმწიფეო... შენ კი, სათანაილის მოციქულს, წვერზე ფუპ მიყავ, თუ ეგ ურჩობა შეგარჩინო!

(მიქაელ გაღის)

თამარი — ჩემო მგოსანო!

რუსთველ — ცათა სწორო!

თამარი — წადი, ეახელ, გააფრთხილე დავით სოსლანი, რომ სამოქმედოთ განემზადოს!

რუსთველი — მზად ვარ შენს სურვილს შევეწირო ჩემო ხელმწიფეო... მსხვერპლი არ მშურს, ოღონდ თქვენ იყოთ ბედნიერი!

სურათი მეორე

დარბაზის ერის საკრებულოს აივანი. კედლები გაწყობილია ძვირფასი ქსოვილებითა და ზუქრობებით. ზანქან ზორობაბელი გამოდის დარბაზის ერის საკრებულოდან, მას უკან მოსდევენ ბოცო მსაჯული და ვარდან დადიანი.

ბოცო — დაიცა ზანქან, სად ვარბიხარ!

ვარდან — მსაჯულო, დაიჭი, არ გაუშვა!

ბოცო — არ ვესმის, ზანქან, შეიცადე, საქმე გვაქვს შენთან, დიდი საქმე!

ზანქან — ვიცი, რაც არი... ჩემო ჭკუავ, ჩემო სულელო და ბრიყვო ჭკუავ! საიდან სად ჩამოვიყვანე ის გადაბთიელი უფლისწული, შაგრამ კაცს თურმე სიკეთე არასოდეს დაგიფასდება! გინდ უმადღურისათვის სიკეთე გაგიწევია, გინდ ზღვაში წყალი ჩაგისხამს, სულ ერთი ყოფილა!

ბოცო — სხვა რაღა გინდა, დალოცვილო, სავაპრო ქარვასლებზე ნებაოთვა ზომ მოგეცით!

ვარდან — სხვა დანარჩენსაც მიიღებ, როცა გიორგი უფლისწული თამარზე იქორწინებს!

ბოცო — ვის ატყუებთ, ზანქან ზორობაბელს?! განა არ ვიცი ჩვენი პირიშუე უფლისწულს ახლოს რომ არ იყარებს!... აი, ახლაც იმაზე თათბირობენ, როგორმე უფლისწულს ექსორია მოუწყონ და დავით სოსლანი შერთონ თამარს! აგერ, გუზანიც!

(შემოდის გუზანი)

ვარდან — რას შევბი, გუზან. როგორ მიდის თათბირის საქმე?

გუზანი — ვერაფერს გავხდო, მეგობრებო. დარბაზის ერის დიდი ნაწილი უკვე დავით სოსლანის მხარეზე დგას... რუსთველი იბრძვის, კათალიკოსი ყოყმანობს. თუ ღროზე უფლისწულს არ უშველეთ, შემდეგ, გათავდა. ჩვენს საქმეს აღარაფერი ეშველება!

ზანქან — რაო როგორ თუ აღარ ეშველებათ? ზამ, დაველუბულვარ და ძგ არი, ერისთავო!

გუზან — ჩემდა! რა გაღრიალებს, სოვდიაგარო? განა არ ხედავ, რა დიდი საფრთხეა შემზადილი! ჩქარა, მომყევით, მეგობრებო, დრო აღარ დამეწეა! მენს დაყოვნებას, საჩქაროდ მოვეძებნოთ გიორგი უფლოსწყული.

(ყველანი გადიან. შემოდის კიაბერი)

კიაბერი — ღმერთო მაღალო! აბასაც მოესწარ, ჩემო ქალარავ! გუზან და ბოცო უკვე საფრთხეზე დაღალებენ შეცბუნებულნი! კარგი საფრთხეა ქეშმარიტად! წადით და ჰკურნეთ ბაბილონი! ჰკურნავენ ბაბილონს და არა იყო კურნება მისი!

(შემოდის ჯუჯა).

დაიცა, ჯუჯა, სად გარბიხარ?

ჯუჯა — აგერ, ბატონო, გუზანთან მივიჩქარი!

კიაბერი — მერე და არ გრცხენია, იმისთანა უმატიოსსო კაცთან რომ დადიხარ წარამარა!

ჯუჯა — რა ვქნა, ბატონო, მარტო პატიოსან კაცისას თუ ვიპარე, მაშინ ველარაისთან მიქსულვარ ჩემ სიცოცხლეში!

კიაბერი — ეგეც მართალია!...

ჯუჯა — როგორ ფიქრობთ, ბატონო, ამ საღამოს ცემა-ტყევა კიდევ იქნება?

კიაბერი — აღარა, ხეიბარო! უკვე მორჩა. აი, გახედე, როგორ განირღდნებულა სასახლე... იქ ახლა დიდი თათბირია... გიორგი უფლოსწყულის განდევნას მოითხოვენ... განდევნიან კიდევ, როგორც კი თამარ მობრძანდება!

ჯუჯა — აგერ, ისინიც ბატონო! არ ხედავ, ჩვენი ცრუ-მგოსანი რა ყოფაშია როგორ მოუძღვის წინ უფლოსწყულს მთვრალი ჯაშუზივით. თუ ახლა ესენი აქ მოვიდნენ, დიდი სერიო კი იქნება!

კიაბერი — ღმერთმა დაგვიფაროს! ახლავ წავალ და გუშაგებს გავაფრთხილებ!

(კიაბერი გადის. შემოდის გუზან ერისთავი და იგორ ბოგუსლიცო ჯუჯას სვეტს მოეფარება)

იგორი — ბატონო გუზან!

გუზან — რაო, იგორ! გედაღვის განა შენც ჩემსავით სპეტაკი გული!

იგორი — აგერ მოდიან, ჩემო გუზან, ნასვამი მოდიან!

გუზან — მერე ეს არის შენი დახმარება? რამდენჯერ ვთხოვე, უფლოსწყულზე კეთილად გემოქმედნა!

იგორი — რა ვქნა, ვაზირო, რა არ ვცაღე, რა არ ვიღონე, მაგრამ საშველი არ დაადგა... ამერიდან მე მასზე ზელი ამიღია!

გუზან — როგორ თუ ზელი ავიღია?

იგორი — აღარაფერს მოგერის, ერისთავო! მე როგორც ვატყობ, მავის კურნების წამალი არ არსებობს!

გუზან — შენ ამბობ ამას, ჩემო იგორ?

იგორი — მარტვი, ვაზირო, რა ვიღონო, რით დაგებმარო?

გუზან — წისქვილის ქვები რომ ერთმანეთს არა შეელოდნ, ცალმა რაც უნდა იტრიალოს, ვერაფერს დაფქეავს! წამოდი ჩემთან, მე შენ გასწავლი, როგორ და რა გზით იმოქმედო!

(იგორ ბოგუსლიცო და გუზან გადიან. შემოდის შერგილი)

ჯუჯა — მგოსანს ეახლაეარ, შერგილ მგოსანს!

შერგილი — შენა ხარ, ჯუჯა?

ჯ უ ჯ ა — მე ვარ მგოსანო... გუზანი შენზე ნაწყენია!

შ ერ გ ი ლ — რაო, რას ამბობს, რა მინდაო?!

ჯ უ ჯ ა — ცუდ გზაზე ყავსო უფლისწული დაყენებული! სახელს უტყუხ და დღე ნიადაგ ღვინოს ასმევსო.

შ ერ გ ი ლ — მამა უცხონდა! გამღელი ზომ არა ვარ, რძე და შარბათი ვახერებინო!

ჯ უ ჯ ა — კი, მაგრამ ზომის დაქერაც საჭიროა... მაგრამ რას ვამბობ! შენ რომ სინიღისი სუფთა გქონდეს, კაცური კაცი იქნებოდის!

შ ერ გ ი ლ — მერე შენ, რომელი სინიღისის წამკითხავი ბრძანდები!

ჯ უ ჯ ა — რატომ გგონია, რომ არა ვარ... რაც აღამიანს შუბლზე ნამუსად აწერია, მე იმას თვალდახუჭული წაეიკითხავ!

შ ერ გ ი ლ — აბა, მოდი და წაიკითხე!

(ჯ უ ჯ ა შუბლზე დააკვირდება)

ჯ უ ჯ ა — ამ უბედურმა, ის უბედური დაღუბოსო!

შ ერ გ ი ლ — რაებს ბუტბუტებ ქარაგმულად! მთვრალი გგონივარ. შე ბეხრეკო?

ჯ უ ჯ ა — არა, გეთაყვა! მთვრალს რა გივავს, ისე, ცოტაოდენი ნასვამი ბრძანდები!

შ ერ გ ი ლ — ო, ნასვამი კი ვარ... ნამღვილი ღვინო დღეს განვიცადე გიორგი უფლისწულთან!... სასახლის კარზე ცეკვით და მუსიკით მოგვაცილეს! იცი, ხეიბარო, რამდენი დაელიე? აი, ნამღვილი ღვინოს ჭურჭელი მე ყოფილვარ!

ჯ უ ჯ ა — ეგრეა, მამ!

ღვინოს ჭურჭელსა მხოლოდ ღვინო შეეფერება,
ულირს კაცს ზნედ სჭირს უსათუოდ გაიბერება,
დასერილი შუბლი ზეხვითაც არ გაიფერება,
ნამუსის ქული — თუ ვაცვდა, არ გაიკერება,
სატრფო ჯავრს ყრილობს, თუ მიჯნური არ ეფერება!..
ვაი, შენს ჭკუას, თავო, ჩემო, რა გემღერება,
როცა გამგონე ბრძნული სიტყვის არაფერ არის!

შ ერ გ ი ლ — აგრე ზომ, აგრე მასხარად მივღებ! შერგილ არ ვიყვე, თუ ეგ ყბელობა არ განანე!

(გამოუდგება, დაიქერს და წაქეცხვს. შემოდის გ უ ლ ნ ა ზ ი)

გ უ ლ ნ ა ზ ი — ეი, შერგილ! შერგილ მგოსანო, მოითმინე! რას სჩადი ამას, არ გაბედო!

(შ ერ გ ი ლი ჯ უ ჯ ას თავს გაანებებს და გ უ ლ ნ ა ზ ი ს გამოუდგება)

შ ერ გ ი ლ — ჩემო სიცოცხლის ანგელოზო, სად მიიჩქარი?

გ უ ლ ნ ა ზ ი — გუზანს დავეძებ, დარბაზის ეზოს თათბირზე ეძახიან!

(მიდის).

შ ერ გ ი ლ — გაჰქრა, წავიდა, ვით ჩვენება მსუბუქფერთიანი!

ჯ უ ჯ ა — და შენ დაგტოვა დაჭრილი და გულსევდიანი!

შ ერ გ ი ლ — იცი, რამდენი ბნელი ხვეული აქვს კაცის ცხოვრებას, ხეიბარო! შე გულნაზი მიყვარს, გულნაზს — რუსთველი, რუსთველს — თამარი... და ასე მიდის ეს გრძელი კიბე ჯანდაბისკენ... წადო, ჯუჯა, წადი და ღვინო მომიტანე!



გ უ ჯ ა — წავალ მყისვე, შევაწუხებ
 მოლხენის ღმერთს, დიანოსს!
 ისეთ ღვინოს შემოგიტან,
 ცეცხლებს აგაბრიალოს,
 მწუხარება დაგაეწყოს,
 დამწვარ სულსაც იამოს!

(გ უ ჯ ა გადის. შემოდის გ უ ზ ა ნ ი)

გ უ ზ ა ნ — რა ამბავში ხარ, მგოსანო, როგორ გეკადრება ეგეთი სითამამე!
 ძლივს უფლისწული დავაწყნარე და ახლა შენ იწყებ აყალმაყალს!...

შ ე რ გ ი ლ — ჩემო გუზან, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

გ უ ზ ა ნ — კარგი, ვაჩუბდი... ვიცი, გულნაზიმ ყოველივე შემატყობინა! აბა,
 გასწი და შენს საფანეში მოისვენე... ნულარ აყოვნებ, წადი-მეთქი, არ
 გეყურება?

(შ ე რ გ ი ლ ი გადის)

გ უ ზ ა ნ — ო, ღმერთო, როგორ ინგრევა და იფუშება ის შენობა, რომლის
 აგებას მთელი სიცოცხლე ვესწრაფოდი... ნუთუ ჩვენზე დავით სოსლან-
 მა უნდა იბატონოს იმან გვიჩძრანოს, იმისი ნება შევესარულოთ?! შშვი-
 დობით მაშინ დიდგვაროვანთა სიამაყევე! აგერ, ის ჩემი ბედისწერაც
 მიახლოვდება!

(შემოდის დ ა ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი)

ს ო ს ლ ა ნ ი — ბატონო გუზან, აქ რას დგებხართ! რატომ იქ დარბაზის ერის
 თათბირზე არ ბრძანდებით?

გ უ ზ ა ნ — მე იქ საჭირო აღარა ვარ... მე უკვე თვალები ამეხილა!

ს ო ს ლ ა ნ ი — როგორ თუ თვალები აგეხილა?

გ უ ზ ა ნ — დიდი კაცის ცხოვრებაც ისეთივე უაზრო ყოფილა ქვეყანაზე,
 როგორც უბრალო მწერისა!

ს ო ს ლ ა ნ ი — და განა უბრალო მწერის არსებობა კი უაზროა? შემოქმედს,
 ერისთავო, ყველაფერი ბრძნულად აქვს დადგენილი:

გ უ ზ ა ნ — სისულელეა! რა სიბრძნეა იმაში, ჯერ ცოცხალი არსება გააჩინო
 და მერე მისცე მუდმივ ტანჯვას და მწუხარებას! მაგრამ შემოქმედს რას
 ვემდური! თვით დედოფალი წყარო არის ჩემი ვარამის... შენც მასთან
 ერთად!

ს ო ს ლ ა ნ ი — მეც, ერისთავო?

გ უ ზ ა ნ — შენც, ისიც, სხვებიც! ასე მგონია ყველა დიდებული ამ ერთ ქალ-
 ზე ხართ გაბოჯნურებული!

ს ო ს ლ ა ნ ი — მერე შენ ვინდა ეს დიდი გრძნობა მთელს ერს გულიდან
 ამოგლიჯო?!

გ უ ზ ა ნ — ამასაც ნახე! აწ ჩემი დაშნა მსაჯულია შენი სულისა!

ს ო ს ლ ა ნ ი — რას ბედავ, გუზან! ხმალი ჩააგდე, ერისთავო!

გ უ ზ ა ნ — შეშინდი განა! ხმალი-თქო, ხმალი,
 თუ არ ვინდა ლაჩრულად მოკვდე!

ს ო ს ლ ა ნ ი — დედას ამ ქვეყნად იმიტომ კი არ უშობივარ, რომ შენმა
 ხმალმა მომაკვდინოს. რაკი არ იშლი, მეც მზადა ვარ... ღირს-ჰყავ რკი-
 ნებად, შეუფეო, მახვილი ჩემი!

(დ ა ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი და გ უ ზ ა ნ ერთმანეთს ხმლით შეებმებიან. მცირე ხნის შემ-
 დგ დ ა ვ ი თ ი ხმალს ვააგდებინებს გ უ ზ ა ნ ს ხელიდან და ზედ ფეხს დაადგამს)

გ უ ზ ა ნ — ფეხი ამორე, ხმაღს ნუ ბილწავ, სვეუბედურა!

ს ო ს ლ ა ნ ი — ამოა ცდაა, ერისთავო, ხმაღს ვერ მიიღებ...

შენი მახვილი შენს მაგიერ განერთხო მიწას.

გ უ ზ ა ნ — მაშ, რალას უცდი, მომაკედინე შენის მახვილით!

ს ო ს ლ ა ნ ი — უკვე მკედარი ხარ ერისთავო!

გ უ ზ ა ნ — როგორ თუ მკედარი?

ს ო ს ლ ა ნ ი — სადაც ვაეკაცი თავს შეირცხვენს, მისი სამარეც იქ არის!

(ამ დროს შემოდის დიდებულები. ჭიაბერ, რატი სურამელი, შალვა თორელი, ზაქარია მხარგრძელი, ბოცო მსაჯული, ვარდან დადიანი... შემოდის თამარი, სეფეპალთა თანლებით და ჭიაბერს მიმართავს.)

თ ა მ ა რ ი — უხმეთ მიქაელ კათალიკოსს! თვით შენ ეახელ, ჭიაბერ, და შოახსენე: ამხსნას პირობა დაწინდვისა!

ბ ო ც ო — ამას ნუ ბრძანებთ, ჩვენო გულისხმიერო და ნეტარო დედოფალო!

თ ა მ ა რ ი — განვედ! აღარ სთქვა ზეტი, უბედურა!

ვ ა რ დ ა ნ — თუმც მართალია, ხელმწიფეო, თათბირმა უფლისწულის განდევნა დაადგინა, მაგრამ თუ მას ავი უქნია და შეუტოდებია, შენ კეთილი ჰქენ და შეიბრალე!

თ ა მ ა რ ი — ამოდ რეც შენ, ერისთავო, კარსა რკინისასა მე ჩემი გული რვალის სარაზით გადავკეტე!

რ ა ტ ი — აგერ, მოძღვარიც მობრძანდება!

(შემოდის ჭიაბერი და მიქაელ კათალიკოსი)

თ ა მ ა რ ი — მამო მიქაელ! მე ვიცი საღმრთო წერილით უწყებულო, რომ ცოლი ქმარს არ უნდა გაეყაროს, მაგრამ მე არ ძალმიძს შრუდე ხის ჩრდილის გასწორება და ამიტომ უბრალოდ განვიყრი იმ მტვერს, რომელიც აღმეკრა მის ზიერ!

მ ი ქ ა ე ლ — ვიცი, ხელმწიფეო! ჭიაბერმა ყველაფერი შიამბო. რაკი შენი და მთელი დარბაზის ერის სურვილია, დე, განიკვეთოს ჩვენგან უფლისწული... ამიერიდან ამიხსნია პირობა ჯვრისწერისა! ვინც წინ აღუდგეს ამ განაჩენს, წყუღიმიც იყოს უკუნიით-უკუნისამდე!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ამინ!

თ ა მ ა რ ი — ჭიაბერ!

ჭ ი ა ბ ე რ ი — ხელმწიფეო!

თ ა მ ა რ ი — წადი, ეახელ საბოძერებით ჩვენგან განკვეთილს და სამშობლოში გაისტუმრე!

ი გ ო რ ი — ეგრე ნუ, ჩემო ხელმწიფეო... იმისი უკანგასტუმრება დიდი ცოდოა... ჩასვლისთანავე ბედკრულს სიცოცხლეს მოუსწრაფვენ! გთხოვთ სხვა მხარეში განაწესოთ სვეუბედურა!

თ ა მ ა რ ი — რაკი ეგრეა, თანახმა ვარ... ბიზანტიაში განაწესეთ!

ი გ ო რ ი — თუ ნებას დამრთავთ, ხელმწიფეო, მაქვს კიდევ ერთი სათხოვარი!

თ ა მ ა რ ი — სთქვი, რას იზრახავ!

ი გ ო რ ი — ის ამაღა, რომელიც მაშინ უფლისწულს ჩამოყვა სვინჯის ქალაქიდან, ამჟამად აქ თქვენს სამეფო კარზე იმყოფება! გთხოვთ, ხელმწიფეო, მოიღოთ ჩვენზე მოწყალება და აქ დაგეტოვოთ, თქვენი მზის და მიწაწყლის სამსახურში..

თ ა მ ა რ ი — დიდად მიხარის... უფალი იყოს თქვენი შემწე... კიბებო! შეიტანე მათი სახელი სიგელ-გუჯრებში და ღირსების მიხედვით შეგუბოძე ყმა და მამული!

ი გ ო რ ი — დიდა ხელმწიფეც, უაღრესად მადლობელი ვარ...

(ათალიკოსისა და შეთქმულ ერისთავების გარდა ყველანი გადიან).

მ ი ქ ა ე ლ — გუზან!

გ უ ზ ა ნ — ეგ რა ჰქენ, მეუფეო, ფიცი გასტეხე?

მ ი ქ ა ე ლ — შეწვევითა ღვთისათა, ვიჯმნი ყოველი ცდუნებისაგან, რადგან ამჟამად არა ხელსაყრელ არს ჩემთვის მზაკერულ საქმეთა განზრახვა თამარის წინააღმდეგ.

გ უ ზ ა ნ — მამ შენ ჩვენს აღთქმას გაურბიხარ?

მ ი ქ ა ე ლ — არც გაურბივარ, არც ვემზრობი... მე მხოლოდ გამარჯვებულ მხარეს დავლოცავ, შეილწო ჩემსო!

გ უ ზ ა ნ — დამარცხებულს კი წყევლით და კრულვით შეაჩვენებ!

მ ი ქ ა ე ლ — ვაი, დამარცხებულთ, რამეთუ კარი დახშული აქეთ სასუფეველისა!

(მ ი ქ ა ე ლ გადის. შემოდის ზ ა ნ ქ ა ნ).

გ უ ზ ა ნ — მოდი ზანქან, ახლა მჭირდება შენი ერთგული სამსახური!

ზ ა ნ ქ ა ნ — რა იყო, გუზან!

გ უ ზ ა ნ — აი, ამ წუთში, უფლისწულს ბიზანტიაში ძსტუმრებენ. შენც ხომ სავაქროდ ბიზანტიაში წასვლას აპირებდი?!

ზ ა ნ ქ ა ნ — ახლაც ვაპირებ, მაგრამ უფლისწულთან განა საშიში არ იქნება ჩემთვის მგზავრობა?!

გ უ ზ ა ნ — ნუ გეშინია! ჩემი ზრახვები დიდი ხანია იცის კეისარმა... უკვე ყველაფერი მზად არის. აი, ოქრო! რაზე ყოყმანობ, გამომართვი, გამოგაღებო! (ქისას გადასცემს) ჰო და ასე, როგორც კი ბიზანტიაში ჩახვალ, ჩვენი უფლისწული დაუყოვნებლივ კეისარს წარუდგინე. იგი მას დიდი პატივით მიიღებს და შენც უსაჩუქროდ არ დაგტოვებს... შენ იცი, ზანქან, როგორ იმოქმედებ! სთხოვე კეისარს, რომ უფლისწულს ლაშქარი სასწრაფოდ შეუმზადოს... და როცა კეისარიდან შენ კეთილის მახარობელი დაბრუნდები, მთელ საქართველოს დაგახვედრებ თამარის წინააღმდეგ აჯანყებულს.

ზ ა ნ ქ ა ნ — აი, ხომ გესმის, როგორ გაჰკივის, გუზან, მაყრიონი!

გ უ ზ ა ნ — ეგ არაფერი, ჩემო ზანქან! შენ მაყრიონი მაშინ ნახე, როცა სუფრაზე ჩვენი ნაღიმი გაიშლება!

მოქმედება მისამი

პირველი სურათი

სასახლე გაჩირადნებულია ნაირნაირი კაღებით. შუა ადგილას აღმართულია ტახტი ძვირფასი ქსოვილებით და თვლებით შემკული. ისმის შორეულ ზარების რეკა. შემოდის გუზან, ხოლო შემდეგ მეორე მხრიდან შემოვა ვარდან და დიანი.

გუზან — სად იყავ, ვარდან, რა გაიგე?

ვარდან — ყველაფერი რიგზეა, ჩემო გუზან! ერთი სიტყვა დამთელი საქართველო ფეხზე დადგება თამარის წინააღმდეგ!

გუზან — არც მე შეძინა, ჩემო კარგო. ბეც ტაო და კლარჯეთი შევეამზადე! აი, ხომ ხედავ, აქ რა ლხინი და ზეიმი აქეთ!!

ვარდან — ეგ არაფერი... ეგ დროებითი ზეიმი!
(შემოდის ბოცო)

ბოცო — რა ვქნათ, რა გზას დაეადგეთ, დიდებულნო? ხომ ხედავთ, ჩვენი კაცები რომ არ ჩანან!

გუზან — ნუ ღელავ, ბოცო! მალე უფლისწული ბიზანტიის ჯარებით ჩვენი ქვეყნის საზღვარს გადმოლაზავს...

ბოცო — რას ამბობ, გუზან! ეგებ გვატყუებს კეისარი!

გუზან — რის ტყუილი! აგერ, ამბავის ჩამომტანი!
(შემოდის ზანქან)

მობრძანდი, ზანქან, კარგად გვაუწყე, გაძევებული სიძე-ბატონი რას აბირებს!

ზანქან — უკვე მზად არის. კეისარმა ლაშქარი შეუმზადა. როს ნიშანს მასცემთ, — საზღვარს იმ დღესვე გადმოლაზავს.

ბოცო — ღმერთმა დღეგრძელ ჰყოს კეისარი!

გუზან — აგერ, მოდიან! — წამოდით ჩემთან, ბეგობრებო, სხვა საკულისხნო საქმეზე ვითათბიროთ!

(ვადიამ, შემოდის გულნაზი, მას მოყვებიან ხეფქალნი და სამეფო ფარდაც ყვავილწუნულებით რთავენ. შემოირბენს ჯუჯა და ქალებს შესახებებს)

ჯუჯა — იხარეთ, ჩემო ყვავილებო, იმხიარულეთ... ჩვენმა ნეტარმა დედოფალმა უკვე დავით სოსლანზე იქორწინა!

შერგილ — მერე შენ რა ვიხარია, შე ბედშავო!

ჯუჯა — ეჰ, შენ რა იცი! ქვეყნის სიხარული ჩემს გულსაც საამო სხივად ეფინება... აგერ მოდიან, წამო, მგოსანო, ამაღას შევეგებოთ!

შერგილ — წადი; დაიკარგე, მე ახლა შენთვის არ მცალია!

(ჯუჯა გადის, სეფე ქალებიც მიდიან: შერგილი თვალს მოყრავს. გულნაზის და წინ მიეგება)

გულნაზ!

გულნაზი — რაო, მგოსანო?

შერგილ — გთხოვ შეიცადო, ჩემო სიცოცხლის შთავონებავ, და ერთი წუთით მომისმინო!

გულნაზი — ბრძანე, მგოსანო!

შერგილ — როგორც ფარვანა სანთლის შექმნე შეყვარებული, ისე მეც ტრფობით შენი სახის მზეს შეეხაროდი...

ზაგრამ დამტური ჯერ არ გითქვამს...



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

გულნაზი — არც უნდა მეტქვა არაფერი.

შერგილ — არ უნდა გეთქვა?

განა გრცხვენია წმიდა ფიქრის გამელაენებისა?!

გულნაზი — გთხოვთ, აქ, ამაზე ნუჭრას მეტყვიით, ჩემო მგოსანო!

შერგილ — როგორც დიდება ბრწყინვალეა, თან სასურველი, ისე მწყურია შენი ტრფობა... შენი თავაზი... შენა ხარ ჩემი ლალ ოცნების ფიცხი გავაზი... მაგრამ სად არის ის ლეთიური განგება ჩუმო, მიჯნურთ გულებს რომ აკავშირებს რბილ აბრეშუმით. ნუთუ უარყოფ, რომ არსებობს ტრფობისა ღმერთი, წამი ყველაფრის გამგმირავი, რომლის ძირ-ფესო სიკვდილზეც უფრო ძლიერია, სულზე უტკბესო!

გულნაზი — ჩემო მგოსანო გთხოვთ შესწყვიტოთ ამაზე ფიქრი!

შერგილ — რამდენი ლექსი მომიძღვნია შენდა საქებრად, და მაინც სხვისკენ იყურება შენი გუჟანი! ნუ თუ არ ღირსეარ გავხდე შენი თანაზიარი?!

გულნაზი — გული სხვას გულობს, ჩემო შერგილ! სული ცხოველი — ესწრაფვის ზუღამ თავისივე მსგავსს ეზიაროს... მშვიდობით, ჩემო მეგობარო...

(მიდის)

შერგილ — ოხ, ღმერთო ჩემო! ნუთუ გაათავდა ყველაფერი ახლა, ვის უთხრა, ვის შეეჩივლო ჩემი მწუხარება! (ჯუჯა გამოჩნდება)

ჯუჯა — ისევ შენს ჯუჯას, ჩემო შერგილ!

შერგილ — აი, წაგიღოს ეშმაკებმა... შენც აქ ყოფილხარ?

ჯუჯა — დიახ, შორიდან დაგინახე! ხომ გაგიფრინდა შევარდენი!

შერგილ — გახსოვდეს, ჯუჯა, რომ ეს ქალი ჩემი იქნება!

ჯუჯა — ცუდი ამბავი გაგიზრახავს, ჩემო კეთილო!

შერგილ — რათა, ჯუჯა? განა ცუდია ცოლის შერთვა?

ჯუჯა — ჰე, შეირთავ — ინანებ, არ შეირთავ — მაშინაც ინანებ... ორთავე შემთხვევაში სინანულს ვერ ასცდები.

შერგილ — თუ კი ფერეა, სჯობს შევიერთო და ვინანო, ვიდრე არ-შერთვა მქონდეს სანანებლად სიბერის ეაშსა.

ჯუჯა — მე ჩემი მითქვამს... აწ შენ იცი!

(ჯუჯა გადის. შემოიღან ჭიბბერი, შავთელი, რატი სურამელი)

ჭიბბერი — აქ, რას უდგეხარ, ჩემო შერგილ! გასწი და მყისვე დედოფლის ამაღას შეეგებე!

შერგილ — ახლავ, ბატონო. შურდულივით გაფრინდები!

ჭიბბერი — აბა, შენ იცი, ჩემო რატი, დღეს ზეიმს წესრიგი არ მოაკლდეს!

რატი — ნუ გეფიქრება, ჭიბბერ, ყოველივე რიგზე იქნება!

ჭიბბერი — როდესაც დაფის ხმა გაიგონო, პირველად ელჩები გამოუშვი!

რატი — შემდეგ?

ჭიბბერი — შემდეგ მგოსნები მოვლენ მოსალოცად!

შერგილ — ელჩებს, რა ვუყოთ... კვლავ მოვიდნენ სხვადასხვა მხრიდან
სადარბაზოდ!

ქიბერი — უბრძანე მხლებელთ სეფე-კარავთან ზიაცილონს ^{ეკონომი}
(შემოდის გუგა).

გუგა — აგერ, ბატონო, იყალითოელი სწავლულნიც ჩამოვიდნენ... ერთი
შათვანი აქეთ მოდის, მგოსანი ჩახრუხაძე...

ქიბერი — აბა, შენ იცი, იოანე, მოდი და სწავლულთ შეეგებე! შენ ჩემ-
თან, რატი... შენ კი, მგოსანო, ისე მოიქეც, როგორც დაგარიგე!

გუგა — მე, ბატონო?

შერგილ — შენ თავის ადვილას დაეტი!

გუგა — როგორ თუ თავის ადვილას დავეტო! თავის ნამდვილი ადგილი
ვის მოუნახავს, მგოსანო, ცხოვრებაში!... ყველა იმას ეტანება, რაც არაა
მისი საქმე... აი, შავალითად: შენ რომ ლექსების წერა არ დაგეწყო —
შესანიშნავი მხედარი იქნებოდი, ახლა — კი არც ერთი ხარ და არც
მეორე!

შერგილ — ჩემად იყავი, თორემ იცოდე თავს წააგებ

(ქიბერი, რატი და შერგილი გადიან, სენაზე რჩება შავთელი)

ჩახრუხაძე — სალამი შეთელს... მეფეთ-მეფეს ტკბილი ხმებისა!

შავთელი — ჩემო მგოსანო, რა კარგი ჰქენ, რომ ჩამოხვედი...

ჩახრუხაძე — ჩამოველ, მაგრამ, როგორც ვატყობ, დავიგვიანე.

შავთელი — ეგ არაფერი... ნაღიმი გვიან დაიწყება... შენ ახლა ძვირფასი
მარგალიტები გექნება შეთხზული ჩვენი პირიშხის შესამკობლად!

ჩახრუხაძე — რა დაგიძალო... მაქვს რამდენიმე ლექს-შაირნი, მინდა ნა-
ღიმიზე დედოფალს წავეუკითხო! ო, მართლა, რატომ რუსთველი არსა-
და ჩანს?

შავთელი — მოვა, მგოსანო... ამეამად ისიც ეზადება დედოფლის შესახ-
ხვედრად... აბა, წავიდეთ, მეგობარო... ჯერ კიდევ ადრეა ზეიმის დაწ-
ყებად!

(შავთელი და ჩახრუხაძე გადიან. შემოვლენ სეფეკალები და ტახტს ყვავი-
ლებით რთვენ)

გულნაზი — რამდენი ყვავილები მოვიტანეთ, ჩემო დობილებო, რამდენი
ყვავილ წნულები დაეაგროვეთ, და მაინც უკეთესი ყვავილი ამოვა აქ, ამ
ტახტზე და ამ ყვავილებს სინათლის სვეტად დაადგება! რარივ ბრწყინ-
ავდა მისი სახე, ასე მეგონა: წინ ხორცშესხმული ანგელოზი იდგა უძ-
რავად და ჩვენს დალოცვას აპირებდა! აგერ, მგოსანიც აქეთ მოდის...
წავიდეთ, დობილებო!

(მოდიან, მაგრამ რუსთველი შენიშნავს გულნაზს და შეაჩერებს)

რუსთველი — აქ რას აკეთებ, ჩემო გულნაზ!

გულნაზი — სეფე-კარავს ვრთავთ ყვავილებით... ჯვარისწერის შემდეგ,
ხალხთან შეხვედრა იქ ისურვა ჩვენმა პირიშხემ!

რუსთველი — მიხარის დიდად... ღმერთმა ორთავე აცოცხლოს და აბედ-
ნიეროს!

გულნაზი — ჩემო ძვირფასო, შენ დღეს მწუხარე ფერი გადევს!

რუსთველი — სოფელი, გულნაზ, დიდი მწუხარების ადგილია!

გულნაზი — მწუხარებისო, ჩემო კარგო?



რუსთველი — დიად, დიდი მწუხარებისა!

გულნაზი — მაშ, ბედნიერების ადგილი სად ვეძიოთ, თუ ეგ მსოფელს ეგეთია?

რუსთველი — განა ღირს ძებნად? აბა, მარქვი, რა საჭიროა, ჩვენი დიდება, სიძულვილი, ან სიყვარული?! მისაღებია განა ჩვენთვის ამდენი ტანჯვა, თუ მომავალში გვიწერია წუთისოფლის მდგმურთ, ვიქცეთ უხილავ წერტილებად?!

გულნაზი — მაშ, რისთვის ვჩნდებით საბრალონი ამ ქვეყანაზე, თუ ეგრე სუსტნი უნდა ვიყვნეთ სამარადეამოდ!

რუსთველი — განა ჩვენ გვკითხეს, იმ წუთს, როცა ვიბადებოდით, გესურდა თუ არა, რომ მიგველო ცხოვრების შხამი!

გულნაზი — ო, რა სასტიკი განსჯა არის! ჩემს ნუგეშს შენს მზიურ თვალეებში ვკითხულობდი... ახლა იქ მხოლოდ უიმედობის ბურუსი ჩაწოლილა!

რუსთველი — წმიდაო სულო! რად ესწრაფვი ეგეთი ეინით სოფლის აკარგის გამოცნობას?... შენ ჯერ ნორჩი ხარ და არ იცი თვალუწვდენ ველზე, სადაც მრავალი ყვავილები საამოდ ფშინავს, — მყარლი ბალახიც რომ არსებობს!

გულნაზი — როგორ ეკანკალებ! მომეცი ხელი სანუგეშოდ, ჩემო ზგოსანო!

რუსთველი — ახლა ეგ ხელი, უბედური ხელია, გულნაზ!

გულნაზ — რათა, ზგოსანო!

თითქოს ბუნებამ შექმნა იგი მხოლოდ იმისთვის, რომ ცა-ქვეყანას შეარიგოს!...

ო, ნუ დამიშლი ნეტარებას... ამ ძვირფას წუთებს — მინდა, ხანგრძლივად ვაჰყვეს შეება სიხარულისა!

რუსთველი — ძვირფასო, განა არ უწყვი შენ, რომ აღამიანს უფლება არ აქვს ხანგრძლივ შეება-ნეტარებისა! ეგ შენი რბილი, ხუჭუჭი თმა ვით ვარდის ბუჩქი, ახლა რომ ნიავს მოაღერსედ ელამუნება, მხოლოდ ხანმოკლე ნუგეშია... გაივლის წლები... დროსა და სიერის ტახტზე მჯდარი მკაცრი მსაჯული შესცვლის ჩვენს სახეს, ჩვენს ქარბ გრძნობებს, ჩვენს მისწრაფებას

და დიდ კოცონზე, სადაც ჩვენი სიკოცხლე იწვის — დარჩება მხოლოდ მცირე ფერფლი!

რად იცრებლები? წადი და გული დაიმშვიდე, ჩემო ლამაზო!

(გულნაზი აცრებლებული გადის. რუსთველი მარტო.)

საბრალო ქალი! ვიცი, ოგი ჩემთვის იტანჯვის მე კიდევ სხვისთვის გამჩენია სულში სახშილი და ჩემს ცხოვრებას ანადგურებს... რა წამებაა! აღბათ გიყვი ვარ, ღმერთო, ჩემო, თორემ გონიერს რა ქუთა ეტყვის, ან რა გრძნობა გაუპირდება, რომ ხელმოუწვდენ სიმაღლეზე ანგელოზს ცაში ნიწიერ ვნების სიყვარულით გაუმოჯნურდეს!

მაგრამ ძალმძის კი არ აღიძრას ჩემი გონება,
გონება ჩაეხშო, ჩაეიყენო ბურუსი თვალში
და განვერიდო წუთიერად სულიერ მსჭვალვას?
ზრმა რომ ვიყო, ჰო, შესაძლოა, მაგრამ ბრმა არ ვარ
და ის კი ლეთიურ ხელით არის ნაქანდაკევი!

(შემოდის შავთელი)

შ ა ვ თ ე ლ ი — სად ხარ, შგოსანო, დაგეძებ და ვერსად გიპოვნე!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ვანა სულ ერთი კი არ არის, სადაც ვიქნები?

ამ უზარმაზარ ცის ქვეშეთში არ არის კუთხე
და არც არავინ გამაზნია მოჭირნახულედ,
რომ ჩემს ღრმა ტკივილს უთანაგრძნოს!

შ ა ვ თ ე ლ ი — ეგრე ნუ იტყვი, მეგობარო! ვანა არ იცი,

რომ იგი არის ღვთაებრივი შენი მფარველი!
მე თვით შევესწარ სავანეში, ჩვენი პირიშუე,
როს შენს თხზულებას კითხულობდა გატაცებული...
მის ლეთიურ თვალებს აშშვენებდა ცრემლის ნაყადი,
ვარდისფერ ლაწვზე მარგალიტად გაღმოდრქვეული!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — შენ თვით იხილე, რომ მის თვალებს ცრემლი სდიოდა?

შ ა ვ თ ე ლ ი — ცრემლი, ო, ცრემლი მეგობარო!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ეგ რომ მეხილა, ალბათ, იმ წუთს ვერ გაუძლებდა

ტანჯული სული, სასწაულოთ შეძრწუნებული!

შ ა ვ თ ე ლ ი — თავს რად ილუპავ, მეგობარო! მუღმივი ქვეყნად,

ღმერთს არაფერი შეუქმნია. მიზანი მხოლოდ
მიღწევამდეა სანუკუარი... წამოდი ჩემთან!...

ვანა არ გესმის საყვირის ხმა?...
უკვე დრო არის, დიდებულებს წინ მივეგებოთ!

(ახლოდება ვალობა, დარბაზი, იესება სტუმრებით, მხედრებით და სეფე-ქალებით.
შემოდინ თამარი და დავითი, ყველანი ყვავილებს უფენენ, ისმის ზარების
რეკა, დიდებულნი კი ბებრს ოქროს ბალიშზე დადებულ ძვირფას ხმაღს მიაბამენ.
იგი აიღებს მას, მიესალმება დედოფალს, დაეყრდნობა ცალ მუხლზე და მიმარ-
თავს თამარს):

ქ ი ა ბ ე რ ი — იტვირთე ეგ მახვილი, ჩვენო ხელმწიფე-დედოფალო, წმი-
და სჯულისა და ქვეყნის დასაცავად... ღმერთმა აკურთხოვს ეგ გვირგვი-
ნი და თქვენი ეტლიც, სათნო და მშვიდი დღეგრძელი ჰყოს მრავალგა-
მისად!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ამინ!

დ ა ვ ი თ ი — ამინ!

თ ა მ ა რ ი — ამინ! ვიბარებ ამ მახვილს, ჩემი ერისგან წმიდას და სასახელოს,,
არა იმისთვის, რომ სისხლი ვაღვრევირო, არამედ სისხლის ღვრი-
საგან რომ დაეიხსნა ჩემი ერი!...

(ასტყდება ჩოჩქოლი, ხალხი ცდილობს შემოსვლას)

ხ მ ე ბ ი — თამარ დედოფალს გაუმარჯოს! ჩვენს ნუგეშს და იმედს გაუ-
მარჯოს!

ქ ი ა ბ ე რ — ეგ, რა ხმაურია?

რ ა ტ ი — არ შემოუშვათ, გარეკეთ აბეზარნი!

თ ა მ ა რ ი — დაე, მოვიდნენ მდაბიონიც...

მსურს ხალხმაც ჩემთან ინადიმოს, იმხიარულოს! (მემოელენ ხალხის წარმომადგენლები, მათ ბ ე რ ი კ ა მოუძღვება)

ბ ე რ ი კ ა — თამარ! პირიმზვე, გვიხარია შენი მეფობა!

ხალხმა მოგვეზავნა, რომ გაუწყოს თავის მადლობა!

იგრძნობ ჩვენს ტკივილს, მძიმე უღელს არ დაგვიძიმებ!

თ ა მ ა რ ი — დიდად ზიხარის თქვენი ხლება... თქვენი სალაში!

ხალხის-სიკეთე-ჩემი სიკეთეა... მე თქვენს გარეშე

ღმერთმა ნუ მყოს ნურც ერთი წამი.

ხ მ ე ბ ი — გაცოცხლოს ღმერთმა, დედოფალო, გაბედნიეროს!

ხ მ ე ბ ი — შენ ჩვენი დიდი იმედი ხარ შევებისმოძვეში!

ბ ე რ ი კ ა — დიდი იმედი, დედოფალო, ყველა ჩვენგანი

თავს შემოგწირავს, ოღონდ გვესმას ძაბილი შენი!

ხ მ ე ბ ი — ვაშა! ვაშაა! ჩვენს ნეტარ დედოფალს გაუმარჯოს!

ქ ი ა ბ ე რ ი — აგერ, დესპანიც, ხელმწიფეო, რომის პაპისგან მოგზავნილი წინაშე თქვენსა!

თ ა მ ა რ ი — სთხოვე მობრძანდნენ მანდატურთ-უხუცესო!

პ ა პ ის ნ უ ნ ც ი — ქრისტეს მიერ საყვარელო შვილო ბრძენო თამარ, ასულო გიორგისა! თუმცა რომის პაპი შორს არის აქედან, მაგრამ სიყვარულმა სიშორე არ იცის... ვისაც მანძილი აშორებს, იმას გული და მიწერმოწერა აახლოვებს. ამიტომ რომის პაპი გოგზავნიოთ ამ საჩუქრებს: ფსალმუნებს, ჯვარს და სახარებას და მასთან მხურვალედ გეაჯებათ, რათა თქვენც აღიღოთ მახვილი მუსლიმის წინააღმდეგ ჯვაროსანთა დასახმარებლად და ქრისტეს საფლავი დაიცვათ უსჯულოსაგან!

თ ა მ ა რ ი — ღირსო მამაო, ეგრე აუწყე მის მალალ-კურთხევას, რომ ჩვენ, მიწიერ ხელისუფალთ, რომელნიც საუკუნო მეუფის მოხარკენი ვართ ყველაფერში, — სუსტი საფუძველი გვაქვს-თქო წინასწარ აღთქმის დადებისთვის. ამიტომ ჩვენ თავს ვიკავებთ ახლა ამ ომში ჩაბრუნისაგან, და თუ ოდესმე საბაბი მოგვეცა, ჩვენ თვით დავიხსნიოთ უსჯულოსგან მაცხოვრის საფლავს.

ქ ი ა ბ ე რ ი — აგერ, ხელმწიფეო, ეგვიპტეს ელჩი მოგეახლათ, სალადინისგან მოგზავნილი!

თ ა მ ა რ ი — სთხოვეთ მობრძანდეს მისრეთელი.

ე ვ ი პ ტ ის ე ლ ჩ ი — დედოფალო სახიერო, შარავანდელო-შარავანდელო შორის, ბრძენო თამარ-ასულო გიორგისავე, და თქვენც განთქმულო რაინდო რაინდთა შორის, დავით! ჩემი მბრძანებელი ხელმწიფე მისრეთისა — დიდი სალადინი ვილოცავთ ქორწინების დღეს და ვისურვებთ შრავალეამიერ სიცოცხლეს, თქვენცა და თქვენს ხალხსაც... ვთხოვთ მიიღოთ ეგ მცირეოდენი საჩუქარიც... ამ კლიტე-გასაღებს იერუსალიმის მონასტრისას, რომლისთვის შრავალგზის გვეომენ ჯვაროსნები და ვერაფერი მიიღეს, თქვენ, ღრმა პატივისცემის ნიშნად, საჩუქრად გიგზავნის დიდი მპყრობელი მისრეთისა...

(გადასცემს კლიტეს):

თ ა მ ა რ ი — გმადლობოთ, დესპანო. ეგვიპტის მბრძანებელს, დიდ სალადინს ჩემი მადლობა გადაეცით!

ქ ი ა ბ ე რ ი — ინდოეთის დესპანი ხელმწიფეო!

დესპანი — უზენაესო ხელმწიფეო, მშვენიერად ყოელისა აღმოსავლეთ-დასავლეთისა! ჩვენი დიდი მბრძანებელი ნურადინ აღფრთხილანბუქლი თქვენი ბრძნული და კაცთმოყვარე მოქმედებით, განგესის! წმინდა ნამარებიდან გასურვებთ ბედნიერ დღეთა გამრავლებას და გთხოვთ მიიღოთ ეგ მცირეოდენი საჩუქარიც, მოძღვნილი ჩვენგან!

თამარი — გამაღობთ დესპანო... დიდად გამაღობთ!

ჰიბერი — ავერ, მგოსანებოც ხელმწიფეო, თქვენ მოგეახლენ, რომ მოისმინოთ მათი ბრძნული მუსიკობანი!

(მგოსანთა ჯგუფი: რუსთველი, შავთელი, ჩახრუხაძე და სხვები უღოფალს მიესალმებიან. ჩახრუხაძე გამოეყოფა მათ და წინ წარსდგება):

თამარი — დიდად მიხარის თქვენი ხლება, ჩემო სწავლულნო!

ჩახრუხაძე — ნება დამართეთ, ცათსწორო, ჩემი ხოტბანი წაგიკითხო!

თამარი — გისმენ, მგოსანთა უხუცესო!

ჩახრუხაძე — თამარ, შენ გიძნობ! ასულად გიცნობ,

შე დაუვალი შეუკ მომფინარი...

ვერ მიგწოდენ ქებად, სხდენ თვითვე ვნებად,

პლატონის ტნა, დავითის ქნარი...

ცად, საყდრად, ღრუბლად, ღაწე-ბროლ-ვარდ-შუბლად

შენ გიცნობ მხოლოდ განცხადებულად;

ცისკრობ, შენ, ნათლად, ბრწყინვალე სანთლად,

ვარსკვლავნი რად ყვენ განქიქებულად.

დღეს ყმანი შენნი, შენ მიერ შენნი

ერთხმობით ვიტყვით განმარტებულად:

აღდგა ის ერი, შენი ივერი,

შენის წყალობით განახლებულად!

(იფეთქებს საერთო მოწონების ხმა... თამარი ჩახრუხაძეს ძვირფას ბეჭდს უბოძებს. ახლა რუსთველი წარსდგება წინ, ცალმუხზე დაიჩოქებს და — ავეფხისტყაოსანს" მიართმევს).

რუსთველი — ჰა, დედოფალო, წიგნი ჩემგან მონადეაწები,

მომირთმევი ნიშნად დიდი მოკრძალებისა

და, თუ მცირეა ძღვენი ჩემი, საზაგიეროდ

ხომ უწყის ღმერთმა დიდი არის სურვილი ჩემი!

თამარი — გამაღობთ მგოსანო, მეფეთ-მეფევე ტპილი ხზებისაე!

ბედნიერ იყოს შენი ხლება, შენი სალამი!

ჩახრუხაძე — ჩემო ხელმწიფეც!

ამ წიგნმა ყველა დაგვატპო და თან ავეადლევა...

იყალთოს ყველა სწავლულები ხოტბას ასხამენ

და პაექრობენ მგოსანის სიბრძნით განცვიფრებულნი!

თამარი — ვბრძანებ; ეს წიგნი სათნოების განსამტკიცებლად

გავრცელდეს ყველგან ზასწაულად მოვლინებულ!

რუსთველი — ჩემო მფარველო ხელმწიფეო!

თამარი — გამაღობთ მგოსანო, დიდად გამაღობთ. აი ყალამი —

ოქროს ფრთიანი მომიძღვნია საჩუქრად შენდა

და ჩემს სახსოვრად იქონიე!

რუსთველი — გამაღობთ მზის დარო! ეგ მექნება ჩემს სიცოცხლემო

განუშორებლად ვით თილისმა დაუფიწყარი!

- ჯ უ ჯ ა — (შერგილს) ხედავ, მგოსანო, რა საჩუქარი მოპყვა ამ წიგნს? არ გეხარება! განა შენ დასწერ ასეთ თხზულებას, ჩემო შერგილს?
- შ ე რ გ ი ლ — რატომ გვინია, რომ ვერ დაეწერ? მეც რუსთველივით რომ მიყვარდეს ჯდომა და შრომა, მასზე უკეთეს წიგნს დაეწერდი!
- ჯ უ ჯ ა — აგრე, ჩემო მგოსანო, ყველა ცხენი თოხაროკი იქნებოდა, თავის-ქანდური რომ არ ეზარებოდეს.
- ს ო ს ლ ა ნ ი — ო, ყოჩაღ, ჯუჯა პა, — დრაკანი მაგ ხუმრობისათვის! გაბ-ხიარულდით, დიდებულნო... აქმო, მგოსანო, განა ვერ ხედავ სეფე-ქალნი ფარული გზნებით შენს არჩევანს რომ მოკრძალებით ელოდებიან!
- თ ა მ ა რ ი — ეგ მართალია, დროა, მფარველი აირჩიო, ჩემო მგოსანო!
- რ უ ს თ ვ ე ლ ი — ენით გამოუთქმელ ნეტარებას განვიცი, დედოფალთ-დედოფალო, იმ მალალი ყურადღებით, რაც ახლა თქვენგან მომენიჭა! მშვენირია სეფე-ქალნი თავიანთ მიზნიდევლ სილაღითა, ენაც ვერ იტყვის ამ მანათობელ ვარსკვლავთა მშვენებას, მაგრამ მზეთა მზის წინაშე-ყველანი კრთებიან სხივმიხილნი!...
- ხ მ ე ბ ი — წესს ნუ დაარღვევ, არ ეგების... უნდა მფარველი აირჩიო!
- რ უ ს თ ვ ე ლ ი — კარგი, ავირჩევ... რაკი წესია, სასახლეში ყარობ მგოსანებს მფარველი ყაფდეთ, — დე, აგრე იყოს, მე გულნაზი ამირჩევია!
- გ უ ლ ნ ა ზ ი — ოხ, ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის!
- თ ა მ ა რ ი — ჩემო ლამაზო, გაიხარე, მგოსანთ-მგოსანმა შენ დღეს მფარ-ველად ავირჩია!
- გ უ ლ ნ ა ზ ი — დიდად მიხარის, დედოფალო!
- თ ა მ ა რ ი — რაკი აგრეა, შეიფერე ეგ არჩევანი.
- გ უ ლ ნ ა ზ ი — ისე ვარ, ჩემო ხელმწიფეო, აღელვებული, თავს ველარ ვიჭერ... უნებლიედ ცრემლები მომდის...
- ჯ უ ჯ ა — რა დროს ცრემლია! ალბათ, არ გინდა დიდი მგოსნის მფარვე-ლი იყო!
- გ უ ლ ნ ა ზ ი — არა, პირიქით, ჩემო ჯუჯა!
- ჯ უ ჯ ა — თუ კი ეგრეა, რა გატირებს?
- გ უ ლ ნ ა ზ ი — გამეცა ჯუჯა!
- ს ე ფ ე ქ ა ლ ე ბ ი — წადი იქით, ნუ ჩააცივდი.
- ჯ უ ჯ ა — მოდი და გაიგე ქალის ამბავი! უნდა და სტირის, არ უნდა და ზანც სტირის... ყოველთვის ტირილი გაგონილა?!
- თ ა მ ა რ ი — ჩემო ქებულნო სწავლულნო და ფილოსოფოსნო! გვამცნეთ აქ შეკრებილთ, — რა უფრო ღირსეულია ქვეყნად კაცისთვის: დიდი გვარი, უამრავი ყმა და მამული, თუ ის პირადი ღირსება, რასაც ბუნება ანიჭებს ადამიანს?!
- მ ე ვ თ ე ლ ი — გთხოვთ! ნება დამართოთ, ხელმწიფეო!
- თ ა მ ა რ ი — გისმენ, მგოსანო!
- მ ა ვ თ ე ლ ი — ვით მზე დიადი აფრქვევს ზიწას შუქსა და სითბოს, ესოდენ გვარი, დიდი გვარი ჰყენს ყველას სიტკბოს. უგვარო კაცი ჭია არის, მწერი მცოცავი,



ფრთებდაგლეჯილი, მონა სხვისი
და საცოდავი...

დიდგვაროვანი შუქმფენია,
ფიცხი ვით ლომი,
უგვარო მარად შესაბრალო,
წყალობისმლომი!

შე რ გ ი ლ — მეც ეგრე ვფიქრობ, ხელმწიფეო!
ვით ხოხობს ბოლო,
ისე დიდ კაცსაც თავის გვარი
ამშვეენებს მხოლოდ...
ვინც დიდი არის თავის მოდგმით,
დიდია თვითონც!
თორემ უსადაფ-უნჩიაროდ
ვის უნდა ზვითო?

თ ა მ ა რ ი — დიღო მგოსანო, შენ რას გვეტყვი, შენი ჯერია?!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ფილოსოფოსნი შემოკრბენ
ამაზე ჰქონდეთ ცილობა,
ბატონი ყმასა ასაქმებს
და ჭკუას გამოცდილობა...
ათასად გვარი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თავით არ ვარჯა, —
ცუდია გვარიშვილობა!

თ ა მ ა რ ი — მადლობას გწირავთ, დიდ მადლობას, ჩემო სწავლულნო!

შ ა ლ ვ ა — საქართველოს ყოველ კუთხიდან მოვიდნენ, ხელმწიფეო, მოსა-
ლოცად... ხალხის ზღვა დგას და ელოდება გარეთ თქვენს ხილვას!

თ ა მ ა რ ი — მზადა ვარ ზღებად... რატი, ჭიაბერ, ზაქარია, თქვენც, დიდ-
ბულნო, ხალხს გაუძეხით სანადიმოდ... შენ იცი, დავით, როგორ გაუ-
მასპინძლდები მადლიერ ერს... ღვინო და პურობა საშს დღეს გაგ-
რძელდეს შეუწყვეტლად!

ხ ო ს ლ ა ნ ი — ნუ გეფიქრება, დედოფალო... მე თვით ვითავებ ყოველივეს!

თ ა მ ა რ ი — ეს დღე ყველასთვის ნათელი და უკვდავი იყოს... წადი, ჭიაბერ,
ხალხს საბოძერები დაურიგე!

ქ ი ა ბ ე რ — ნუ გეფიქრება ხელმწიფეო... ერს და ჯამაათს შენის წყალო-
ბით გაგავკვირებ!...

(ხალხი დაიძრება საქორწინოთ პალატებისაკენ. შას მიყვებიან დიდებულები, მგოსნე-
ბი, ელჩები, სეფე-ქალები და ასე შემდეგ. დარბაზი თითქმის ცარიელდება):

თ ა მ ა რ ი — გულნაზ!

გ უ ლ ნ ა ზ ი — რა გნებაეთ, ჩემო ხელმწიფეო!

თ ა მ ა რ ი — წაიღე წიგნი... ეს ფსალმუნნიც ჩემს სავანეში შეინახე... რა-
მოგდის გულნაზ? რადა ხარ ეგრე უგუნებოდ, ჩემო სიკეთევე?!

გ უ ლ ნ ა ზ ი — უბედური, ვარ, დედოფალო, დიდად უბედური!

თ ა მ ა რ ი — უბედურიო? რად ამბობ, აგრე, ჩემო კარგო! მე ყოველივეს
ვიღონებ, რომ შენ კარგად მყვანდე!

გულნაზი — ვიცი, ხელმწიფე!... მაგრამ ჩემი გულის სახილი უნდა
შოა, მას არა უყვარს მკურნალი ქვეყნად.

თამარი — აგრე რად ამბობ, ჩემო კარგო... შენი ბედისა ქვეყნად ცოტანი
მეგულება! შენ დღეს მგოსანმა თავის ზეარველად აგორჩია...

გულნაზი — ო, არა, ჩემო დედოფალო, ეგ არჩევანი მხოლოდ უბრალო
და უგულუო თავაზი იყო... ის მთელ არსებით სხვისი არის თანაზიარი...

თამარი — როგორ თუ სხვისი, ჩემო კარგო?

გულნაზი — სხვისი ხელმწიფე... იმისი სული სხვას ემსკვალების სამარა-
დისოდ...

თამარი — მითხარ, ვინ არის იგი, გულნაზ!

გულნაზი — ნუ, დედოფალო, ნუ მათქმევიანებ იმის სახელს... იგი უზა-
დოდ შობილი სურნელბაა, რომელსაც მხოლოდ ოცნებით ეალერსე-
ბიან, რომლის ღიმილს ისე ელიან, როგორც ცის პირის გამოჩენას...
დე, იყოს იგი და მისი კერპიც სვებედნიერი...

თამარი — ნუ სტირი, ჩემო სიბარულო! ყოველი ეტლი ღეთიურის ხე-
ლით იწერება ბედის ფიცარზე და ჩვენ ზოკვდავნი მის განგებას ვემორ-
ჩილებით, აგრე, მოძღვარიც აქეთ მოდის... წადი, გულნაზ, და რუსთ-
ველი მომიყვანე!

(გულნაზი გადის. შემოდის მიქაელ კათალიკოსი.)

მიქაელ — გაკურთხოს უფალმა, დედოფალო! ღმერთი ჩვენთანაა... იყავ
ბედნიერი უკუნით-უკუნისამდე!

თამარი — მადლობას გწირავ, თქვენო მეუფებაე! რატომ ნადიშე არ
გვეწვიე?

მიქაელ — შეუძლოდა ვარ, ხელმწიფეო... თან უსიაზოვნო ამბებსაც
ვერიდები... ბებერი გული მცირე წყენასაც ვეღარ იტანს!

თამარი — ამას რად ბრძანებთ, თქვენო მეუფებაე!

მიქაელ — რუსთველის წიგნზე მოგახსენებთ, ჩემო ხელმწიფე! შერგილმა
მიამბო ყოველივე! აქ მთელი ერის წინაშე თქვენ თურმე გინებებით ამ
ღეთის უნებური წიგნის მოწონება...

თამარი — შერე რას ხედავთ მასში საძრახისს, თქვენო მეუფებაე?

მიქაელ — დაუშვებელია, ხელმწიფეო, ეგეთი წიგნის მოწონება.

თამარი — რათა მოძღვარო, რისთვის არის დაუშვებელი?

მიქაელ — იგი საშინელ აწრებს ჭადაგებს, ჩემო ხელმწიფეო! ყველამ
თავისი სურვილით და ამორჩევით რომ იქორწინოს, ისე, როგორც ეს
თქვენ ჩაიდინეთ, — რას დაემსგავსება ქვეყანა უბედური?! ამ ნიადაგზე
ღიდი ცოდვებიც შეიძლება აღორძინდეს, დაიშალოს ოჯახი, ერი და სა-
ხელმწიფოც... ამიტომ ერი და ეკლესია ამ წიგნს სასტიკად უნდა შე-
ებრძოლოს!

თამარი — მამ სულ ეგ არის, მეუფეო?

მიქაელ — დიახ, ეგ არის! ის თქვენს მხარეს დგას, ხელმწიფეო, და შე-
ფარვით ამართლებს ყველაფერს, რაც კი თქვენი ხელიდან გამოსულა...
და რომ კვალი ავირიოს, განგებ გაიძახის: „ეს ამბავი საპარსულია“...
მე მრავალჯის წაეიკითხე იგი, მაგრამ ვერავითარი საპარსული ამბავი
შიგ ვერ ვბოვე... მთელი ამბები ინდოეთს და არაბეთს შეეხება, მაგრამ
ნამდვილად არც იმათ, ხელმწიფეო, რადგან, არც არაბეთში და არც

ინდოეთში იმის შესავსი არაფერი მომხდარა... ქალი არცერთ ამ ქვეყანაში ხელმწიფედ არ დაუსვამთ... ამის გამო ჩხუბი და ომი... ჰქონდათ... ეგ მოხდა აქ, ჩვენში, როცა ორი მოწინააღმდეგე ბანაკი ერთმანეთს დავერიეთ თქვენი ქორწინების წიაღაგზე... რუსთველმა კი განგებ, ამ ომს უცხო სამოსი გადააცვა, რომ ნამდვილი ამბები დაეფარა... ჩვენ, მისი მოწინააღმდეგენი ქაჯებად გამოგვსახა, მისი მეგობრები კი სასწაულ-მოქმედ გმირებად, რომლებმაც თითქოს შენ წამებიდან გიხსნეს და ქაჯეთის ციხიდან გამოგიყვანეს.

თამარი — ნუთუ მეოსანს ამის უფლება არ ჰქონდა, მეუფეო?!... ის ხომ პირდაპირ არავის ასახელებს... არც შენ, არც მე... იქ ყოველივე შეფარვითაა გამოთქმული!

მიქაელ — სწორედ ეგ არის, სავალალო პირდაპირ თქმას, რომ მოერიდა და გრძნულება იხმარა... დამითმეთ ეს წიგნი, ხელმწიფეო, მე მასზე მოვაწყობ პაექრობას, და თუ წმიდა მამანი და ერისკაცნი ზასში მზაკვრობას ვერ იხილვენ, — მაშინ დაე, ვიყო მე ლეთისაგან შეჩვენებული!

თამარი — რაც გსურდეს მთხოვე, მეუფეო, მაგრამ იმ წიგნს კი ვერ დავთმობ!

მიქაელ — ამის შემდეგ, მე არაფერი მაქვს თქვენთან სათათბირო. მაგრამ იცოდეთ, იმ წყეულ წიგნზე, მე მაინც მოვაწყობ პაექრობას!

თამარი — არც ერთი წუთით... მას საპაექრო არა სჭირს რა!

(მიქაელ გადის. თამარი მცირე ხნით დაეურავს «ვეფხისტყაოსანს». შემოდის რუსთველი)

რუსთველი — თქვენ დამიბარეთ, ხელმწიფეო!?

თამარი — დიახ, მე გიხმე, მცირე ნობათი მსურს გადმოგცე!

რუსთველი — ჩემი უსაზღვრო ჯილდო და სიხარული ის არი ქვეყანაზე, რომ დედაბუნებამ შენ გამოგაქანდაკა თავის წიაღში ჩვენდა საწუგეშოდ.

თამარი — ვგრე ნუ იტყვი, ჩემო კარგო... ჩემს მცირე ღვაწლს ნუ ახვიადებ!

რუსთველი — ო, ხელმწიფეო! განა შენ ის ბურჯი არა ხარ, რომლის ზღუდვებზედ მტკიცედ დამყარდა ქართველი ხალხის ძლიერება? შენის წყნარის ხასიათით, კაცთმოყვარეობით, სიბრძნით და ღარიბთა შემწეობით ისეთი გავლენა იქონიე შენს ქმობელ ერზე, რომ მისი წაშლა თვით ჯოჯოხეთისაც აღარ ძალუძს... ფრთხილი ხარ დედაგვაროვნათა მიმართ და ამიტომაც დამშვიდდნენ ისინი... სამართლიანი ხარ ქვეყნის წარმართვაში და ამიტომ არავის აკლია ღირსება... კეთილმორწმუნე ხარ და ამის გამო აშენდნენ ტაძარნი და მონასტერნი... ძლიერი ხარ სულით და მით დაიბყარ გუმანი ქვეშევრდომთა... ამ უზარმაზარ საძფლობელოში ბავშვიც კი ისე ვერ იტირებს, რომ საერთო მყუდროება არ დაირღვეს... შენ ჩვენთვის მარად უკვდავი ხარ, ნეტარო დედოფალო!

თამარი — დიდად მადლეგებს შენი სიტყვა, ჩემო მეოსანო!

რუსთველი — ეს ენა ჩემი, ანგარებით მოუსყიდველი იმის ხმა არის, ხელმწიფეო, რასაც ხალხი გრძნობს... ხოლო ხმა ერის ღვთის ხმა არის სამართლიანი!

და მგოსნებს მხოლოდ ეალად გვადევს ვამცნოთ ქვეყანას
თავისი ხალხის წმიდა აზრი შეუფარველი!

თ ა მ ა რ ი — ეს როგორ მოხდა, რომ მოკვდავი ჩემი სახელი
შენ უკვდავთა რიცხვს მიაკუთვნე?

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ამას რად ბრძანებთ, ხელმწიფეო! განა თამარი
თავის სასწაულმოქმედებით, ქვეყნად კედებიან?
პირიქით, მზიურ ბრწყინვალეობით და სათნოებით
ისინი უფრო, რაც დრო გადის, ცად მალღებებიან...
მათ ზევით აჰყავთ ერის სული, ერის დიდება
და მასთან ერთად თვალშეუდგამ თალზე დგებიან!
რანი იპრიან მათ წინაშე დიდი დამპყრობნი? —
როგორც ვარსკვლავნი, მზის წინაშე, ისე კრთებიან...
ეამთა ტრიალიც ვერ მოქმედებს მათზე სიმკაცრით,
ხანდაზმულები მყობადშიაც განახლებებიან...
ჩვენთან არიან, მუდამ ჩვენთან სანუგეშებლად,
სადაც არ წავალთ, მამაცურად გამოგვეყვებიან...
თუ გმირად გენახეს, გმირულ საქმეს ჩაგვაფონებენ,
დაცემულს გენახენ-ცრემლით როდი ატირდებიან,
არამედ თავის უკვდავების სულს ჩაგვიდგამენ
და დაცემულნიც მყის ნუგეშით ფეხზე დგებიან!
ამას რას ვხედავ, ხელმწიფეო!...

თ ა მ ა რ ი — არაფერია... ეგ სიხარულის ცრემლებია... ასეთ ცრემლებით
ნეტავ გულნაზიცი იღვრებოდეს სევტებედური!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ის აქ სტიროდა, ხელმწიფეო?

თ ა მ ა რ ი — დიად სტიროდა... სთქვი, რა ამრკოლებს,
ხელს რა უშლის თქვენს მეგობრობას?

რ უ ს თ ვ ე ლ ი — არის მიზეზი ხელმწიფეო, რომლის გამხელა
შეების მომცემი არავისთვის, ვფიქრობ, არ არის.
დე, დარიჩეს ჩემთან, ჩაკეტული გულის სიღრმეში
სათუთი გრძნობა საიდუმლო ფიქრთა მფარავი...
არ აღიგზნება ის, რაც ერთხელ ქცეულა ფერფლად...
ტანჯულ სულისთვის არ არსებობს შეების კარავი...
სადაც ვიქნები, მთად თუ ბარად, მე მხოლოდ ერთი —
ხატი დამრჩება სამლოცველოდ და სხვა არავინ!

თ ა მ ა რ ი — მაშ, გადასწყვიტე აღარ ზითხრა გულის ნადები?!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — უკვე ვითხარით ხელმწიფეო! ჩემი ოცნება
დიდი ხანია წყარო გახდა ჩემი ფარამის!...

თ ა მ ა რ ი — რა ხმაურია? რას მოასწავებს ეს ჭოჩქოლი?
(შემოდის დ ა ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი და დიდებულნი)

ს ო ს ლ ა ნ ი — ბიზანტიიდან ყაცი გვეახლა ხელმწიფეო, ჩვენი მსოფსაგი
ალექსი კომნენი, და მეტად ცული აზრები მოგვიტანა.

თ ა ? ა რ ი — უხმეთ ალექსი კომნიანოსს!

- სოსლანი — აგერ, ისიც, ჩემო ხელმწიფეო!
(შემოდის ალექსი კომნენი)
- კომნენი — ჩემი სალამი, ცათაწორო, იმედო სოფლისა და ნაწყმუნობისა!
- თამარი — დიდად მიხარის შენი სალამი, უფლისწულო...
სთქვი, რა ამბავი მოიტანე?
- კომნენი — ერთი თვეა ვზაში ვარ ხელმწიფეო, დიდი დაბრკოლებანი გადავლაზე და როგორც იქნა თქვენამდე ზოვალწიე. დიდი საფრთხეა შემზადალი... თქვენს წინააღმდეგ გიორგი უფლისწული კეისარს შეუთანხმდა და უკვე დაიძრა ლაშქარი სამოქმედოდ!
- თამარი — დიდი ხანია, რაც ეგ მოხდა?
- კომნენი — საზღვარი გუშინ წინ გადმოლახეს... ამას გარდა, მარტო თავისი იმედით არ გახლავთ კეისარი... მას აქ, თქვენ შორისაც, ბევრი ჰყავს ერთგული მოკავშირე!
- თამარი — აქ, ჩვენ შორისაც, უფლისწულო?
- სოსლანი — იქნებ შენ იცი, ვინ არიან მოლაღატენი?
- გუზან — დავვისაბელე, სთქვი პირდაპირ, ნუ გერიდება!
- კომნენი — ვიცი რომ არის, მაგრამ საბუთი ჯერ არ მაქვს.
- თამარი — ამ ცნობისათვის დიდად გმადლობთ, ბატონიშვილო!
- კომნენი — თქვენი მადლობა ის იქნება, ჩემო ხელმწიფეო,
თუ გამარჯვების შემთხვევაში რაიც მე ღრმად მწამს, —
ტახტზე აღმადგენ ჩემს სამშობლო ბიზანტიაში!
- თამარი — ვფიცავ აღვადგენ, ღმერთი იყოს ამის თავდები!
- კომნენი — ოი, შენ ღმერთო ზეციერო!... ჩემი მეფობა,
ვფიცავ თქვენთვისაც სასარგებლო იქნება დიდად,
რადგან სიყრმიდან აქ აღზრდილი, თქვენივე მკვიდრო,
ვიქნები თქვენი მე ერთგული სიკვდილის დღემდე.
- თამარი — უხმეთ ლაშქარს! გუნდი შევარდენისა, დაე, მოფრინდეს ჩემს წინაშე!
- (გაისმის შორეული ზარების რეკა. შემოდინ მემორები და დედოფლის წინ დროშებით ვანლაგებიან. შემოდის მიქაელ კათალიკოსი. მას წინ მოქალაქის დიდი ჯვარი, რომელსაც თამარის წინ აღმართავენ. ყველანი დაიბრუნებენ. მიქაელ თამარს პირჯვარს გარდასახავს)
- მიქაელ — მადლი ქრისტესი და გამარჯვების მტკიცე ჩრწენა შენზე გარდმომივლენია, ნეტარო დედოფალო! უფალი ჩვენთანაა... ის არ ინებებს წმიდა ნინოს კურთხეული ქვეყნის ვაჭბილებას!
- ყველანი — ამინ!
- თამარი — ჩემო მოძღვარო! მიდის ლაშქარი და ზისი ხელმწიფე მტერთან პირისპირ შესახვედრად. გიტოვებ დროებით ქვეყანას საპატრონოდ. ნუ მოაკლებ შენს ერს შენს ზრუნვას და ყურადღებას!
- მიქაელ — ვფიცავ, ნეტარო დედოფალო!
- თამარი — თქვენც, დიდებულნო, ეამბორეთ ამ წმიდა დროშას, ფიცით ეამბორეთ, რომ მის პატივს და დიდებას არ შეარცხვენთ!
- ყველანი — ვფიცავთ!
- თამარი — რომ მშობელ ქვეყნისთვის თავს გასწირათ!



საქართველოს
წიგნწერის კავშირი

ყველანი — ვფიცავთ!

თამარი — პასალარნო: რატი, შალვა და ზაქარია!

ზაქარია — გახლავართ, ნეტარო დედოფალო!

შალვა — თქვენდა სამსახურად, მეფეთ-მეფეო!

რატი — გვიბრძანე, ღირსო ხელმწიფეო!

თამარი — წინ მესხნი გავლენ მეწინავედ, ჰარცხნივ და მარჯვნივ — აღ-
მოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი დადგებიან... დაე, დაემ-
ხოს ურჩხული ჩვენს წინაშე, — ისე ვით წმიდა გიორგის ლახეარით გა-
ნიგშირა ვეშაბი შეფერთიანი!

(ყველანი მიდიან. რუსთველიც აპირებს გაყვეს მათ, მაგრამ მას მიქაელ შე-
ჩერებს)

მიქაელ — საით, მგოსანო, სად მიდიხარ!

რუსთველი — როგორ თუ საით? ლაშქარს მივყავები ბრძოლის ველზე!...

მიქაელ — შენ იქ მტეტი ხარ. შენ აქ, ჩემთან დარჩევი საბაეკროდ!

რუსთველი — როგორ თუ საბაეკროდ! ნუთუ კვლავ მიწვევ, მეუფეო,
შურისსაგებად?

მიქაელ — არა შურისსაგებლად, არამედ სამღვდელთა თანდასწრებით,
მწიგნობრის სიტყვით წარმართს შიშვე ცოდვები ჩაგაგონო!

რუსთველი — მკვერ სიტყვას ძალა მეუფეო, მხოლოდ მაშინ აქვს, თუ
მართალია თავისთავად, უმისოდ ყველგან ფუყე არის მტერმეტყველება!

მიქაელ — შენი პასუხიც ფუყე არის... როგორც გიბრძანე, ხვალ საბაეკ-
როდ გამოცხადდი!

რუსთველი — კარგი მე მოვალ... მაგრამ, იცოდე, პაექრობით ვერ შემა-
შინებ! ცხოვრება ბევრგვარია, მიქაელ, კაცს ასეც მოველემა და ისეც...
ბოლო მაინც გარემოებაზე ჰკიდია და რა გარემოებას რა ბოლო ზოს-
დევს, მოკვდავთა შორის ეს წინანსწარ არავინ იცის... ჩვენთვის ცდაშია
ერთად ერთი ნუგეში მხოლოდ! დიახ, მე მოვალ, დანიშნულ დროზე
გეახლები მამათმთავარო!

ფ ა რ ღ

მოკმედეზა მიოთხა

ქართველ მხედართა ბანაი. მთა-გორაკზე სეფე-კარავია გამართული. თენდება... შემო-
დის ბეროცა.

ბეროცა — ღმერთო! რა ზომდის, რა მოუთმენლად მიცემს გული... აი, რაც
ღროა, ომი დაიწყება. მოდი და ენდე წუთისოფელს! მე და გუზანი ერთ
ღროს მხარდამხარ ვიდექით და ბრძოლაში ქვეყნის ორგულს მახვილით
ვკაფავდით! ახლა იგი ბიზანტიის კეისარს ეხმარება თამარის წინააღ-
ნდეგ, მე კი ისეც თამარის ლაშქარში ვარ და დედოფალს ვიცავ კეისარის-
გან! მოდი და ვაიგე, ვინ ტყუის ახლა ჩვენ ორში, მე თუ იგი? მაგრამ
ეც კი ვიცი, რომ ბიზანტიის კეისარს არავინ გაუხარებია და არც გუზანს
და გიორგი უფლისწულს გაახარებს! აქ, ვილაც მოდის, ეი, ვინა ხარ?
(შემოდის რატი სურამელი)

რ ა ტ ი — შენ თვით ვინა ხარ, ბნელაში ველარ გარჩევ; ხმა ამოიღე.
 ბ ე რ ი კ ა — მე ვარ, სარდალო, ბერიკა გოგოქური!
 რ ა ტ ი — შენ ხარ, გოგოქური! ხომ გააფრთხილე, ბერიკაც გუგუნიანი
 ბ ე რ ი კ ა — ყველანი თავიანთ ადგილას არიან, სარდალო... მხოლოდ ეგ
 არის, ზანქან ზორობაბელი ვერსად ვნახე... ვაი, თუ დროზე ვერ მოგ-
 ვისწრო იმ წაწყმედილმა!

რ ა ტ ი — მოვისწრებს, ფიქრი ნუ გაქვს... აბა, წავიდეთ პარაკლისზე, მაგ-
 ვიანდებამ!

(გაღიან, მცირე ხნის შემდეგ შემოდის გ უ ზ ა ნ ე რ ი ს თ ა ე ი)

გ უ ზ ა ნ — უკვე თენდება... მყრთალად ბეუტაქს ლამპარი ჩემი
 და ჩემი ფიქრიც, მღელვარებით დამძიძებულო,
 განწმენდას ითხოვს ზეცისაგან! შემინდე, ღმერთო,
 თუ მე მცდარ აზრზე ვყევარ ეშმაქს დაყენებული
 და შენი მადლის გზას მიკარგავს! ჰეი, ვინა ხარ!
 არის აქ ვინმე სხვა ჩემს გარდა?
 არავენ არ ჩანს, მაშ, რა მათრთოლებს?
 ნუ თუ ის ფიქრი მზარავს ასე, ერეოლას მგერის ტანში:
 რომ შესაძლოა კვლავ გაცრუვდეს ჩემი იმედი
 და ყველაფერი ჩაიშალოს! მაგრამ იმედი
 მარტოოდენ ფიქრი როდია...
 ის ხორცმესხმული საქმე არის...
 დიდი ჯარი ყავს ბიზანტიას გამოგზავნილი,
 და თუ იმ ლაშქარს მოეუმატებ ჩემს მომხრე სასაც,
 მაშინ, ცხადია, გამარჯვება დარჩება ჩემი!...
 ოღონდ ეგ კია. ცუდი სიზმარი ვნახე წუხელ, მეტად საშიში:
 დამოკლებული ვიყავ, თითქოს, მთელი ტანითა!

(შემოდის ბოცო)

ეი, ვინა ხარ!

ბოცო — ეგ მე ვარ, ბოცო!... იწყება შეყრა...

უკვე შეთქმულთა მეთაური იარაღს ისხმენ!

გუზან — დროა, ყველანი შეიჭურვონ! შენ როგორ ფიქრობ,

ჯამუშ-მსტოვარი ხომ არა გყავს შეთქმულთა შორის?!

ბოცო — არა მგონია, ჩემო გუზან!

გუზან — მაშ, უთხარ ყველას, შემოერთყან დედოფლის ბაკანს,

და სუყველანი დაატყვევონ. არავენ შედრკეთ,

როჭის სპისა ნუ გეშინიანთ...

დღეს ჩვენთან არის ბიზანტია, ჯარიც და ხალხიც!

ბოცო — ღმერთმა კეთილად აგვისრულოს ჩვენი სურვილი!

(ბოცო გადის)

გუზან — მიინც ძნელია... საშინელი ყოფილა თურმე

საქვეყნო საქმით დატვირთული კაცის ცხოვრება...

ვგრძნობ, რომ არავის არ ვუყვარვარ!... თუ მილიმიან,

ეგ უფრო ცბიერ კრძალუასა ჰგავს, ვიდრე სიყვარულს

თავის ბუნებით დაბადებულს... ო, რისთვის ღმერთო,

რისთვის აღმქურვე მე ამგვარი შმაგი ბუნებით



და ჩემში მცირეც არ დასთესე სიმწვიდე შენი!

(შემოდის ვარდან და დიანი, რომელსაც შემოყვება რამდენიმე მწველი)

ვარდან — მზადა ხარ გუზან? უკვე დროა, ვიწყოთ კვეთება!

გუზან — დიახ, დრო არის! ვიწყოთ კვეთება, დიდებულნო,

შევათამაშოთ მახვილები, ნაჯახ-შუბები

და ურთის დარტყმით აღვადგინოთ უფლება ჩვენი!

(შეთქმულები თანდათან ჩუმად მიდიან. შემოდის ზანქან ზორობაბელი).

შენა ხარ, ზანქან?

ზანქან — მე ვარ, ბატონო!... თათბირისათვის ვიახელით!

გუზან — რა დროს თათბირია! გუშინ ხო გითხარ, როგორც უნდა მოქცეულიყავ? წადი და ძვე იმოქმედე! როცა მოვიდნენ, მთელი საგზალსა-ქურველი ჯორ-აქლეშებს აჰკიდ და ჩუმად, აქვე მახლობელ ტყეში გადამალე!

ზანქან — ძნელი საქმეა, ერისთავო! თუ შემიტყვეს, ლალატისათვის ხეზე დამკიდებენ!

გუზან — თუ კი გონივრად იმოქმედებ, ვინ რას შეგიტყობს! გაიგე, ზანქან, სანამ თამარი ხელმწიფეა, ვერც შენი საქმე და ვერც ჩემი ვერ გაიხარებს! აბა, შენ იცი, ფრთხილად იმოქმედე!

(გუზანი გადის).

ზანქან — დალაზეროს ღმერთმა! რაღა ყველა ხეანჯი და ფათერაკი მე უნდა დამეციროს! ის ოხრები მაინც სად ჯანდაბაში დაიკარგნენ... აღარც ქარავენი სჩანს, — აღარც ქარავენის წინამძღოლი... ძნელი საქმე კი დავიკისრე, საშინლად ძნელი! ღმერთო, შენ იყავ ჩემი შემწე!

(შემოდის ჯუჯა, მხარზე გულგადაკიდებული)

ჯუჯა — სადა ხარ, ზანქან! იქ პარაკლისზე რად არ იყავ?.. იქ გელოდებიან სპასალარნი... აქ რას დაეძებ?

ზანქან — არაფერს, ხეიბარო!

ჯუჯა — არაფერს, თუ ეძებ, რას იბოგნი შე ბედშავო!

ზანქან — ეგ რაო, ეგ ფრთები, როგორ აგიწყვია! სად ემზადები გასაფრენად!

ჯუჯა — ქალაქს მგზავნიან სპარსალარნი!

ზანქან — მე კი აქ ვრჩები, ჩემო ჯუჯა! იცი რამდენ მოგებას მიქადის ეგ ომი, ხეიბარო!?

ჯუჯა — როგორ არ ვიცი... ომი სულ ვაჭრებისა და ქალებისათვის მოიგონა ღმერთმა ქვეყანაზე... ომის დროს, თქვენ ფულებს აკეთებთ და ქალები ბუშებს! აგერ, სარდალიც!

(შემოდის ზაქარია, რომელსაც შემოყვება ორი მოლაშქე)

ზაქარია — გესმის, იახველ! ამ ცნობას ივანეს ჩააბარებ, ამას კი რატი სურამელსა! შენ კი, იორამ, ეს სოსლამს გადაეცი და ჩემი სალაზიგ მოახსენე!

პოლაშქრე — მესმის, სარდალო!

(გადაიან).

ზაქარია — შენ რა ჰქენ, ჯუჯა, ჯერ კიდევ აქ ხარ? აბა, მოდი და ყელ ჩამისველე!

(ჯუჯა მათარაში ღვინოს ჩაუსხამს და მიაწოდებს)

ჯ უ ჯ ა — ინებე, სარდალო!

(ზაქარიას დაღევს და ზანქანს გადახედავს)

ზ ა ქ ა რ ი ა — შენ აქ რა გინდა? სად არის შენი ქარავენი? ერყენული
გამარჯვებული

ზ ა ნ ქ ა ნ — რად სწყურებით, სარდალო! ჯერ კიდევ აღრეა, დანიშნულ დროზე სუყველანი გეახლებიან!

ზ ა ქ ა რ ი ა — ვაი, შენს ნაღველს, თავის დროზე თუ ვერ მოგვისწრო... ახლა კი წადი, საქმის ვითარება ხელმწიფეს მოახსენე!

(ზანქან გაღის)

დამისხი კიდევ!

ჯ უ ჯ ა — ბატონო, ერთი ხომ დალიეთ?

ზ ა ქ ა რ ი ა — ერთი რა არის! მე ორი ფეხით დავდივარ.

ჯ უ ჯ ა — აცოცხლა ღმერთმა დედაშენი, ოთხი ფეხი რომ არ გამოგაყოლა, თორემ სულ გამომიცილიდი ამ ტიკუორას!

ზ ა ქ ა რ ი ა — აბა, ჯუჯა, რაკი მიდიხარ, ზოდი წასვლის წინ დაგვლოცე შენებურად!

ჯ უ ჯ ა — ეგ ღმერთმა საქრისტიანოს გაუმარჯოს!

ზ ა ქ ა რ ი ა — აბა, შენ იცი, ქალაქში კარგი ამბები ჩაიტანე, ხალხი გაამხნევე... ჩვენი ცოლებიც ნახე და ანუგეშე!

ჯ უ ჯ ა — ნუ გეფიქრება, სარდალო, როგორც კი ჩაველ, სულ ყველას ჩემი ხუმრობით დაეაშვიდებ!

(შემოდის ბერიკა ფოგოჭური)

ბ ე რ ი კ ა — ზანქან აქ იყო, სპასილარო?

ზ ა ქ ა რ ი ა — დიახ, აქ იყო!

ბ ე რ ი კ ა — და ძერე ცოცხალი ვაუშვი, ის არამზადა!.. რა სიგიჟეა, მტერი ხელთ გყავდეს და ხელიდან უვნებლად წაგვიდეს!

ზ ა ქ ა რ ი ა — რა იყო, ბერიკავ, სთქვი რა მოხდა?

ბ ე რ ი კ ა — სულ ის ყოფილა, რაც ყოფილა! აი, კითხე, აქ არის ქარავენის წინაშეძლოლი... რომ ჩვენთვის ხელი შეეშალა, მთელი ჩვენი საგზალ-საქურველი-განგებ იმ ვერავს ქვაბულის ტყეში დაუმალავს...

ზ ა ქ ა რ ი ა — როგორ, ბერიკავ, ნუ თუ ზანქანმა გვილაღატა?!

წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი — აგრე გვიბრძანა, შენი ქირიმე, რომ საგზალ-საქურველი ტყეში დაგვემალა... არ გამოგვეჩინა, ვიდრე ომი არ დასცხრებოდა.

ზ ა ქ ა რ ი ა — ახლავ გასწით და აქ ზომგვარეთ ის ძალთაბირი!

(შემოდის შალვა თორელი ბერიკა ვაღის)

შ ა ლ ვ ა — აგერ, სარდალო, ნუქარდინის დესპანიც მოგვეახლა!

(შემოყავთ დესპანი)

დ ე ს პ ა ნ ი — სალამ ალექუმ ილ ალლაჰ!..

ზ ა ქ ა რ ი ა — (თავს დაუკრავს) მობრძანდით, დესპანო! ცხადია, რუმეთის დიდი სულთანი, თქვენ მცირე საქმეზე არ გაგრჯიდათ... ალბათ დიდი და საეულისხმო ამბავი მოგვიტანეთ მიღეთის მბრძანებლისგან!

დ ე ს პ ა ნ ი — დიახ, ეფენდი! ახლავე ფირმანს წაგიკითხავთ... „მე ნუქარდინ, შვილი ჩარასლანის, სულთანი ყოველისა ცისქვეშეთს მყოფი ხალხებისა, კაცი ანგელოზივით კეთილი და მოვლინებული მაჰმადისგან გეუბნები შენ: ქართველთა მეფეს, რომ ყოველი დედაკაცი შენსავით რეგენია!“

- ზ ა ქ ა რ ი ა — რაო, როგორ თუ რეგენია? ეგ რა გაბედე, ძალღმობირო?!
(სილას გააწნავს, დესპანს ქალღი დაუფარდება. ზ ა ქ ა რ ი ა იღებს და კითხულობს.)
- „როგორ გაბედეთ ქართველებმა, რომ სამუსლიმო მიღეთ ხარკი და ხარაჯა გააწერეთ? ახლა მე თქვენი დასჯა და შემუსვრა გადაწვევით მაგრამ თუ შენ, ქართველთა დედოფალი ჩემს ურდოში მოხვალ, და ჩემს თვალწინ შენის ფეხით გასრეს ჯვარს და სახარებას, მაშინ მართო შენ შეგინდობ, სხვებს კი მიწასთან გაეასწორებ!“ აი, რასა გეწერს ის ყორანი! წამო, სარდალო, დედოფალს ფირმანი მოვახსენო!
- მ ა ლ ვ ა — ჯუჯა, ამ დესპანს ყური უგდე!
(მ ა ლ ვ ა და ზ ა ქ ა რ ი ა გადიან)
- დ ე ს პ ა ნ ი — ვაი, თავპირი როგორ მტკივა.... კინაღამ ყბები ჩამიღწეა იმ დონღუხის ნაშიერმა! განა ეს ღირსეული საქციელი იყო სარდლისაგან? მითხარ, ეგ სილა როგორ მოგეწონა?
- ჯ უ ჯ ა — მე რას მეკითხები... სილა შენ გაააწნეს და შენ თვითონ გეცოდინება, როგორც იყო მითხარ, რად მოდის ჩვენზე ის შენი ამაყი ბრძანებელი?
- დ ე ს პ ა ნ ი — იმიტომ მოდის, რომ მთელ ქვეყანაზე მაჰმადიანობა სურს განავრცელოს თავისი მახვილითა!
- ჯ უ ჯ ა — სულელი ყოფილა! მთელ ქვეყანას ჭირიც არ ეღება ყველგან ერთნაირად და მაჰმადიანობას როგორ გაავრცელებს ის უკეთური?
- დ ე ს პ ა ნ ი — დრალც გაავრცელებს! ჩვენი რჯული ყველა რჯულზე უკეთესია! მაჰმადი დიდი წინასწარმეტყველია!
- ჯ უ ჯ ა — ეგ კი არ მითხრა!... კაცი რომ თავის ხალხს ღვინის სმას აუკრძალავს და ლამაზ ქალს სახეზე ჩადრს ჩამოაფარებს — თვალმა არ ნახოსო, წინასწარმეტყველი კი არა, ნამდვილი სულელია!
- დ ე ს პ ა ნ ი — ეხ, თქვენ რა იცით, ქართველებმა, რჯულის წესი!... თქვენ ლოცვითაც არ ლოცულობთ.... ჩვენ კი დღეში ორჯერ ზაინც უნდა მოვილოცოთ ჩვენი მაჰმადი.
- ჯ უ ჯ ა — ალბათ, ბევრ ცოდვას ჩადიხართ ეფენდი და ლოცვებით გინდათ შეიმსუბუქოთ ცოდვით სავსე ფიქრები!... აგერ, ზანქანიც მოიყვანეს! (შემოდის ბეროკა და შემოყავს ზანქან ზორობაბეღი.)
- ბ ე რ ი კ ა — მოდი, ჯორივით ფეხს ნუ ითრევ. ეგ არ გიშველის. ლალატასათვის ქვეყნის წინაშე პასუხს აგებ!
- ზ ა ნ ქ ა ნ — ქვეყნის წინაშე და თქვენ წინაშეც მართალი ვარ... ქარაუნის უფროსს რად უჯერიოთ, ის ტყუილს ამბობს... ვფიცავ წმიდანებს, ის ვერაფერ მტერია ჩემი!
(შემოდის ზაქარია)
- ზ ა ქ ა რ ი ა — მაშ, ასე, ზანქანი ჩვენ თავს გუზანი აბჯობინე, ქვეყნის ამრევი... იცი, რა გელის ამისათვის?
- ზ ა ნ ქ ა ნ — რაო, რა მელის, სპარსალარო?!
ზ ა ქ ა რ ი ა — შენ ამ საღამოს ტარტაროზთან იქნები ვახშმად!
- ზ ა ნ ქ ა ნ — ღმერთო, დამბხსენ! შემობრალე, ჩემო სარდალო, ღმერთს შეხედე და სამართალი ისე გასჭერი!

ზ ა ქ ა რ ი ა — ქვეყნის გამცემი შებრალებს ღირსი არ არის... აჲ, პასუხი ღალატისთვის!

(ხანჯალს გულში ჩასცემს. ზ ა ნ ქ ა ნ ძირს დაეცემა)

ჩქარა აქედან გაიტანეთ ამ ძაღლის გვამი!

(**ბ ე რ ი ე ჯ** და **გ უ ჯ ა** გარეთ გაიტანენ ზ ა ნ ქ ა ნ ი ს გვამს. შემოდის **შ ა ლ ვ ა** თორელი).

შ ა ლ ვ ა — ჩემო სარდალო, დიდი უბედურება დატრიალდა!

ზ ა ქ ა რ ი ა — რაო, რა მოხდა?

შ ა ლ ვ ა — გუზან და ვარდან ბიზანტიის ლაშქარს შეუერთდენ! მაგრამ ეს კიდევ არაფერი...

ზ ა ქ ა რ ი ა — როგორ თუ არაფერი, სარდალო?

შ ა ლ ვ ა — ბოცო მსაჯულოც გადაგვიდგა... მან სეფე-კარავს აუჯანყა მცველი გუშაგნი... საშიშროება ახლა თვით თამარს ემუქრება... აი, ხომ ხედავ, რარივ ურჩობით აწყდებიან ალაყაფის კარს!

(ისმის ხმაური და ყვირა, რომელიც თანდათან ახლოვდება. ბოლოს სცენაზე შემო-
ცივებიან აჯანყებულნი. ისმის შეძახვები):

სად არის ხელმწიფე დედოფალი! ძირს ვაზირები, გუზანს და გიორგი უფლისწულს გაუმარჯოს!

(ამ დროს ზევით მთაზე კარვის კარი გაიღება, გამოდის თ ა მ ა რ, ის მიდის ქვევით ამაყი შემართებით, და ე თ ს ო ს ლ ა ნ ი და სარღლები თ ა მ ა რს წინ გადაუღვებიან და მუდარით გზას უღობავენ)

ს ო ს ლ ა ნ ი — ნუ, ხელმწიფეო, იქ ჩაბრძანებას ნუ ინებებ... ნუ მიენდობი თავგასულ ბრბოს მრისხანე ლეღვას!

რ ა ტ ი — ზღელვარე ხალხი საშიშია ნადირზე მეტად!

შ ა ლ ვ ა — ერთი ნაჯიბის წინ გადადგმაც სახიფათოა, შენთვის, ჩვენთვის და ყველასათვის!

თ ა მ ა რ ი — გზა! გზა მომეცით, ერის სულთან მსურს საუბარი!

ზ ა ქ ა რ ი ა — ეილრე ჩემს მახვილს სიმშვიდე არ დაუდგენია, მანამდე იქ ნუ ჩაბრძანდებით, ჩემო ხელმწიფეც!

ს ო ს ლ ა ნ ი — ვაი, თუ ცუდი ბოლო ექნეს ამ შებრთებას!

თ ა მ ა რ ი — გააღე-მეთქი, ალაყაფი!

(აღებენ ალაყაფის კარს. აჯანყებულნი კვლავ გააყვირიან, მაგრამ მათ თ ა მ ა რ ი არ აქცევს ყურადღებას, ის ჩამოდის ქვეით ნელის ნაბიჯით და ამაყი შემართებით, როცა დედოფალი შემომარჯვებულთა წინა რიგებს მიადგება, წინ მდგომნი შედრკებიან, გზას ვეღარ უჭერენ დედოფალს და მომარჯვებულ შუბებს ძირს ხრიან მოკრძალებით)

თ ა მ ა რ ი — რად არა ჰყვიროთ! ეგ შუბები რისთვის დაჰხარეთ?

მე არ მაშინებს ეგ მახვილნი პირგაბასრულნი,
თუნდაც ისინი ირხეოდნენ გულის საგმირად
და თითქოს ასჯერ მოკვდინება მოჰქონდეს ჩემთვის!

რაა სიკვდილი! სიცოცხლის მთესველს ერგება დღეს ჩვენი
პატივი

და არა იმას, ვინც სიკვდილის მთესველი არის!...

ეს ხომ შენა ხარ, ბოლოსტოქის ომში რომ დასჭერ

გალაღებული მტრის სარდალი!

შენც, საღდაც, მახსოვს მინახავხარ კეთილ საქმეზე...

ვგონებ, ვარციხეს მუშაობდი ქვათა მკოდავად და ახლა ბეჩავს,

რად არ გრცხვენია, რომ გულთა კოდვა დაგიწყია!



ხ მ ე ბ ი — ყური არ უგდოთ, მეგობრებო! არ უგდოთ ყური!
 ძირს ვაზირები! გიორგი უფლისწულს გაუშარჯოს!

ზ ა ქ ა რ ი ა — ხმა ჩაქმიდეთ გარეწარნო მოღალატენო!

ს ო ს ლ ა ნ ი — იქით წაიღეთ შუბ-ნაჯახი, თორემ ღმერთს ვფიცავ, ერთი თქვენგანი აქ ძირს უსულოდ დაეცემა!

თ ა მ ა რ ი — არ ვიცი ახლა რა შეფერის ჩემს მკმუნვარებას!
 ჩუმად ვაგშორდეთ და გულს ჩაეიკლა
 საყვედური შეჭირვებულმა,
 თუ ვითხრათ იგი, რასაც ვფიქრობ!
 არა ზგონია, აქ თქვენს შორის იყოს ისეთი,
 ვისაც სამშობლო არ უყვარდეს...
 და თუ აგრეა, გეკითხებით ვის აყოლიხართ?
 შერისხულ ვაზირთ: გუზანსა და ვარდან დადიანს
 და მათი ნება გინდათ ძალით მაკისრებინოთ?
 მე სხვას ვფიქრობდი! ხომ არაფერი დავაშავე შეთქი ისეთი,
 რაც ერის სულსა შეურაცყოფს!...
 ან ვაწყენინე დიდებულებს კეთილშობილთა!
 როგორც რომ დედა, თავის პირშშოს ზრდის რუღუნებით,
 მეც ჩემი ვარი ამგვარ შრომით გამომიზრდია!
 იგი დღეს მტკიცე და ძლიერია, საფუძველს მისას,
 ვერც კეისარი და ვერც რუმის დიდი სულთანნი
 ვერ შეარყევენ თავხედური რისხევა-მუქართი!
 მაშ, ვისთვის იბრძვით?
 თუ აქ თქვენს შორის ურევია ჩემი ორგული,
 დე, მან შემართოს და მესროლოს თავის ძაარი!
 დაე, პირველმა იმან დამკრას გულში მახვილი,
 ვინც თავის დედას პატივს არ სცემს...
 იმათ ჩამქოლონ, ვისაც მკვლელობა, ხელობათ აქვს
 გადაქცეული!

(წინა რიგები დედოფლის წინაშე დაემხობიან)

ხ მ ე ბ ი — გთხოვთ ხელმწიფეო, გვაპატიოთ დანაშაული!
 — წმინდანო სულო, ღეთაებრივი აზრის ზერქვეველო!
 — სათნო ქმნილებავ, შეგვიბრალე ცოდვილნი შენნი!

თ ა მ ა რ ი — სად არის ელჩი, აქ მომგვარეთ!

დ ე ს პ ა ნ ი — აქ ვარ, მზისდარო ხელმწიფეო სამყაროისავ!

თ ა მ ა რ ი — მე წავიკითხე, დესპანო, შენი მბრძანებლის მუქარა უხიაკი.
 ამაყად ვიბარებს თავის ურდოში მიღეთის მბრძანებელი, რათა მივეახლო
 და მისი სურვილი შევესრულო. მაგრამ მე მოვალ, დესპანო, ჩემი ჯა-
 რით და ჩემი ხალხით, მაგრამ არა მისდა თაყვანსაცემად, არამედ დასას-
 ჯელად მისი გულის ამპარტავნებისა... ამიერიდან იყოს ღეთის ნება და
 არა მისი! გთხოვთ ეს გადასცეთ იმ თქვენს სულთანს, ჩემო დესპანო!
 ც ლ ჩ ა მდამლად თავს დაუქრავს და გადის)
 მხედართმთავარნო, დროა დაიწყეთ გალაშქრება! ამ ომის შემდეგ დიდ
 ნუჭარდინთან მოგველის დიდი ბრძოლა!

- ზ ა ქ ა რ ი ა — მაშ, ჩემთან, ძებო! დასთა, რაზნთა და სპათა მეთაურხო,
წინ, გაბედულად, ჩვენი ერის და დედოფლის სადიდებლად...
(რაზნთა მეთაური გადაეშევიან ბრძოლაში. ისმის ორპირი ლაშქრედი... და მკაცრ
სოსლანი აღის ვორაქზე და ბრძოლის ველს გადაუფრებს)
- სო ს ლ ა ნ ი — ვიშ, ამ ყოინას, დედოფალო, სასტიკი ომი გაიმართა!
თ ა მ ა რ ი — ღმერთო ძლიერო, შენ იყავი ჩვენი მფარველი.
- სო ს ლ ა ნ ი — აგერ შეხედლე! ჩვენი დროშა ვით შეეარდენი როგორ მისცუ-
რავს მტრის ბანაკში... სძლევს მტრის ყოველგვარ დაბრკოლებას!...
- თ ა მ ა რ ი — ღმერთო, აკურთხე მისი ძლევაგამოსილებანი!
- სო ს ლ ა ნ ი — აგერ, მხარგრძელი ზაქარიაც! ყოჩაღ, სარდალო! მტრის კუ-
როპალატს შუბით მიეგება, ისიც ვაყვაცი უნდა იყვეს, უკან არ იხევს...
აი, დაიწყეს შემართება!...
- თ ა მ ა რ ი — ღმერთო, მიეც ჩვენს ზაქარიას სიმტკიცე შენი!
- სო ს ლ ა ნ ი — მარჯვედ, ზაქარიავ, მარჯვედ დაქაქარ მაგ მოძალადეს! შვი-
მე ბრძოლაა დედოფალო! შუბები დაღეწეს და ახლა ოროლებს მოუხ-
შირეს... აგერ, ბასრმა მახვილმაც გაიღვია!... აჰა, მტრის თავი, დედო-
ფალო, მოგორავს ძირსა!
- თ ა მ ა რ ი — დედაო ღვთისავ! კვლავ გვიმრავლე წყალობა შენი!
(ისმის ომის ყვირნი)
- სო ს ლ ა ნ ი — სასტიკი ომი გაჩაღდა, დედოფალო! აგერ, ივანეც ჩაერია...
კიდევ წამი და ეხ, დედოფალო! ეგ რა უბედურება დატრიალდა.
- თ ა მ ა რ ი — რაო, რა მოხდა!
- სო ს ლ ა ნ ი — ცხენი მოუკლეს ივანეს სარანგებმა...
- თ ა მ ა რ ი — თავათ რას შერება, როგორ არის?
- სო ს ლ ა ნ ი — არაფერია, დედოფალო, იგი მყის შეუბრუნდა მტერს და
ახლა თვით მუსრავს უმოწყალოდ. აგერ, შიკრიკიც! სთქვი, რა ამბავი
მოიტანე?!
- შ ი კ რ ი კ ა — მეტად გამწვავდა ბრძოლა, ხელმწიფეო... მტრის ლაშქარი ისე
დიდია, რომ მათი ნატყორცნი ისარი მზეს აბნელებს!
- სო ს ლ ა ნ ი — არაფერია, ჩრდილში უკეთ ვიბრძოლებთ შუადღისას!
- თ ა მ ა რ ი — წადი, იახვულ, შალვა თორელი გააფრთხილე მტკეპარს გაღ-
მა გავიდეს და მტერს მარცხენა მხრიდან მოუაროს!
- შ ი კ რ ი კ ი — მყის გაეფრინდები ხელმწიფეო!
(გადას)
- სო ს ლ ა ნ ი — აი, შეხედე, ხელმწიფეო! რა უცნაური ამბავია! საიდან განჩ-
და ეს ამოდენა ზღვა ლაშქარი! აჰა, ვიცანი, გიორგი უფლისწული რო-
გორ ამაყად მოუძღვდს წინ ბიზანტიელებს!.. გუზან, ვარდანიც ზასთან
არიან... ჩვენზე იერიშით მოიწევენ
(შემოდიან ალექსი კომნენი და რატი ხურამელი)
- კ ო მ ნ ე ნ ი — დიდია საფრთხე, ხელმწიფეო, აქ გაჩერება არ ეგების!
- რ ა ტ ი — თქვენს ციხე-ქარავს მტრის ლაშქარი უახლოვდება.
- სო ს ლ ა ნ ი — უკვე დრო არის, დედოფალო! უბრძანე შენს უმდაბლეს მონას
და ის დროშა, რომელიც ახლა ჩვენ კარვისკენ მოეპართება — მყის შენს
წინაშე დაემზობა!
- თ ა მ ა რ ი — გამწი, სარდალო, ღმერთი იყოს შენი მფარველი!

- სოსლანი — მომგვარეთ ცხენი! შზადა ხარ, რატი სურამელი?
- რატი — შზადა ვარ, ჩემო ხელმწიფეო, ჩვენი შუბები-კადნიელ-ქტეერთან დაძგერებას ელოდებთან!
- კომნენი — მეც თქვენთან ერთად, ჩვენი საქმის გამარჯვებისთვის!
- სოსლანი — მაშ, მომყეთ, ჩემო ვაეკაცებო, ჩვენი პირიშვის სადიდებლად!
(ყველანი ხმალმოღებელი სწრაფად გადიან. თამარი ამოიღებს უბიდან ხატს და ჯაწყებს ლოცვას)
- თამარი — ოი, მფართველო დედაო ღვთისა! ივერია ღვთის განგებით შენი წილხვედრი ქვეყანაა!... დღეს მე ვარ აქ, შენი მხევალო, შენის წყალობით დადგენილი... ნუ აიღებ ჩემზე წელს! როგორც ქალი — ქალს ისე ვაეჯები, ნუ წამიხდენ ამდენ შრომას და რულუნებას... დაე, ბოლომდე დარჩეს ჩემზე წყალობა შენი! დაიცავი შენი წილხვედრი ქვეყანა საფრთხისაგან, რომ მარად ცხადვეო მეც ჩემს ერში დიდება შენი!
(შემოდის შავთელი)
- მგოსანო, საიდან მოგვეახლე?
- შავთელი — თბილისიდან, დედოფალო... მეტად სამწუხარო მძინე ამბავი მოგიტანეთ!
- თამარი — ო, ცუდს ნუ მტყვი, ჩემო კეთილო მეგობარო!
- შავთელი — უფლება არ მაქვს, ხელმწიფეო, გარეუბნისა!
- თამარი — მაშ, სტყვი, შზადა ვარ მოვისმინო!
- შავთელი — რა წამს, თქვენ აქეთ წამოხველით, ის იყო სწორედ, კათალიკოსმა მყის შეკრიბა საშლედლო პირნი და საპაექროთ გაიწვია ჩვენი მგოსანი.
- თამარი — ნუ თუ მოძღვარმა გაბედა ეს?
- შავთელი — დიახ, შვისდარო! მისი ცურთხევა რუსთველს განდევნით ემუქრება!
- თამარი — როგორ თუ განდევნით ემუქრება?
- შავთელი — თქვენა ხარო ახლა ერთადერთი ჩვენი ნუგეში, უთქვენოდ ჩემი მეგობარი განწირულია!
- თამარი — ეგ არ მოხდება... ჩქარა, ყალამი მომამწოდეთ...
(ყალამს მართმევენ თამარი სწერს, შემდეგ დაწერილ შავთელს გადასცემს)
- აჰა, უსტარი... ჰა, დასტურიც ჩემი ბეჭდისა... გასწი, ხსწრაფე, მიუსწარი მის გულბრუნობას და შეაჩერე ღვთის უღირსი მოქმედებისაგან!
- შავთელი — გმადლობ შვინდარო, ხელმწიფეო, მყის გავფრინდები, რომ აღეასრულო წმინდა ვალი სათნოებისა!
(შემოდიან დავით სოსლანი და რატი სურამელი)
- რატი — სამახარობლო, დედოფალო, სამახარობლო...
- თამარი — რა ამბავია, ჩემო რატი?
- რატი — ბეტერი დამარცხდა სამარცხინოდ, ჩემო ხელმწიფე!
- სოსლანი — აი, დროშები, დედოფალო! მალე შეთქმულიც წარმოდგებიან შენს წინაშე ქედმოდრეკილნი!
- თამარი — ოი, შენ, ღმერთო, სახიერო!
- სოსლანი — უხმეთ, ტყვეები აქ მორეკონ!
(შემოყავთ ტყვეები).

- სოსლანი — აგერ, ტყეებიც, ხელმწიფეო... მათ შორის ჩვენი დაუძინებელი მტერიც იმყოფება.
- თამარი — გუზან აქ არის?
- გუზან — დიახ, აქა ვარ მე ბედკრული!
- თამარი — წინ წამოდექი, შე ბედშავო!
- გუზან — თვალდავისილი ვარ, დედოფალო... დაუხმარებლად არ ძალმიძს ფეხის წინწამოდგმა.
- თამარი — ეგ როგორ მოხდა? ვინ დაგივსო თვალნი მხედველნი?
- გუზან — თქვენმა მეუღლემ, დედოფალო! კარგად უწყოდა თქვენი მოწყალე ხასიათი, რომ არ დამსჯილით, თუ აქ უენებლად მოვეყვანე!
- თამარი — ეგ რათ ჰქენ, დავით? რათ წაართვი გუზანს სინათლე?
- სოსლანი — იმიტომ, ჩემო ხელმწიფეო, ეგ მუხანათი ღირსი არ არის, რომ ხედვიდეს სინათლეს მზისას!
- თამარი — ეგრე რათ იტყვი, ცოდვილებსაც უნათლებს იგი!
- სოსლანი — ახლა უნათოს... მაგის ციციხელი ჯოჯოხეთშია...
- გუზან — გთხოვთ, დედოფალო, შეწყალებას... მე ხომ ისედაც დასჯილი ვარ ჩემი ბედისგან... მწამს, რომ შემინდობ, რადგან შენა ხარ ღმერთი მონანულთა!
- თამარი — ოი, ბედშავო, მთელი სიცოცხლე სინათლეს ებრძოდი დაქინებთ, ებრძოდი მანამ, ვიდრე სინათლე არ დაკარგე... შეგინდოს უფალმა... წაიყვანეთ მარტვილთა მონასტერში.

ფ ა რ ღ ა

მოკამელება მისუთი

მელქისეხი. მოსჩანს საყდრის კედელი, სადაც აღმართულია საბაექრო ამბიონი. ხალხი ელოდება კათალიკოსის გამოხვლას. დიდი ხმაური და ჩოჩილია.

- ჯუჯა — ჩუმად, ხალხო, რა ხმაური გაქვთ... განა არ იცით, რომ მალე ანტონ ჭყონდიდელიც აქ იქნება!...
- მოხუცი — რომელი, შვილო, რომელი ჭყონდიდელი?
- ჯუჯა — აი, მიქაელმა შწიგნობართუხუცესობა, რომ მოსტაცა და მას შემდეგ ბერად აღიკვეცა!
- მოხუცი! — საწყალი, რა პატიოსანი კაცი დასჩაგრა ჩვენმა მიქაელმა! რამდენი სიკეთე და ამაგი დასდო ამ სათნო მოხუცმა თავის ქვეყანას და ახლაც თავი ისე უჭირავს, თითქოს არაფერიც არ გაეკეთებინოს ხალხისათვის!
- ჯუჯა — ეს აგრე არის, ბერიკაცო! დიდი ზღლი ყოველთვის ჩუმად დადის; ეგ მხოლოდ პატარა სიკეთეა, მუდამ რომ ყურის მგლეჯელი ხმაურით თავს გვაბეზრებს, აი შემხედეთ: რის მომქმედი ვარ და თაყვანი მეციითო! აგერ, ანტონ ჭყონდიდელიც!
- (შემოდის ანტონ ჭყონდიდელი)
- მოხუცი — თვალს აღარ მიჩანს, ეს ვგონებ შენა ხარ, წმინდაო მამაო ანტონ! ანტონ — მე ვარ, მოხუციო! რაღას მიცნობ, ჩემი დროყაში გავიარე!
- მოხუცი — კარგა ხანია აღარ მსმენია შენი სიტყვა, ჩემო მოძღვარო... ეს როგორ მოხდა, რომ გავციხსენე!



- ანტონ — მიქაელ კათალიკოსმა დამიბარა სასწრაფო საქმისათვის და აი, ეს არი, ჩამოველ კიდევ გარეჯის მონასტრიდან.
- ბმებეი — კეთილი იყოს შენი მოსვლა, ღირსო მამაო! გვიშველე რამე, დაგვეხმარე, უნეტარესო!
- მოხუცი — ის ხომ არ იცი, მამაო, როდის დაბრუნდება ომშიწასული დედოფალი?
- ანტონ — რაო, რა მოხდა ამისთანა?
- მოხუცი — უბედურება, ჩემო ანტონ! თუ დედოფალმა დროზე ვერ მოგვისწრო, ცქვი არ არის, რუსთველს დალუბავს მიქაელი!
- ანტონ — როგორ, მოხუცი?
- მოხუცი — დიდად მრისხანებს ჩვენი მეუფე გულზეიალი... რუსთველს ეკლესიიდან განდევნით ემუქრება!
- ანტონ — ღმერთო დიდებულო! ეგ რა მოარული სენი დასთესე ქვეყანაზე!... ორი დიდი კაცი რომ ერთ ქვეყანაში საზოგადო სარბიელზე ერთმანეთს ვეღარ ითმენს!... დიდებული-დიდებულს სჭამს, ვაჭარი-ვაჭარს... როდის, ღმერთო, როდის განიკურნება ქვეყანა ამ სენისგან?
- ჯუჯა — მაშინ, ბატონო, როცა ქვეყანაზე ადამიანის ნატამალი აღარ იარსებებს!
- ანტონ — ეგრე რად ამბობ, უკეთურო?
- ჯუჯა — იმიტომ ვამბობ, მამაო, რომ წუთისოფელი გუხთალია... აი, ხომ ხედავ ჩვენს ბრძენ მგოსანს მიქაელ რას უბირებს!
- ანტონ — შენ რუსთაველთან რა ხელი გაქვს. იმას შენისთანა კაცი როდი უყვარს!
- ჯუჯა — ჩემისთანა ანგელოზი თუ არ უყვარს, მაშინ სულ არაეინ ყვარება ქვეყანაზე!
- ანტონ — ენაქარტალა არც კაცი უყვარს და არც ანგელოზი!
- ჯუჯა — მამ, წმინდანი ყოფილა!
- ანტონ — ეგრეა! ყოველი პატიოსანი კაცი წმინდანია!
- ჯუჯა — გულში მეც წმინდანი ვარ, მამაო, მაგრამ ცხოვრებაში ვერ ვახერხებ! აგერ, ტაძრიდან სულიერი მოძღვარნიც გამოვიდნენ!... (ტაძრიდან გამოდის მიქაელ. მას მოყვება სამღვდლოება)
- მიქაელ — დიდად მიხარის, ნეტარო მამაო შენი ხილვა... ჩვენს პაექრობას სწორედ დროზე ჩამოუსწარი!
- ანტონ — თქვენი შრძანების თანახმად გეახელ, მეუფეო!
- მიქაელ — ნეტავ სად არის? ხომ არ გინახავსთ აქ მოსული ის სათანაილის მოციქული?... რათ ვერ გაიგეთ? მგოსანთ მგოსანზე გეკითხებით?
- ანტონ — აგრე, რად ლელავთ, მეუფეო! განა რუსთველი ეგეთი დიდი შემცოდება ქვეყნის წინაშე?
- მიქაელ — უზომოდ დიდი. ჩემო ანტონ! თავისი წიგნი მან ჩვენ ხელმწიფეს წარუდგინა ქორწინების დღეს!
- ანტონ — მერე რა მოხდა ამით, მეუფეო?
- მიქაელ — იცი, რა არის შენ ამ წიგნში გამოხატული?
- ანტონ — არა, მოძღვარო! ჯერ არ მჭონია, პატივი მისი წაკითხვისა.
- მიქაელ — ვიღრე მასზე ჭორები დადიოდა, მეც თავს ვიკავებდი და არას ვამბობდი... მაგრამ ახლა, როცა წიგნის გავრცელება თვით დედოფალმა ინება, — უკვე სიმშვიდე დამეკარგა...



- ანტონ — განა ასეთი წიგნი არის, ჩემო მოძღვარო?
- მიქაელ — სამეძიოა, სიყვარულის მქადაგებელი!
- ანტონ — თუ ეგეთია, სამღვთო წიგნებს შეეცილება!...
- მიქაელ — იცი, რა ვითხრა! ამასწინათ ჩემი ბერის ერთმა საქციელმა ფრიალ გამოაცა... მის სენაკში მთელი ღამე კანდელი ენთო ჩაუჭრობლად. გულში მოვუწონე... ვთქვი, აი ბერი ნამდვილი ღვთისმოსავი, ლოცვანს და გულანს კითხულობს-მეთქი... ფრიალ ფიგულისხზე, მიველ და იცი რას შევესწარა?!
- ანტონ — რაო, რა ნახეთ მეუფეო?
- მიქაელ — „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა ის ცოლდით საესე... იმ წამსვე წიგნი ხელიდან გამოვგლიჯე და იქვე ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე!
- ანტონ — თქვენის ხელებით, მეუფეო?
- მიქაელ — დიახ, ჩემის ხელებით. აი, ამ ხელებით, ჩემო ანტონ!
- ანტონ — საკვირველია, მეუფეო... სასტიკად მოქცეულხართ!
- ყარის მოძღვარი — აგერ, რუსთველიც მეუფეო!
- I მღვდელი — ვეიახლოვდება მკმუნვარე და ნალევლით საესე!
- რუსთველი — აი, მოვედი, მეუფეო, რომ ზოვისმინო
შენი მსჯავრი და საყვედური უსასტიკესი!
- მიქაელ — განა შენ იცი ჩემი მსჯავრი როგორიც არი?
- რუსთველი — აფთარის გული უწყალოა, თუ მან ქურციკი
შენიშნა ახლოს იალაზხედ მარტოდ მხოვარი!
- მიქაელ — აქაც კანნიერ იქნებოდი, ეგ რომ მცოდნოდა,
მერწმუნე, ჩემთან საბაუქროთ არ მოგიწვევდი!
- რუსთველი — არც მოვიდოდი, რომ არ გეხზე... სათნო მამანო,
მოვედი აქ და როგორც გსურდეთ გამასამართლეთ,
სიტყვით ან საქმით თქვენს წინაშე თუ მიდევს ბრალი!
- I მღვდელი — ბრალი დიდი გაქვს...
- II მღვდელი — შენ ახლაც დიდად შეურაცხვე ჩვენი მოძღვარი,
რაკი ის აფთარს შეადარე!..
- მიქაელ — ღმერთმა შეუნდოს!
მე ჩემი ვალი მარად მახსოვს სათნოებისა...
- რუსთველი — მაგრამ ბოროტის დამთესავი, უნდა უწყოდეს,
რომ თვით ბოროტად დაიღუპვის...
- მიქაელ — რას მეზუქრები? ვინდა სიოცხლე მომისწრადო?!
რუსთველი — ეგ არა, ამას თვით ღმერთი არ ინებებს...
- მიქაელ — მაშ ვინდა შიშით მაიძულო, წიგნის აკრძალვის გაუქმება?!
რუსთველი — თქვენი კეთილგონიერება გამონახავს უკეთეს ხერხს, ვიდრე აქამდე გიპოვნიათ!
- მიქაელ — კარგია, კმარა!
- რუსთველი — კმარაო? არა, ჯერ არ კმარა!
რა დააშავა ჩემმა წიგნმა ქვეყნად ასეთი?
ან ჩემი საქმე რა კანონმა გამოიძხა,
რომ განაჩენი დამიღვინე ეგრე სასტიკი!
ლომსა და აფთარს შეუძლია იყოს უწყალო,
მხეცურ ბუნებას ეგ შეპფეროს, ზნეთა სკირს კიდეც,

მაგრამ სჯულიერ, უზენაეს სულიერ მამას, რამ გამოგასხა

ეგ ბრწყინებელი

სთქვი ვინ ჩავისხა გულში გესლი მაკვდინებელი

და გარდავიქმნა სახიერი კაცის ბუნება?!

მ ი ქ ა ე ლ — ოი, წარმართო, აწ და მარად იყავ წყევლი!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — მაგით ვერ შემძრავ, შენი წყევლა უსაბუთოა

და გზას ზეცისკენ ვერ გაიკვლევს!

მ ი ქ ა ე ლ — და რაკი ეგრე კადნიერი გულის ბრძანდები

რა სანცივიფროა, რომ თხზულება შენი სულისა,

იყოს ერისთვის უკადრი და მიუღებელი.

წმიდა მამათა საკრებულომ აკრძალა იგი!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — აკრძალა კიდევ!

მ ი ქ ა ე ლ — დიახ, აკრძალა სამუდამოდ!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — მაგრამ სანამდის ამისათვის არ გაქვს საბუთი,

უსაშართლოა კეთილ საქმეს ეწოდოს ავი

და სეს კეთილად ესათნოს კურთხევა შენი.

მტყუან-მართალის პირუთენელი მსაჯული დროა და არა

კაცთა სამართალი!

მ ი ქ ა ე ლ — კაცთ სამართალსაც თვით დრო აღგენს...

დროა ყველაფრის შემქმნელი და უარყოფელიც!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — თუ შენს ღვარძლიან გულს სწადია, რომ განვიწირო,

მაშინ ჩემს წიგნთან რა ხელი გაქვს. აჰა, მახვილი,

ეგ ჯვარზე უფრო შეფერის შენს სულმოკლეობას

და ერთის დაკვრით მომიწწრაფე სიცოცხლე ჩემი!

მ ი ქ ა ე ლ — იქით წაილე, ეგ მახვილი, თვალს ნუ მიწამლავ!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — სწორედ მაგ თვალთა მომიწამლეს მე სასოება

და მათი რისხვით ვიდევნები ამ საწუთროში!

მ ი ქ ა ე ლ — მე ვდევნი წიგნსა და არა შენ!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — წიგნი ეს მე ვარ, ის ჩემია! ჩვენს დაშორებას,

ვერ შესძლებ, რადგან ღვთიურია კავშირი ჩვენი.

შენ ვერ ჩაახშობ წმიდა აზრის სინათლის სვეტსა,

ვერც ჩემს ამაყ სულს დააქინებ, რადგან ის მღერის

ზარადის გზნებით, ტრფიალებით აღტაცებული!

მ ი ქ ა ე ლ — სწორედ ეგ არის მძიმე ცოდვა!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — განა ცოდვაა, თუ მე ვუმღერ რაინდულ სულსა

და მასში ვხედავ წმიდა აზრის დანიშნულებას?

თვით ღმერთი ჩვენი გამიჯნურდა, როცა იხილა

მშვენიერება მომზიბვლელი ზაგდალინელის!

მ ი ქ ა ე ლ — რაო, ეგ რა სთქვი უკეთურო?!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ის რომ ღმერთ-კაციც მონა იყო ტრფიალებისა.

მ ი ქ ა ე ლ — ის ტრფიალება როდი იყო მოკვდავთა მსგავსი...

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ცდები ათასჯერ! ეგ ვეება წუთისოფელი

რა იქნებოდა მოკლებული ამ ღვთიურ ნიჭსა?

ზხოლოდ ხმელი ხე — უნაყოფო, ხრიოკზე მდგარი,

საზრდო-საკვებსა მოკლებული.

როგორც რბილ ოქროს კეთილშობილს გამოსცდის ცეცხლი,
 ისე ჩვენ სულსაც ტრფიალების ცეცხლი გამოსცდეს,
 თავის უნაზეს სახმილითა!
 მამ, მე რაში ვარ დამნაშავე! ნუთუ იმაში,
 რასაც ვხედავდი, რომ ნათელვყავ.

რასაც ვგრძნობდი — სხვასაც ვაგრძნობინე! მაშინ რად გვინდა
 თვალი, თუ არ დავინახავთ! რად გვინდა პირი, თუ არ ვიტყვიან! რად
 გვინდა ხელი თუ არა განვიხილავთ?! ეგრე ხომ ქანდაკნიც არიან მა-
 ლალ კვარცხლბეცზე წარმომდგარნი, — აქეთ ყოველივე ეგ სიკეთე და
 მაინც ცივად მდუმარებენ.

მიქაელ — ოი, წყევლო, დაგეზმოს კარნი ზეცისანი!...

არა ბრწყინადღეს ნათელი შენი და არ იხილონ კაცთა საქმენი შენი,
 რადგან ხესაც კი განრწნის შენი მიკარება.

ქიაბერი — შესდეგ, მიქაელ!

ანტონ — ეგრე ნუ, ჩვენო მეუფეო, ეგეთი რისხვა არ ეგების!

მიქაელ — როგორ თუ რისხვა არ ეგების!.. დასაბამი სიბრძნისა ყოველი-
 ვის იყო შიში უფლისა, ხოლო მოყმემან ამან, როგორც დაღმართისაკენ
 სრბოლმა მდინარემან ისწრაფა გულ-ხენეშად ტრფიალისა და ლირწე-
 ბის ქებად, რისთვისაც საყვედურებელ არს და აწ ყოველმა კეთილმა
 მორწმუნემან უნდა უპატიო ჰყოს იგი!

რუსთველი — მიწყალე, უფალო, მე, მიწყალე, რადგან არა რაი დამი-
 შავებია თვინიერ სიკეთისა... იხილე სიმდაბლე ჩემი და ნაშრომი ჩემი
 შეთვრდომე... მხოლოდ შენ უწყვი, სახირო, თუ რამდენი ვიტან-
 ჯე, რამდენი ვიგეღვე და ვიგულმოდგინე, რომ მეხსნა სული
 ჩემი ნალველისაგან, მაგრამ მტერნი ჩემნი, ან უზომოდ მომძლავრე-
 ბულნი — რაკი ესოდენ გამრავლდნენ — მცეს მე ლახვარი ორღესული,
 მაგრამ ლახვარი განგმირავს გულსა, ხოლო სული ჩემი დღეს შერისხუ-
 ლი და მაინც ცხოველყოფელი, როგორც ნორჩი ნაძვი თოვლის ქელის-
 გან განტვირთული, თავს ზევით ასწევს და აირხევა, — ისე, შეც, ვაცხადებ
 ყველას გასაგონად: შენ სტყუი, ყოვლადმაღალო სამღვდელოო მიქაელ!

მიქაელ — აი კვლავ გმობა საოცარი! ეგ სათანაილის მოციქული, რომელიც
 გმობს წმიდა ტაძარს — და მის მსახურთ ეგეთი აუფი სიტყვებით იხსე-
 ნიებს, — უნდა ზიეცეს ანათემას!

ქიაბერი — შესდეგ, მიქაელ, შეაჩერე ეგ შენი რისხვა,
 ვიდრე პირიმზე ლაშქრობიდან დაბრუნდებოდეს.

მიქაელ — არავითარი დაყოვნება, წარმართს რისხვა და ანათემა!

ქიაბერი — დასცხრი, დამშვიდდი, წუთიერ მსჯავრს ნუ აპყობიხარ!

ანტონ — გახსენ დაბშული გულისკარი სათნობისა!

მიქაელ — არავითარი შეწყნარება წარმართის მიმართ!

რუსთველი — ვაი, თქვენ თვალხილულნო, მაგრამ, ბრძანო გონებითა!

არ ესაჭიროებ შეწყალებას... აჰა, მივდივარ!

ან კი რად დავრჩე გულმოკლული შწუხარებითა!

ვისლა უცქირო, ვინ მიყვარდეს, ვის დაენანდები...

სოფელი ვრცელია,

ვიპოვი სადმე გამოქვამულს ტრამალებს შორის

და მას ყარიბი შევაფარებ უიღბლო თავსა!



მ ი ქ ა ე ლ — აიღეთ ძმანო, ეგ შტოები სავედრებელნი
და რისხვა-კრულვა შეუთვალეთ წარმართის სულსა.

მ ღ ვ ღ ლ ე ბ ი — ღირსია მეუფეო, ღირსია წარმართი განდევნისა!

მ ი ქ ა ე ლ — და რადგან ღირსია, ნულარ ვაყოვნებთ, ძმანო ჩემო! ტამარ-
ში შევეკრბეთ და იქ, სად იმისი ქერუბიმთა საგალობელი—მივცეთ წარ-
მართი ანათემას!

(იმისი ნელი საგალობელი. მ ი ქ ა ე ლ მიდის, მას მიეყვება სამღვდლოება. სცენაზე
ჩნება რ უ ს თ ვ ე ლ ი).

რ უ ს თ ვ ე ლ ი — რაა ქვეყანა ღმერთო ჩემო! ისეთი ბრიყვი
ვინ არის ნეტა, რომ არ მიხვდეს ამაოება
არის ბატონი საწუთროსა?

მაგრამ ვინ არის, ვინ გაბედავს სიმართლის თქმასა
და ამ ქვეყანას ვინ უწოდოს წამების ჭურვი, —
როცა თვით ჭურში მოქცეულა არსება ჩენი
და იმის იქით ვერას ვხედავთ, ვერაფერს სრულად,
თორემ, ვისაც სურს დაინახოს, რა არის თვითონ
და ჩაფიქრდეს თავისთავს, და საწუთროებას,
იგი მიხვდება, რა მწიწნი და საბრალონი ვართ,
ვერაფერს ვხედავთ საკუთარი თავის გარეშე
და სხვისი მადლის დანახვის დროს
ვიბრმავებთ თვალსა

აი, რა ცოდვის შვილები ვართ...

მაგრამ ვინ გვეტყვის?

ვინ გაგვიბედავს ჩვენ ამ ნაკლის პირდაპირ თქმასა!
ვინც მას გაბედავს, ვაი, იმას, წამს ვეკვეთებით
და სიბრძნის ენას მყის ამოვგლეჯთ
სიმართლის მოქმელსა...

აი, ამგვარად ნაშენია ჩენი ცხოვრება
და გონიერი შემოქმედი მას კი არ ფიქრობს,
თუ რა სამასხროდ გაგვაჩინა, როგორ დაგვამცრო,
როცა განგების სათამაშო ბურთად გვაქცია
და გასართობად უსასტიკეს ბედს მიგვცა ხელში!

(შემოდის კ ი ა ბ ე რ ი)

კ ი ა ბ ე რ ი — აჰ, დაიწყეს ანათემა! ღმერთო მალალო! ნუ დაუშვებ, რომ
ბოროტებამ შთანთქმას ნათელი ევალი წმინდა სათნოებისა... ნუ გაახა-
რებთ ორგულობას უწესთაესო!

(ტამარიდან კვლავ მოისმის ძლიერი შესახილები: „ანათემა! ანათემა!
ანათემა!“)

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ეგრე იძახეთ, შეუთვალეთ სულს ანათემა,
მაგრამ გულს ჩემსას, სად სალარო სუფევს სიბრძნისა,
მაგით ვერ შესძრავს თქვენი რისხვა მუხანათური!

კ ი ა ბ ე რ ი — ღმერთო მალალო, ლამის კეკილდან შევიშალო!

რ უ ს თ ვ ე ლ ი — ჩემო მოხუცო! მამატიე, ჩემი ბრალია,
რომ ეგ ვება მოგაყენე... აწ წავალ ჩემთვის რაკი ქვეყნის სამსახურის
არაღსაჩენი არ ვყოფილვარ!...

- ქიაბერი — როგორ თუ წახვალ, შვილო ჩემო!... ჩემ ქალს რა უთხრა?
 ეგ რომ გაიფოს თავს მოიკლავს სვეუბედური...
 რუსთველი — უთხარ, რუსთველი სკვდარიათქო... იმისი ბედნი;
 ალბათ არ იყო ჩემი ხვედრის თანაზიარი!
- ქიაბერი — სად, სად მიდიხარ, შვილო ჩემო?
 რომ მოითმენდე, ყველეფე გამოსწორდება!
- რუსთველი — არა, ჭიაბერ! მოთმინება კარგია მაგრამ იქ, სადაც საქმე
 შენს წმინდა გრძნობებს შეეხება—მოთმინება ან სილაჩრეა, ან შეუფერებ-
 ლობის ცბიერი მაქანკალი... სული ტყბილია ყველასთვის, სიცოცხლეს
 ქვეყნად თვით ნეხვის ქიაც უფრთხილდება თვალის ჩინივით, მაგრამ
 თუ მოვლენ და უნებლად შეგირაზავენ შენს წმიდა გრძნობებს, გაგიფელ-
 ვენ ფეხ-ქვეშ ღირსებას, მაშინ რად გეინდა თვით ეგ სული დამცირე-
 ბული, თუ კი სიცოცხლეს შევისყიდით სირცხვილის ფასად?!
- ქიაბერი — ჩემს ქალს და ჩემს ცრემლს ვთხოვთ დაუთმოთ ეგ
 ყველაფერი
 თვალს ნუ დამიკვებ, ნუ დაბტოვებ სიბერის ეამსა!
 და გულმოკლული ნუ ჩამიშვებ ცივ სამარეში!
- რუსთველი — სათნო მოხუცო, გულს მიწყლულებს შენი ცრემლები!
- ქიაბერი — შენს შემდეგ, შვილო, რაღა არის სიცოცხლე ჩემი...
 ვის მივცე გული, ვინღა ღყავდეს ნუგეშად ჩემდა?!
- რუსთველი — ხალხი, მოხუცო, ხალხს გაუხსენ მღელვარე გული!
- ქიაბერი — ეგ ხომ ზღვა არის, საწყაული აუფესებელი!
- რუსთველი — მაინც მას უნდა მივცეთ, რაც გვაქვს, რაც გვაბადია.
- ქიაბერი — აჲ მივეცი, მას შეგწირე, მთელი სიცოცხლე!
- რუსთველი — განშორების ეამს მსურს ჩაგიკრა მხურვალედ გულში...
 აწ ველარ განახავ, ჩემო კეთილო მოამაგე!
- ქიაბერი — მაინც მიდიხარ, შვილო ჩემო? ეს მაინც მოთხარ,
 როცა თამარი დაბრუნდება, მას რა ვაუწყოთ?!
- რუსთველი — უთხარ პირიზხეს, რომ რუსთველი მრავალტანჯული
 განშორდა სოფელს და ცუდად ნუ მოიგონებ თქო.
 ისიც აუწყე, ვით ვებრძოდი საკუთარ თავსა
 და ალბათ მიტომ ვერ დავძლიე მძიმე ვენბანი,
 რომ ჩემს ღრმა ზრახვებს არ ეწერა ბედი ზეცისგან,
 რადგან გულს სურდა შესრულება შეუძლებელის!
- ქიაბერი — ნუთუ ეგ იყო, ყველაფერი ამით დასრულდა?
- რუსთველი — ჩემს კვალს ნურავინ ნულარ ეძებთ... რაც იყო, იყო...
 სამარადისოდ დაევიწყოთ ჩვენ ერთმანეთი!
- (რუსთველი გადის).
- ქიაბერი — ვაჰ, შენ სოფელო, რა მკაცრი და უღმობელი ხარ!
 ვინც შენ მოგენდო ყველა ჩემებრ მღულარედ სტირის,
 და შენი ზღვების მლაშე წყალი თურმე ცრემლია:
 სვეუბედურთა თვალებიდან გადმონადენი...
 ო, როდის, როდის გაძლები შენ მარადისობავ,
 რომ დასცხრეს შენი სტიქიონი აღუქსებელი!



(შემოდის გულნაზი)

ო, შვილო ჩემო, უბედურ ვტლზე გაჩენილო!
რისთვის მოხველ აქ,

ნუ თუ ჭაოგე, რომ რუსთველი წავიდა ჩვენგან?

გულნაზი — ნუ მამი, ეგრე ნუ მრისხანებ!

ქიაბერი — აღარა, შვილო, აღარ არის... ცხოველი სული
სოფლის მზაკერობამ და სიმკაცრემ დააშამათა...

გულნაზი — რას ამბობ, მამი, ნუ თუ წავიდა სამუდამოდ?

ქიაბერი — ჩემ კვალს ნურვინ ნუ ეძებთო, ეს დაიბარა,

გულნაზი — კვალს ნუ ეძებთო?! მაგრამ მისი ამაყი სული,
ასე მგონია აქ ტრიალებს, ისევე ჩვენ შორის.

სად ხარ ძვირფასო! სად გეძებო, სად გინახულო?

სად ვბოვო შენი მკუმუნვარებით აღსავსე სული!

ეგრე მწუხარე რომ დამტოვე, ვინ მანუგეშოს,

ვინ შემიმშრალოს თვალზე ცრემლი შენთვის მდინარო!...

ქიაბერი — შვილო, გეყოფა ეგ ზღუდარე ცრემლთა ფრქვევანი!

გულნაზი — იმისი სიტყვა წმიდა იყო ვით მისი სული.

ქიაბერი — ო, წმიდა იყო, შვილო ჩემო.

გულნაზი — მან აღმოთქვა მეგობრობა ერთ დროს დიდი სიხარულით.

შემდეგ დასცხრა, დაიფიქა, სიტყვაცა და სიყვარულიც.

ქიაბერი — შეუნდე ღმერთო! იმისი ბრალი არ ყოფილა!

გულნაზი — მეც, ჩემო მამი, მეც შემინდე!

ქიაბერი — შენ რათა, შვილო, შენ რა მიგიძღვის, რომ მიტეგებას ითხოვ
ჩემგან?

გულნაზი — მსურს მონასტერში განვიწესო — სვეუბედური!

ქიაბერი — რას ამბობ, შვილო! ეს სიტყვა კვლავ არ გამაგონო!

გულნაზი — ეგ სული ჩემი საშუდამოდ შეწირულია!

ქიაბერი — ამას ნუ მეტყვი, თუ მამა ოდნავ გებრალებდა!

გულნაზი — მებრალვი, მამი, მეცოდები მაგრამ რა გიყოს!...

გესმის რა ტბილად გალობენ იქ!

ჩემდა ნუგეშად მხოლოდ იქ წასვლა დამჩენია...

ეს ანგელოზთა ხმები არის, ჩემებრ ტანჯულთა,

რომ დასთმონ წუთით ამა სოფლის ამაოება.

(იმისი საგალობელი: „განშორების უკანს“)

ქიაბერი — შვილო, სად მიხვალ, შემობრალე!...

გულნაზი — მშვიდობით მამი სამუდამოდ!

(მიდის)

ქიაბერი — რად ვარ ცოცხალი, ამის ზომსწრე ცოცხალი რად ვარ

ვაი, სიბერევე, უბედობით შეძრწუნებულო...

რის მაქნისი ვარ, რაოდ მინდა ცოცხალი თავი!

(შემოდის შავთელი)

შავთელი — მარქვი, ქიაბერ, კათალიკოსი სად ბრძანდება?!

ქიაბერი — ნუ მომაგონებ, იმ მგლის სახელს! სიჭევი რა ამბავი მოიტანე!

შავთელი — აი, უსტარი! თვითონ თამარიც მალე აქ იქნება!

ქიაბერი — რაღა დროს არის, მეგობარო დაიგვიანე!

შავთელი — ღმერთო მალალო, ეგ რა მესმის, ნუ თუ წავიდა რუსთაველი?

ქიაბერი — აღარ გყვავს ჩვენი სიამაყე, ჩემო მგოსანო?!

- შ ა ვ თ ე ლ ი — ისე წავიდა, რომ ანდერძიც არ დაგიტოვა?
- ქ ი ა ბ ე რ ი — ჩემ კვალს ნურავინ ნუ ეძებთო, ეს დაიბარა...
ეს რა ხმა არის... ნუ თუ დაბრუნდა დედოფალიც?
(ისმის შორეული ხმაური. შემოდის შ ა ხ ა რ ო ბ ე ლ ი)
- შ ა ხ ა რ ო ბ ე ლ ი — მოდიან მანდატურთუხუცესო, ჩვენი პირიმზე დაბრუნდა ლაშქრობიდან!
(შემოდის თ ა მ ა რ ი, რომელსაც მოყვებიან დიდებულები და სამხედრო პირნი. ქ ა ბ ე რ ი წინ შეეგება და დ ე დ ო ფ ა ლ ს)
- ქ ი ა ბ ე რ ი — მინდა მოსვლა და აღარ ძალმიძს, ჩემო ხელმწიფე!
- თ ა მ ა რ ი — ზოდი, ქიაბერ, მომეახლე, ჩემო მოხუცო!
- ქ ი ა ბ ე რ ი — ღვთაებრივო, შარავანდედით მოსილო წმიდანის ხატებო, ბედმა გვიმუხთლა, აღარა გეყავს დიდება ჩვენი!
- თ ა მ ა რ ი — მარქეო, სად არის, სად წავიდა ჩვენი მკოსანი?
- ქ ი ა ბ ე რ ი — სოფელს განშორდა, შერისხული, ჩემო ხელმწიფე!
- შ ა ვ თ ე ლ ი — დავიგვიანე, ხელმწიფეო, ვერ მოვესწარი!
- ქ ი ა ბ ე რ ი — გულდასცეტყვილი ცრემლით საეყ გამოიმეთხოვა და ვფიქრობ იგი აწ ჩვენ აღარ დაგიბრუნდება.
- თ ა მ ა რ ი — უნდა დაბრუნდეს! მყის შიკრიკნი მალიადმსრობონი შესხდენ ცხენებზე... სძებნონ ყველგან და სადაც ჰპოვონ უთხრან — ხელმწიფე გიბრძანებს თქო კვლავ დაბრუნებას! აჰა, წაიღეთ ეგ ნიშანი შეწყალებისა!
- შ ა თ ი რ ნ ი — მიედივართ ძებნად, დედოფალო...
(მათირნი გადიან)
- მ ი ქ ა ე ლ — გილოცავთ, ჩემო ხელმწიფეო, მტერზე გამარჯვებას და შენს სამწყსოში მშვიდობით დაბრუნებას!
- თ ა მ ა რ ი — გმადლობთ, მეუფეო... მაგრამ მშვიდობით დაბრუნებულს აქ თუ მშვიდობა დამახვედრე?!
- მ ი ქ ა ე ლ — რაზედა ბრძანებ, ხელმწიფეო?
- თ ა მ ა რ ი — ნუ თუ მართლია, მეუფეო, შენი რისხვა რომ რუსთველის წინააღმდეგ მიგიბრთავს?!
- მ ი ქ ა ე ლ — ჭეშმარიტება გახლავთ, ხელმწიფეო!
- თ ა მ ა რ ი — მერმე ეგ რათ ჰქენ? ვისი შეგონებით აკრძალე ჩემ მიერ მოწონებული წიგნის გავრცელება?
- მ ი ქ ა ე ლ — იგი საეროა, შვილო, ჩემო, მოკვდავთა საკითხავი...
- თ ა მ ა რ ი — და მიტომ დაგმე ეს წიგნი სამუდამოდ!
- მ ი ქ ა ე ლ — დიახ, ხელმწიფეო!.. სანამ ცოცხალ ვარ «ვეფხისტყაოსანს» არ დავუშვებ წმიდა წიგნების საფანეში.
- თ ა მ ა რ ი — შენ ცდები, მიქაელ! ის ყველგან იქნება ღვთისგანგებით. მონასტრებში, ხალხში და სასახლეშიც...
- მ ი ქ ა ე ლ — მე ის დავსწყველე, როგორც ცოდვის და ცდუნების მღვრიე წყარო!...
- თ ა მ ა რ ი — ჩვენ კი მას კარს გაუღებთ, როგორც სინათლის და დიდების ბრწყინვალე შარავანდედს!
- მ ი ქ ა ე ლ — იცის ღმერთმა, ჩემს წმიდა ზრახვებს, ღვთისა და შენი სიყვარული ამოქმედებდა!



თამარი — ეიშ, ცრუ სიყვარულს, გულისათვის არაფრის მოქმედსა და ცბიერებით დაბადებულს! არვის მიყენებ ღირსეულ კაცთაგანს! სამახლე-ში... სამწყსოვ კეთილო! თქვენ ყველამ უწყით, თუ რა უღირსი საქმითა მოქმედია ჩვენი ზიკაელ... მრავალი ცოდვა ჩვენ მას შეეუღლეთ ღვთის წინაშე, მაგრამ ღმერთი როგორ შეგვიწოდებს, რომ მგონის განდევნა ვისმეს ვაბატოთ! მღვდელმთავარს ეგეთს, ღვთისა და კაცთა მოძულესა — ვეღარ შეეუღლობთ ამდენ ცოდვას და იგი მყის უნდა აღიკვეთოს!

მიქაელ — ვფიცავ შემოქმედს, უბრალო ვარ, ჩემო ხელმწიფეო!

თამარი — სიტყვით უბრალო, სულით უნდო, საქმით მუხთალი:

მიქაელ — წმიდა გიორგის და ამ კვერთხის სიწმინდეს ვფიცავ!

თამარი — გადაეც კვერთხი, და სამუდამოდ განვედ ჩვენგან!

მიქაელ — როგორ მიბედავთ, ეგ მე ზეცისაგან მიშლია!

თამარი — ზეცა თვალს ხუჭავს, ეკრძალება იმის დანახვა,

რომ ცისქვეშეთი ავკაცობით შენით ნახესა.

მიქაელ — არ მომეკაროთ, ცოცხალი თავით არ დაგითმობთ!

(მიხატერ ხელიდან გამოსტაცებს მიქაელს კვერთხს)

მარქვი, ეგ რა ჰქენ მანდატურთ-უხუცესო?!

თამარი — ღმერთო და სამართლიანო ზეცავ! ვიღრე მიქაელ ერის გასაქირს ყურს, უგდებდა — ერიც და ეკლესიაც გულისხმიერებით უსმენდა სჯულიერ ხელისუფალს, მაგრამ რა ერთხელ მიიღრევა უძღვები სული ცდუნებისკენ და სიშართლით აღარ ემსახურება შენ ერს, იგი ჩვენს თავისუფალ გვიყვია ამ წმინდა კვერთხის ტარებისაგან. განვედ, მიქაელ, განვედ ჩვენგან, აწ აღარა ხარ ერის მამა, ჩვენი უფალი!

(მიქაელ ხარდაცემული თავს ვეღარა შეიკავებს, ერის დაბარბაცდება, მაგრამ მღვლელები მიეშველებიან და გაყავთ).

ქიამბერი — ვის ხელმწიფეო, ვის გადაეცე ეგ წმიდა კვერთხი?

თამარი — აი, აქ წინაშე წმიდა მამათა და ერისკაცთა დგას ბერი, გარეჯის მონასტრიდან, კაცი განსწაიღული და განწმენდილი ყოვლისა ბიწისაგან ანტონ ჭყონდიდელი, რომელსაც წინათ ჩვენმა ზვიადმა კათალიკოსმა წაართვა ჭყონდილობა... მას მიებობის ეს წმიდა კვერთხი ვით ჭყონდიდელსა და პირველ ვაზირს.

ქიამბერი — იტვირთე ნეტარო მამაო, ეგ ხარისხი ქვეყნის სამსახურად.

ხმები — იტვირთე, ნეტარო მამაო, იტვირთე ქვეყნის სადიდებლად!

ანტონ — არა ვარ ღირსი, ხელმწიფეო, ამ პატივისა... ვით უნდა შევძლო მე უძღლურმა ეგ ჰმიმე საქმე? გთხოვთ განმარიდოთ, სხვას გადასცეთ ეგ წმიდა კვერთხი!

თამარი — უარი არ ეგების, ნეტარო მამაო! ქვეყნის სამსახური სიკვდილამდე ვალია ჩვენი!

ქიამბერი — სათნო მოხუცო, ერი გევედრება, რომ მისი ნება აღასრულო! (კვერთხს გადასცემს)

ანტონ — ამინ! ღირს მყავი, მეუფეო, ჩემი ერის სამსახურად და გულისხმიერებით მიწყალე მე!

(მგალობელთა გუნდი შემოსძახებს „ისპოლას“, შემოდის მკითარი).

შათირი — ჩემო ხელმწიფეო, უკვე მიქაელ აღარ არის.

თამარი — რა დაემართა?

შათირო — ზვიადმა გულმა ვერ გაუძლო ნათელ განაჩენს და სული თვისი განუტევა.

თამარი — ღმერთო შეუნდე, ნუ დაუხშობ შენს სასუფეველს, მისი მრავალცოდვით აღსაესე სული!

(ისმის შორეული ნობათი, რომელიც თანდათან ახლოვდება. შემობრბინ მახარობელი)

მახარობ. — აჰა, ნობათი ხელმწიფეო, გამარჯვებისა...

დაფს და ნალარას ყური უვდეთ და გაიხარეთ,
რომ შეიმუსრა ნუქარდინის კაღნიერება!

თამარი — აჰა, შათირო, დედოფლისგან სამახარობლო!

(ქიას ვადიუვებს).

მახარობ. — მოდის სიმდიდრე, დედოფალო, აურაცხელი...

სპილო-აქლეში, ჯორ-ცხენები ნაირ-ნაირი,
მოდის და ბოლო აღარ უჩანს!

(ახლოვდება სიმღერა. მეწინავენი შემოდან დროშებით და მწყობრად განლაგდებიან. ბუკისა და საყვირის ხმაზე გამოჩნდება დავით სოსლანი, რომელსაც მოყვებიან მხედართმოავრები: ზაქარია შალვა, რატი და სხვები... დედოფალს მიეახლებიან და მის წინაშე დაბრბიან დროშებს).

დავით — ჰა, დედოფალო: ჩვენი ხმლები, ჩვენი დროშები, ომგადახდილი დაგვიხრია წინაშე შენდა! მტერი დამარცხდა... ნაწილი ვაწყდა, ნაწილიც ტყვედ ჩაივადეთ... დაეღა დიღა! ამ ომმა ჩვენს ქვეყანას უმშვენიერესი ადგილებიც შეჰმატა: ტრაპიზონი, ლიმანი, სამსუნე, სინოპი, კერასუნდი, ქიტორი, ამსტრია, ჰერაკლია, და ყოველნი ადგილნი პაფლაღონისა და პონტოსი.

თამარი — ებრძანებ: დაარსდეს იქ დიდი პონტოს სახელმწიფო!

კომენეი — ო, ზეციერო, მეც მოვესწარ სანატრულ დღესა!

თამარი — და ტრაპიზონი გახდეს პონტოს დედაქალაქად!

კომენეი — ჩემო ზეარველო ხელმწიფეო!

თამარი — აი, აღსრულდა, უფლისწულო, შენი სურვილი.

წარვედ, ისწრაფე, მიეახლე შენს სამფლობელოს
და ჩვენც ერთგულად გვემსახურე!

კომენეი — ვმადლობთ მზისდარო დედოფალო! შენ მე ისეთი ვალო დამდე, რომლის გადახდას ვეროდეს შესძლებს ჩვენი გვარი!

დავითი — აი, ეგ დროშაც, ხელმწიფეო, ხალიფას დროშა, ამ ჩვენმა გმირმა მტრის ურჯლოდან გამოიტაცა!

შალვა — ასე დაიდრკოს დედოფალო თავი შენს წინაშე ყოველმა შენმა მტერმა და მოშურნემან!

თამარი — წაიღეთ დროშა! დღეიდან იგი გელათში, ხახულის ღეთისშობლის ზატის სამკაულად ინახებოდეს. შენ როგორა ხარ, ჩემო გმირო! მითხრეს დაიქერ თურმე დროშის მოტაცების დროს!

შალვა — არა მიჭირს რა, ხელმწიფეო, რჩება ნაჭრევი!

თამარი — ახლაც გაწუხებს ალბად წყლული მამულისათვის მიღებული!

შალვა — სამშობლოსათვის მიღებულ ჭრილობამ ტყვილი არ იცის, მზისდარო ხელმწიფევი!

თამარი — სიძარტლეს იტყვი, ქეშმარიტად! თქვენც გაიხარეთ, ძენო ქართლისანო, ბედნიერების სასწაულით. მტრის წაღილი სიმართლით აღიკვეთა, აწ აღარ იქნების ძრწუნება და რუღუნებაი, კვნესა და ვიშვიში...

აღარ იქნება განდგომანიც... ყარობს მიეცა საფარი, ქერივობოლთ გუგე-
ში... ღირსთა მამათა — უფლება შეუვალი და ერი ჩემი, ეგრე განწმენ-
დილი, ვით მთის ნაკადი უხსოვარ ქამიდან ზომდინარე, რაცა ღლეს ერ-
თვის სიხარულის ზღვას, აღტაცებით აცხადებს, ყველას გასაგონად:
იციცხლებს სული ჩემი, იქნებიან მტკიცედ შეილნი ჩემნი და მე, ვი-
თარცა მოჭირნახულე დედა, მარად ვიქნები თქვენთვის მლოცველი
გულმხურვალედ!

ანტონ — დიდება მეფეს, რომელმან პირველად უწოდა თვის ერს შეილის
სახელი! დაე, კურთხეულ იყოს დედაწულობა მისი!

ხალხი — დიდება დედას, სრულიად საქართველოს დიდების სამლოცვე-
ლოს!

(მედროშენი დაბრან დროშებს, მხედრები შუბებს... ისმის ზარების რეკა და ნელს
საგალობელი. ყველა იჩოქებს, მხოლოდ თამარი ღვას მშვიდი სახით და ზეცის-
კენ ხელაყრობილი).

ფ ა რ ღ ა



მისილ. ლარმონოვი

ს ი მ ლ ე რ ა

მეფე ივანე ვასილის-ძემ, ახალგაზრდა
ოპრიჩნიკ კირიბეიშვილსა და მამაც ვაშარ
კალაშნიკოვზე



პოი შენ, მეფეო, ივანე ვასილის-ძეო!
შენზე ავაწყვეთ, ავაღერეთ ჩვენ ეს სიმღერა,
შენსა საყვარელ, ოპრიჩნიკზედა
და მამაც ვაქარ კალაშნიკოვზე.
ძველებურ ჰანგზე ჩვენ მოვმართეთ სიმღერა ჩვენი
და ვამღერებდით იმას ხშირად ფანდურის ხმაზე.
ფუწყობდით სიტყვებს და თქმულებებს მას ვუთანხმებდით,
მართლმადიდებელ მთელ რუს ხალხსა იგი ართობდა.
და ბოიარინმა, თავათ მათე რომოდანოვსკიმ,
გვიბოძა თასი აქაფებულ რანგით ავსილი.
მისმა მეუღლემ ბოიარინიამ, პირმანგოსანმა,
საკუთარ ხელით მოგვაწოდა ვერცხლის ლანგარზე
ჩვენ პირსახოცი აბრეშუმით ამოჭარგული.
სამ დღეს, სამ ღამეს ჩვენ გვალხენდნენ, პატეცსა გვეცემდნენ
და სულ გვისმენდნენ და სმენითა ვერა ძღებოდნენ.

1.

შეე კი არ ბრწყინავს და ელვარებს ზეცის ლაქვარდზე,
ღრუბლები მისი ეშხის ცქერით კი არ სტკებებიან:
ეს სუფრაზე ზის შემოსილი ოქროს გვირგვინით,
ზის თვით ივანე ვასილის-ძე — მეფე მრისხანე.
მის უკან სდგანან მოწიწებით სუფრის კაცები,
პირდაპირ სხედან ბოიარები და თავადები.
აქეთ და იქით მისი მცველი ოპრიჩნიკები.
ზეიმობს მეფე, ლწინს ეწევა ღვთის სადიდებლად —
სიამოვნებით რომ გაერთოს, დრო გაატაროს.



მაშინ ღიმილით მეფემ გასცა თავის ბრძანება,
რომ ტბილი ღვინო უცხოური შემოეტანათ,
აეცხოთ ღვინით მისი თასი მოოქროვილი
და ოპრინიკებს დაეღიათ მის სადიდებლად.
დალია ყველამ და მეფესაც შეასხეს ქება.

მათ შორის ერთი ოპრინიკი სახელგანთქმული,
როგორც შამაცი მოკრივე და დიდგულოვანი,
არ ასველებდა ოქროს თასში თავის უღვაშებს.
შავი თვალეები ძირს მოწყენით მას დაეხარა,
თავი დაეშვა ფართოდ გაშლილ ვაჟკაცურ მკერდზე,
გულში კი ფიქრი, ღიღი ფიქრი ჩაბუდებოდა.

მაშინ შექმუხნა მეფემ თვისი შავი წარბები
და მას მრისხანედ გამჭრიახი მიაპყრო თვალნი:
თითქოს ზეციდან ქორმა, სწრაფად გადმოქროლილმა,
ქრუნფრთიან ქედანს გადმოხედა და დააჩერდა.
მაგრამ მოკრივემ არ ასწია თვალეები ზევით.
— აი იატაკს მეფემ დაჰკრა თავის არგანი.
და ერთ გოჯაზე გაატარა მუხის ფიცარში
რკინით ნაქედი, მოღუსილი არგანის წვეტი.
არც ახლა შეერთა ახალგაზრდა და შშლე მოკრივე.
— აი წარმოსთქვა მეფემ თავის მრისხანე სიტყვა
და მხოლოდ მაშინ გამოერკვა ჩვენი ვაჟკაცი.

„ჰე, კირიბევიჩ, შენ ერთგულო ჩვენო მსახურო!
ეგების ფიქრი უწმინდური გულს დაისახე?
ეგების შეგშურს ეს ბრწყინვალე ჩვენი დიდება,
ან სამსახური შენ მოგწყინდა პატიოსანი?
მთვარის ამოსვლას ვარსკვლავები მუდამ შესტრფიან,
რადგან ნათელში მათ შეხედებათ ვასეირნება.
მაგრამ, რომელიც იძალდება შავსა ღრუბელში,
იგი წუთშივე მოწყდება და მიწას ეცემა.
განა შეგშვენის, კირიბევიჩ, მეფის წყალობა
იუკადრისო, ითაკლო ზეიმი მეფის?
შენ სკურატოვის გვარიდან ხარ წარმოშობილი,
მალოუტას სახლში და ოჯახში ხარ შენ აღზრდილი!

კირიბევიჩი უბასუხებს მაშინ ამგვარად
მრისხანე მეფეს და თავყანსა მიწამდე აძლევს:
— ჩვენო მეფეო, შენ, ივანე ვასილის-ძეო!
ნუ ჰკიცხავ უღირსს მონასა შენსა,
მხურვალე გულსა ღვინის შესმა ვერ გაანელებს,
პატივისცემა შავსა ფიქრებს ვერ დააშვილებს!



თუ განგარისხე — იყოს შენი მეფური ნება:
ვაეც ბრძანება, რომ დამსაჯონ, თავი მომკვეთონ,
რადგან ამძიმებს იგი მეტად ვაჟკაცურ მხრებსა,
და თავისთავად მიწისაყენ იგი იხრება“.

მეფემ ივანე ვასილის-ძემ მას უპასუხა:
„რამ შეგაწუხა, მითხარ მაინც, მხნეო კაბუკო?
ეგების გაცვდა შენი ფარჩის ტანსამოსელი?
ან დაიჭმუქნა შენი ქული სიასამურის?
ეგების ფული შემოგაკლდა და დაგეხარჯა?
ან და თუ ხმალი აღარა სჭრის შენი ნაწრთობი?
ან ბედაური დაგიკოკლდა ცუდად ნაქედი?
ან თუ დაგძლია და კრივის დროს მიწაზე დაგცა
ზოსკვა-მდინარეს ნაპირებთან ეაქრისა შეილმა?“

მას უპასუხებს კირიბევიჩი

ხუტუტომიან თავის ჩაქნევით:

— „ისეთი მკლავი ჯადოსნური ჯერ არ შობილა,
არც ბოიარების, არც ვაქართა მთელსა მოდგმაში.
ჯერ ჩემი ლურჯა მზიარულად დაქრის მინდორში,
და ხმალი ბასრი, როგორც ბროლი იშვევრად ბრწყინავს,
და უქმე დღესაც შენს მოწყალებით
სტვაზე ნაკლებად არ ვეწყობით და ვიკაზმებით.

შემოვებტები, გავაქროლებ ჩემსა ბედაურს —
მოსკვა-მდინარის ნაპირებზე გაეისტირნებ.

წელს დავემშვენებ აბრეშუმის ფერადი სარტყლით,
გვერდზე მოვიგდებ და ჩაგვეცავ ხავერდის ქულსა,
შავ ბეწვეულით შემოგარისულს და გავოფენილს.
კიშკართან სდგანან თავშეკრებით ტურფა ასულნი
და გოგონები ახალგაზრდა, ეშხით აღსავსე;
ჩემი დანახვა მათ ახარებს და ჩურჩულებენ.
მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთი მე არ მიცქერის,
არ უხარია და მანდილით სახეს იფარავს...

ჩვენსა კურთხეულ, შობებელ რუსეთში
შზეთუნახავი აზნაირი არ იპოვება.

დადის მოხდენით, თითქოს გედი დაცურავს ტბაზე,
თუ შემოგხედა — გეგონება ღულუნა მტრედი,
წარმოსთქვამს სიტყვას — მოგესმება ხმა იაღონის.
მისი ლაწვები ვარდისფერი ღელავენ ისე,
ვით განთიადით შეღებილი ცისა ლაყვარდი.
თმის ნაწნავები ბაჯაღლოსფერი,
ფერად მძივებით გადახლართულნი,
მხრებზე დაყრილნი, ირხევიან, იკლავნიბიან



და იმის ბროლის გულმკერდს ჰკოცნიან.
 ეპურის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა —
 მას ალიონა დიმიტრეენა ჰქვია სახელად.
 როს დაეინახა — მეკარგება სულის სიმშვიდე
 და ძირს შეშვება მკლავები მძლავრი;
 თვალები სწრაფი დამიბნელდება.
 წამილო სევდამ, მომეწყინა, დიღო მეფეო,
 ამ ქვეყანაზე მართოდ ცხოვრება.
 არ მახარებენ მარდი მერნები,
 აღარ მახარებს ფარჩის სამოსი.
 მე აღარ მინდა ოქრო და ვერცხლი.
 ჩემი სიმდიდრე ვის ვაუწყო, ვაუწყობო?
 ვის დავანახო ვაყვავობა და სიმამაცე?
 ტანკაშულობით ჩემი თავი ვის მოვაწონო?

გამიშვი ვოლგის მხარისაკენ, ვოლგის ველებზე,
 რომ იქ ვიცხოვრო თავისუფლად, როგორც კახაკმა.
 იქ დავდებ ჩემ თავს დაუდგრომელს და შეუპოვარს,
 თავგანწირულად ურჯულოთა შუბს ავეგები
 და ბოროტ თათრებს გასაყოფად დარჩებათ შემდეგ
 ეს ხმალი ბასრი, ბედაური ჩემი ერთგული
 და ჩერქეზული უნაგირი ჩემი სამხედრო.
 ამომიკორტნის ამ ცრემლიან თვალებსა ძერა,
 ძვლებს უპატრონოს და ტიალსა გადარეცხს წვიმა
 და ჩემი ნეშტი საცოდავი, დაუმარხავი
 განიადდება ოთხივე მხარეს!..

და ზას ივანე ვასილის-ძემ უთხრა საცილით:
 „შენ ერთგულო, მსახურო ჩემო! შენს გაპირებებს
 და მწუხარებას შევეცდები რომ დავეხმარო.
 აი, წაილე ეს ბეჭედი იაგუნდისა,
 თანაც წაილე ყელსაბამი მარგალიტისა.
 ეცი თავიანი ჯერ მაქანკალს მოხერხებულსა
 და საჩუქარი გაუგზავნე შემდეგ ძვირფასი
 შენს ალიონა დიმიტრეენას, შენსა სატრფოსა.
 როს შეგიყვარებს — გადიხალე მაშინ ქორწილი,
 არ შეგიყვარებს — ნუ აჰყვები გულსწყრომასა.“
 — ჰეი, მეფეო, შენ ივანე ვასილის-ძეო!
 ტყუილი გითხრა და იცრუა თვალთმაქცმა მონამ,
 შენ არ გაიმბო მან ნამდვილი ჰქმარიტება
 და არ გაცნობა, რომ ეს ქალი მზეთუნახავი
 ღვთისა ტაძარში არის უკვე ავღარაწერილი,
 ნაქორწინები ჰაბუც ვაჰართან
 ჩვენი კანონით ქრისტიანულით...

პეი, ბიჭებო, იმღერეთ, შწყობრად ფანდური აცღერეთ!
 პეი, ბიჭებო, დალიეთ, საქმისთვის მოიცალეთ!
 მხოლოდ გაართეთ ბოიარინი ჩვენი კეთილი
 და ბოიარინია პირმანგოსანი!



2.

დახლთან ვაჭარი ახალგაზრდა ზის ახოვანა
 და მხნე — სტეფანე პარამონის-ძე,
 სახელწოდებით კალაშნიკოვი.
 აწყობს, ალაგებს ის საქონელს აბრეშუმისას,
 ტყბილი საუბრით დუქნისაკენ მოუხმობს სტუპრებს.
 ვერცხლსა და ოქროს იგი ითვლის, და ანგარიშობს.
 მაგრამ ნახეი დღე მას დაუდგა და გაუთენდა:
 გვერდს უვლის დუქანს მოსეირნე მდიდარი ხალხი
 და სავაჭროში არაფერ შედის.

წმიდა ტაძრებში დამთავრდა მწუხრი;
 და კრემლის უკან ნისლიანი იწვის დაისი.
 შავი ღრუბლები ცაზე ჩნდებიან,
 ზოგრეკება მათ ქარბუჭი თავის სიმღერით.
 ქარვასლის ფართო, დიდი ეზო დაცარიელდა.
 ჰკეტავს სტეფანე პარამონის-ძე
 მუხის კარებით თავის სავაჭროს
 და მას ზედ ადებს გერმანულ კლიტეს.
 თავის ავსა და ბუზღუნა ქოფაკს
 კარებზე აბამს რკინის ჯაჭვითა
 და შემდეგ მიდის ჩაფიქრებული
 მოსკვა-მდინარის გაღმა — თავის ზეულისაკენ.

შემოდის იგი თავის სახლში. გაკვირვებული
 რჩება სტეფანე პარამონის-ძე:
 მას ახალგაზრდა მისი ცოლი არ ეგებება.
 მუხის მაგიდას თეთრი სუფრა არა ჰყენია,
 ხატთან კი, ოღნავ, ანთებული ბეუტავს სანთელი.
 თავის ძველ მსახურს დედაკაცსა შეეკითხება:
 „აბა მითხარი და მიამბე, ერეკლეენა,
 საით წაეიდა და მიიძალა
 ასეთ გვიან დროს ჩემი მეუღლე?
 ჩემი ბავშვები საყვარელნი დაღალდნენ ალბათ,
 გადაიქანცნენ სირბილ-თამაშით
 და ერთობ აღრე მოისვენეს ღზ დაიძინეს?“
 — ბატონო ჩემო, ო, სტეფანე პარამონის-ძე,
 უნდა ვიამბო შე აბავი ვასაოცარი:
 შენი მეუღლე ამ საღამოს ლოცვაზე იყო,



მაგრამ ტაძრიდან თავის ცოლით დაბრუნდა მღვდელი,
 უკვე სანთლებიც მათ აანთეს, მოუსხდნენ ვახშამს, —
 მაგრამ ჯერაც კი ზეუღლე შენი
 ეკლესიიდან არ გვინახავს დაბრუნებულს.
 შენაი ბავშვები საყვარელი არ დაწოლილან,
 ჯერაც არ სძინავთ და თამაშით არ გართობილან,
 სტირიან მწარედ და არ სცხებიათ.”

შეშფოთდა მაშინ და ჩაეარდა საგონებელში
 კალაშნიკოვი — ახალგაზრდა კაცი ვაჟარი.
 ფანჯრის წინ დადგა და გასცქერის მღვდარედ ქუჩას.
 — ქუჩა კი ღამეს შეუმოსასვს, ღამეს შავ-ბნელსა.
 მაღლიდან თოვლი განუწყვეტლივ სცვივა და სცვივა,
 კაცის ნაკვალევს ზედ ეფრქვევა და აღარ აჩენს..
 კარის მოხურვის გაისმება ხმა დერეფანში,
 შემდეგ ფეხისხმა აჩქარებული.
 შემობრუნდება და შეხედავს — ღმერთო ძლიერო!
 იმის წინაშე ახალგაზრდა დგას მისი ცოლი
 გაფითრებული, გაწეწილ თმებით.
 თმის წაწნავები ოჭროსფერი უჩანს დაშლილი,
 თოვლი და თოში მათ დაჰყრია და დაფრქვევია.
 ისე, ვით გიყი, იცქირება მღვრივ თვალებით,
 ბავენი რაღაც გაუგებარ სიტყვას ამბობენ.

„მითხარი, ქალო, სად იყავი, იხეტიალე?
 რომელ ქუჩაში და მოედანზე,
 რომ შენი თმები აიწეწა და აიბურდა?
 რომ ტანსაცმელი ჩამოგხვევია?
 ალბათ იღბენდი, დროს ატარებდი
 შენ ბოიარების შვილებთან ერთად!
 არა ამისთვის, ჩემო ცოლო, წმინდა ხატებთან
 ჩვენ ჯვარს ვიწერდით, გვირგვინს ვიდგამდით,
 არა ამისთვის ჩვენ შევცვალეთ ოჭროს ბეჭდები...
 აი ჩაგკეტავ, რკინის კლიტით გადაგირაზავ
 მუხის კარებსა მაგრად ნაჭედსა,
 რომ ვერ იხილო ვერასოდეს სინათლე დღისა,
 რომ არ არცხვენდე შენ ჩემ სახელს პატიოსანსა...“

როს ალიონა დიმიტრეენამ ეს გაიგონა,
 მთლად აცახცახდა ჩემი მტრედი, ჩემი ღამაში.
 ატოკდა, თითქოს ფოთოლი ვერხვის.
 მწარედ ატირდა და აჭვითინდა.
 და ქმრის წინაშე ბირქვე დაემხო...



„უფალო ჩემო, მზეო ნათელო,
 ან შენი ხელით მე მომკალი, ან მომისმინე!
 სიტყვები შენი ბასრი დანაა,
 მათი მოსმენით გული მიკვდება,
 არ მეშინია სასტიკ სიკვდილის.
 არც ხალხის ჭორის, მითქმა-მოთქმისა,
 მაშინებს მხოლოდ შენი წყრომა და შენი ჴისხვა.
 შინ ებრუნდებოდი ლოცვის შემდეგ მე ამ საღამოს,
 სულ მარტოდ-მარტო მოვდიოდი მე ამ ქუჩაზე;
 უცბად მომესმა ფეხის ხმაური,
 შემოვტრიალდი, — დავინახე გამორბის კაცი.
 მუხლებში უცბად მომისაგდა და ჩაფიქვე,
 და აბრეშუმის გადვიფარე სახეზე რიდე.
 მაგრად ხელები დამიჭირა და თანაც ჩუმად
 უფრო ჩამჩურჩულა ასეთი სიტყვა:
 „ნეტავ რას შიშობ, ჩემო ტურფავ, ჩემო ლამაზო?
 არა ვარ ქურდი, ტყედგაქრილი კაცისა მკვლელი,
 მე გარ მსახური მხოლოდ მეფის, მრისხანე მეფის;
 სახელად მჭეია კირიბევიჩი,
 შთამომავლობით ვარ დიდებულ მალიუტას გვარის...“
 მე კიდევ მეტად შემბიყრო შიშმა,
 თავბრუ დამესხა მე საცოდავსა.
 მან კი დამიწყო მოფერება, კოცნა, ალერსი,
 და როს მკოცნიდა ასეთ სიტყვებს იმეორებდა:
 „ო, მიპასუხე, რა გსურს, რა გინდა,
 ჩემო ძვირფასო და სანატრელო!
 ვგებ ოქრო გსურს, ან მარგალიტი?
 ძვირფასი თვლები, ფარჩა ფერადი,
 როგორც დედოფალს ისე მოგართავ, ისე მოგაკაზმავ,
 ყველა სიხარბით რომ შეგნატროდეს.
 ნუ მოისურვებ მხოლოდ სიკვდილს ჩემსა ცოდვილსა:
 ო, ერთჯერ მაინც განშორებისას
 შემომეხვეი და შემიყვარე!“

„მეფერებოდა, მიალერსებდა
 და ჩემს ლაწვებზე მისი ამბორი,
 მისი ამბორი შეჩვენებული
 ჯერ არ დამცხრალა, ცეცხლად შედება...
 ამას უცქერდნენ მეზობელი ქალები ჩუმად.
 სიცილით ჩვენსკენ კიშკარიდან აშვერდნენ თითსა.

„მას, როგორც იყო, გამოეუსხლტი
 და მთელ ძალ-ღონით შინისკენ გამოვიქეცი.
 მაგრამ იმ ყაჩაღს ხელში დარჩა ჩემი პირბადე
 გამოქარგული, შენი ნაბოძი.



და თავსაფარი ბუხარეთისა.
 მომპრა მან თავი და შემარცხვინა,
 ქალი უმწიკვლო, პატიოსანი —
 ბოროტი ჩვენი მეზობლები აწ რას იტყვიან,
 ვის დავენახო, ჩემი თავი სადღა გამოვყო?

„ნუ გაიმეტებ, ნუ გასწირავ შენ ერთგულ ცოლსა,
 ბოროტი ხალხის დასაცინად ნუ გახდი იმას!
 ვისი იმედი უნდა მქონდეს, თუ არა შენი?
 ვის უნდა ვთხოვო, რომ მიშველოს და დამეხმაროს?
 ამქვეყნად დავრჩი მე ობოლი და უპატრონო;
 მშობელი მამა განისვენებს ცივ სამარეში
 და იმის გვერდით წევს დედაჩემიც.“

შენც კარგად იცი, ძმა უფროსი გადაიხვეწა
 და უგზო-უკვლოდ დაიკარგა უცხო მხარეში;
 უმცროსი ძმა კი ბავშვთა კიდევ,
 ბავშვთა ბრიყვი და უშეცარო...“

ასე ალიონა დიმიტრეენა ამზობდა მოთქმით
 და თანაც ღვრიდა ცრემლებს მღულარეს.
 იხმობს სტეფანე პარაშონის-ძე,
 იბარებს სახლში ორ უმცროს ძმასა.

მოვიდნენ ძმები, მისცეს სალამი
 და მას სიტყვები ჰკადრეს ასეთი:

„აბა, გვიამბე ყველაფერი, უფროსი ძმაო,
 რა მოგივიდა, გასაჭირი თუ რა შეგემთხვა,
 რომ გვიხმობ სახლში ამ ბნელი ღამით,
 ამ ბნელ და ყინვით შხარავ ღამეში?“

„თქვენ, ჩემო ძმებო, საყვარელო, უნდა გიამბოთ,
 რომ თავს დამატყდა საშინელი უბედურება:

მეფის ბოროტმა ოპრინიკმა კრიბევიჩმა
 ჩვენი ოჯახი შეურაცხყო პატიოსანი.

ასეთ შერცხვენას ვერ აიტანს ადამიანი
 და ვერ მოითმენს ვაჟკაცის გული.“

ხვალ, როცა კრივით შებრძოლება გაიმართება
 მღინარე-მოსკვას ნაპირებზე მეფის დასწრებით, —
 მე ოპრინიკთან საბრძოლველად უნდა გავიდე!
 შეეებრძოლები სასიკვდილოდ, მთელი ძალ-ღონით.
 თუ დამამარცხა, მაშინ თქვენ ვადით,
 სიმართლისათვის დასდევით თავი!

არ: შედრკეთ, ჩემო საყვარელო, ერთგულო ძმებო!
 თქვენ უფრო შეგწევთ, ხართ უმცროსნი, ძალ-ღონით სავსე,
 თქვენ არ მიგიძღვით ჩემოდენი ცოდვა და ბრალი,
 გამჩენი ეგებ ჩემზე მეტად თქვენ შეგეწიოს!“



მას საპასუხოდ ძმებმა ჰკადრეს სიტყვა ასეთი:
 „საითაც ქარი დაუბერავს ზეცის წიაღში, —
 იქეთ მორჩილად მისცურავენ მუდამ ღრუბლებიც.
 როდესაც ქრუნი არწივისა ხმა გაისმება
 ბრძოლის სისხლიან ველისაკენ მომწოდებელი,
 რომ მოხდეს ლხინი, დახოცილთა ლეშების კორტნა, —
 არწივის ბარტყებს ეჩქარებათ მისკენ გაფრენა.
 შენა ხარ ჩვენი ძმა უფროსი, მეორე მამა.
 მოიქეც ისე, როგორც იცი, როგორც ვნებადღეს —
 ჩვენ კი, მშობლიურს, არ ვაგწირავთ, არ ვილაღატებთ“.



ჰეი, ბიჭებო, იმღერეთ, მწყობრად ფანდური აეღერეთ!
 ჰეი, ბიჭებო, დალიეთ, საქმისათვის მოიცალეთ!
 მხოლოდ გაართეთ ბოიარინი ჩვენი კეთილი
 და ბოიარინია პირმანგოსანი!

3.

მოსკოვს დიადს და ოქროთმოქედისს,
 კრემლის თეთრქვიან, ბრწყინვალე კედლებს, —
 სახურავებზე ცელქი ნაფარდით,
 რუხი ღრუბლების ცაში გაფანტვით,
 შორი ტყიდან და ლურჯი მთებიდან —
 წითლად აისი გადაეფარა.
 გაშალა ოქროს ხუტუქა თმები
 და თოვლის ფიფქით პირს იბანს ნაზად
 და, როგორც სარკეს მზეთუნახავი,
 გასცქერის ზეცას და ელიშება.
 რად გაიღვიძე, რად იფეთქე წითლად აისო?
 რა სიხარულის მოლოდინში ცელქობ, ხალისობ?
 იკრიბებოდნენ და გროვდებოდნენ
 მთელი მოსკოვის ვაეკაცები-მოკრევეები
 მდინარე-მოსკვას ნაპირებზე შესაბრძოლებლად,
 თავგასართობად და სასიეროდ.
 და თავათ მეფე გამობრძანდა თავის ამალით,
 ოპრიჩნიკებით, ბოიარებით.
 გასცა ბრძანება — გაეკიმათ ჯაჭვი ვერცხლისა
 წმინდა ოქროთოყოველ რგოლში შედღუღებული.
 ოცდახუთ საენის შემორკალეს ჯაჭვით ფართობი,
 რომ იქ მსურველებს გაემართათ პირისპირ ბრძოლა.
 ბრძანა ივანე ვასილის-ძე მეფემან მაშინ,
 რომ მიემართათ ხალხისათვის მკეთრი ძაბილით:
 „პოი, სადა ხართ ბრვე ვაეკაცებო,



რომ ჩვენი მამა, ჩვენი მეფე ამხიარულთ?
 აბა გამოდით მოედანზე შესაბრძოლებლად:
 ვინც გაიმარჯვებს — მას საჩუქარს უბოძებს მეფე,
 ვინც დამარცხდება, — აბატებს, შეუნდობს ღმერთი!”

მამინ მამაცი გამოვიდა კირიბევიჩი.
 ნეფეს უსიტყვოდ თავს უკრავს დაბლა.
 ზავერდის ჯუბას გადაიგდებს ფართო მხრებიდან,
 მაჩუკენა ხელით მოიდგამს დოინჯს,
 მეორე ხელით თავის წითელ ქუდსა ისწორებს.
 მოელოდება იგი თავის ზოპირდაპირეს.
 სამჯერ გაისმა ხმაშალალი გამოძახება.
 არცერთ მებრძოლმა არ ისურვა ფეხის გადადგმა.
 სდგანან და მხოლოდ უბიძგებენ ჩუმაღ ერთმანეთს.

დაიარება ოპრიჩნიკი დიდ მოედანზე,
 ცუდ მოკრივეებს იგი დასცინის:
 „მიყუჩდიტ განა და ჩავარდიტ საგონებელში?
 დე იყოს ეგრე, ამ უქმისთვის გაძღვეთ პირობას
 გაგიშვებთ ცოცხალს, მოსანანებლად,
 მხოლოდ ჩვენს მეფეს გავართობ და ვამხიარულებ“.

აი შეირბა და შუაზე გაიყო ხალხი:
 მოედნისაკენ ახალგაზრდა მოდის ვაჟარი —
 თავათ სტეფანე პარამონის-ძე,
 ზოკრივე მხნე და უშიშარი კალაშნიკოვი.
 მეფეს მრისხანეს მან პირველად სალამი მისცა,
 შემდეგ თეთრ კრემლსა და წმიდა ტაძრებს,
 შემდეგ კი რუს ხალხს დღეს აქშეკრებილს.
 თვალები მისი შევარდნისა ბრწყინავენ ცეცხლად
 და შეუპოვრად შესცქერიან მოპირდაპირეს.
 მასთან პირისპირ იგი ჩერდება
 და ხელთათმანებს კრივისათვის ხელებზე იცვამს.
 ფართო, ძლიერ მხრებს ისწორებს დინჯად,
 თანაც ხელს ისვამს ხუჭუჭა წვერზე.

მას ეუბნება კირიბევიჩი:
 „მოთხარი მაინც, ვაეკაცო ჩემო,
 რა გვარისა ხარ, ან რა ტომისა
 რას გიწოდებენ, ან და რა გქვია?
 ვიცოდეთ მაინც პანაშვიდი ვის გადაუხადოთ,
 ვიცოდეთ, მაინც რით დავიკეხნოთ!“
 ამბობს სტეფანე პარამონის-ძე;
 „სახელად გქვია მე სტეფანე კალაშნიკოვი,
 პატროსანი მამისაგან მე ვარ შობილი,



ლეთისა კანონით ვცხოვრობდი მუდამ,
 შე სხვისი ცოლი არასოდეს შემირცხვენია,
 არც ყაჩაღობას ბნელ ღამეში არ ვეწეოდი
 და მზის სინათლეს არ ვავეურბოდი!
 ჭეშმარიტია ის სიტყვები შენ რომ წარმოსთქვი:
 ჩვენს შორის ერთზე გაღიხდიან ალბათ პანაშვილს
 და ეს უთუოდ უნდა მოხდეს ხვალვე, შუადღით.
 ჩვენს შორის ერთი დაიწყებს კვენას,
 როს თავის მამაც მეგობრებთან გამართავს ქეიფს.
 არა სახუმროდ, არა ხალხი რომ გავააციონო,
 შენს წინააღმდეგ გამოვსულვარ, თათრისნაშობო,
 საბედისწერო, უკანასკნელ ბრძოლისთვის ახლა!"

როს ეს სიტყვები მოისმინა კირიბევიჩმა,
 გაფითრდა მკე, როგორც თოვლი შემოდგომისა.
 ანთებულ თვალებს თითქოს ბინდი გადაეფარა,
 ძლიერ ბეჭებში დაურბინა ცხე ერუანტელმა,
 გახსნილ ტუჩებზე გაეყინა სათქმელი სიტყვა.

აი ერთმანეთს სცილდებიან ჩუმიდ ისინი,
 იწყება ბრძოლა ვაეკაცური, გმირთაგმირული.
 შემოიქნია მაშინ მკლავი კირიბევიჩმა,
 და კალაშნიკოს დაჰკრა პირველმა,
 დაჰკრა მას მკერდში, შუა მკერდში, მთელი ძალღონით;
 შეირყა მკერდი მხნე, მამაცური,
 შედრკა სტეფანე პარამონის-ძე.
 მას ფართო ჯვარი სპილენძისა ეკიდა გულზე,
 ჯვარი წმიდანთა ნაწილებით კივიდანა.
 და გაიღუნა ფართო ჯვარი, შეიჭრა მკერდში,
 დილის ცვარივით გამოეთონა წვეთებად სისხლმა.
 ფიქრობს სტეფანე პარამონის-ძე:
 „რაც ბედით არის განზომილი — ის ასრულდება,
 სიმათლისათვის უნდა დავდო დღეს ჩემი თავი!“
 გამხნევედა გულით და მოეზადა,
 მთელი ძალ-ღონე შემოიკრიბა,
 და გამეტებით დაჰკრა მოძულეს,
 დაჰკრა მარცხენა საფეთქელში დაურიდებლად.
 და ახალგაზრდა ოპრიჩნიკმა ამოიგმინა,
 შეირხა ტანით და უსულოდ მიწას დაეშვა.
 დაეცა იგი, გაიშხლართა უძრავად თოვლზე,
 დაეცა თოვლზე, როგორც ფიჭვისხე,
 როგორც ფიჭვისხე უდაბურს ტყეში,
 ძირში მოჭრილი, წამოიქცევა...
 მეფე ივანე ვასილის-ძე, ამის მნახველი,
 განრისხდა ძლიერ და გაგულისდა.



საქართველო
გერმანიისთვის

შავი წარბები მან შეკყარა და თანაც ბრძანა,
რომ წამს შეეპყრათ ეგ მამაცი ვაჭარი მცველებს.

და მოეყვანათ მის წინაშე პასუხსაგებად.
მაშინ გაისმა ხმა მეფისა მართლმადიდებლის:

— მომეც პასუხი უტყუარი, სინდისიერი,
ნებით მოკვალი თუ უნებლიედ
ჩემი ერთგული მოსამსახურე,
ჩემი მოკრივე ყველასმგლობნი კირიბევიჩი?”

▶ ჰოი, მეფეო, გეტყვი სიმართლეს,
რომ მოკვალ იგი ნებით, განზრახვით,
მხოლოდ არ გეტყვი რისთვის, ან რატომ, —
მხოლოდ ჩემს გამჩენს უუამბობ ამას.
ბრძანე, სიკვდილით რომ დამსაჯონ, ბრძანე — მომკვეთონ
ეს ჩემი თავი დამნაშავე, მხოლოდ გთხოვთ იმას,
არ დამიტოვო უპატრონოდ ნორჩი ბავშვები,
არც ჩემი ცოლი ახალგაზრდა, დაქვრივებული
და ორ ძმას ჩემსას არ მოაკლო შენი წყალობა...”

„მომწონს, ჭაბუკო, ვაჭრისა შეილო,
შეუბოვარო და მამაცი ჩემო მოკრივე,
რომ მიპასუხე სინდისიერად.
ცოლს ახალგაზრდას და ობლებს შენსას
ჩემს სალაროდან დავსაჩუქრებ,
შენს ძმებს ამ დღიდან მიცემ უფლებას,
რომ მთელ რუსეთის დიდ სამეფოში
დაუბეგრავად მუდამ ივაჭრონ,
მაგრამ შენ თავათ წადი, ჭაბუკო,
სიკვდილით სასჯელ მაღალ ადგილზე —
იქ დასდე შენი მშფოთარე თავი!
ებრძანებ, გალესონ და მოპირონ კარგად ნაჯახი,
ებრძანებ, ჯალათი რომ მოკაზმონ და გამოაწყონ,
უებრძანებ, დიდი დარეკონ ზარი,
დე, მცხოვრებლებმა მოსკოვისა ყველამ იცოდეს,
რომ არც შენა ხარ მოკლებული ჩემსა წყალობას...”
გროვდება ხალხი და თანდათან ავსებს მოედანს.
მწუხარედ კენესის, გუგუნებს ზარი,
აზბავს საზარელს აცნობებს ყველას.
სიკვდილით სასჯელ მაღალ ადგილზე
წითელ პერანგში გამოწყობილი,
ავარვარებულ დიდი ნაჯახით
და გაშიშვლებულ ხელების სრესით
აუჩქარებლად დადის ჯალათი.
მოედლოდება მამაც მოკრივეს.
მაგრამ ვაჭარი ახალგაზრდა და მხნე მებრძოლი
შკვიდრ ძმებს თავისას ემშვიდობება:



„პოი, თქვენ ძმებო, ჩემო სისხლო და ჩემო ხორცი!
 გადაეხვიოთ და ვაცოცოთ ერთმანეთს ახლა;
 უკანასკნელი, განშორების მოვიდა წუთი!
 ჩემს ალიონას გადაეცით ჩემგან სალამი,
 უთხარით ერთობ ნუ იდარდებს და ნუ იჯავრებს...
 პატარა ბავშვებს ნუ უამბობს ჩემზე ნურადფერს.
 პატივისცემით მომიკითხეთ შშობელთა სახლი,
 პატივისცემით მომიკითხეთ ამხანაგები.
 თქვენ თავათ წადით და ილოცეთ წმიდა ტაძარში,
 ღმერთს შეავედრეთ ჩემი სული, სული ცოდვილი!“

და დაისაჯა კალაშნიკოვი
 სამარცხვინო და სასტიკ სიკვდილით.
 მისი ნაკვეთი ტიალი თავი
 სისხლში გასერილი მიწას გაგორდა.
 დაასაფლავეს იგი მოსკვა-მდინარეს იქით,
 მინდორში. სადაც სამი გზა მიდის:
 ტულის, რიაზანის და ვლადიმირის.
 მის საფლავს მიწა მთად დააყარეს
 და ჯვარი ხისა ზასზე აღმართეს.
 და შრიალეზენ, მიმოქჳრიან ქარნი ვერანნი
 მის უსახელო სამარეზედა.

კეთილი ხალხი ამ საფლავის მახლობლად დადის.
 მოხუცი კაცი გვერდს გაუელის — პირჯვარს გადიწერს,
 კობტა კაცი გვერდს გაუელის — მხრებს შეისწორებს,
 ტურფა გოგონა გვერდს გაუელის — გულს დაილონებს,
 მეფანდურენი გაივლიან — ივალობებენ.



ჰეი, ჰაბუკნო, ზამაცნო,
 მეფანდურენო ვაეკაცნო,
 ხნებო წყრილა, წარმტაცნო!
 კარგად დაიწყეთ და კარგადაც დააბოლოვეთ,
 ყველას მართალი, საკადრისი სიტყვა უპოვეთ!
 დარდიმანდ ბოიარინს — დიდება!
 ბოიარინიას ტურფას — დიდება! —
 და ქრისტიანულ მთელს ხალხს — დიდება!

მალა რალიანი

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება

★

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი ცხოვრება მძაფრი წინააღმდეგობებისა და ერთგვარ თავისებურებათა შემცველია. მართალია, რევოლუციის წინა წლებში იწყებს იგი სამწერლო მოღვაწეობას, მაგრამ თავისი ლიტერატურული სახის გამომქლავნება მან შესძლო მხოლოდ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცების პირობებში—საბჭოთა ეპოქაში. ქართულ მწერლობაში იგი შემოვიდა, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის მიმდევარი. თავისი მხატვრული თეორიით და შემოქმედებითი პრაქტიკით იგი სავსებით დაშორდა რეალისტური ხელოვნების გზას, მასში მკაფიოდ გამოჩნდა იდეალისტური ესთეტიკის გავლენა. მისი ადრინდელი ნოველები—„პორცელანი“, „მკედართან შეხვედრა“, „ზარები გრიგალში“, „ლილა“, „ტაბუ“, „ქალის რძე“, „ქოსა გახუ“ და „ჯამუ“ წარმოგვიდგენდნენ ავადმყოფ და ამორალურ ინდივიდუალისტებს, გახელებულ ეროტიკოსებს, უყიდურეს პესიმიისტებსა და მისტიკოსებს, კაცთმოძულეებსა და ცინიკოსებს. მწერალი მათ შარავანდედითაც კი მოსავდა. მაშინ, როდესაც რევოლუციის მაცოცხლებელი იდეებით იმსჭვლებოდნენ მხატვრული შემოქმედების საუკეთესო წარმომადგენელი, ამ დროს „პორცელანის“ ავტორი ქადაგებდა ხელოვნების აპოლიტიკურობა-

სა და უიდეობას, აიდეალებდა არისტოკრატიულ ესთეტიზმს და ლიტერატურის თვითმიზნობას, ქმნიდა „მეოცნებეთა“ სამყაროს, რომელთა სწრაფა მთლიანად დაშორებული იყო ახალ ცხოვრებას და კიდევ უპირისპირდებოდა მას. ამ ნოველების მოქმედ პირთა შორის მკითხველი ვერ შეხედებოდა დადებითი, ჯანსაღი ადამიანური მეობის მატარებელთ.

თემატიკურად და იდეურად ამ ნოველებთან დაკავშირებულია „დიონისოს ღიმილი“—რომანი „ზედმეტი ადამიანი“ შესახებ, პრობლემა „ზედმეტი ადამიანისა“ ყოველთვის იქცევა მწერლების ყურადღებას იმ ეპოქებში, როდესაც რევოლუცია ახდენდა ძვრას საზოგადოებრივ ურთიერთობაში. „ზედმეტი ადამიანისათვის“ დამახასიათებელია ახალ პირობებთან შეგუების შეუძლებლობა, თავისი ადგილის ვერ პოვნა ცხოვრებაში, გულგატეხილობა და უკმაყოფილება.

„დიონისოს ღიმილი“ მოცემულია „ზედმეტი ადამიანი“, რომელიც წარმოიშვა სოციალისტური რევოლუციის ხანაში, დამარცხებული კლასიდან, ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული წრიდან. კონსტანტინე სავარსამიძე წარმოადგენს გადაშენებული ქართველი აზნაურის ტიპს. მას ნახევარი ხმელთი აქვს მოვლილი, შვიდი ენა შეუსწავლია, შვიდი პროფესია გამოუცვლია, მაგრამ მაინც ვერ უპოვნია თავისი ად-

გილი ამ ცხოვრებაში: „ტაია შელია, მე მარტო ვარ ამ უღრან ტყეში... ტაია შელია, ჩემი ცხოვრების შუაგულ გზაზე შემომალამდა. ისევ შენ გიგონებ და გეძახი—გულთმისანო, ჩემო გამზრდელო! ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან. ვანა არ გესმის—„გზა“,—იძახის ადამიანი საუკუნეების ირიბ მიჯნებზე: „გზა“,—იძახიან მწერლები, ბერები და მოძღვართ-მოძღვრები. მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერაფერ მასწავლა „გზა“. ამ სიტყვებში მტლავნდება ვანცდა და აზროვნება იმ ადამიანისა, რომელიც უკიდურეს სეკტიციზმსა და პესიმიზმშია გადავარდნილი, რომელსაც ვერ უპოვნია ცხოვრებაში გასავალი გზა; სავარსამიძე ცდილობს თავი მოგვანენოს დატანჯული ადამიანის პოზაში, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, მისი მწუხარება არავის არ აღელვებს, ვინაიდან მისი ცრემლები ისეთია, რომლითაც ნამდვილად არაფერ არ ტირის, მისი სევდა მოჩვენებითია.

კონსტანტინე სავარსამიძეს ახასიათებს უკიდურესი თვითდარწმუნება, თავისთავში რალაცნაირ პრივილეგიურ არსებას ხედავს, რაიმე პატარა შემთხვევასაც კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს, ეძებს მასში უმაღლეს აზრს; როგორც ყოველ უკიდურეს ინდივიდუალისტს, სავარსამიძესაც აქვს მიდრეკილება თავისი პირადი განცდები და შეხედულებანი განაზოგადოვოს; იგი ეგზალტიური პიროვნებაა, ახასიათებს უსაზღვრო და ავადმყოფური განვითარება წარმოდგენებისა, არასოდეს არ შეუძლია გულდასმით, მოთმენით იფიქროს რაიმე მოვლენისა და დებულების შესახებ. იგი სწრაფად გადადის სიხარულიდან მწუხარებაში, ხშირად ექცევა შემთხვევითი განწყობილების გავლენაში.

კონსტანტინე სავარსამიძეს ამინებს ცხოვრების განვითარება. იგი ილაშქრებს ინდუსტრიისა და მანქანების წი-

ნაღმდეგ. მისი მისწრაფება პრიმიტიულ ბუნებაში ცხოვრებაში მძიმე ყოფილი წესებით. საჭარხნში მისი ხშირად გაიგონებთ წუწუნს, რომ „ამ ქვეყანაზე არც კი შეიძლება მეგობრობა“, რომ „ჩვენ მარტო ვართ“. იგი თავის იდეალს ეძიებს შორეულ წარსულში, აღფრთოვანებით აქებს საშუალო საუკუნეებს.

როდესაც ვკითხულობთ კონსტანტინე სავარსამიძის ცხოვრების თავგადასავალს, ვგრძნობთ რალაცნაირ ზნეობრივ დაღლილობას. არსებითად მის „რომანტიულ“ აზროვნებაში ღრმა, სერიოზული არაფერი შეიმჩნევა, მარტოდენ ფრაზეოლოგია, სიცალიერე, უსაგნობა გვაქვს. მთელი მისი ცხოვრება პალუცინაციების შთაბეჭდილებას სტოვებს. მისი პესიმიზმი მარტოდენ საშუალობაა მკითხველის მისტიფიკაციისა; იგი უკიდურესი ეგოისტია, რომლისთვისაც ესათუის გრძნობა იმდენად არის სავალდებულო, რამდენადაც აძლევს მას პირად სიამოვნებას; იგი ცივი, სასტიკი და უხეშია. ირთვებოდა რა „ზეადამიანის“ წამოსასხამში, სავარსამიძე ამტიკებდა თავის არისტოკრატიზმს, სიძულვილს ხალხისადმი, გამოდიოდა კლასობრივი უთანასწორობისა და კაცთმოძულეობის აპოლოგეტად. იგი სავსებით რეაქციულ-რეტროგრადული იდეების დამცველია.

„დიონისოს ღიმილი“ ასუქეტური რომანია, დაწერილია მოშვებული ფაბულით. პერსონაჟები უპირატესად გარეგნულად არიან დახატულნი, ხშირად მათ მოქმედებასა და მსჯელობას აქლია დასაბუთება.

ამ ნოველებით და რომანით დაამთავრა კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი შემოქმედებითი განვითარების ერთი ხანა—ადრინდელი ხანა. ამ ნაწარმოებებით იგი საბჭოთა საზოგადოებრივობის წინაშე გამოდიოდა, როგორც დასრულებული დეკლენტი,

ბურჟუაზიული აზროვნების მატარებელი მწერალი, რომელიც თავის ნაწარმოებებში გამოხატავდა ჩვენი სინამდვილისათვის უცხოა და მიუღებელ აზრებს.



„მთვარის მოტაცებაში“ კ. გამსახურდიამ კირველად სცადა ახლოს მისულიყო თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებთან. ტრილოგიის ამბავი ნაწილობრივ შეეხება საბჭოთა ქვეყნის სინამდვილის ღირსშესანიშნავ ისტორიულ ხანას—30-იანი წლების უღარესად გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებას. ეს ის წლებია, როცა სოფლად ფართოდ ვიშალა მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, როცა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე გადაწყვეტი იერიშები იქნა მიტანილი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის მიზნით. კ. გამსახურდიას ნაწარმოები ერთი კუთხით შეეხება ამ მკვეთრი სოციალური კოლიზიის პროცესებს.

ამ თხზულებით კ. გამსახურდიამ დაარღვია ე. წ. „დისტანციის თეორია“, რომელსაც იგი დიდხანს იცავდა. ამ თეორიის თანახმად, მხატვრულ ლიტერატურაში სინამდვილის მოვლენების ასახვისას, ამ მოვლენებმა უნდა დაჰკარგონ სიახლე, ისტორიული მტვერით დაიდარონ და მხოლოდ შემდეგ გახდებიან ისინი მხატვრულ ნაწარმოებში ასახვის საგანიო. დაბოლოს კ. გამსახურდიამ თითქოს შეიგნო, რომ „დისტანციის“ დაცვის მოთხოვნა რევოლუციურ ვითარებაში, ნიშნავდა ვარემო სინამდვილისაგან მწერლის მოწყვეტის ცდას და ჩაექტვას თავისთავში.

„მთვარის მოტაცებაში“ მრავალი მაღალი მხატვრულობით შესრულებული ეპიზოდია. მწერალი ცალკეულ სცენებსა და სურათებს წარმოგვიდგენს

მდიდარი და ლამაზი პოეტური ფერებით. შკითხველზე ღრმა შეფხუქდვლებას ახდენს ტრილოგიაში ჭარბად აღწერილი ხალხური ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციული ადათები, დღეობები, რიტუალები. კ. გამსახურდია ამ ყოფითი მასალების ზედმიწევნით მცოდნეა, მას მხედველობიდან არ რჩება არც ერთი საგულისხმო დეტალი ხალხის წარსული ჩვეებისა; ორგანულად არის დაკავშირებული ტრილოგიის სუვეტურ განვითარებასთან ხალხური შემოქმედებიდან ამოღებული ლექსები.

კ. გამსახურდია განსაკუთრებული ოსტატობით გამოირჩევა ბუნების დახატვაში. თითქმის ყოველ მწერალს შეაქვს თავის ნაწარმოებში ამა თუ იმ სახით ბუნება, მაგრამ ყველა ვერ ახერხებს ამ ელემენტთან დაკავშირებული ესთეტიკური ამოცანების სრულყოფილ გადაწყვეტას. ერთდამივე დროს—გამოხატო ბუნება პოეტურად და ორიგინალურად და, რაც მთავარია, გამოიყენო ის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტილიური საშუალება განსაზღვრული მხატვრული მიზნის მისაღწევად,—ეს ძალზე რთული საქმეა. კ. გამსახურდია მშვენიერად გვიხატავს ბუნების სურათებს, მოხერხებულად ურთავს მათ სხვა სურათების მწყობრ თანამიმდევრობაში. ბუნება მის ნაწარმოებში მოჩანს უპირატესად თავისი ბრწყინვალეობით, პლასტიკურობით, მრავალფეროვანებით. იგი მოკვეთილად და დამახასიათებელი ნიშნებით წარმოგვიდგენს ბუნებას, რომელიც საბოლოოდ გვაძლევს გარკვეულ მხედველობითს და შეგრძნებითს სახეს. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ნაწარმოებში ბუნება უპირატესად წარმოდგენილია რეალისტურად, კონკრეტული დეტალებით.

ტრილოგიის ერთ-ერთ მთავარ გმირს წარმოადგენს არზაყან ზეამბაია. ავტორი მოგვითხრობს, რომ თავის სო-

ფელში არზაყანი პირველი ჩაეწერა კომკავშირში. იგი ზრუნავდა კოლმეურნეობებში ჩამოყალიბებისათვის, უშუალო მონაწილეობას იღებდა კონტრრევოლუციური ბანდების განადგურებაში. მაგრამ ეს დადებითი თვისებები არზაყანისა მწერალს არა აქვს ნახეენები მოქმედებაში, ყოველივე ამას იგი დეკლარაციულად აღნიშნავს და ამაში მკითხველი უნდა ვნდოს მას. თავისი გმირისათვის ავტორს არ მიუცია ფართო სამოქმედო სარბიელი. არზაყანი არ ატარებს ახალი თაობის დამახასიათებელი წარმომადგენლის, კომკავშირელის ძირითად თვისებებს, იგი ინსტიტუტურად მიჰყვება ცხოვრებას, მძიმე ტვირთად აწევს მას ძველი ადამიან-ჩვეულებანი. „არზაყანი თუმცა კომკავშირელი იყო, მაგრამ მაინც აფხაზური ტრადიციები მთლად არ იყო მასში აღმოფხვრილი“. მართლაც, ნაწარმოების მიხედვით, რეი ძალუმად არის მოქცეული ძველი ჩვევებისა და ცრუმორწმუნეობის ტყვეობაში. მისი პრინციპულობის და იდეურობის, პოლიტიკური გამოზრდის დილობის დამამტკიცებლად არ გამოდგება ის, რომ მან აღდგომა დღეს არ ისაძილა ნახუცრის სახლში. მას არ აქვს ჩამოყალიბებული კომუნისტური მსოფლმხედველობა. კომკავშირელი ახალგაზრდა მასში ვერ დაინახავს თავის ტიპურ გამოხატულებას. მის ქცევას უპირატესად მიჯნურობისაგან წარმოშობილი კონფლიქტი განსაზღვრავს. ამ ნიადაგზე უპირისპირდება იგი თარაშ ემხვარს.

არზაყანი შეიყვარებს თამარ შერვაშიძეს. სოციალურად ისინი დაშორებული არიან ერთმანეთს. არზაყანმა კარგად იცის, რომ ათას წლობით გამსახურებოდნენ ზემამბაიები შერვაშიძეებს. მრავალი საუკუნის მანძილზე პირის თფლი უღვრიათ ზემამბაიებს მათთვის, და შერვაშიძეები მადლობის ნაცვლად, სტამბოლში ჰყიდნენ ზემამბაიების ნაშიერებს. ზემამბაიებს შერვაშიძეების მაგივრად უფროსნი უხვანათ; ზემამბაიების ქალებს შერვაშიძეების ქალების ბავშვები უზრდიათ, რათა ძუძუ-მკერდი არ დაშრეტოდათ შერვაშიძეების ქალებს. ეს გარემოება მათ აზორებდა, სთიშავდა ერთმანეთისაგან. ამას გრძნობს არზაყანი, მაგრამ ახლა იგი სხვაგვარად ფიქრობს: „როგორ? მტერს რომ მოერიო, ბელაურზე მჯდარს, განა იმ ბელაურზე იმიტომ არ უნდა შეჯდეს, რომ იგი მტრის ნაჯდომია; როგორ? მტერს რომ მოერიო და სახლკარი წაართვა, განა იმიტომ არ უნდა მოსწყვიტო იმის ბაღში მოსული ვარდი, რომ ეს ვარდი მტრისეულ ბაღშია მოსული? ან ბუღბუღლის შესძლებია მხოლოდ იმისათვის, რომ მტრის ბაღში უმღერია ოდესღაც, შემთხვევით?“ არზაყანის სიყვარული თამარ შერვაშიძისადმი ერთგვარად თავდავიწყებითი გრძნობის ხასიათს ატარებს. ნაწარმოებში არზაყანის მთელ ქცევას ეს მომენტი განსაზღვრავს.

კომუნისტური იდეების გამოხატული გმირები, საბჭოთა ადამიანები ნაწარმოებში ძალზე მკრთალად არიან წარმოდგენილი, ისინი არ ჩანან მოქმედებაში, ეპიზოდურად მოგვევლინებიან და კვლავ მიეფარებიან მკითხველის მხედველობის არეს. კომუნისტ ჩალმაზისათვის ავტორს არც სიტყვიერი მასალა გაუმეტებია და არც მოქმედების ასპარეზი მიუცია. მართალია, თხზულებაში იგი დახასიათებულია, როგორც იდეური, პატიოსანი, პარტიისათვის თავდადებული ადამიანი, მაგრამ როგორღაც გაუბედავი და მერყევი. მისი ბოლშევიკური შეურიგებლობა და პრინციპულობა არც თუ ისე შესამჩნევია; მეორე კომუნისტული ჩელს—უპირატესად ჩალმაზთან შეხედრისას და მასთან საუბარში ვეცნობით. საქმეში, მოქმედებაში ვერ ვხედავთ სოფლად მომუშავე ამ ახალ

ადამიანებს. შეიძლება ითქვას, რომ „მთვარის მოტაცების“ ავტორი არ იცნობს ამ ადამიანებს და იგი მათ სავსებით ტრადიციულ ჩარჩოებში ათავსებს.

ტრილოგიაში კ. გამსახურდიას გულსყური მიპყრობილია უპირატესად იქითკენ, რომ ასახოს რევოლუციის მიერ განადგურებული საზოგადოებრივი წყობილებებისა და კლასის ნაშეირნი, მათი ცხოვრება და სულისკვეთება. ნაწარმოებში არსებითად ეს არის ცენტრალური პრობლემა. თხზულებაში ყველაფერი იქითკენ არის მიმართული, რომ გახსნილ იქნას თარაშ ემხვარის სახე. ყველა ებიზოდი დახვეულია სწორედ ამ მთავარ ღერძზე. სხვათა შორის, მასში ჩვენ შევიცნობთ კონსტანტინე სავარსამიძის („დონისოს ღიმილი“) მრავალ თვისებას. თარაშ ემხვარის ბედს მწერალი გამოხატავს ტრაგიკულ ასპექტში.

თარაშ ემხვარი ფეოდალური არისტოკრატის ნაშეირია. მისი მამა, ჯამსულ ემხვარი, მეფის არმიის გენერალი იყო. იგი გაეჭეცა საბჭოთა ხელისუფლებას, გადაიხვეწა ბურჟუაზიულ ვეროპაში. თან წაიყვანა შვილიც. მამამ და შვილმა მთელი ვეროპა მოიარეს, მაგრამ ცხოვრება ვერსად ვერ მოაწყეს. „როგორც დასაგემ მიმინოს აბრეშუმის ძაფით თვალებს ამოუკრავენ, მერმე მარცხენა ხელზე დაისვამენ და მთელ ღამეს აააააა-ს ჩასძახიან ყურში, რათა თავისი წარსული გადააფიწყონ, თანდაყოლილი ენერჯიის პირველადი სილღე გააცალონ და სხვის ნებაზე ფრენას მიაჩვიონ, ისე ჩამძახოდენ ყურში აააააა-ს... ევროპული მეცნიერები მხატვრები და მუსიკოსები შვიდი წლის განმავლობაში... და მე სულ სხვა გავხდი, ვიდრე აქ ვიყავ და ახლაც იგი არა ვარ, რაც უნდა ვყოფილიყავ“. იგი საეხებით მოიწამლა დასავლეთის ბურჟუაზიულ-დეკადენტური კულტურით. ამიტომ

გზაბნეული დაღის ცხოვრებაში. „გულზე მარტობა შეგმოქმენთ... ესე მგონია მთელი ქვეყანა უდაბნოა ქვეულიყოს“,— აღნიშნავს იგი პარიზში ყოფნისას თავის დღიურში. არისტოკრატული აზროვნება ჰკლავს მასში ყოველივე ცოცხალსა და ადამიანურს, იგი „ძიებაშია“, თითქოს რაღაც სურს. ნამდვილად კი არაფერი სწადია. მას არც არაფერი დაეფიყნია და არც არაფერი უსწავლია.

თარაშ ემხვარი უკიდურესი ეგოისტია, ვინაიდან მხოლოდდამხოლოდ თავისთავზე ფიქრობს და ზრუნავს, სხვა არაფერი და არაფერ ახსოვს. აქი თამარი ეუბნება: „შენ დიდი ეგოისტი ხარ, მისოუსტ“. ამ სიტყვებზე თარაში უპასუხებს: „ეგოისტი? ალტრუისტები დამთხვეულებია“. მას სძულს საზოგადოება, ხალხი, ადამიანები; იგი გულგრილი და გულჩათხოვობილია, მიჩვეულია განმარტოებულ ცხოვრებას. მისი გული უტხო იყო ამქვეყნიური ენტერესებშიაღმი. თავის დღიურში იგი სწერს: „არ მიყვარს, როცა ადამიანებმა იციან სად ვარ, რას ვაკეთებ, რას ვფიქრობ? არც ის მიყვარს, როცა ქუჩის გამვლეღნი თვალეებში მიცქერიან. ძალიან მომწონს ძველი ვენეციული გრანდების ჩვეულება: ისინი უნილბოდ არ გამოდიოდნენ ქუჩაში. ტყუილი მაინცდამაინც არ მიყვარს. მძაგს ჩემი ნამდვილი არსებობის გამომჟღავნება“. იგი ნილაბით დაღის ამ ქვეყნად. მისი კულტურაც მოჩვენებითია: „ფულტრო ზეს ჰვავსო თარაშ ემხვარი, ფესგებ მომპალ, უნაყოფო ფულტრო ხესა. მისგან კეთილი რამ ნაყოფი არ იქნებაო. მის სიახლოვეს ვინ შესძლებსო გადაჩრდილებას“. მას არ აქვს მომავალი. იგი მარტოდდენ ფრაზის კაცია და არა საქმისა.

თარაშ ემხვარს არ ახასიათებს მორალური სიწმინდე. იგი ვერაგი და გაუტანელია, მისი დონქუანური სია საკმოდ ვრცელია, მას ბოლომდე შერჩა

ბურჟუაზიული ამორალობა—მარტო-ოდენ ცხოველურ და წუთიერ გრძნობებს ეთაყვანება, სიყვარულში ეძებს მარტოოდენ შთაბეჭდილებას, მრავალნაირობას. მას არავისათვის ბედნიერება არ მოაქვს. მან დაღუპა მრავალი ქალი, მათ შორის, მშვენიერი, გულწრფელად მასზე შეყვარებული თამარ შერვაშიძე.

ეს სექტიკოსი საესეებით მანერულობისა და პოზისაგან შესდგება. ამის დამადასტურებელი ფაქტი უამრავია ნაწარმოებში. ამ შემთხვევაში გესურს ყურადღება მივაქციოთ იმ საუბარს, რომელიც წარმოებს მასსა და თამარ შერვაშიძის შორის. იგი შერვაშიძის ქალს უამბობს, რომ ძალიან დიდ მარტოობას განიცდის თავის ქვეყანაში. ეს ამბავიო,—განაგრძობდა იგი,—მართლაც ძლიერ წაავსებს რომანებში ნათხრობს, მაგრამ ეს საესეებით არ სცვლიდა, თურმე, მის მწუხარებას. განსაკუთრებით „აუტანელი ყოფილა მისთვის არა დილა, არა შუადღე, არა ღამე, არამედ ის დრო შეღამებისა, როცა ნელნელა ფითრდება ცა, ხეების და მთების კონტურებიც ნახშირით ვაგლებულ ხაზებსავეთ მოიხატებიან ცის ფონზე, იმ დროს, როცა ჩრდილი და შუქი ერთი მეორეს მძაფრად ვაეთიშებიან, როცა არც ჩრდილშია მკვრივი სითალხე, ხალო სინათლე გამჟვირვალებას ჰკარგავს ნელინელ“. ასეთი მანერული, ყოველგვარ ბუნებრიობას მოკლებული სიტყვებით ელაპარაკება თამარ შერვაშიძეს ემზავრი თავის მარტოობაზე.

ერთში მაინც მართალია ემზავრი. მართლაც, მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის უცხოური რომანებიდან ამოკითხულ ამბავს მოგვაგონებს მისი ცხოვრება და აზროვნება. ამ გმირს მოეპოვება მრავალი ანალოგია მსოფლიო ლიტერატურაში. იგი ერთგვარად აიკოცლებს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის რომან-

ტიკულ ლიტერატურაში გავრცელებულ სახეებს—რენეს, ადრულტენ, მხერმანს, მიუნსტერს. ეს მისი გმირებისა, რომლებიც უკიდურესი ინდივიდუალისტები არიან და ამით უპირისპირდებიან თავიანთ თანამედროვეობას. ისინი წინააღმდეგობაში იმყოფებიან სინამდვილესთან. მათთვის დამახასიათებელია მოტივი მარტოობისა. ისინი ცხოვრებიდან გამდგარნი არიან, როგორც „ზედმეტი ადამიანები“. მათ შესახებ ცნობილი რუსი კრიტიკოსი ბელინსკი სწერდა: „ჩვენს დროში განსაკუთრებით მომრავლდა მეოცნებე და მსჯელობის ხალხი... არა ცხოვრება, არამედ ოცნება და მსჯელობა ცხოვრების შესახებ,—აი რაში მდგომარეობს მთელი მათი მოღვაწეობა“. ეს „მეოცნებენი“ ბელინსკის მიაჩნია წვრილმან, ეგოისტ პიროვნებებად. იგი აღელვებით წერს უსარგებლოდ დახარჯულ გონებრივ ძალაზე, ცხოვრებისადმი ჭკრეტოს დამოკიდებულებაზე: „გონება ადამიანს მიცემული აქვს იმისათვის, რომ აზრიანად იცხოვროს და არა მარტოდენ იმისათვის, ფიქრობდეს—უაზროდ ეცხოვრობო“. მოკლებულნი არიან რა სინამდვილის ათვისების გრძნობას, ეს ინდივიდუალისტები ხელს კი არ უწყობენ ცხოვრების გარდაქმნას, არამედ აფერხებენ მას; კონსერვატიულ-რეაქციულ რომანტიკოს მწერალთა ნაწარმოებებში მოქმედება უპირატესად მიმდინარეობს ამ „ზედმეტი ადამიანების“ გარშემო, რომელთა შინაგანი ცხოვრება, სულიერი თუ იდეური კონფლიქტები წარმართავენ სუფეტს.

მეოცე საუკუნის დეკადენტურ ლიტერატურაში ამ გმირის სახე სავსებით გაშიშვლებულ იქნა. იგი გამოჩნდა, როგორც უკიდურესად განმარტოვებული, ეგოისტი, ცინიკოსი და უქმად მეოცნებე; მის სწრაფვას არ აქვს სასიცოცხლო იდეალების ხასიათი. იგი ავადმყოფი და ბოროტია. თარამ ემ-

ჩვეარი სწორედ ამ დეკადენტური ლიტერატურის გმირების დაგვიანებული გამოძახილია. როგორც ეს არა-იშვიათად ხდება, მწერალს ეს სახე უკარნახა იმდენად არა ცხოვრებამ, რამდენადაც ლიტერატურამ. ამიტომ არის, რომ თარაშ ემხვარის სახე არ გამოიჩინევა ისეთი | უშუალო დამაჯერებლობით, რაც დაადატურებდა მის სასიცოცხლო ტიპიურობას.

კ. გამსახურდია თარაშ ემხვარის შინაგან სამყაროს გვიხატავს არა ერთ მთლიან და ერთმანეთთან დაკავშირებულ სურათებად, არამედ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სახით. მისი ხასიათის ნიშანდობლივი თვისებაა—სრული უმოქმედობა. მისი ბუნების განმსაზღვრელია გულჩახვეულობა და ავადმყოფური ინდივიდუალიზმი. მას არ შეუძლია რაიმე საქმის გაკეთება, ვინაიდან არ აქვს სიღინჯე, თავდაპერილობა, სიმტკიცე. ტრილოგიაში მრავალი გვერდია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საბრალმდებლო სიტყვად ემხვარის წინააღმდეგ. მისთვის ყოველი გრძნობა იმდენად არის სავალდებულო, რამდენადაც ეს აძლევს პირად კმაყოფილებას. იგი მეგობრობას, სიყვარულს, კეთილშობილ მისწრაფებებს სთვლის უაზრობად. სხვა კითხვებს, რასაც ცხოვრება უყენებს ადამიანს, იგი გულგრილად შესცქერის. ნამდვილად მისთვის არ არსებობს ცხოვრების არავითარი პრობლემა—არც სოციალური, არც ეროვნული და არც ზნეობრივი. ფილოსოფიურ კითხვებს, რომლებიც ზოგჯერ მის წინაშე დგებიან, იგი ორისამი საერთო, არაფრის მთქმელი სიტყვით უპასუხებს და ამით კმაყოფილდება; იგი რაიმე აზრს წარმოსთქვამს, მაგრამ თავს არ იტკივებს იმით, რომ ის მოფიქრებული და ლოგიკური იყოს. მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს საზოგადოებრივ ვალდებულებებზე. „მე საერთოდ არც უფლება მაქვს ამქვეყნად და არც წილი... მე წილად-

კარგული კაცი ვარ, წილწართმეული. ცაზე ღმერთი არ მეგულეებოდა მიწაზე მეგობარი. ხანდახან, კიბე/შემომენება მარტოობის ცეცხლი, ასე მგონია სხვა პლანეტიდან პარაშუტით გადმომხტარეიყო“. ამიტომ იგი პასიურად ეგუება თავის ყოველგვარ მდგომარეობას. „გადაშლილია, გადარეცხილია პალიმფსესტი ჩემი სულისა, მასზე თანაბრად წარხოცილია, როგორც ახალი, ისე ძველი ზედწარწერილობანი“. ასე გაშიშვლდა იგი საბოლოოდ. ეს ნიჰილიზმი მიჰყვება მთელს მის ცხოვრებასა და აზროვნებას.

თარაშ ემხვარი მტრულად არის განწყობილი ახალი ცხოვრებისადმი, საბჭოთა სინამდვილისადმი. იგი იმასაც ამბობს, რომ კომუნისმის გზა მისთვის დახურულია. „მონანიებული აზნაურის ამბავი, ჩემის აზრით ლიტერატორების ფანტაზიის ნაყოფია. ძერის ბახალამ, რაც უნდა მონინიოს, მტრედის მართვე მაინც ვერ გახდება“. ეს გულწრფელი აღსარებაა. ემხვარი სავსებით წარსულს ეკუთვნის თავისი წარმოსობით, აზროვნებით და ცხოვრებით.

ტარბებთან სისხლის აღების ნიადაგზე მომხდარმა დრამატულმა შემთხვევამ თარაშ ემხვარი არზაყან და კაც ზვამბაიებთან ერთად სვანეთში გადაისროლა. სვანეთი ამ შემთხვევის გარეშეც, თავისთავადაც იზიდავდა მას. იგი მისწრაფოდა პრიმიტიული გარემოცვისაკენ, ველური ბუნებისაკენ. პატრიარქალურ-იდილიური ცხოვრებისაკენ. ემხვარი ამტკიცებს, რომ კულტურა ავადობააო, მას არ მოსწონს ცივილიზაცია, ტექნიკა. იგი კმაყოფილებით სწერს ელენ რონსერს სვანეთის განუვითარებელი ცხოვრების შესახებ, სადაც მყუდროებას არ არღვევს საყვირის ხმა, გრამაფონის ჩხავილი, ტრამვაებისა და ავტომანქანების დაუსრულებელი მოძრაობა. მისი სიტყვებია: „მე აღარ მიწევს ბარისაკენ

გული... მიწა მომენტრა“. ამ ფრაზაში გამოთქმულია მეოცე საუკუნის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შედეგად აღმოცენებული რეაქციული „მიწასთან დაბრუნების“ შესახებ. ეს „რაფინირებული ევროპელი“ ბოლოს იცვამს სევანურ ჯვალს ჩოხას და სევანურ ჯაბრალებს ატარებს. იგი ფიქრობს, რომ სევანეთში ყოფნით შესცვალა თავისი ბუნება, მაგრამ ეს მარტოოდენ თავის შოტყუება, ილუზია იყო; იგი კვლავ ძველი, უცვლელი დარჩა. ლაფარიანების მახეშის კომშიდან სწერდა იგი კაროლინას: „ასე მგონია, ზეზეურად მკვდარი ვარ მეტი“. ვერც სევანეთში იპოვა სულის სიმშვიდე. იგი ფიქრობდა, რომ სევანეთში გადახვეწით გაექცეოდა ცხოვრებას, მაგრამ იქაც შეიჭრა გარდასულის უცილო ნგრევა, იქაც შესამჩნევი გახდა ახალი ურთიერთობის მაჯისციკმა და ეს ჩამორჩენილი კლასიკური თანდათან იცვლის სახეს სოციალისტურ საფუძველზე. სახეცვლილი ქვეყანა კი მას არ მოსწონს. იგი კვლავ ბარს უბრუნდება. დაბოლოს, დარწმუნდა, რომ ძველი სამყარო, მემამულურ-ბურჟუაზიული ცხოვრება, რომელთანაც იგი ორგანულ სიახლოვეს გრძნობდა, ველარასოდეს ვეღარ აღსდგებოდა. თავის სიცოცხლის დასასრულამდე იგი დარჩება ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის თაყვანისმცემელი. ცხოვრების განვითარებამ და წინსვლამ მას მკაცრი განაჩენი გამოუტანა: იგი დაიღუპა აზვირთებული ენგურის ტალღებში. ეს გზაბნეული „რაინდი“ არ იყო უყეთესი ბედის ღირსი. ასევე დაუნდობლად სპობს და ანადგურებს რევოლუციური სინამდვილე ყოველივე ზედმეტსა და უსარგებლოს.

გვიჩვენა რა ცხოვრება თარაშ ემზარის ათვისებაში, ვ. გამსახურდიამ ვერ შესძლო დამდგარიყო ამ ათვისებაზე შალვა, დაენახა თავის გმირზე

უფრო მეტი და უფრო შორს. მწერლის თვალთახედვა არც თუ მსუბუქართო აღმოჩნდა. იგი იმდენად არის დაკავშირებული თავის გმირთან, რომ არ შეუძლია მისი „ობიექტივიზირება“. თარაშ ემზვარი არ წარმოადგენს მთლიან ტიპს, ცოცხალ ორგანიზმს, იგი არის მხოლოდ და მხოლოდ ავტორის სუბიექტურ განცდათა ანარეკლი.

ამბობენ, რომ არ შეიძლება გავაიგივეოდ ავტორი თავის გმირებთან. ეს საერთოდ მართალია, მაგრამ თუ მწერალი ამქვეყნებს განსაკუთრებულ ინტერესს ამა თუ იმ გმირის თვისებებში, თუ იგი თავის შემოქმედებაში კვლავდაკვალ უბრუნდება ამ ტიპს, თუ იგი ყველაზე ღრმად შედის განსაზღვრულ პირის შინაბუნებაში. მაშინ, ცხადია არ არის ძნელი განვსაზღვროთ მისი ყურადღების მიმართულება. ლიტერატურის ისტორია არც თუ იშვიათად იცნობს ისეთ მწერლებს, რომელთაც არ შეუძლიათ განშორდნენ თავის თავს, მათ ყოველთვის გამოჰყავთ სცენაზე ერთი და იგივე პიროვნება (ავტორი); ოღონდ სხვადასხვა სახელწოდებით. ცნობილია, რომ რეაქციული რომანტიზმის წარმომადგენელი შატობრიანი თავისთავს ზატავდა ყველა ფაივის გმირში, დაწყებული შატასიონი და რენედან და ვათავებული აბენ ჰამეტითა და ევდორით. შატობრიანის ყოველ ნაწარმოებში თითქმის მთელი მისი ცხოვრება, მისი აზროვნება და მორალი არის ნაგულისხმევი. ეს იმიტომ, რომ იგი მარტოოდენ თავისთავს იცნობს, მისთვის საზოგადოდ ადამიანი უცნობია. ამიტომ იგი თავისი ხასიათის მიხედვით რთავს თავის გმირებს. ცხადია, ასეთ პირობებში მწერალს არ შეუძლია შექმნას ერთ გმირზე მეტი.

1. გამსახურდიას დამოკიდებულება თარაშ ემზარისადმი არ არის კრიტიკული, უარყოფითი. მას ვერ გაუმეტებია ეს „ზედმეტი ადამიანი“, პი-



რიქით, ხშირად იგი მოსაეს მას რაინ-
დული იერით, თანაგრძნობით ეკიდებ-
და ცხოვრებისაგან გარიყულ ამ პირს.
ავტორი ზოგჯერ ძალზე გაბედულად
აღაპარაყებს მას, მეტად მავნე და
მტრულ აზრებს წარმოათქმევინებს.
ცნობილია, რომ პერსონაჟები ნაწარ-
მოებში დამოუკიდებლად არ ლაპარა-
კობენ. მიუხედავად მათი სიტყვების
ინდივიდუალიზირებისა, კონკრეტუ-
ლობისა, ის მაინც ემორჩილება ავ-
ტორს, გატარებულია ავტორის ინტო-
ნაციის ქვეშ.

კ. გამსახურდიას კარგად ეხერხება
სახეების გროტესკულად წარმოდგენა.
რამდენიმე წინადადებით იგი აყალი-
ბებს დასრულებულ პორტრეტს. ასეა
დახატული შარდინ აღშობაია—„პრობ-
ლემების კაცი“, გაიძვერა, მლიქვნელი,
ორპირი, რომელიც აქეთაც არის და
იქითაც. გარეგნულად მას საბჭოთა
ადამიანად მოჰქონდა თავი, ხოლო რე-
ვოლუციის მტრებს უცხოეთის ჰორებს
პირველად ახარებდა. ბაბუა ტარიელ-
თან იგი თავს მორწმუნედ ასალებდა,
ამავე დროს ანტირელიგიური საზო-
გადოების წევრი იყო; დამამახსოვრე-
ბელი სახეა გვანჯ აფაქიძე — ნათავა-
დარი, ბოროტი, ენამრავალი კაცი, სა-
კოლმეურნეო მშენებლობის დაუძი-
ნებელი მტერი, რომელიც თავის ბნელ
საქმეებში სხვებსაც ითრევს; ცოცხალი
სახეა ჯოკია—ცხენის დაღალი, მაჭან-
კალი, ყოფილი ვაჭარი, ცრუობით გან-
თქმული. იგი ისეთი ცხენისათვის
აიღებდა ბეს, რომლის ბადალი ბუნე-
ბაშიც არ არსებულა. უფრო მეტი:
სამწლიანი, ფეხკავშა, თაფლისფერი
ულაყი გაუყიდნია და ის ულაყი ჯე-
რაც დაბადებული არ ყოფილა. მისი
დევიზი იყო: „საქმეც ის არის, პატო-
ნისქუა, ისეთი ცხენი ვაპყიდო, რომე-
ლიც არ არსებობს, თორემ ნამდვილს
ყოველი შლეგიც იოლად ვაპყიდის“.
ჯოკია, მართლაც კოლორიტული ფი-
გურაა ძველი ურთიერთობისაგან გად-

მონაშთი ადამიანისა; ტრილოგიაში
ეპიზოდურად გამოჩნდება მებზორენე,
მავრამ მწერალი ახერხებს მისი სავ-
სებით ჩამოყალიბებული პორტრეტის
მოცემას.

ცალკე უნდა დავასახელოთ ლუკაია
ლაბახუა. იგი ბნელიანი და ლენჩია.
შეიძლება ითქვას, რომ ეს სახე კ. გამ-
სახურდიას დეკადენტური ლიტერატუ-
რის გავლენით აქვს შექმნილი. დეკა-
დენტებისათვის მახინჯი და ავადმყოფი
არის დადებითი გმირი. ანორმალო-
ბა მათთვის სიბრძნის თავისებური პი-
რობაა. ფსიხოპატი „შთავონებულია
ღეთისაგან“, იგი თავისი დაავადყოფ-
ებული ფსიქიკის საშუალებით
სჭერეტს „მიღმა სამყაროს“. დეკადენ-
ტურ ლიტერატურაში სიგიჟე გახდა
სულის უმაღლეს გამოხატულებად, ხო-
ლო გიყები გამოცხადებულ იქნენ სუ-
ლის ქეშმარიტ არისტოკრატებად,
მგრძნობიარე არსებებად, რომელთა-
თვისაც სავსებით მისაწვდომია მისტე-
რიუმის სამყარო. ამიტომ სრულიად არ
უნდა გაგვიკვირდეს, რომ „მთვარის
მოტაცების“ ავტორი შერყეულ ლუ-
კაია ლაბახუსაც წარმოათქმევინებს—
„ფილოსოფიურ“ აზრებს: „... მე რა
ვიცი—შენ ვინ ხარ? ან მე ვინა ვარ.
ჩვენ ვინ ვართ? არავინ ვიცით თუ ვი-
ნა ვართ, არავინ, არავინ...“ ვასაგებად
ეს ხომ ნიშნავს მსჯელობას იმაზე,
თუ რას წარმოადგენს ადამიანი. ჩე-
ნის ღრმა რწმენით, ამ რთული პრობ-
ლემის ასე დასმისათვის და, მით უმე-
ტეს გადაწყვეტისათვის არ გამოდგება
ლუკაია ლაბახუს მდგომარეობაში
მყოფი პიროვნება.

„მთვარის მოტაცებაში“ კ. გამსახურ-
დია არ იცავს მხატვრული თხრობის
ერთ მთლიან პრინციპს. მასში ვხვდე-
ბით ელემენტებს სათავადასაველო
რომანისა. ამავე დროს მასში გვაქვს
რომანტიკული და ნატურალისტური
პროზის ნიშნები; ტრილოგიაში მეტის-
მეტად დარღვეულია კომპოზიცია, მრავ-

ვალ თავს დამოუკიდებელი ქვესუვეტი აქვს. ეს გარემოება ხელს უშლის ნაწარმოების ინტენსიურ განვითარებას და ფრაგმენტულ ხასიათს აძლევს მთავარ თემასაც. იქმნება ასეთი მთაბეჭდილება, თითქოს მწერალი, თავის ტრილოგიას თხზავს ყოველგვარი გეგმის გარეშე და არ ცდილობს ნაწარმოებს მისცეს შემეჭიდრობული და დახვეწილი სახე; ზოგჯერ იგი მოგვაგონებს კოლექციონერს, რომელიც წიგნს ტვირთავს მრავალი ისტორიული სახელით და ამბობს, არქეოლოგის და ინტერესებულობით ჩამოთვლის ეკზოტიკურ საგნებს. ტრილოგიაში არ არის თითქმის არც ერთი თავი, რომელშიც არ იყოს მოცემული ისტორიული ცნობები. ეს ერთგვარად ამძიმებს ნაწარმოებს, აძლევს მას „წიგნურობის“ ხასიათს. არ შეიძლება ერთ თხზულებაში მთელი სამუზეუმო გამოფენის მოწყობა. ამიტომ ალაგ-ალაგ ეს თხზულება გაჭიანურებულია. მწერალს თითქოს დაეიწყინა ამავე ნაწარმოებში ნათქვამი სავესებით მართებული სიტყვები — „მხოლოდ მოკლე თქმაში გამოჩნდება ისტატი“.



„მთვარის მოტაცების“ გამოქვეყნების შემდეგ მწერალთა სასახლეში გამართულ დისკუსიაზე კ. გამსახურდია აცხადებდა: „არასოდეს ისტორიული რომანი არ ყოფილა წამყვანი ჟანრი. არც სტენდალი, არც ბალზაკი, არც დოსტოვესკი ცნობილი არ ყოფილან როგორც ისტორიული რომანის ავტორები. მე ვაფასებ ჩემი კოლეგების მიერ გამოქვეყნებულ ისტორიულ რომანებს, მაგრამ ვამბობ, რომ ისტორიული ამბის სახით ავტორს ხელში უვარდება მზა სუვეტი. მსოფლიოში ძალიან მცირეა ორიგინალური სუვეტის აღნაგობის რომანი. ორიგინალური, დამოუკიდებელი, თანამიმდევრული სუვეტის გამოგონება არც ისე

ადვილია, როგორც ზოგიერთებს ეჩვენება და ამიტომ ვამბობ, რომ წამყვანი რომანი თანადროულ მასალებზე აგებული რომანია. ნაწილი აქტიური მწერლებისა ჩვენში პოპულარულ ისტორიულ თემებს და მათ დამუშავებას გადაყვა, მიივიწყეს თანადროული რომანის სუვეტისა და კომპოზიციის სიმძაფრისათვის ბრძოლა“ (იხ. „თანადროული რომანი“, ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936 წ. № 6). არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ სიტყვების მთავარ აზრს. მართლაც, ლიტერატურული ნაწარმოების მნიშვნელობა მკრთალდება მაშინ, როდესაც მასში არ მოიხმის თანადროულობის ხმა. ჭეშმარიტი რომანის, მოთხრობის, ლექსის, პოემის აუცილებელ თვისებას (სხვა თვისებებთან ერთად) ყოველთვის შეადგენდა განსაკუთრებული ინტერესი თანადროული თემებისადმი და პრობლემებისადმი.

კ. გამსახურდიას ეს სიტყვები სხვა მხრივაც საგულისხმოა. ამ მოსაზრების გამოთქმის შემდეგ გამოაქვეყნა მან „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“. ახსოვდა რა ალბათ თავისი აზრი ისტორიული რომანის თაობაზე (სადაც ისტორიული რომანი ძალზე დამცირებული იყო!), იგი შემდეგში იწყებს მტკიცებას, რომ ისტორიული რომანი, როგორც მხატვრული შემოქმედების თავისებური ჟანრი საერთოდ არ არსებობს. ეს კი სავსებით მცდარ შეხედულებათ მიგვანინა.

რომანი მხატვრული თხრობის ურთულესი ფორმაა. მასში ჩვენ საქმე გვაქვს დროის ხანგრძლივი პერიოდის გადმოცემასთან, მოქმედ პირთა მრავალრიცხოვანებასა და მრავალფეროვანებასთან, რამდენიმე ამბავთან, რთულ არქიტექტონიკასთან, ენის თავისებურებასთან და სხვ. XIX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურამ თავისი განვითარების უმაღლესი სახე სწორედ ამ ჟანრში ჰპოვა.

იმის მიხედვით, თუ ცხოვრების რომელ მხარეს აქცევს მწერალი ყურადღებას, ლაპარაკობენ ავანტურულ-სათავგადასავლო რომანზე, ფსიქოლოგიურ რომანზე, სოციალურ-ყოფით რომანზე, ფანტასტიკურ რომანზე, პუბლიცისტურ რომანზე. ასეთი დაყოფა რასაკვირველია, პირობითია, რადგანაც შეუძლებელია ზუსტად გამოვყოთ ცხოვრების ერთი მხარე მეორე მხარისაგან, ერთი მოვლენა—მეორე მოვლენისაგან.

ამ სქემაში შედის ისტორიული რომანიც. XIX საუკუნის ევროპის ლიტერატურაში ისტორიული რომანი ითვლებოდა მთავარ მხატვრულ ჟანრად. მისი მნიშვნელობა არ განისაზღვრებოდა, მარტო ლიტერატურის დარგით. ისტორიულმა რომანებმა თავისებური მიმართულება მისცეს ხელოვნებისა და ესთეტიკური აზროვნების განვითარებას, ისტორიული მეცნიერების განვითარებას; რომანტიზმის თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ XIX საუკუნის გამომხატველებს ისტორიული რომანი წარმოადგენს; ბალზაკის აზრით, მხოლოდ ისტორიულ ჟანრში მკლავდებდა „უსაზღვრო წყურვილი ნამდვილი და ძლიერი ვენებისა, ფართო აზრი, რომელიც მოიცავს ერთდამთავ დროს წარსულსა და მომავალს, ღრმა გონიერება და პოეტური წარმოსახვა, რომლითაც ხასიათდება ჩვენი ეპოქის ყველა ნაწარმოები“. ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს ბალზაკი ისტორიულ მხატვრულ ჟანრს. ერთგვარი გადაჭარბების მიუხედავად, ბალზაკს შეიძლება დავეთანხმოთ.

ისტორიულ რომანში სპეციფიკური თემატიკური გარემო ასრულებს განსაკუთრებულ როლს და განსაზღვრავს მის ხასიათს. მისი ამოცანაა მხატვრულ სახეებში გვიჩვენოს წარსული ცხოვრების, შორეული საუკუნეების რეალური ისტორიული მოვლენები და

ადამიანები მათი ტიპური ნიშნებითა და ხასიათებით. ჰეშმარიტი ისტორიული რომანი არის ნაწარმოები, რომელიც ინდივიდუალურ, კერძო მოვლენას ამალღებს, განაზოგადებს და ისე გვაძლევს ეპოქის შინაარსს, ეპოქის დამახასიათებელ კოლიზიებს. ნამდვილ ისტორიულ რომანისათვის აუცილებელია არა მარტო ისტორიული პირობისა და მოვლენების, არამედ ისტორიულ გარემოს და ფსიქოლოგიის მართებული წარმოსახვა.

რითი განისაზღვრება ისტორიული რომანი არა ისტორიული რომანისაგან? თავი რომ დავანებოთ მასალის სხვადასხვაობას, მაშინ მნიშვნელოვან განმასხვავებელ თვისებად ისტორიული რომანისათვის იქნება ის, რომ მასში ფაქტების ნაწილი ნამდვილია და მოქმედი პირობების განსაზღვრული რაოდენობა წარმოადგენს ისტორიულ პირობებს. მაგრამ ისტორიულ რომანში სინამდვილეში, წარსულში არსებული გმირების გვერდით ცხოვრობენ, მოქმედებენ მწერლის მიერ გამოგონილი გმირები. მათი ბედი, მოღვაწეობა უკავშირდება, ეჯახება ერთმანეთს მოქმედებაში, ინტრიგის განვითარებაში. ნამდვილი ისტორიული მოვლენები ორგანიულად შესულია მოთხრობის ქარავში, შეკავშირებულია შეთხზულ ელემენტებთან. ჯობროლოუბოვი აღნიშნავს, რომ რომანის ავტორს აქვს უფლება „შეიტანოს ისტორიაში თავისი შენათხზი, მაგრამ ეს შენათხზი დააფუძნოს ისტორიაზე, გამოიყვანოს იგი თვით მოვლენათა მიმდინარეობიდან, უწყვეტად დაუკავშიროს ისტორიული თხრობის ყველა ძაფს და ყველაფერი ეს წარმოადგინოს ისე, რომ მკითხველი ხედავდეს მათ თავის წინაშე, როგორც ცოცხალ პიროვნებებს, რომლებიც მისთვის ნაცნობია ისტორიაში და მათი აქ გამოყვანა პოეზიის მშვენიერებაა. მათ კერძო ყოფით ცხოვრებასა და შინაგან ფარულ ფიქრებსა და ოცნებაში

აღსდგება წარსული¹. ისტორიული რომანი—ისტორიული მონოგრაფია არ არის, მის კანონს წარმოადგენს არა მშრალი ფაქტის ჰეშმარიტება, არამედ მხატვრულად განზოგადოებული ჰეშმარიტება. პედანტური ერთგულება დოკუმენტისადმი მწერალს აქცევს მონაწიყენ მემატიანედ. მშრალი, ოქმისებური აღწერა მოვლენებისა, ყოველნაირი ფაქტისა და დეტალის ერთად უსარგებლოდ თავმოყრა, — ისტორიულ რომანს გადააქცევდა ჰრონიკების აღწერილობად და არა მხატვრულ ნაწარმოებად. აღწერებისა და ფაქტების სიზუსტით ამ შემთხვევაში მწერალს სურს მოგვაჩვენოს ვითომდა დამაჯერებელი მხატვრული სახე. ხელოვნების ნაწარმოებისათვის უმთავრესად საჭიროა მხატვრული სიმართლის დაცვა, ვიდრე გარეგნული მოჩვენებითი ისტორიული სიმართლე. მაგრამ მაინც არის ზოგი რამ, რისი ჩადენის უფლებაც არ აქვს ისტორიული რომანის ავტორს — ნაწარმოებში არ უნდა შეიტანოს ისეთი ნიშნები, რაც არ შეესაბამება მოცემული ეპოქის ზნეჩვეულებასა და ხასიათს.

ისტორიულ რომანს ხანგრძლივი წარსული აქვს. მაგრამ კლასიკური ფორმა ისტორიული რომანისა შეადგენს მხოლოდ XIX საუკუნის მონაპოვარს. ისტორიული მოვლენებისა და აღამიანების მხატვრული ასახვა, ამ საუკუნის თითქმის ყველა დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის მწერლის განსაკუთრებული ინტერესის საგანს შეადგენდა. XIX საუკუნის მანძილზე დასავლეთ ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში შეიქმნა მრავალი ღირსშესანიშნავი ისტორიული რომანი. ისტორიულ-მხატვრული, უპირატესად ისტორიულ-ბიოგრაფიული ჟანრის პროზის ტრადიციებს ქართულ ლიტერატურაშიც ხანგრძლივი, მრავალ საუკუნოვანი წარსული აქვს.

ამგვარად, ყოველივე ეს ნათელ-

პყოფს, რომ ისტორიული რომანი, როგორც მხატვრული შემქმნელობის განსაკუთრებული, სპეციალური მხარე უქვევლად არსებობს. კ. გამსახურდია ჯერ ზეპირად, საჯარო გამოსვლაში და შემდეგ დასტამბულ წერილში (იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944 წ. № 19) სწერს: „ისტორიული რომანი ჩემის აზრით პრედუკატი „ისტორიული“ სრულიად ზედმეტია. არც ფლობერი, არც ბალზაკი, არც ტოლსტოი გულისხმობდნენ თავიანთ რომანებს ისტორიულად. სიტყვიერების უდიდესი თეორეტიკოსებიც რომ შეპყროთ, ვერც იგინი დასდებენ ზღვარს ისტორიულსა და არა ისტორიულ რომანს შორის“. ამ მოსაზრებას რომ გავყვეთ, მაშინ უნდა უარყოფოთ ყველა ჟანრის არსებობა ლიტერატურაში, უნდა ვილაპარაკოთ მარტოოდენ ზოგადად რომანზე და არა რომანის სხვადასხვა სახეობაზე, თავისი ხასიათით ერთმანეთისაგან განსხვავებულ რომანებზე. ეს გარემოება, ცხადია, არ შეუწყობს ხელს მხატვრული ნაწარმოების მთლიან და საფუძვლიან გაგებას. კარგად ამბობს ბელინსკი ისტორიული მხატვრული ჟანრის უარყოფილების მისამართით, რომ არიან აღამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ ოპერის აზრის გაგება, როგორც ხელოვნების ნაწარმოებისა, ვინაიდან მასში მოქმედი პირობები არ საუბრობენ, არამედ მღერიან, რასაც სინამდვილეში არ აქვს ადგილი. რასაკვირველია, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ კ. გამსახურდიას არ ესმოდეს ოპერის, როგორც ხელოვნების აზრი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბელინსკის ქარაგმული სიტყვები მაინც ძალაში მიგვაჩნია ამ შემთხვევაშიაც; კ. გამსახურდია განაგრძობს: „ეტიმოლოგიის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ყოველი რომანი ბოლოსდაბოლოს ისტორიული გახდება ოდესმე. ის რომანებიც, რომელნიც კოლმეურნეობაზე დაიწერა ათი წლის წინათ, უკვე ის-



• ერეკლესული
• გიგლიორთქვა

ტორიული ვახდნენ, რადგანაც კოლმეურნეობა უკვე დიდხანია დაძვეიდა და ჩვენს ვაგშირში“. არც ეს სიტყვები ეხმარება კ. გამსახურდიას თავის ძირითადი მოსახრების დასასაბუთებლად. როდესაც ბალზაკი, დიკენსი, ი. ჭავჭავაძე ასწერენ თავის თანამედროვე ცხოვრებას, ეს უკანასკნელი ისტორია, წარსული არ არის, როდესაც მის. შოლოხოვი, ლეო ქიაჩელი და სხვები სწერენ კოლმეურნეობაზე, არც ეს არის ისტორია, არამედ ამ მწერალთა გარშემო არსებული თანადროული ცხოვრებაა, ხოლო როდესაც ვალტერ სკოტი ან ვასილ ბარნოვი ასახავენ მისგან საუკუნეებით დაშორებულ წარსულს, ისინი უკვე ჰქმნიან ისტორიულ მხატვრულ ნაწარმოებს. რასაკვირველია, 30—40-იანი წლების საკოლმეურნეო ცხოვრების შესახებ რამდენიმე ათეული წლის, ან საუკუნის შემდეგ დაწერილი რომანი და მოთხრობა შეიძლება მიეკუთვნოს ისტორიულ-მხატვრულ ეპოსს, მაგრამ საბჭოთა მწერლისათვის ეს თემა არაა ისტორიული წარსული, ეს თანადროულობაა, ახლანდელი ცხოვრებაა, რომლის მშენებლობაშიაც ისიც უშუალო მონაწილეობას იღებს.

შესაძლოა კ. გამსახურდია თავისი შემოქმედებითი პრაქტიკიდან გამოდის? თუ ეს ასეა, მაშინ ვაუგებარია, თუ რათ წერს იგი „დავით აღმაშენებლის“ მეორე გამოცემის ბოლოთქმაში, რომ მის ოცნებას შეადგენს ქართული ქრონიკების კრებულს გვერდში ამოუყენოს რომანების სერია, რომელსაც თავის დროზე უწოდებს „ქართლის ცხოვრებას“.

ისტორიული რომანი, როგორც მხატვრული შემოქმედების ეპირა, არსებობდა და დღესაც არსებობს. შემოთხვევითი როდია ის გარემოება, რომ საბჭოთა ლიტერატურაში ამ ეპირას საპატიო ადგილი უჭირავს სხვა ეპირების გვერდით.

მეთავე საუკუნის მეორე ნახევარი და მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევარი ფრიად მნიშვნელოვანი ხანაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მეფე ბაგრატ მესამემ პირველად შესძლო საქართველოს გაერთიანება (გარდა თბილისისა, რომელიც იმხანად ჯერ კიდევ ეპყრათ სარკინოზებს). „ბაგრატ მეფის მტკიცე ხასიათმა, ბრძნულმა და წინდახედულმა მმართველობამ, ეპიკატურმა გულადობამ და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველო გააერთიანა და მის ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდგა“ (ი. ჯავახიშვილი — „ქართველი ერის ისტორია“, წ. II, გვ. 422). ბაგრატ მესამე რომ მიიცივალა, მისი შვილი გიორგი პირველი სრულიად ახალგაზრდა იყო. გიორგიმ „თითქმის მთელი თავისი მეფობა და ძალონე... ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია“ (იქვე, გვ. 42). გიორგი მეფე თავდადებულად ებრძოდა ბიზანტიელებს და იცავდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და მთლიანობას. საისტორიო წყაროები გიორგი მეფეს ახასიათებენ, როგორც „საცესს ყოვლითა სიკეთითა“, „ახოვანსა და უშიშარს“. „არავინ გამოჩენილიყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვანებითა, ქაბუკობითა, სიქველითა, ტანითა, სახითა და ცნობათა, ყოველითურთ საეყე განგებითა სახელმწიფოთა“ („ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 179—182). გიორგის გარდაცვალებისას „იგლოვდეს ყველანი სიკეთესა და სიჰაბუტესა მისსა“ (იქვე, გვ. 182). ასეთი გონიერი და სახელმოხვეჭილი მეფე იყო იგი. მართალია, გიორგი პირველის მეფობა არ ყოფილა ხანგრძლივი (მეფობდა 1014—1027 წ.წ.), მაგრამ მის მოღვაწეობას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქარ-

თველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ჩვენი ქვეყნის წარსულის ამ ეპოქას — გიორგი პირველის მეფობას შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. ნაწარმოებში ვაცოცხლებულია ისტორიული სახელები — გიორგი მეფე, დედოფალი მარიამი, კათალიკოსი მელიქსედეკი, სარდალი ზვიად ერისთავი და სხვები.

მართალია, კ. გამსახურდია თავისი რომანის გმირებს ათავსებს ისტორიის ჩარჩოებში, მაგრამ წარსულს იგი იღებს ძალზე შემოზღუდულად, ისტორიულად ცნობილია, რომ იმხანად საქართველოს მთავარი გარეშე მტერი იყო ბიზანტია, რომლის კეისარი ბასილი ცდილობდა საეკლესიო დაეპყრო სანხრეთ საქართველო. ამ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ქართველებმა თავდადებულად ებრძოდნენ დამპყრობელს. ეს დიდი ისტორიული ვითარება ნაწილობრივ გვერდახვეულია, უგულებელყოფილია თხზულებაში. ასევე, კ. გამსახურდია გულგრილად ეკიდება მის მიერ გამოხატულ მოღვაწეთა სოციალურ-პოლიტიკური როლის ჩვენებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რომანის სუეტური დრამა ავტორს გადატანილი აქვს ინტიმურ-სამიჯნურო ურთიერთობათა სფეროში. იგი წარსულში ეძიებს ძლიერ ვენებებსა და მხატვრულად წარმოგვიდგენს მის განვითარებას, კოლიზიებს.

კვეტარის ერისთავის — თალაგვა კოლონკელიძის მშვენიერ ასულს შორენასა და ლაზს, კირითხუროს შვილს კონსტანტინე არსაკიძეს ბავშვობიდანვე აღეძრათ ერთმანეთისადმი ფარული სამიჯნურო სწრაფვა. შორენა მამაზე ერისთავის ვაჟზე — ქიაბერზე იყო დანიშნული. კოლონკელიძის თვალწარმტაცი ასული მცხეთოზაზე გაუცენია და დიდად მოსწონებია მეფე გიორგი პირველს. შორენასადმი ფარული ტრფიალების გამო მეფემ

მუხანათურად მოაკვლევინა ქიაბერი. ფხოველთა ამბოხის ჩქარობისას, როდესაც თალაგვა კოლონკელიძის შვილები ამოსწევს, მეფის განკარგულებით შორენა ტყვედ წამოიყვანეს მცხეთაში. მეფის ტრფიალება შორენასადმი გამოჰქადაგდა. ამ ცნობაშია მიაღწია დედოფალ მარიამისა და კათალიკოს მელქისედეკის ყურამდე. ამ ხმების გასაქარწყლებლად მეფემ გადასწყვიტა შორენა მიეთხოვებია თავისი სიყრმის მეგობრისა და ნათესავის გირშელისათვის. მაგრამ ახლა მეფეს გირშელის მიმართ აღეძრა ფარული ქიშპობა. ასეთ დროს შეხვდნენ ერთმანეთს მცხეთაში შორენა და კონსტანტინე არსაკიძე. ფხოვის ციხის აღებისას არსაკიძე ტყვედ წამოიყვანათ. ამის შემდეგ იგი ნადირობისას შემთხვევით გაეცნო მეფე გიორგის, კონსტანტინე არსაკიძეს ხუროთმოძვერება ჰქონდა შესწავლილი, ამ დროს მეფე და კათალიკოსი ეძებდნენ ოსტატს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ასაგებად. ამ ტაძრის აგება მათ არ უნდოდათ მიენდოთ ძველი ხუროთმოძღვრის, წარმართი ფარსმან სპარსიქათვის. კონსტანტინე არსაკიძემ დაიკავა მისი ადგილი. დიდი გატაცებით შეუდგა იგი სვეტიცხოვლის ტაძრის აგებას. ამ დროს კვლავ შეხვდა იგი შორენას, მათს შორის ახალი ძალით აღიძრა სიყვარული ურთიერთისადმი. შორენას სილამაზით მოხიბლულმა გიორგი მეფემ გირშელიც ჩამოიშორა გზიდან — ამბოხებულ ერისთავებთან შეჯახებისას მოკლულ იქნა იგი. ამის შემდეგ მეფე ფიქრობდა, რომ შორენას გულისაყენ გზა უკვე საბოლოოდ თავისუფალი ჰქონდა. მაგრამ სწორედ მაშინ შეიტყო მან შორენასა და არსაკიძის მიჯნურობის შესახებ. არსაკიძისადმი შურით აღვსილმა, გაბოროტებულმა ფარსმან სპარსმა ამცნო მეფეს ეს და შესძლო კიდევ მისი დაჯერება. განრისხებულმა მეფემ შორენა დედათა მონასტერში აღ-

კვეცა მოლოზნად, ხუროთმოძღვრად ისევ ფარსმანი დანიშნეს, რომელმაც არსაკიძის მიერ აგებული სვეტიცხოვლის დანგრევა მოითხოვა. ფარსმან სპარსის შურისძიების შედეგად კონსტანტინე არსაკიძეს მოჰყვეთეს მარჯვენა, ვითომც და უვარგისი ტაძრის აგებისათვის. ამის ვაგებისას შორენა უფსკრულში გადაიჩხხა.

ამასთან ერთად რომანში აღნიშნულია, რომ იმ დროის საქართველო ფეოდალთა შეხლა-შემოხლისა და ქიშპობის ასპარეზს წარმოადგენდაო. თალავა კოლონკელიძეს, მამამზე და ჭიანჭერი ერისთავებს, შავლეგ ტოხაიძეს და სხვებს, პირი ჰქონდათ შეკრული გიორგის წინააღმდეგ. მათს უკახ იდგენ სარკინოზები თუ ბიზანტიელები. ამ შინაგან ბრძოლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რელიგიური სხვადასხვაობა. ფხოველები წარმართები იყვნენ. ისინი წარმართობის საფარველს ქვეშ, არსებითად ებრძოდნენ ცენტრალისტურ ხელისუფლებას. აქი შავლეგ ტოხაიძის და თალავა კოლონკელიძის სურვილი იყო გიორგის ჩამოგდება ტახტიდან და ჭიანჭერის გამეფება.

ავტორისავე თქმით, მან ამ რომანში გიორგი პირველის აპოლოგიას უძღვნა დიდი მღუღარება თავისი სულისა. „ბალოობიდანვე მიყვარდა და მოცებდა აბხაზთა მეფე გიორგი პირველი. სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მისდამი, როცა გავიგე, თუ რაოდენა ვეშაპს შებშია ეს შესანიშნავი რაინდი... ვინც დაახლოვებით მაინც წარმოიდგენს თუ რა დიდი მზეცი იყო ბასილი II... მისთვის გასაგები იქნება თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმჟამინდელი საქართველოს მეფე გიორგი პირველი, რომელმაც ერთხელ, მაგრამ მაინც დაამარცხა კეისარი ბიზანტიისა“ (იხ. „ავტორის რეპლიკები“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1943 წ. № 3).

სამწუხაროდ, ეს სიტყვები მარტო-ოდენ პოეტურ დეკლარაციად რჩება. უეჭველი წინააღმდეგობა არსებობს იმ გიორგი პირველსა, რომელსაც ისტორიულად ვიცნობთ და იმ გიორგი პირველს შორის, რომელიც დაგვიხატა კ. გამსახურდიამ. „ავტორის რეპლიკებში“ იგი თვით მიუთითებს გიორგი მეფის მთავარ ისტორიულ დეაქტზე ჩვენი ქვეყნის წინაშე. მაგრამ რომანში სწორედ ეს მთავარი მხარეა დავიწყებული. გიორგის ცხოვრება კ. გამსახურდიამ უპირატესად სამიჯნურო თავგადასავლებითა და ნაწილობრივ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლაში გვიჩვენა. გიორგი პირველი ხშირ შემთხვევაში ემსგავსება ჩვენი ავტორის სხვა რომანებში („დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“) გამოყვანილ „მეოცნებე“, „რომანტიკულად“ განწყობილ „ზედმეტ“ გმირებს.

გიორგი ბუნებითვე მღუღარე, არამეტყველი იყო. ფარსმან სპარსისაგან მას არა ერთხელ მოუსმენია პლატონის სწავლა სულთა გადაღვენისათვის. იგი თავისებური მეღანქოლიკია. „როგორც კი შემოუტევედა უჯუნებობა, აიყვანდა მალემსრბოლს უშიშარაისძეს და სეფე მეაბჯრეთაგანს ერთს, გავიდოდა მცხეთიდან, საფურცლეს გადაღმა რომელიმე მუხის ქვეშ მიუგდებდა მონასპათა ცხენს, იხეტილებდა ველად... ბუნებაში განმარტობული ეძიებდა მოოხებას გულისას“. წელიწადში ორჯერ, ირმის მყვირალობისა და წეროთა გადაფრენის თვეებში, ინით წვერს შეიღებავდა გიორგი, სელის სამოსელსა და სამოგვის წალებს ჩაიცვამდა, აიყოლიებდა თავისი სიყრმის მეგობარს მდაბიორებს და მთელი კვირა ვადაიკარგებოდნენ, ნადირობდნენ ნარეკავის ტყეებსა და არაჯვის ჭალებში; გიორგი გულმხეცი და კაცთმოძღვეც იყო. მან ოლთისში შემზარავი სისასტიკე გამოიჩინა. მისი

ბრძანებით, ათასზე მეტ ბერძენ მონასტრას თვალები დასთხარეს, ორათას სტრატოტოს თავი წააცალეს, სამასი ტყვე ცოცხლად დამარხეს. მისი აკაცობის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ მან მოაწამელინა ჭიებერ ერისთავი, ხოლო შემდეგ თვალთმაქცურად დაიტყრა იგი. მისი თანდასწრებით გახურებული შანთით თვალები ამოსწევს შორენას მამას — თალაგვა კოლონკელიძეს. შურისძიებისა და გაბორტების გამო მან არ დაინდო თავისი შესანიშნავი ოსტატი არსაკიძე.

„დიდოსტატის მარჯვენას“ ავტორი გიორგი მეფეს მოსაგეს გადაჭარბებული მგრძობელობით და ვნებიანობით, ვიდრე ეს იყო შესაძლებელი სინამდვილეში. იგი საესებით მონომანის შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს მთელი მისი მეფობის მიზანი შორენას დასაკუთრება იყო მართოდენ. ეს სიყვარული მოკლებულია შინაგან შინაარსს, ზნეობრივ მნიშვნელობას.

გიორგი მეფეს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, ქვეყნის მმართველს, ჩვენ თითქმის ვერ შევიცნობთ ამ თხზულებაში. თრიალეთის მთებში დაასრულა მან თავისი სიცოცხლე. სიკვდილის უკანასკნელ წუთებში იგი იძლევა ერთგვარ აღსარებას: „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე, როგორც კაცს. თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია, ვეცაცციე ვიყავი და მშინშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხეიაროს ფესვებისა. გულზვიადიც ვიყავი და ლოთიცა, მაგრამ ჩემი ხალხისათვის არასოდეს მიღალატნია“. ამ სიტყვებით იგი საესებით ახასიათებს თავის გაორებული ბუნებას.

გიორგის თავდავიწყებული გატაცების საგანი — თალაგვა კოლონკელიძის ასული შორენა ყოველგვარი ღირსებით იყო შემოვლილი. განსაკვივრებელ სილამაზესთან ერთად მას ძალა-

ლი გონიერება და ადამიანური თვისებები ახასიათებდა. იგი უმთავრესისაგან არ არჩევდა დიდსა და მცირეს. მანდილოსანის სინატიფე და რაინდის ლომგულოვანება თანაბრად შერწყმული იყო მასში. პარილესავით რბილი და თბილი იყო მისი ბუნება, მაგრამ მკაცრმა სინამდვილემ — მამის თვალების დათხრამ, მშობლიური კერის ღანგრევამ, ტყვეობამ, უსამართლო მოპყრობამ ჩაუბნელებს, სიცოცხლე. ხგი გიორგი მეფისადმი შურისძიების გრძნობითაა გამსჭვალული, ემზადება იმისათვის, რომ შეებრძოლოს მას: მამისეულ თორს გადავიცვამ, მის მუხარადს დაეიხურავ, მის ხმალს შემოვირტყამ, მის საომარ ცხენზე შევჯდები, ლაშქარს გაუფლდები“, — ამცნობს იგი შეთქმულ ფხოველ ხევისბერებს. მონოზნად აღკვეცილმა შორენამ, როდესაც გაიგო სატრფოს — არსაკიძის უბედურება, თავადაც უფსკრულში გადაიჩეხა.

მაინც რომანში ჩვენის აზრით, მთავარ დრამატულ კვანძს ჰქმნის ორი სახის — ფარსმან სპარსისა და კონსტანტინე არსაკიძის ურთიერთობა. მართალია, ამ ურთიერთობას ნაწარმოებში შედარებით მცირე ადვილი უჭირავს, მაგრამ ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. მათს დამოკიდებულებაში ახლებურად ისმის მოცარტისა და სალიერის პრობლემა. როგორც ცნობილია, მოცარტი და სალიერი გამოხატავენ ხელოვანის ორ ტიპს. ერთი მათგანი, მოცარტი — გენიოსია, მეორე — სალიერი — საშუალო ტალანტი. მარცხი, რომელსაც სალიერი განიცდის შემოქმედებითს შეჯგობრებაში, მსჭვალავს მას შურისძიების გრძნობით. იგი ლუბავს გენიოსს იმიტომ, რომ თვით მოკლებულია გენიოსობას. ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე „დიდოსტატის მარჯვენაში“. საგულისხმოა კ. გამსახურდიას განცხა-

დება: „ფარსმან სპარსისათვის კონსტანტინე არსაკიძის დაპირისპირება გაგებულნი უნდა იქნას, როგორც ერთგვარი ტეზა და ანტიტეზა რომანში“ (იხ. „ავტორის რეპლიკები“, ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1943 წ. № 3).

ფარსმან სპარსს ბნელი წარსული აქვს, იგი საშუალო საუკუნეების უსამშაბლო კონდოტიერია, უკეთ რომ ესთქვათ, ავანტიურისტი. ბავშვობისას იგი თუნჯარისის ციხის ჩარდახებზე მტრედებს დასდევდა. თექვსმეტი წლის ფარსმანს საომარი ცხენი მიუჩინა პაპამ, აჩუქა აგრეთვე თორი და მუნჯარადი, ხმალნი, მშვილდი და საბრძოლო ქებიურები. ბაგრატ კურაპალატთან ურჩობისათვის ფარსმანი და მისი მამა ბაქარ ჩორჩანელი იძულებული არიან მიატოვონ სამშობლო და ბიზანტიაში გაიქცენ. შემდეგ მან გამოსცა საშინელი ტყვეობა. დიდი ტანჯვის შემდეგ მოახერხა ციხიდან გაქცევა. აღმაქიმთან ჩავიდა პალეომში, მიიღო მუსლიმანობა და აბუბეკერ-ისმაილ-იბნ-აშარი დაირქვა. იგი ვანუწყავტლივ ომებში იმყოფებოდა და დიდადაც გაითქვა სახელი. ქაირში მან შეისწავლა ხუროთმოძღვრება და აღქიმი. აქვე გაიცნო ინდოელი ფაქირები. ხან თავადაც გამოდიოდა ბაზრებზე, როგორც ჯამბაზი. ერთხანს გაიტაცა სუფიების მოძრაობამ, მერმე ძვევ ხელოვნებას მიუბრუნდა და მიზგითები აავო ქაირში. შემდეგ იგი აღმაქიმის დესპანების ხელმძღვანელია ბიზანტიაში, მაგრამ ულალატა თავის მფარველს და კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა. ბიზანტიის კეისარმა იგი ხუროთმოძღვართა უხუცესად დანიშნა. ერთ მშვენიერ დღეს ფარსმანი კონსტანტინოპოლიდან გაიპარა დამასკოში, იმოგზაურა ეგვიპტეში, დაიწყო დერვიშობა, ვარსკვლავთმრიცხველობა. ბაღდადის ხალიფმა თბილისის ამი-

რასთან წარმოგზავნა. თბილისში მან მოაწყო პირველი ობსერვატორია, აქვე შეიქმნა ფარსმანის სპარსი. როცა თბილისის ამირა ბაგრატ მესამეს შეება, სხვებთან ერთად, ქართველებმა ფარსმანიც შეიპყრეს. ბაგრატ კურაპალატს იგი თარჯიმანად ჰყავდა სასახლეში. გიორგი პირველმა მას ხუროთმოძღვართ უხუცესობა დააკისრა. ფარსმანი საეცებით უპრინციპო და ამორალური ადამიანია, თავისი ვერაგობა მან დაავიჯინა იმით, რომ შუჩრისძიებით გამსჭვალულმა გაუმცდავნი გიორგი მეფეს შორენასა და არსაკიძის საიდუმლო სიყვარული. ბოლოს, მაინც თვითონაც სამარცხვინოდ დაიღუპა. იგი იყო ყოველგვარი ბიჭიერებისა და ავკაცობის საწყაული, მას არც რწმენა გააჩნდა და არც სამშობლო სწამდა.

შეიძლება ითქვას, რომ ფარსმანის სახე რომანში ყველაზე ცოცხალი და ზევეთრი ინდივიდუალობის შემცველია. მისი ფიგურის გამოკვეთა ყველაზე ოსტატურად შესძლო ავტორმა.

„დიდოსტატის მარჯვენას“ მთავარი გმირი კონსტანტინე არსაკიძეა. მისი სახით მწერალმა გვიჩვენა ხელოვნის განწირული ბედი ფეოდალურ-მონარქიულ სახელმწიფოში. ხალხს შემოუნახავს ლეგენდა სვეტიცხოველის აღმშენებელზე: „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, ხელი მომჭრეს, რატომ კარგი ავიგია“... ეს სიტყვები იძლევა გასაღებს იმ ტრაგედიისა, რომელიც ვ. გამსახურდიამ თავისებურად ჩამოაყალიბა ამ თხზულებაში.

დაბალი ფენებიდან გამოსულ, მრავალ ქირგამოვლილ კონსტანტინე არსაკიძეს, რომელიც გიორგი მეფის ხუროთმოძღვრად დანიშნა, დიდი საქმე დაევალა — მცხეთის სვეტიცხოველის ტაძრის აგება. იგი დაუღალავი მუშაკი იყო, დღენიადაც ხარა-

ჩოებზე დაბობდა, დაეხეტებოდა მთელს საქართველოში, ციხეთა და ეკლესიათა მშენებლობას თვალს ადევნებდა. იგი თავით ხატავდა გემებს, ასწორებდა სხვის მაგიერ დახატულ დეტალებს, ხანაც საჭრეთელს წააგლებდა ხელს, აქანდაკებდა ბარელიეფებს, ჩუქურთმებსა სჭრიდა ლოდებზე, საფრესეე ნახაზებს ამზადებდა. არსაკიძემ კარგად იცის, რომ ნამდვილი ხელოვნება უკვდავია, რომ ქემშარიტ ოსტატს ვერ დაეწევა სიკვდილი. „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად, თუ მთელი ჯანი არ შეაღიე ამ სასტიკ ბომონს, აღაჩაფერი გამოვა ხელიდან“. ოსტატს ევალება შეეპილოს წარმავლობის ნისლს, წამიერი აქციოს მარადეამულად. იგი ხელოვნებას უთმობს ყველაფერს, თვით თავის ადამიანურ „მესაც“. იგი მთელი გულწრფელობით ეუბნება შორენას: „მე ჩემი ხელოვნება სიკოცხლზე მეტად შემეყარებია, ჩემო! ამიტომაც განწირული მაქვს თავი“. მხატვრულად შესრულებული სიმბოლიური სახე იაკობის ღმერთთან შერკინებისა სავსებით ახასიათებს არსაკიძის ბუნებას. სვეტიცხოველი იყო არსაკიძის სიჭაბუკის, მამაცობის უსაჩინოესი ქმნილება. როგორც გენიოსმა შემოქმედმა, მან თავისი სული შთაბერა სვეტიცხოველს და შექმნა უკვდავი ქმნილება ხელოვნებისა.

კონსტანტინე არსაკიძის გენიოსობაში უნდა ვეძიოთ მისი ტრაგედიის სათავე. საშუალო ნიჭის, უპროფიციზო და პატივმოყვარე ფარსმან სპარსი შეუკისაგან აღესილი, ვერ ხედავდა არსაკიძისაგან აგებული სვეტიცხოველის დიდებულებას. ეს წინააღმდეგობა ადრევე დაიწყო მათს შორის. როდესაც არსაკიძემ გულწრფელად უამბო ოსტატს გიორგისთან ყოფნაზე და რომ მეფემ სვეტიცხოველის გეგმის ნახაზები მოიწონაო, ამის გაგონებაზე

ფარსმანს „უსიამოდ დაეჯღანა სახის ნაკეთები“. აქ უკვე შერისყ ქანისაბი გაქვს. შემდეგ, როდესაც მან სცნობა ფარსმანს, რომ „ახალი სვეტიცხოველი ისეთი მოცულობის უნდა იყოს, სამი ეკლესია გაიმართოსო მასში, ოლთისის ეკლესია — ქართული ლაშქრის მიერ გადაშვარი უცაბედად, ორიც სამცხისა, შენს მიერ აგებული ოსტატო: ამ სიტყვების მოსმენამ იგი სავსებით გააბოროტა, თუმც ვარეგულად არაფერი აგრძნობინა თავის მოწაფეს. ფარსმანი იწყებს მზადებას იმისათვის, რომ მოულოდნელად ჩასცეს არსაკიძეს სასიკვდილო მახვილი. ფარსმან სპარსმა მოინდომა თვით დიადი ხელოვნების სიკვდილი (მან ხომ სვეტიცხოველის დანგრევა მოითხოვა). იგი საბოლოოდ მაინც გაწბილებული დარჩა, როგორც ხელმოცარული კაცი, ხოლო არსაკიძის შემოქმედების ნაყოფი — სვეტიცხოველი დარჩა, როგორც უკვდავი ქმნილება ხელოვნებისა, მაღალი კულტურისა.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ავტორს მდიდრად აქვს წარმოდგენილი კოლორიტული საყოფაცხოვრებო დეტალები. იგი პოეტურად წარმოგვისახავს ბუნებას. ნაწარმოებში მოხერხებულადაა გამოყენებული ხალხური ლექსები და სიმღერები.

კ. გამსახურდიას ღირსება, როგორც ისტორიული რომანის ავტორისა — აღწერის ოსტატობაა. იგი დაწერილებით იცნობს იმ გარემოს, რომელსაც ასახავს. ისტორიულ პირებსა და მდგომარეობას იგი თან ურთავს ეპოქის აქსესუარებს და ამ საფუძველზე ქმნის დამახასიათებელ კოლორიტს. შკითხველს მის რომანებში ამა თუ იმ ეპოქას მულამ მოაგონებენ ძველი დროის სავნები და ტერმინები, რომლებსაც მოჭარბებულად იყენებს იგი.

„დიდოსტატის მარჯვენას“ ავტორი მრავალ გვერდს ანდომებს ისტორიულ

ლი გარემოს აღწერას. მის რომანში აღამიანებთან ერთად ცხოვრებას ჰქმნის ბუნება, ციხე-კოშკი, ტანსაცმელი, იარაღი და საერთოდ, მთელი გეოგრაფიულ-ანტიკვარული მასალა. მაგრამ მაინც იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ე. გამსახურდია არ ცდილობს დაუმორჩილოს ეს დეტალები მთლიან მხატვრულ იდეას. რომანში ისტორიული დეკორაციები — საგნები, ნივთები ჰფარავენ ცოცხალ აღამიანებს, სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს. ხშირად დეტალი მისთვის თვითმიზანია.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, „დიდოსტატის მარჯვენა“ მაინც რჩება ე. გამსახურდიას საუკეთესო თხზულებად და თვალსაჩინო ისტორიულ რომანად ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

ტრილოგიაში — „დავით აღმაშენებელი“ კონსტანტინე გამსახურდია ასახავს XI საუკუნის მეორე ნახევრისა და XII პირველი ნახევრის საქართველოს. მისი ყურადღების ცენტრშია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი გაერთიანების ფუძემდებლის — დავით აღმაშენებლის ცხოვრება.

ამხნობით თხზულების ორი კარია გამოქვეყნებული. პირველ კარში მოხაზულია დროის მონაკვეთი დაახლოებით 1081 — 92 წ: მეორე კარში ასახულია 1092 — 98 წ., ე. ი. კვირაძალი პირველი ჯვაროსნული ომისა, ვიდრე ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიის აღებისა და მისი შენარჩუნების მომენტამდის.

დავით აღმაშენებლის გამეფებისას საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. სამეფოს საქმეები აწეწილ-დაწეწილი იყო, ქვეყანაც 10. „მნათობი“ № 5.

მოქანცული. თურქების გამუდმებული თავდასხმებისაგან ე. გამსახურდის საქართველო აოხრებულად იქმნებოდა, ქართლისა და კახეთის შრავალი თემი გაუქცარიელებელი გახდა. ამასთანავე ფეოდალები ქვეყნის ცოცხალი ორგანიზმის დაშლასა და დაქუცმაცებას ელტვოდნენ. შინაური მტრების მოქმედება ხელს უწყობდა გარეშე მტრების წარმატებას.

დავით აღმაშენებლის მამა — გიორგი მეორე, სუსტი ნებისყოფის მეფე იყო, მას აკლდა პოლიტიკური გამჭირვალობა, უფრო გართობა და ნადირობა იტაცებდა, ვიდრე სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა. იგი ვერც თავგანუთულ დიდგვარიან აზნაურებს უწევდა წინააღმდეგობას და ვერც გათავხედებულ გარეშე მტრებს იგერიებდა.

ასეთ მძიმე საზოგადოებრივ — პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა ქვეყნის მართვა-გამგეობის ხელში აღება 1089 წელს, ჯერ კიდევ ჰაბუკს, 16 წლის დავით მეოთხეს. იგი განსაკუთრებული პირადი ღირსებებით იყო დაჯილდოებული, როგორც სახელმწიფო მოღვაწე. ჰაბუკი მეფე შეუღლა ქვეყნის სისუსტისა და დამარცხების მთავარი დამნაშავეების — მსხვილი ფეოდალებისა და დიდგვარიანი ერისთავების დამორჩილებას და მათ სულ მალე აგრძნობინა თავისი ძალა. მან განამტკიცა მეფის პოლიტიკური ძალაუფლება, ცენტრალური ხელისუფლება. დავით მეფე თვითნებობასა და ურჩობას არაფის არ აპატიებდა. თავგანუთულ ფეოდალებს იმხანად მეთაურობდა კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში. ახალგაზრდა მეფემ პირველად მისი დამორჩილება და მოდრეკა სცადა. ლიპარიტი კარვად გრძნობდა დავითის სიძლიერეს და ამის გამო იგი ორჭოფულ პოლიტიკას აწარმოებდა, მაგრამ დარწმუნდა რა მეფე, რომ მი-

ნი მორჯულება არც ისე ადვილი საქმე იყო, მან ლიბარტი დაატუსაღა და მისი საერისთავო შემოამტკიცა. ერთი სიტყვით, ფეოდალებთან და დიდგვარიან ერისთავებთან ბრძოლაში დავით მეფე არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა, ყოველთვის იღებდა გადამჭრელ ზომებს და ამით შესძლო ქვეყნის შიგნით სიმშვიდის დამყარება, გაძლიერება და გარეშე მტრებთან წარმატებითი ბრძოლების წარმოება.

ცხადია, კ. გამსახურდიას ნაწარმოებში ცენტრალურ ფიგურას უნდა წარმოადგენდეს დავითი, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე. მწერალი გრძნობს, თუ რამდენად რთული საქმეა შარავანდედით მოსილი მეფის და მის საქმეთა სრულყოფილი ასახვა მხატვრულ თხზულებაში. „ისტორიულ მასალაზე მუშაობისას სწორედ ის ხასიათდება ძნელად გამოსახატავი, რომელთაც მატინამ და ერმა უკვე მისცეს ნიშანდობა. მათი განვითარება და განსრულება დიხხაც ევალება ავტორს, მაგრამ არამც და არამც ახალი ტენდენციების მათთვის თავზე მოხვევა“ (იხ. „ავტორის რეპლიკები“, ურ. „მნათობი“, 1948 წ. № 3). გამოქვეყნებული ორი კარის ძირითად თემას შეადგენს დავითის ბრძოლა ლიბარტ ბაღვაშორბელიანთან. ავტორს წინა პლანზე წამოწეული აქვს დავითისა და დედისიმედის სამოჯნურო თავგადასავალი; ემყარება რა სომეხ ისტორიკოსის მათე ურჰაელის ცნობას, კ. ვამსახურდია შოგვიითხრობს, რომ დავითს ჰყოლია ადრე ცოლად სომხის ქალი. გამეფების შემდეგ დავითი განშორდა მას და გადასწყვიტა დედისიმედის შერთვა. სხვათაშორის, დავითის ამ პირველ დაოჯახებას ეხება ვ. ბარნოვი თავის რომანში — „ცოდვა სიკბაბუქისა“. მისი ცნობით, დავითის პირველი მეუღლე იყო სომეხთა მეფე მანავაზნანლის ასული აშენ, რომელიც სულ ავად-

მყოფობდა და ამიტომაც განშორდა მას ქართველთა მეფეთ. *მარტინული*

დედისიმედი იყო ასევე *მარტინული* რის ერისთავის ლიბარტისა, რომელთანაც როგორც თავნება და ურჩ ფეოდალთან დავითს ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება მოუხდა. ზეიადი, ძლიერი, ორჭოფი, ორგული ლიბარტი პირადი განდიდების გულისათვის არ ერიდებოდა საშობლოს დალატს, სარწმუნოების გამოცვლას. იგი მუდმივ კავშირშია საქართველოს მტრებთან. ლიბარტისა და მის ძეს — რატის დიდად აშფოთებდათ დავითის ზრუნვა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობისა აღდგენისა და განმტკიცებისათვის. ცნობილია, რომ დავითი თავისი გამეფების პირველ წლებშივე იწყებს ზრუნვას იმისათვის, რომ საქართველოს მოაშოროს გარეშე მტრები. მაგრამ მწერალი ამ მოვლენათა მხატვრული გახსნის ნაცვლად კმაყოფილდება „მშრალი“ ქრონიკების გადმოცემით. დავით მეფეს კარგად აქვს შეგნებული, რომ ქვეყნის სიმტკიცის აუცილებელ პირობას შეადგენს ძლიერი და გაწვრთნილი ლაშქრის ყოლა. ნაწარმოებში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ამზადებს იგი თავის სამხედრო ძალას, რომელმაც შემდეგში მას დიდი სამსახური გაუწია.

ტრილოგიის მეორე კარში მოქმედება მეტწილად საქართველოს გაოცთ მიმდინარეობს. დავითი გამოჩნდება მაშინ, როდესაც იგი სპით მივა თრიალეთის საერისთაოში, ლიბარტის ოჯახში. ეს ის დრო იყო, როდესაც მეფის ლაშქარმა აიღო კლდეკარი და თვით ლიბარტი ციხეში ჰყავდა დავითს გამომწყვდეული.

მართებულად იტყევა კ. გამსახურდია, როდესაც დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას უკავშირებს საერთაშორისო მოვლენებს. რამდენადაც დავით მეფეს მოუხდა

მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლების წარმოება, როგორც იყო ქრისტიანული სამყაროს მიერ პოლიტიკური რეაგირება ისლამის აგრესიისა და რეაქციის წინააღმდეგ, იმდენად მისი მართოდენ ნაციონალური ისტორიის ფარგლებში მოცემა საქმარისი არ იქნებოდა. ამის შედეგია, რომ ტრილოგიის მეორე კარის დიდი ნაწილი ჯვაროსანთა ომებს შეეხება. მაგრამ ამ გარემოებამ მწერალი ერთგვარ უკიდურესობაში გადაადგო. დავით მეფე სადღაც ჩრდილშია გადაწეული. როგორც სჩანს ამას გრძნობს კ. გამსახურდია და ამიტომ სწერს: დავით მეფის ცხოვრებაში ეს იყო პერიოდი გარეგნული უმოქმედობისა, მაგრამ არსებითად მისი პოლიტიკური და სამხედრო სამზადისისა, მსტოვართა ინსტიტუტის დაარსებისა, შინაგან მტერთა ბრძოლისა, გარე-სამყაროში მომხდარ დიდ პოლიტიკურ მოვლენათათვის თვალყურის დევნებისა“ (იხ. „ავტორის რეპლიკები“, უფრ. „მნათობი“, 1948 წ. № 3). ნაწარმოების ამ ორ კარში დავითი, როგორც სახელმწიფოს მეთაური არ მოსჩანს ისე, როგორც ეს სასურველი იყო და კიდევაც შეიძლება უნდა ველოდით, რომ ავტორი ტრილოგიის მესამე კარში მაინც შესძლებს გვიჩვენოს დავით აღმაშენებელი იმგვარად, როგორც ეს ცნობილია ისტორიიდან — თავისი დიდი ლეწლით და დამსახურებით ქვეყნის წინაშე. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მესამე კარისათვის მწერალს დატოვებული აქვს დავითის მეფობის თითქმის სამიათეული წელი (1098 — 1125), რომელიც აღსავსეა მნიშვნელოვანი მოვლენებით (ბრძოლა კახეთისათვის და თბილისისათვის, საეკლესიო რეფორმები, თურქებთან ბრძოლის განახლება, ძლიერი სამხედრო ძალის შექმნა, ლონისძიებანი სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში და სხვ.) ეს

მდიდარი მასალა მოითხოვს ნამდვილ მხატვრულ გახსნას.

„დავით აღმაშენებელში“ ავტორს ძალზე მრავალრიცხოვანი მოქმედი პირები ჰყავს გამოყვანილი. ბევრი მათგანი ჯერჯერობით მხოლოდ ეპიზოდურად ჩანს და ერთგვარ სტემატიზრობის ხასიათსაც ატარებს. მათ მწერალი მეტწილად გვაძლევს გარეგანი აღწერის მეთოდით. ტრილოგიის ამ ორ კარში ზოგი მოქმედი პირი არც შეიძლება გამოკვეთილად მივიჩნიოთ.

კ. გამსახურდია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მახარის. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ იგი უფრო ხორცმესხმულად არის წარმოდგენილი ნაწარმოებში, ვიდრე დავით მეფე. ტრილოგიაში არ არის არც ერთი ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომ იქ არ ეხედავდეთ ამ დასაქურისებულ ბნედიან ქოსას, რომელიც იმავე დროს მოსჩანს, როგორც გონიერი და ენამახვილი.

რელიეფური სახეა გიორგი ჭყონდიდელი. იგი ბრძენი და ქვეყნის სიმტკიცის ერთგული მსახურია. იგი წვრთნის და ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მეფეს; თავისებური ხასიათებია — ნიანია ბაკურიანი და ქარიძან სეტიელი, რომლებიც უფრო სრულად გამოჩნდებიან ტრილოგიის მეორე კარში.

შესანიშნავად არის დახატული მარიამ დედოფალი. ქალთა სახეებიდან ნაწარმოებში უეჭველად იგი იქცევა ყველაზე მეტ ყურადღებას. მარიამ დედოფალი ცნობილი ისტორიული პირია. როგორც ვიცით, ბაგრატ მეოთხეს ასული მარიამ (მართა) XI საუკუნის მეორე ნახევარში, ბიზანტიაში თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა. პირველად იგი ბიზანტიაში 1056 წელს ჩაიყვანეს, მეორედ იქ 1065 წელს ჩა-

ვიდა და იმავე წელს კონსტანტინე X დუკას-ძეს — მიხეილს მისთხოვდა. მარიამი ბიზანტიის დედოფალია 1071—1081 წლებში (1071—1078 წ., როგორც მიხეილ VII პარაპინაქის მეუღლე, ხოლო 1078 წელს, პარაპინაქის დამხობისა და ბერად აღკვეცის შემდეგ, უკვე, როგორც ნიკიფორე III ბოტანიეტის თანამემცხედრე). შემდეგშიც იგი აქტიურ მონაწილეობასღებულობდა სამეფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის, რათა ის შეენარჩუნებინა. მიხეილისაგან შექმნილა შვილის — კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის. მარიამი განათლებული, ქველმოქმედი, მამუნებელი და ამასთან იშვიათი სილამაზის პატრონი ყოფილა. ბოლოს, იგი მონაზვნად აღკვეცილა. მარიამი ცოცხალი ჩანს 1103 წელსაც. აი ეს დედოფალყოფილი ქალი აქტიურად მოქმედებს „დავით აღმაშენებელში“. ოღონდ შთაბეჭდილება ისეთია, რომ ტრილოგიაში მარიამი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მოსჩანს, მაშინ, როდესაც დავითის გამეფებისას იგი უკვე ხანდაზმული იყო.

ასეთივე სისრულით და სიციხოველით არ არის გამოკვეთილი დედისიმედი. იგი მკრთალი და უფერული სახეა. მკითხველი ვერ ხედავს თუ რით მოაჯადოვა ამ ქალმა ახალგაზრდა მეფე.

ნაწარმოებში მრავალი საგულისხმო და საინტერესო მხატვრული ეპიზოდი და პასაჟია. მათ შორის, საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს მეფე გიორგისთან მისი სიყრმის მეგობრის, ღრმა მოხუცის შამან ერისთავის შეხვედრა, დედოფალ რუსუდანის გამოთხოვება შიღლთან და მისი მონაზვნად აღკვეცის სცენა, თურქი მსტოვარების შეპყრობა და გამოტეხა და სხვ.

კ. გამსახურდიას ნაწარმოებთაგან „დავით აღმაშენებელს“ ყველაზე სუსტად შეერული სუფეტი აქვს. ტრილო-

გიის სტრუქტურა დაშლილია და მოქმედებაც შენელებულმა დასუსტებული თავების შორის ხშირად არ არსებობს ორგანიული კავშირი. თხზულებაში არ გვაქვს პარამონია და პროპორცია; განვითარებულ მოქმედებასა და დრამატიზმს სცვლის სტატიისტიკური აღწერები; „დავით აღმაშენებელი“ უპირატესად დიალოგებზეა აგებული. როგორც ცნობილია, დიალოგი მხატვრულ ნაწარმოებში დიდი მამოძრავებელი ძალაა. მაგრამ ამ თხზულებაში დიალოგი ხშირად განმარტოებითია და არა ტრამპლინი შემდეგი მოქმედებისათვის, არამედ ერთგვარად შემზღუდავი მისი განვითარებისა; ტრილოგიის მეორე კარში გმირები მეტწილად ციტატებით ლაპარაკობენ. ეს ერთგვარად უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს.

კ. გამსახურდიას ისტორიაში ეძიებს დეკორატიულ, ეგზოტიურ ელემენტებს. მის რომანში კავშირი მოვლენებსა და აღმანიებს შორის მარტოოდენ გარეგნულია. საგნები არ არიან დაკავშირებული პერსონაჟის შინაგან ცხოვრებასთან. იმ საგნების აღწერა, რომელნიც გარს ეხვევა აღმანიან ფარავს თვით აღმანიანთა სახეებს. ეს გარემოება დიდი საფრთხეა მწერლისათვის. ფლობერი, როდესაც სწერდა „სალამბოს“, მწვავედ განიცდიდა ანალოგიურ მდგომარეობას. ამის გამო იყო, რომ იგი თავის მეგობარს წერდა: „ტანისამოსის შესწავლა გვიძულებს დავივიწყოთ სული. მე სიამოვნებით მიეცემდი ყველა იმ ქალაქის გროვას, რომელთაც ხუთი თვის განმავლობაში ვაკვებდი შენიშვნებით, იმ სამ წამში, რომლის დროსაც, მე მართლაც შემეძლებოდა ღრმად გავეტაცებინე ჩემს მოქმედ პირთა ვენებს“. ამ სიტყვებს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ქართული ისტორიული რომანის ავტორი ვ. ბარნოვი, როდესაც აგვიწერს საშუალო საუკუნეების ციხე-კოშკებს, სამ-

კულებს, მორთულობას, ყველა ესენი წარმოადგენენ თითქოს ადამიანთა ცხოვრებისა და ბედის ნაწილს. ვ. ბარნოვის პერსონაჟების ფსიქოლოგია არის პროდუქტი იმავე საზოგადოებრივ-ისტორიული მთლიანობისა, რომელიც განსაზღვრავს მატერიალურ კულტურასაც. კ. გამსახურდიას ნაწერებში კავშირი ადამიანთა ფსიქოლოგიასა და ვარე სამყაროს შორის არ არსებობს.

„დავით აღმაშენებლის“ ავტორის ისტორიზმი თავისებურია, ეს არის ორნამენტალური ისტორიზმი, რომლის მოთხოვნილებაც არ მიდის დროისა და ადგილის საერთო კოლორიტის აღდგენის იქით. იგი წარსულს ხედავს განუყენებულად, ესთეტიკურად. კ. გამსახურდიასათვის, როგორც რომანისტიკოსისათვის ისტორიას არ აქვს დამოუკიდებელი ინტერესი. ისტორიული მასალა მას ემსახურება მარტოოდნე განსაზღვრული ძეგლების გამოსახატვად. ამიტომ ხშირ შემთხვევაში მისი ტრილოგიის მოქმედი პირები არიან არა ისტორიული ფიგურები, არამედ სიმბოლოები. ისტორიას კ. გამსახურდია გვიჩვენებს კონსერვატული რომანტიკული ფილოსოფიის ნიშნის ქვეშ. მისი აზრით, ისტორიას ამოძრავებენ უხილავი ხტიქიური ძალები და არა ადამიანები. „დავით აღმაშენებელს“ საფუძვლად უდევს შწერლის ფატალიზმი და დეტერმინიზმი. ადამიანები მხოლოდ ელემენტებია ისტორიის საბედისწერო თამაშში. მისი ნაწარმოების პერსონაჟები არიან ადამიანები უცვლელი ბიოლოგიური ბუნებით. ეროტიკა გადის მთელი ტრილოგიის მანძილზე, როგორც მუდმივი მოგონება ბიოლოგიური საწყისების უცვლელობისა.

„დავით აღმაშენებელში“ წარსულის პრობლემები, კონფლიქტები წყდება ცხოვრების მამოძრავებელი

ძალის — ხალხისაგან დამოუკიდებლად, ხალხის მონაწილეობის ნაკლებად, აქედან, საზოგადოებრივ-ფრანს-სტილარიბეც. კ. გამსახურდიას არც ერთ ნაწარმოებში არ ჩანს ხალხი, დაბალი ფენა, რომელიც მტრულ განწყობილებებში იყოს მაღალ ფენასთან და მათ შორის სოციალური წინააღმდეგობა არსებობდეს. არ შეიძლება იმის დაეოწყება, რომ საქართველოს საზოგადოებრივ წყობილებას XI — XII საუკუნეებში უკვე განვითარებული ფეოდალიზმის სახე ჰქონდა. მთელი საქართველო პატრონებად და ყმებად იყო დაყოფილი. წარსულის ასახვისას კ. გამსახურდია ცდილობს არა სოციალური უთანასწორობისა და წინააღმდეგობის გარკვევა-გათვალისწინებას, არამედ იგი გადავარდნილია ისტორიულად სახეებზე იდეალიზირებაში.

კ. გამსახურდია ვერ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ხალხის როლის სწორი აღნუსხვა, ჩვენება საზოგადოებრივ მოძრაობასა და ბრძოლაში. ვასალებია ისტორიული წარსულის მართებული ასახვისათვის. ისტორიული რომანების ავტორმა არა მარტო უნდა აღნიშნოს ისტორიული ფაქტები, არამედ კიდევ უნდა გაიგოს იგი განვითარების პროცესში. მოცემული ემპირიული ფაქტების იქით დაინახოს კავშირი მოვლენებსა და ადამიანებს შორის, მოგვეცეს ისტორიული პერსპექტივა, მოვლენათა ცენტრში დააყენოს ხალხი. ეხება რა ლასალის ტრაგედიას „ფრანც ფონ ზიკინგენს“, ფრ. ენგელსი მის ერთ-ერთ არსებითად სუსტ მხარედ, ნაკლად სთვლის იმას, რომ მასში არასაკმარისად არის ხაზგასმით აღნიშნული „არათეორიული, პლებური და გლეხური ელემენტები“. ისტორიული მოვლენების ასეთ თვითგანსაზღვრას, შემოზღუდვას მხოლოდ „ოფიციალური ელემენტებით“

არ შეეძლო, როგორც ამას მიუთითებს ფრ. ენგელსი, არ მიეყვანა ლასალი შემოქმედებითს მარცხამდე. „ფრანც ფონ ზიკინგენში“ ეს გამოიხატა „უყურადღებობაში გლახთა მოძრაობისადმი“ და იმაშიც, რომ არამართებულად აღმოჩნდა გამოხატული „თვით თავდაზნაურობის ნაციონალური მოძრაობაც“. ფრ. ენგელსის ეს მოსაზრება პირდაპირ ეხება კ. გამსახურდიასაც. ისტორიის „არაოფიციალური ელემენტების“ გაუთვალისწინებლობამ არ მისცა მას საშუალება საქართველოს წარსული ცხოვრების მრავალი მოვლენა გაეაზრებია ყოველმხრივ და მთელი სისრულით.

კ. გამსახურდია ტრილოგიის ამ ორ კარში არ ცდილა აღედგინა ისტორიის ის ხალხური ელემენტები, რაც მას მიუყვანდა თანამედროვეობის პრობლემამდე.

წარსულის გამოხატვას აქვს თავისი დადებითი მხარეები. ხალხს სურს გაიგოს, შეისწავლოს და გაიაზროს თავისი მდიდარი და შესანიშნავი ისტორია. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პატრიოტული თვითშეგნების განმტკიცებისათვის. მაგრამ ამავე დროს წარსულის ღრმა და მართებული ასახვისათვის აუცილებელია მწერალი გამსკვალული იყოს საბჭოთა ეპოქის დიდი, მოწინავე იდეებით.

„ბელადი“ შეადგენს ვრცლად მოფიქრებულ თხზულებას—ტრილოგიას. ამ ნაწარმოებში ავტორს განზრახული აქვს მხატვრულად წარმოგვიდგინოს დიდი სტალინის ცხოვრების აღრინდელი ხანა. ეს მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. მწერალს მიზნად დაუსახავს შექმნას სუვერენი მხატვრული ნაწარმოები კაცობრიობის უბრწყინვალეს გენიაზე, იგი ზოგადად

მისდევს ბიოგრაფიულ-ფაქტიურ ქარგას, მაგრამ ორგანიზულად მისთვის თაღის ტრილოგიის პირველ წიგნში შეიყვანა არაისტორიული პერსონაჟები, მოგონილი შემთხვევები, სიტუაციები და ადამიანები.

კ. გამსახურდიამ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ყრმა სოსო ჯულაშვილში თავიდანვე მოცემული იყო ის თვისებები, რომლიდანაც შემდეგში წარმოიშვა ბრძენი ადამიანი. ავტორმა სისწორით დაგვანახვა ყრმა სტალინი გამომკვლევებული მაღალი ადამიანური საწყისები—სიმტკიცე და უდრეკობა, მგზნებარე გული ამხანაგებისადმი, მძულვარება და პროტესტანტული სული მზავრელებისადმი, ოცნება ცხოვრების გარდაქმნაზე. სოსოში ჩვენ შევიცნობთ დიდად ნიჭიერს, ცოდნის წყურვილით გატაცებულს, მტკიცე ხასიათის, მეგობრობის მოსიყვარულე, უსამართლობის მოძულე ახალგაზრდას.

ტრილოგიის პირველ წიგნში მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს გამოგონილ სიტუაციებსა და პერსონაჟებს. მტკიცე, მკვეთრი ხასიათის გმირია უფლისა არაბული. იგი თავისებური სიმბოლიური სახეა დაჩაგრული, მაგრამ შინც უდრეკი ხალხისა; არაბულების ოჯახის ტრაგედიაში დახატულია, თუ როგორ იტანჯებოდა ძველად, მემამულურ-ბიუროკრატიული წყობილების დროს გამრჯელი, მოჭირნახულე ხალხი.

მიზა ქილიფთარის სახით ავტორმა მოგვცა ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი და გზაბნეული ადამიანი. იგი განსწავლულია, მაგრამ შინც ვერ იპოვნა ცხოვრებაში დასაყრდენი. იგი უსისტემო ცოდნის პატრონია, თანაც ახირებული, უმოქმედო, იმედდაკარგული კაცი. მიზა ქილიფთარი ქართველი ხალხისნების თავისებური წარმომადგენელია.

ეს ნაწარმოები რამდენადმე მოკლებულია სოციალურ სიმახვილეს. ავტორმა მკვეთრად და გარკვეულად ვერ გვიჩვენა ის სოციალურ-პოლიტიკური ატმოსფერო, რომლის ნიადაგზედაც იზრდებოდა ხალხთა ბელადი. ცხოვრების წინააღმდეგობანი, კლასობრივი ბრძოლა, რომლის ვითარებაშიც იჭედებოდა ამხანაგ სტალინის შეგნება, ნაწარმოებში სისრულით, რელიეფურობით არ გვაქვს წარმოდგენილი.



ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია კ. გამსახურდიას შემოქმედებასთან, ენის პრობლემაა. არ შეიძლება სრულიად გავიგოთ მისი ნაწარმოების ხასიათი ისე, თუ არ შევხებით ამ პრობლემასაც. თავისებური დამოკიდებულება მწერლისა სიტყვისადმი, როგორც ლიტერატურის მთავარი მასალისადმი, შემოქმედებითი მუშაობა ენაზე, გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენაა. ლიტერატურა სიტყვის ხელოვნებაა. მართებულად აღნიშნავს თვით კ. გამსახურდია, რომ „სიტყვა ერთადერთი იარაღის მწერლისა, მისი უდიდესი — კაპიტალიც“ (იხ. „ავტორის რეპლიკები“, ეურ. „მნათობი“, 1948 წ. № 3). ენის, სიტყვის საშუალებით ვლინდება მწერლის სტილი, მხატვრული აზროვნება, მსოფლმხედველობა და ისიც, რასაც ასახავს. სიტყვა წარმოადგენს ლიტერატურის პირველ ელემენტს. მხოლოდ სიტყვის საშუალებით დებულობენ მწერლის სახეები ობიექტურ მნიშვნელობას, კონკრეტულ გამოხატულებას.

თანამედროვე ქართველი მწერლებიდან კ. გამსახურდია გამოირჩევა თავდადებული ბრძოლით სალიტერატურო ენის განახლებისათვის. მას აქვს თავისებური კულტი სიტყვისა. იგი სიტყვას

აღარებს ძვირფას ქვას, რომელიც უნდა გათალოს ოსტატმა.

ენაში ჩვენ უნდა გავარჩიოთ ორგვარი სახის ნოვატორობა: სტილისტიკური და საკუთრივ ენობრივი ნოვატორობა. პირველი სახის ნოვატორები მირსწრაფიან ლიტერატურულ ენაში შეიტანონ უკვე ხალხში ცნობილი, გავრცელებული სიტყვები. ასეთი იყო ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის ნოვატორობა.

ი. ჭავჭავაძის დახასიათებით, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“. მას კარგად ესმის, რომ ენა ისტორიული მოვლენაა და დროთა ვითარებაში ის ვანიცდის განვითარებას. ძველი თაობის, „მამების“ მოსახზრებას, რომ ენის ფორმები მარად უცვლელი და ერთნაირია, ი. ჭავჭავაძე უპასუხებდა, რომ ენა ისევე ემორჩილება განვითარების კანონებს, როგორც სხვა მოვლენა ბუნებაში. იგი აყენებდა დებულებას, რომ ენის კანონის დამდეები ხალხია და არა „ანბანთ თეორეტიკა“. ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და მათი თაობის სხვა მწერლების უდიდესი დამსახურება გამოიხატა ბრძოლაში ქართული სალიტერატურო ენის გაფართოებისათვის, მისი გამდიდრებისათვის ხალხურ ენაში დაგროვილი მარაგით, სალიტერატურო ენის ხალხის სასაუბრო ენასთან დაახლოვებისათვის. ი. მეუნარგია აღნიშნავს, რომ „ილიას, როგორც ფუტყარს, საზრდო გამოჰქონდა ხალხიდან თავისი სიტყვიერებისათვის. დღეს ამ გლეხმა ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა სთქვაო, იტყოდა მგოსანი... ხალხი იყო ილიასათვის წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმისა“; ი. ჭავჭავაძისთან ერთად, ა. წერეთელი ენას გადამწყვეტ როლს აკუთვნებს ლიტერატურაში: „ენა გრძნობა-გონების გზა და ხილია, სიტყვიერება მისივე სარკეა“. ენის ყოველმხრივი დაუფლება მწერლის შემოქმედებითი მუშაობის აუცილებელ პირობას შეადგენს. ა. წე-

რეთელს კარგად ესმის, რომ ლიტერატურული ენა უნდა იყოს ხალხის ენა. თუ ლიტერატურული ენა დაშორდა ხალხის ენას, მაშინ ხალხი ვერ გაიგებს ასეთ მწერლობას და ის ვერც ცხოვრებაში შევა. ა. წერეთელი თვით საესეებით ჩასწვდა ხალხური ენის სულს, მის ბუნებასა და ხასიათს. ხალხურ თქმებს იგი მიუდგა არა ფორმალისტურად, არა როგორც სტილიზატორი, არამედ მან ის მიიღო ორგანიულად, როგორც თავისი პოეტური ენისა და სტილის სასიცოცხლო საფუძველი. ა. წერეთლის პოეტური ენის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს უარყოფა ენობრივი „გამომგონებლობისა“. იგი არ არის წინააღმდეგი ენაში ახალი სიტყვების შეტანისა, რამდენადაც ამას მოითხოვს ახალი ცნებები, მაგრამ ამავე დროს მის ენაში თითქმის ვერ შეხვდებით ნეოლოგიზმებს. თავის ძირითად ამოცანას იგი ხედავს არა იმაში, რომ „გამოგონოს“ ახალი სიტყვები, არამედ იმაში, რომ ხალხში არსებული მდიდარი საგანძურიდან შეარჩიოს აუცილებელი სიტყვები და შეუფარდოს ისინი პოეტური ენის საერთო სულს და უშუალო მხატვრულ ამოცანებს. ამგვარად, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის შემოქმედებაში ჩვენ ვამჩნევთ იმდენად არა ახალი სიტყვების შექმნის პროცესს, რამდენადაც ხალხური სასაუბრო გამოთქმების გაბედულ შეტანას ლიტერატურულ ენაში.

მეორე სახის „ნოვატორები“ არ მიიღიან ამ გზით. ისინი ქმნიან ისეთ სიტყვებს, რომლებიც წინათ ენაში არ იყო, ან იყო ოდესღაც, და შემდეგ ენის განვითარებამ დაივიწყა ისინი. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ამ მეორე გზას ადგია კ. გამსახურდია.

ისტორიულად ცნობილია, რომ მწერლის აქტიური შემოქმედება ენაზე ახალი სიტყვების შეტანით, არც თუ ისე დიდი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ

ენის გამდიდრება ხდება არა მარტო ოდენ ახალი სიტყვების შექმნით, არამედ უკვე არსებული სიტყვების მნიშვნელობის გაფართოებით. რამდენადაც სიტყვას საფუძვლად უდევს ესათვის მოვლენა, რომელიც ხდება ფართო მასების საკუთრებად, ამდენად სიტყვამ შეიძლება მიიღოს საზოგადოებრივი ხასიათი. ამის გარეშე, რამდენადაც უნდა ეცადოს მწერალი, მის მიერ გამოგონილი (თუ აღდგენილი) სიტყვები ვერ გავრცელდება ხალხში. ენაზე ზეგავლენის გზები უნდა ვეძიოთ არა იქ, სადაც ამას ეძიებს „დიდოსტატის მარჯვენას“ ავტორი.

როგორც ვიცით, კ. გამსახურდიამ საესეებით უკუღებულყო მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა. თითქმის ამ საუკუნეში „დადგა ეპოქა ქართული პოეზიის და პროზის სრული დეგრადაციისა“... (იხ. მისი—„Источники грузинской прозы“, „Литературная газета“, 1935 г. № 34). იგი სწერს, რომ ი. ჭავჭავაძეს, რომელიც „ფლობდა ბალზაქის, ფლობერის, ტოლსტოის ენერგიას, მაინც არ ეყო ის იმისათვის, რომ აეწია ქართული პროზის ყამირი... მის პროზას, განსაკუთრებით პირველი პერიოდისა, არ ყოფნის ის სიღრმე და ქარბი სისხლიანობა, რაც ახასიათებს საბა სულხან ორბელიანის პროზას“... შემდეგ კ. გამსახურდია საგანგებოდ ჩერდება ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის მხატვრულ ნაწარმოებთა ენაზე და სწერს: „მისი (ე. ი. ი. ჭავჭავაძის. შ. რ.) ენაც, თუ მას შევადარებთ საბა სულხანის ენას, უმკველად ატარებს დეგრადაციის კვალს... როგორც ჭავჭავაძემ, ისე წერეთელმა ნაწილობრივ გადაუხვიეს იმ გზისაგან, რაც მომდინარეობდა იაკობ ხუცესიდან, ვიდრე საბა ორბელიანამდე. ეს არის ქართული პროზის მაგისტრალური ხაზი“. კ. გამსახურდია იქვე შენიშნავს, რომ საესეებით ეიზიარებ გრიგოლ ორბელიანის

თავდასხმას ი. ჭავჭავაძესა და ა. წერეთელს; ეს მცდარი აზრი ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ენის შესახებ კ. გამსახურდიამ ეხლაბანაც გაიმეორა „ავტორის რეპლიკებში“ („მნათობი“, 1948 წ. № 3).

სიტყვა გვიხსნის ნაწარმოებს. მთავარი სიტყვები გონიერად და მიზანშეწონილად იხმაროს მწერალმა. მისთვის სიტყვა არ უნდა წარმოადგენდეს გონების უქმ თამაშს. ეს არის შემოქმედის უძვირფასესი ნიჭი და გადაშფევეტი ლიტერატურაში. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ კ. გამსახურდია თითქოს განზრახ სჩადის, რომ არ იყოს სადა, გასაგები. იგი ამას უწოდებს ბრძოლას ენასთან. მისი განზრახ დამძიმებული და გართულებული სტილი მკითხველში ჰქმნის მარტოოდენ ერთგვარი ილუზიას. წინადადებაში ხშირად მას არ აქვს ნათელი, ჩამოკეცილი, გარკვეული სურათი. არცთუ იშვიათად მისი ნეოლოგიზმები არ განმარტავენ აზრს, არამედ მას ხდიან უფრო გაუგებარს. იგი ენის არქაულობის თანამიმდევარი დამცველია. მისი აზრით, თანამედროვე მწერალი უნდა ეყრდნობოდეს არა ჩვენი ხალხის დღევანდელ სასაუბრო ენას, არამედ სიგელების, ჰაგიოგრაფიული ძეგლების, კარაბადინების, ქართული ბიბლიის თარგმანის ენასო (იხ. „სალიტერატურო ქართულისათვის“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ. № 29), თუმცა იქვე იგი მოკრძალებით უმატებს, რომ დიალექტებიც და ფოლკლორიც უნდა იქნას მიღებული მხედველობაში.

ენის არქაულობაში კ. გამსახურდია არ არის უწინაპრო. მეორე საუკუნის ქართულ პროზაში მოიპოვება მხატვრული მეტყველების ის სათავეები, რასაც დღეს კ. გამსახურდია ასე აქტიუ-

რად ანვითარებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ვ. ბარნოვი. მაგრამ „სტოფობა წამებულის“ ავტორის ეს არქაულობის პრინციპი არ პოულობდა მკითხველ საზოგადოებაში ერთსულოვან მოწონებას. გავიხსენოთ ამ მხრივ უ. ურდოელის მოსაზრება, რომელიც მან გამოთქვა „თბილისის აჩრდილების“ განხილვისას. იგი საყვედურით მიმართავდა ვ. ბარნოვს და სწერდა: „მისი გადაჭარბებული არქაიზაცია ქართული ენისა ხშირად ამძიმებს და ბურუსით მბურავს ნათელ სტრიქონებს... საერთოდ უნდა ითქვას, ვასილ ბარნოვი ფრიალ მოიგებდა, ამ გადაჭარბებულ არქაიზმებს რომ უკუაგდებდეს“ (ეჭრ. „ქართული მწერლობა“, 1929 წ. № 6-7, წერ. „ვასილ ბარნოვის „თბილისის აჩრდილები“). ეს მართებული შენიშვნა საესებით შეიძლება განმეორებული იქნას კ. გამსახურდიას მიმართაც.

კ. გამსახურდიას სტილის განსაკუთრებული ხასიათია ფორმისა და სინტაქსის სიძველე. მის ნაწარმოებში შევხვდებით ისეთ წინადადებებს, სადაც არც ერთი არქაული სიტყვა არ ურევია, მაგრამ წყობის მიხედვით არქაულ შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს იმიტომ, რომ წინადადებაში იგი სიტყვებს ალაგებს თანამედროვე სასაუბრო ენის კანონის წინააღმდეგ. მას თითქო დაეიწყინა „დიონისოს ღიმილის“ მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში ნათქვამი: „თავისთავად ცხადია, ეს არ უნდა გულისხმობდეს აწ უკვე დადგენილ, განმტკიცებულ ქართული სინტაქსის შეცვლას და შექანებას“ (გვ. 441).

კ. გამსახურდია გაცილებით მოიგებდა, რომ იგი საზღვარს დაუდებდეს ენობრივ „ექსპერიმენტებს“ და თავის შემოქმედებაში მეტ გასაქანს მისცემდეს ხალხურ ენას.

მალვა კახიანი

ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართულ მუსიკაში

★

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიამ ქართულ მუსიკაში პირველი გამოხმაურება თბილისის ხალხურ სიმღერებში ჰპოვა.

თბილისის მუსიკალური ფოლკლორი უმთავრესად აღმოსავლეთის ქვეყნების კილოთა გავლენით განვითარდა. 1850-იანი წლების შემდეგ კი, როდესაც თბილისში იტალიური ოპერის დასმა დაიწყო მუშაობა, თბილისის ქალაქურ კილოში დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებების ნაკადიც შეიჭრა. ქართულ თავანკარა ხალხური კილო შეურყვნელი დარჩა სოფლის წიაღში, ზაგრამ ქალაქურ კილოზე შემუშავებულ სიმღერათა შორის, ზოგიერთმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და გასული საუკუნის 90-იან წლებში კვალიფიციური მკვლევარი კომპოზიტორი მ. მ. იპოლიტოვიჩიანი კი შეიყვანა შეცდომაში: თბილისის მუსიკალური ფოლკლორის ზოგი ნიმუში მან ქართულ ხალხურ სიმღერად მიიჩნია და მცდარი დასკვნები გამოიტანა, რაც სამართლიანად გააკრიტიკეს მაშინ ქართველმა მუსიკოსებმა. თავისი შეცდომა იპოლიტოვიჩიანოვმა დიდი ხნის შემდეგ გამოაშფორა პროფ. დიმ. არაყიშვილის ნაშრომისათვის დაწერილ წინასიტყვაობაში (იხ. „ქართული მუსიკა“, 1925 წლ. გამოცემა).

თბილისში, მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნეში, ფარ-

თოდ იყო გავრცელებული ხალხური სიმღერების სახით ბესიკის სატრფიალო ლექსები.

1865 წლის „ცისკარში“ აკაკი წერეთელი სწერდა:

„... არა თუ გამოგონია ბესიკისა და ზისი ჰამქრების თხზული ლექსები, კიდევაც თითონ მე მილიღინებია. დრო იყო, რომ მის „ტანო ტატანოს“, „შავნი შაშვის“ და „სევდის ბაღს შეველს“ ალტაცებაში მოვყავდი...“

აკაკიმ თავის ფალი მოიხადა ამ „ალტაცების“ წინაშე და 1893 წელს გამოსცა ლექსთა კრებული „სალაზური“, სადაც „შიქასტა“, „მუხამბაზი“ და სხვა ჰანგებზე სასიმღერო ლექსები შეიტანა. სხვა ლიტერატურული წყაროებიც რომ არ აჩვენებდეს, მართა აკაკის მოწმობაც ნათელყოფდა ბესიკის სასიმღერო ლექსების პოპულარობას.

ბესიკს თან ზისდევს თავის დროზე საკმაოდ ცნობილი მოლექსე, საქართველოს სამეფო კარის მდივანი დიმიტრი თუმანიშვილი. მან დაუახლოვა სხვადასხვა ჰანგებს თავისი ლექსები და პირდაპირ ამათუიმ კილოზე სასიმღეროდ დაიწყო ლექსების წერა: „ბაიათი“, „მუხამბაზი“, „თეჯლისის ხმაზე“, „ფას ზუხალიფითაც ითქმის და თანხმისითაც“, „ძველის თასლიბის ხმაზე“, „შუშტარის ხმაზე“, „ტაფითაღის ხმაზე“, „დუბეთით“, „ეკაეთ მთარემის ხმაზე“, „გოპარის ხმაზე“, „თეჯლიში“ და მრავალი სხვანი.

ამრიგად იყო აქრელებული მე-18 და მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე თბილისის მუსიკალური ფოლკლორის კილო.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი მეცამეტის სიკვდილის შემდეგ ტახტისმემკვიდრე დავით ბატონიშვილი პეტერბურგს გაიწვიეს. მან დიპ. თუმანიშვილის გაყოლება ითხოვა. დიპტირი დარდიმანდი ადამიანი იყო. „ვარდი. ზიტრიალებს გულსა“ — ჰქონდა წარწერა იმის ბეჭედს. არსებული წყაროებით პეტერბურგში უნდა იყოს დაწერილი მისი ცნობილი ლექსი „ახალ აღნაგო სულოდა“, რომელსაც სწრაფად შეუწყვეს სასიმღერო კილო და არა თუ საქართველოში, არამედ რუსეთშიაც გავრცელდა, 1832 წელს გრიგოლ ორბელიანს ქალაქ ვლექის პოლიცემისტერის ცოლმა „ახალ აღნაგო“ უმღერა ფორტეპიანოს აკომპანიმენტით. არზრუმში მიმავალ პუშკინს 1829 წელს თბილისში გამართულ ნადიმზე „ახალ აღნაგო“ უმღერეს და უთარგმნეს. ამის გამო პუშკინი სწერს: ქართული სიმღერის ხმა სასიამოვნოაო, მაგრამ ამაზე უფრო ადრე ამ სიმღერას ასრულებდნენ აქ გამართულ კონცერტებში კლასიკურ სამუსიკო ნაწარმოებებთან ერთად. „ტიფლისკი ველმოსტის“ რედაქტორმა სანკოვსკიმ „ახლო“ თავის ლექსშიაც კი მოიხსენია:

„... Среди радужного веселья
они поют, и далеко
протяжно эхо, вдоль ущелья
уныло вторит Ахало...“

(იხ. ვახ. „ტიფ. ველომ.“ № 37, 1829 წ.)

„ახალ აღნაგო“ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ზეპირი სახით ვრცელდებოდა. 1900-იან წლებში იგი ნოტებზე გადაიღო და გამოსცა ზაქარია ფალიაშვილმა.

მე-19 საუკუნის დასაწყისში სალიტერატურო ასპარეზზე გამოდის ცნობილი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე. ნაცვლად დიპ. თუმანიშვილის მრავალგვარი სასიმღერო ჰანგებრიც, ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში მეტწილად მუხამბაზი გვხვდება. დიპტირი თუმანიშვილი თვითონვე ზღუდავდა თავის ლექსს, როდესაც მას უცხო ჰანგზე სამღერლად სწერდა. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკას კი თავისთავად მიჰყავს ადამიანი ქართულ ხალხურ კილოებამდე, და მას უფრო მეტი ეროვნული სამუსიკო შემოქმედების აღწერის უნარი გააჩნია.

„... ყოველი მისი ლექსი საგალობელის შთაბეჭდილებას სტოვებს“. ილია ჭავჭავაძეს ასეთი გამოთქმა აქვს პოეტზე: „მან დაიგალობა თავისი ღვთიური ლექსები“. ვ. ბარნოვს ერთხელ ალექსანდრეს ლექსების გამოცემა სურდა საგალობელი ნიშნებით. ივ. მანაბელი მის სტრიქონებს „წმინდა სანთელს“ ადარებს...“ (ი. გრიშაშვილი. „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ გვ. 22 „ფედერაცია“ 1940 წ.)

ალ. ჭავჭავაძის პოეზიასთან ერთად ცნობილია გრიგოლ ორბელიანის შესანიშნავი მუხამბაზები და სხვა ლექსები, რომლებიც ვრცელდებოდა ხალხში ნაირ ჰანგზე სამღერლად.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალურმა პოეზიამ საიათნოვას, ბესიკის, დ. თუმანიშვილის, ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანისა და სხვათა ლექსის ჯებირი გაარღვია და თბილისის მუსიკალურ ფოლკლორში საკუთარი გზა გაიკვლია.

ამ შესანიშნავი საუნჯის დამუშავებას შემდეგ ქართველ კომპოზიტორებმაც მიზართეს.

უახლოესი ადამიანების მოწმობით, ნიკოლოზ ბარათაშვილი მუსიკის დიდი მოყვარული ყოფილა და შინ ბევრი სამუსიკო საკრავიც ჰქონია თავმოყრილი. მის ლექსებში მოხსენებულია ფორტეპიანო, ჩონგური, ნალარა, სანთური და სხვა საკრავები, ძველი ხალ-

ხური კილოებიც არ ყოფილა უცნობი ჩვენი პოეტისათვის. ლექსი „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო...“ მას ძველი ხალხური სიმღერის „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ პანგზე სამღერლად დაუწერია, მ. თუმანიშვილის ცნობით, ნ. ბარათაშვილის ჩვენამდე მოუღწეველი ლექსი „ასტრა“ დაწერილი ყოფილა „კარვის სიტყვით, კარვის სტიხით, კარვის ხმით“.

„კარგი ხმებისა“ და მუსიკის მოყვარული ნ. ბარათაშვილი დიდად აფასებდა იმხანად განთქმულს სახალხო მომღერალს სათარას. ნიკ. ბარათაშვილს ყველა ლხინში მუდამ თან დაჰყავდა სათარა, რომლისთვისაც ლექსიც კი მიუძღვნია, მაგრამ ამ ლექსს ჩვენამდე არ მოუღწევია. როდესაც თბილისში მფორე მომღერალი ჯაფარა გამოჩნდა, ნ. ბარათაშვილი სათარას ასე გამოეკომაგა:

„... ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით; ვისიც წიგნი მომივიდა, მაგის ქება ეწერა. ნეტა ყველასათვის აგრე მალე როგორ გაგიყდებით? შავის ამბავი ჩვენი გვეითხეთ: ეგ სულიმან ხანმა ვაღმომიყვანა სპარსეთიდან; ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან (ნახიჩევანში) იდგნენ, რაც ჰუნარი ჰქონდა სულ აქ დაასრულა.“

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარას სჯობია? ეტყობა კარგი სმენა ჰქონია. მე გეტყვი, ეგ უფრო ნაეითხია სათარაზედ, მაგრამ ღმერთს სათარასთვის ხმა მიუცია და თან დაუმატებია, რომ შავისთან ხმა აღარავის ექნებო! (წერილი მაიკო ორბელიანისადმი 1845 წლ. 9 თებერვალს).

ამ წერილიდან ნათლად სჩანს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს საკმაოდ საფუძვლიანი პრეტენზია ჰქონია სიმღერის დაფასებისა თავისი სმენის წყალობით. და მართლაც, სათარა შესანიშნავი ხმითა და მუსიკალობით დაჯილდოვებული მომღერალი ყოფილა. რუსი პოეტი ი. პოლონსკი სათარასად-

მი მიძღვნილ ლექსში აღნიშნავს: ფუმ-ცა შენი სიტყვები მე არა მესმის, მაგრამ სიმღერით ვგრძნობ ყველაფერს და სიტყვები საჭირო არ არისო.

ნიკ. ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1860 წლის 4 იანვარს „ალა სათარამ“ გამართა შესანიშნავი საკუთარი კონცერტი სამ განყოფილებად თბილისის ოპერის თეატრში (თუ ეს ნაშევილად ნიკ. ბარათაშვილის დროინდელი სათარაა და არა სხვა ვინმე: ჩვენი ფიქრით კი სწორედ ის უნდა იყოს).



ნიკოლოზ ბარათაშვილი მანანა ორბელიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონების მუდმივი წევრი იყო. აქ კითხულობდა იგი თავის ნაწარმოებებს, მონაწილეობდა ლიტერატურულ პაექრობაში. ფორტეპიანოს ჩინებულმა დამკვრელმა, მომღერალმა ეკატერინემ ნ. ბარათაშვილს მუსიკის სიყვარული გაუთაყეცა. სასიმღეროდ გამართულ რომანსებივით აყვარდნენ ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ზისი ლექსები:

„ხმით მშვენიერით,
ტბილის სიმღერით,
ჰეროვნო, სულს ელხინები...“

ან კიდევ:

„ხმა საყრავისა
ნელ ნარნარისა
სულ ვანაბარებს
და მშვენიერის
ენა ამიშლის
გულსა ჰირებს...“

როგორც ცნობილია, იმ დროს გავრცელებული სასიმღერო რუსული ლექსები: Как счастлив я... და „Черный цвет, мрачный цвет“. ნიკ. ბარათაშვილმა ეკატერინე ჭავჭავაძის უთარგმნა. შავის ნაცვლად ჩვენმა პოეტმა „ცისფერით“ მოასვეადა ეს თარგმნილი ლექსი.

„ფერსა ბნელს“ ფერსა შავს“ წინათ აღ. ჭაქვაძეს ჰქონდა ნათარგმნი. ეს სიმღერა სწრაფად გავრცელდა ხალხში. 90-იან წლებში იგი ნოტებზე გადაიღო ი. თ. სარაჯიშვილმა (თბილისის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგმა, მომღერალ ვანო სარაჯიშვილის ბიძაშვილმა). „ფერსა ბნელს“ დიდი წარმატებით ასრულებდა ლადო აღნიაშვილის გუნდი (იმერულ კილოზე).

1826 წელს გრიგოლ ორბელიანმა ეკატერინე ჭაქვაძეს უძღვნა ლექსი:

„წინანდლის ვარდო
სულთა ტრედო,
გულთა წმინდა, კამკამა წყარო...“

1839 წელს მასვე უძღვნა ლექსი: „ხმით მშვენიერით“...

ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ ლექსებთან დაკავშირებით ამასწინათ ერთი გაუგებრობა ზოხდა:

1940 წელს ლენინგრადის გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა კრებული — „ქართველი რომანტიკოსები“ (Грузинские Романтики. В переводе русских поэтов под редакцией Н. С. Тихонова и Ю. Н. Тынянова. Ленинград, советский писатель, 1940 г. стр. 143). ამ კრებულში ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში შეტანილია გრიგოლ ორბელიანის ზემოაღნიშნული ლექსი (თარგმანი მ. ფრომანისა) და თარიღად 1826 წლის ნაცვლად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის თარიღი აქვს მიწერილი — 1939 წელი.

ამ რუსული კრებულის მიხედვით თბილისში რომანსი დაიწერა (ავტორი ა. ბასაკაოვი). იგი პირველად შეასრულა 1942 წელს თბილისში უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა ჩასტიმ ქართული და რუსული კამერული მუსიკის კონცერტზე. შემდეგ ხშირად ასრულებდა მომღერალი თამარ ბაბტაძე რადიოთი და საჯარო კონცერტებშიც. დაიბეჭდა პროგრამები ქართულ

და რუსულ ენებზე, სადაც აღნიშნულია: „როგორც ვარდნი ნაზი ხარ“ ნ. ბარათაშვილისა; „Ты как роза света“ — Н. Бараташвили.

აქ ისე არეულია ყველაფერი, რომ იოლად კაცი გზას ვერ გაიკვლევს:

მ. ფრომანმა გრიგოლ ორბელიანის ლექსის პირველი სტროფი ასე გადათარგმნა:

„Ты как роза света
Цинидами душа.
Сердцем чище, чем горный родник...“

როგორც აღენიშნეთ, ლენინგრადის გამომცემლობამ ამ ლექსს თარიღი გამოუცვალა და ნიკ. ბარათაშვილს მიაწერა. თბილისში რომანსის ტექსტის დამტკიცების დროს ეს ვერავენ ვერ „შეამჩნია“. კონცერტის პროგრამა, როგორც სჩანს, ჯერ რუსულად შეადგინეს და ლექსის სათაურად თარგმანის პირველი სტრიქონი შეიტანეს. შემდეგ ქართულიდან რუსულად ნათარგმნი უკანვე რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნეს და... „წინანდლის ვარდის“ ნაცვლად გამოიყვანეს ლექსი, რომელიც სრულებით არ არსებობს — „როგორც ვარდი ნაზი ხარ“...

ამრიგად გრ. ორბელიანის ლექსი ნიკ. ბარათაშვილის სახელით გავრცელდა არათუ წიგნით, არამედ მუსიკითაც და ისიც წალმა-უყულმა გადათარგმნილ-გადმოთარგმნილი.

*
*
*

ნიკ. ბარათაშვილი ისე ჩავიდა სამარეში, რომ არცერთი თავისი ლექსის დაბეჭდვა არ ღირსებია, მაგრამ პოეტი თავისი ხელით გადაწერილ ლექსთა კრებულებს სთავაზობდა უახლოეს მეგობრებსა და პატივისმცემლებს. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ხშირად კითხულობდა ხოლმე საკუთარ ლექსებს სხვადასხვა შეკრებათა დროს. ამ გზით ვრცელდებოდა საზოგადოებაში და ზიკვლევდა გზას მუსი-

კისაკენ გენიოსი პოეტის შედევრები. სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ არაერთ მის ლექსს მოუძებნიდა შესაფერ კილოს განთქმული სათარა. იქნებ ეკატერინე და ნინო ჰაუკვაძეებმაც ააღიერეს ფორტეპიანოთი ნიკ. ბარათაშვილის ლექსები და თავიანთი ფანტაზიით შეუწყეს მათ სხვადასხვა კილო. ყოველ შემთხვევაში ცხადი ხდება, რომ თვით პოეტის სიცოცხლეშივე გავრცელებული ყოფილა მის ტექსტებზე შექმნილი სიმღერები. ლევან მელიქიშვილის მოწოდებით, პოეტის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ რ. ანდრონიკაშვილთან შეკრებილ ყმაწვილებს უთხოვნიათ ყაფლან ორბელიანისათვის ემღერნა „სულო ბოროტო“. ექვთიმ წლის შემდეგ ე. ი. 1852 წლიდან დაიწყო ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოქვეყნება. ამ წლის „ცისკარში“ (აპრილისა) დაბეჭდილია ნ. ბარათაშვილის 4 ლექსი და მათ შორის „სულო ბოროტო“.

ნიკ. ბარათაშვილის ლექსთა შორის „სულო ბოროტო“ ყველაზე ადრე გადავიდა მუსიკაში და პირველად ამ ლექსით დაიტირეს უდროოდ დაღუპული გენიოსი პოეტი. ჩვენც აქედან დავიწყებთ.

„სულო ბოროტო“

ქალაქურ კილოზე გავრცელებულ „სულო ბოროტოს“ პირველ ჩამწერად გვევლინება კომპ. მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში მოღვაწეობდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში. 1895 წელს ფურხ. „არტისტის“ № 45-ში მ. იპოლიტოვ-ივანოვმა გამოაქვეყნა 12 ქართული სიმღერა და მათ შორის „სულო ბოროტო“.

მელიტონ ბალანჩივაძეს დაწერილი აქვს რომანსი „სულო ბოროტო“.

კორნელი მაღრაძემ დაწერა სიმღერა „სულო ბოროტო“ ერთი ხმისათვის, ვუნდის თანხლებით.

1900 წელს ფილიმონ ქორიძემ ჩაწერა ქართულში გავრცელებული სიმღერა „სულო ბოროტო“ (სიმონიძის დაკავშირებით ფილ. ქორიძე მოგვითხრობს: „წარსულ ზაფხულს ქართულ სოფლებში ვიმგზავრე და მოვძებნე ძველი სიმღერები მშვენიერი კილოსა და საყურადღებო შინაარსისა, რომელთაც დაზატებეს, მაგრამ ამასთანავე მწარე ფიქრებსაც მიმცეს, რადგან ეს ძვირფასი განძი ქართულის მუსიკისა დღითიდღე | ჰქრება...“ („ივერია“ № 204 — 1900 წ.).

1900 წელსვე დიმ. არაყიშვილმა დასწერა რომანსი „სულო ბოროტო“. ტექსტი რუსულად სთარგმნეს ტხორევესკებმა (ფსევდონიმი „ივან და მარია“) თარგმანს ეწოდება: „Злой гений“.

ზაქარია ფალიაშვილმა შეიტანა „სულო ბოროტო“ თავის შესანიშნავ ოპერა „დაისში“ (კიაზოს არია). ამ ნაწარმოებმა მთელს საბჭოთა კავშირში გაითქვა სახელი, გადატანილია ფირფიტებზედაც. არაერთხელ გადაუტანიათ იგი ეთერში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რადიოსადგურებს და პირველ რიგში — მოსკოვისას.

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავზე კომპოზიტორებმა დ. არაყიშვილმა და შ. თაქთაქიშვილმა დასწერეს საფორტეპიანო ტრიო ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტოს“ თემაზე — ვიოლინის, ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის.

„დამპროლვან შარმან სასტიკმან“

1900 წელს კომპ. დიმ. არაყიშვილმა „სულო ბოროტოსთან“ ერთად დასწერა რომანსი „დამპროლა ქარმან“ (ორივე გამოიცა). ტექსტის რუსულ თარგმანს ეწოდება „Суровый ветер“, შესრულებულია „ივან და მარია“-მ იერ.

„ფიქრნი მტკერის პირას“

ამ ტექსტზე პირველი ორიგინალური ნაწარმოები შექმნა ია კარგარეთელმა. შეტანილი იყო მიხეილ კავსაძის გუნდის რეპერტუარში და სრულდებოდა როგორც „ქართულ-ევროპულ“ კალოზე დაწერილი სიმღერა.

ხალხში გავრცელებული კილო ჩაწერა კომპოზიტორმა და მუსიკის-მცოდნემ გრიგოლ ჩხაკვაძემ. ჩაწერილი აქვს აგრეთვე გ. ხახანაშვილსაც (ა. ლვინიაშვილისა და გ. გოგობიას შესრულებით).

რომანსი „ფიქრნი მტკერის პირას“ დაწერილი აქვს კომპ. ნიკოლოზ ივანეს-ძე გუდიაშვილს (1940 წ.)

„სულო ბოროტოსთან“ ერთად ეს სიმღერა ყველაზე ადრინდელი უნდა იყოს. ზაქ. ფალიაშვილის ცნობით: სულ პირველად ქალაქური კილოს სიმღერა შეთხზული იყო ბარათაშვილის ლექსებზე „წარვედ წყლის პირსა“... შემდეგ ყოველ დღე ახალ-ახალი ემატებოდაო (იხ. ვახ. „ამირანი“ № 151 — 1903 წ.).

„მ ი რ ა ნ ი“

ამ ტექსტს პირველად კორნელი მალრაძემ მიმართა და საგუნდო სიმღერა შექმნა.

ლოტბარმა გ. გ. საყვარელიძემ 1900-იან წლებში დასწერა აგრეთვე საგუნდო სიმღერა „მერანი“, რომელსაც წარმატებით ასრულებდა ბათუმში მისივე გუნდი.

კომპ. ნიკო სულხანიშვილს დაწერილი აქვს საგუნდო სიმღერა „მერანი“. სხვათა შორის, ეს ნაწარმოები განსაკუთრებული ბრწყინვალებით შესრულებულ იქნა თელავში 1916 წლის 22 ნოემბერს ნიკ. ბარათაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში (წინათ ნ. ბარათაშვილის დაბადების თარიღად 1816 წელს სთვლიდნენ). საგუნდო ხელოვნე-

ბის დიდმა ოსტატმა ნ. სულხანიშვილმა ამ გენიალურ ტექსტზე მუსიკისწარმოები ნაწარმოები შექმნა.

საგუნდო სიმღერა „მერანი“ დაწერილი აქვს ალექსანდრე მაისურაძესაც (შესრულებულ იქნა 1918 წლის 21 დეკემბერს თბილისში, ქართულ თეატრში).

ზემოაღნიშნულ ოთხ საგუნდო სიმღერასთან ერთად „მერანის“ ტექსტზე დაწერილია რომანსი ნიკო გუდიაშვილის მიერ.

აღსანიშნავია, რომ ავტორების უმრავლესობამ („მერანისათვის“ საგუნდო ფორმა არჩია.

„შევიშრობ ცრემლსა“

ამ ტექსტს ყველაზე უწინ კარგარეთელმა მიმართა და 1897 წელს დაწერა რომანსი „შევიშრობ ცრემლსა“, რომელსაც სხვა ზომღერლებთან ერთად დიდი წარმატებით ასრულებდა თვითონაც. ლექსი რუსულად ითარგმნა— „слезы горячей прерву течение“ და გამოსცა თბილისში იმავე წელს კ. ს. მესხმა.

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისათვის კომპ. მირიანაშვილმა დასწერა ამ ტექსტზე რომანსი.

„სული ოჯოლი“

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავზე ამ ლექსზე დასწერა რომანსი კომპ. ლევან ფალიაშვილმა.

„ჩემს მარსკვლავს“

1891 წელს მელ. ბალანჩივაძემ დასწერა თავისი პირველი რომანსები და საფუძველი ჩაუყარა ამ სამუსიკო ეანრს საქართველოში. იმავე წელს კორნელი მალრაძემ დაწერა ლუეტი „ჩემს ვარსკვლავს“. ამრიგად, ეს ნაწარმოებიც ქართული რომანსის ისტორიის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

ამავე ტექსტზე დასწერა რომანსი

კომპოზიტორმა გრიგოლ კოკელაძემაც (6. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავზე).

„როს ბედნიერ ვარ...“

პირველად ეს ლექსი ჩვენს ზუსიკაში გადავიდა სათაურით „არ დიჯერებ“. ამ ტექსტზე დაწერილია სამი რომანსი; ია კარგარეთელისა, ალექს. შავერზაშვილისა და ლევან ფალიაშვილის მიერ.

ხალხში გავრცელებული კილო გუნდისათვის ნოტებზე გადაიღო ლობჯანიძე მიხეილ კავსაძემ.

„მადლი შენს გამჩენს, ლამაზო...“

ამ შესანიშნავ პატარა ლექსს ხალხმა იმათავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და მის ტექსტზე ერთ-ერთი თავისი საყვარელი სიმღერა შექმნა.

„...ღარიბი ვინმე მოვსულვარ,
სოფლისა მუშა საწყალი,
ამხანაგად მყავს ნაბადი,
მშობლიად — ბასრი ხანჯალი...“

„მადლი შენს გამჩენს, ლამაზოს“

დიდი წარმატებით ასრულებდა ლადო აღნიაშვილის გუნდი. შემდეგ ამ კილოს „გაფრინდი, შავო მერცხალო“ შეუწყეს. მუსიკალური წყობა თითქმის იგივე დარჩა (გარდა მეორე ხმის ზოგიერთი კილოსი).

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავი მეტად ნაყოფიერად აისახა საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებაში. ქართული კულტურის ამ მეტად მნიშვნელოვან თარიღს ზათ მთელი რიგი სხვადასხვა ეანრის სამუსიკო ნაწარ-

მოები მიუძღვნეს, რაც აღვნიშნეთ/კიდევაც ზემოთ. ამ მხრეზე, ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა კომპოზიტორმა ლევან ფალიაშვილმაც. ნიკ. ბარათაშვილის ტექსტებზე მან სამუსიკო ნაწარმოებთა ციკლი შექმნა: 10 რომანსი, 1 ბალადა და 1 ტრიო, რომლებიც შესრულებული იქნა კიდევ პოეტის ხსოვნის აღსანიშნავ დღეებში. გარდა შემოაღნიშნული ორი ნაწარმოებისა („სული ობოლი“ და „როს ბედნიერ ვარ“) ლ. ფალიაშვილმა დასწერა: „თეადის ქ... ის ასულს ეკ... ნას“ „საყურე“ „ნა... ფორტეპიანოზე მომღერალი“, „სატრფოვ მახსოვს“, „აღმობზდა მნათი“, „არ უკიენო“, „ცისა ფერს“, „ხმა იდუმალი“, „ვბოვე ტაძარი“, „ჩჩვილი“.

მათ შორის „ვბოვე ტაძარი“ არის ბალადა (ბანისათვის), „ჩჩვილი“ კი ტრიო (2 სოპრანოსა და 1 ალტისათვის) დანარჩენები რომანსებია (სოპრანოს, ტენორისა და ბარიტონისათვის).

„ბედი ქართლისა“

ქართველმა მუსიკოსებმა ნიკოლოზ ბარათაშვილის არც ეს ნაწარმოები დასტოვეს უყურადღებოდ. გასული საუკუნის 90-იან წლებში ფილიპონ ქორიძემ დასწერა ტრიო „ბედი ქართლისა“. ხელნაწერი არ შენახულა. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რა ნაწყვეტი აიღო მან ამ პოემიდან თავისი ნაწარმოებისათვის. ხალხში მეტად პოპულარული იყო „შორბის არაგვი“. ამ ტექსტზე კომპოზიტორმა ნიკო შარაბიძემ შექმნა საგუნდო სიმღერა.

ქალაქური კილოს სახით გავრცელებული სიმღერა „შორბის არაგვი“ ჩაწერილი აქვს კომპოზიტორსა და მუსიკის მცოდნეს გრიგოლ ჩხიკვაძეს.

„შორბის არაგვი“ ფართოდ იყო გავრცელებული იმერეთშიაც.

ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა უ ი ა



მარტამ ბარბუქლი — „მოსხრობებში“, სახელგამომი, 1948 წ.

სახელგამომი გამოსცა მწერალი ქალის მარტამ ბარბუქლის მოთხრობებს წიგნი.

ამ კრებულში ავტორის ოთხი მოთხრობა შეტანილია. სამი პატარა მოთხრობა: „ღურგალი მიხეილი“, „დედა“, და „შემთხვევა“ სამამულა ომის თემაზეა დაწერილი, ხოლო მეოთხედიდი მოთხრობა „ანარეკლი“ ახალი ოჯახისა და საბჭოთა ადამიანების მორალის პრობლემებს შეეხება.

სამამულა ომის პერიოდის ქართულ საბჭოთა მწერლობას ბევრი კარგი მოთხრობა და ნოველა ამწევენებს. მათ შორის მ. გარბუქლის ეს მოთხრობები მკითხველს ყურადღებას იმსახურებენ. თუ სამამულა ომის პირველ პერიოდში (1941 — 42 წლები) ქართველ ბელეტრისტების მიერ დაწერილ ზოგიერთ მოთხრობებს და ნოველებს ერთფეროვნება, სქემატურობა და მხატვრულ დაუმუშავებლობა ახასიათებს, — მ. გარბუქლის მოთხრობები არიან. ადამიანები ფრანტზე და ზურგში, ცოცხლად და ნათლად არიან დახატულნი მკითხველის თვალწინ სქემები და გამოგონილი სახეები კი არ დგანან, არამედ ნამდვილი ადამიანები.

სულ სხვა მ. გარბუქლის საკმაოდ მოზრდილი მოთხრობა „ანარეკლი“. ამ მოთხრობის თემა ქართული სინამდვილიდან არის აღებული. იგი ფართო პლანის ნაწარმოებია. მოთხრობა სინტერესოდ ვითარდება. იწყება ქართლის ერთ სოფელში, გადის თბილისში, ბრუნდება ისევ სოფელში, უბრუნდება ისევ თბილისს და ასე შემდეგ მოსკოვსა და ფრანკფურტს კი მოქმედებენ მისი გმირები. მოთხრობის წამყვანი გმირებია: სოფელი ბიჭი ტატე, ტატეს დედა ბაბაღ, ქალაქელი ახალგაზრდა ქალი თინა, სტუდენტი აკაკი გუნცაძე, სოფელი ქალი თამარ, ნიკო და სხვები.

ტატე სოფელი გლეხია, გამარჯვებული შრომის მოყვარე და ყველასათვის სავსარგლო ახალ-

გაზრდა. ამიტომაცაა, რომ მას სოფელი ირჩევს დელეგატად და თბილისში გზავნის. მწერალს მამზიდედლად აქვს აღწერილი ტატეს მგზავრობა თბილისში, განსაყუთრებით სინტერესოა ტატეს მისვლა და დაბინავება გლეხთა სახლში. ტატე გაეცნო გლეხთა სახლის თანამშრომელ ქალს თინას, რომელიც თავისი კულტურული და მეტად გულთბილი მოწყობებით უდიდეს გავლენას მოახდენს უსწავლელი გლეხის ბიჭზე. ტატეს სიყვარულის ცეცხლი შემოეკიდება. ამ ცეცხლს დამნთები თინა თინას სიყვარული გატაცებული ტატე სიყვარულს სთვებს, რათა ისწავლოს, და თინას სიყვარულის ღირსი შეიქნეს. როცა ტატემ მგორად ნახა თინა, მას მოეგონა, რომ თინამ ვერ იცნო იგი — თინას „გულცივი“ შეხედრით გულგატეხილი ტატე მთელ თბილისს შემოივლის, ქალაქში მიდამოებს დაათვალიერებს, მუხეცემებს ნახავს და ბოლოს უფიქვრსიტის კარებს მიადგება. აქ იგი გაეცნობა სტუდენტ აკაკი გუნცაძეს, რომელმაც ტატეს თინაზე ნაკლები როდი აღუქრა სწავლის წყურვილი. ტატე მასთან დარჩება დამთ. პინადაც იქ მოეწყობა და ასე მიდის მისი სწავლის საქმე, მაგრამ რა იცოდა ტატემ, რომ მისი კარგი ამხანაგი აკაკი, თინას მიყვანის იყო?

ამ მოთხრობაში თითქმის შემავალ სტუდენტად სრულიად სხვა ამბავია ჩართული, კერძოდ თამარსა და ნიკოს სიყვარული და მათ მიერ ოჯახის შექმნა და ასევე მისი დანგრევა. მწერალს შესანიშნავად აქვს დაპირისპირებული ძველი და ახალი ოჯახი. სამწუხაროდ ეს შესანიშნავი მეტად დამახინჯებულად აქვს გადმოცემული. ძველი ოჯახის ერთგულობა აქ მოეყვანა თათლოსა და ქიტოსის სახით. მრისხანე მამა არასრულწლოვან თათლოს ძალით მიათხოვებს მასზე ბევრად უხუცეს ქიტოსს, ამისათვის, რომ ქიტოსს ბევრი დული აქვს და სხვაზე უკეთ შეუძლია არჩინო. ოჯა-

ხი. ახალი ოჯახის წარმომადგენლებია მათი ქალი თამარი და სიმე ნიკო. თამარი მშობლების დაუთხოხავად გაყვება ცოლად ნიკოს. ახ როგორ წარმოუდგენია ქალის თავაყუღლება და ახალი დროის თავისებურება თამარს:

— „დედი!
— რაი, შეილო?
— დედა, ამ საღამოს მივეღიარ სახლიდან!
— სად მიდიხარ შეილო?
— დედა, გაეთხოვდი.
— რად იცო, გოგო, ასეთი უნო ხუმრობა!
— კიდევ არ გჯერა, დედა გვშინ ვიყავი ზაქსში!

— რა სიტყვი?
— გუშინ ვიყავი ზაქსში.
— შენ, გათხოვდი?!
— „პო, გაეთხოვდი.“

და ასე შემდეგ, რაც საესებით დაუჯერებელია. თავლო უცებ ეთანხმება შეილს:

— „ეჰ, ხეირი ნახე, შეილო, ახლა რას ამირებ?“

— „სალამოზე მოვა ნიკო და წავალთ!“

მორჩა და გათავდა. ასე ადვილად გადამწყვიტა მწერალმა ახალი ოჯახის შექმნის პრობლემა, მაგრამ ასევე ადვილად დაანგრევინა თამარს ეს ოჯახი, თამარი ვერ შეეგუა ნიკოს მშობლებს. იგი ერთს მშვენიერ დღეს დაქრავს ფეხს და დედასთან გამოცხადდება: „დედა საბანი განმიხალე, თბილისში მივდევარ, ქარხანაში უნდა ვიმუშაო!“

— ნიკა რას გეუბნება, თამარე?.. რა თავ-სოწონებაა, ეგეკაცი შინ იჯდეს და ცოლი სამუშაოდ გაუშვას ქალაქში?

— დედამეო, მე ქმარიც აღარა მყავს.

— რაო?

— ჩვენ ვაეფიარეთ!

— ეს როდისღა მოასწარი, ქალბატონო!“

დედა ჩააცოვდა, კითხვას კითხვაზე აღუგდა, თამარიც კი ასე მოუჭრა: „ეჰ, დედამეო, უქმია ახლა ამაზე ლამაზად, საქმე მორჩიმილია!“

და თამარმ დასტოვა ქმარ-შვილი, მშობლები, სოფელი და თბილისის ჭრთურთ ქარხანაში შოფწყო.

რომ გამართლოს ამ უცნაური ახალგაზრდა ქალის ახირებულ საქციელს, მწერალი მას გარდაქმნის გზაზე დააყენებს, სტახანოველად გაბდის, იგი აქტიური ქალი შეიქნება და სწავლასაც მოკიდებს ზელს. სამწებაროდ ყველაფერი უს ხელოვნურად არის შეკოწიწებული. უფრო ხელოვნური და დაუჯერებელია შემდეგი ამბავი: ნიკომ ვერ აიტანა თამარს მოშორება, საგონებელში ჩავარდა, შუეკითი და გამარჯე ნიკო სულ უქნარად გადაიჭყა. ჯავრით ლოთო-

ბას მიჰყო ხელი. მალე ფილტვები დაქსუსტა და ლოგინად ჩავარდა. თამარიც ვაეფიარ ნიკოს ამგვარი მდგომარეობა, შეეცალა ყვეფი ყოფილი ქმარი, ჩამოვიდა სოფელში, გაამხნევა, აგარაჯე წაიყვანა, მორჩინა და ისევე სოფელში ჩამოიყვანა, თვითონ კი ქალაქში წავიდა.

დაუჯერებელი და მხატვრულად დაუსაბუთებელია თამარის ამგვარი დამოკიდებულება ყოფილი ქმრისადმი, ისევე დაუჯერებელი და დაუსაბუთებელი, როგორც ნიკოზე ცოლად გაყოლა და მასთან გაშორება.

ნიკომ მეორე ქალი შეირთო, გაიმართა დედი ქორწილი. თამარს მშობლები თავლო და ქიტესო დიდი ამბოთა და მოსაყითხით მიდიამ ქორწილში, რომ მიულოცონ ყოფილ სიმეც გაბედნიერება. ხალხი გავიყრებულა, ხომ არ გავიყვანა ეს დედაბერი და ბერიკაციო. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია; სოფელში მანქანის ჰმა მოისმა, მანქანა ნიკოს ეზოში შემოგრიალდა. შეკორწილენი მანქანისაყეს იყურებთან მანქანიდან გახარებული და სახე-ვაბრწყინებული თამარი გადმოხტა. თამარმ სახლის კიბე სასწრაფოდ აირბინა, ოთახში შევარდა, პატარძალი ჩაყოცნა და ნიკოს მიმართა:

— „ყოჩაღ, ნიკო! კარგი ვოგონა ავირჩევეა, ამხანაგო!“

— იცოდე ხალუქი გული მიუტანე, რომ უდროოდ არ ჩასტყენს ყვავილი. გესმის?— და ოდნე დაუქნია სალოკი თითი და თამარმ ზელი მიჰყო ნიკოს ტეხას. ამ ამბავს რომ მორჩა, შემდეგ ისევე პატარძალს მიუბრუნდა, თავისი ვოგონა წარუდგინა და ფუხრა: „აი ნიკოს პირველი შვილი.. შენ იცი, როგორ შეეყვარებ ნიკოს..“

ირველივე ათასნაირი მიტქმამოქმამა. ნიკოს დედა დარეჯანი გულზე სედება, იფოფრება, ვინც ჩემს ნიკოს ცხოვრება აურია იმას რა უნდა ახლა მის ქორწილში.

აი თამარი წამოღდა შეკრული ფუთა ვახსნა, იქედან ორი ძვირფასი საყაბე და თეთრი სახალათე ვადმოვარდა.

— „აი, ჩემო კარგო, ეს შენი საჩუქარია! ნიკოს წილიც არის შიგ!.. ნიკო, ახლა ერთი კიპა ღვინო მომამოდე, დაგლოცო და წავიდე; მანქანა მივდეს!“

დალოცა თამარმ თავისი ყოფილი ქმარი და პატარძალი. რა არის ეს? ეს მწერლის გულუბრყვილო, ზერეულ და დაუჯერებელი ფანტაზია ახალი ცხოვრების, ახალი ადამიანის, საბჭოთაი ქალის და ქალ-ვაჟთა თავისუფალი ურთიერთობის შესახებ, ვინემ რეალური და ბუნებრივი წარმოდგენა ახალი ოჯახის, სოციალის და ადამიანთა ცხოვრების შესახებ.

ცხოვრებაში ასეთი აღმინანები არ არსებობენ. აქ ყველაფერი მწერლის გამოგონილია. აეტრის უნდოდა თამარის სახით ეჩვენებინა ახალი აღმინანის ტიპი, თავისუფალი კარნაკეტალი ადათ-წესებიდან, კულტურული და განათლებული, გულსბმერი და შეშხრალე. მწერალი ამ ნაწარმოებში თამარს და ნიკოს, თავლოსა და ქიტესოს ისე ამოქმედებს, როგორც მას სურს და არ უწყებს ანგარიშს იმ ვარსებებს, არსებობენ თუ არა სინამდვილეში ასეთი აღმინანები, ბუნებრივია თუ არა მათი მოქმედება. მათი საქციელი და მათი განწყობილებანი შეიძლება ცხოვრებაში მართლაც არსებობდნენ ერთეულების სახით ასეთი ახიკრებული ახალგაზრდები და მოხუცები, მაგრამ მწერლის მოვალეობაა დაგვანახოს არა ერთეულები და გამონაკლისების უცნაური ხასიათები, არამედ განზოგადებული სახით მოგვეცეს ტიპიური ხასიათები ტიპიურს მდგომარეობაში. ერთი შეხედვით თამარი, თითქოს ყველაფერს კარგად აკეთებს: ყოფილი ქმარი ავად გახდა. შეეცადა, შეებრალა. მოვიდა სოფელში. აგარაკზე წაიყვანა, მოაჩინოს არა სოფელში ჩამოიყვანა ნიკომ მეორე ცოლი შეიკათო, თამარმ გაიგო, ქარწილში მივიდა, ყოფილ ქმარს და პატარაძალს გაბედნიერება მიულოცა. სატუქრებოც მიუტანა ჩაკოცნა პატარაძალი და უთხრა, შენ იცი, როგორ შეიყვარებ ნიკოსა. ეს დაუჯერებელი და ყალბია. გამოგონილია და მხატვრულად გაუმართლებელი.

ეს მოთხრობა სუვეტრად შეკრული არ არის. დღანტულს და არა მთლიან შთაბეჭდილებას სტოეებს, სუვეტის ყალიბი გაბერილია და ალაგ-ალაგ იგი კალამოტიდან ვარდება. ამის მიზეზია მოფხრობაში ორი ამბავის ხელოვნურად დაკავშირება, მისი ნაძალადეოდ შეერთება. ფაქტურად, ეს ორი მოთხრობა უფროა, ვინემ ერთი ტატეს, ბაბალეს, მისი ქალშვილის — თინას და აკაკი გუნჯაძის ცხოვრება, ეს ერთი ამბავია, ერთი მოთხრობაა, ხოლო თამარს, ნიკოს, თავლოს და ქიტესოს ცხოვრება, ეს მეორე ამბავია, მეორე მოთხრობაა. მათს შორის მთლიანი, ორგანიზებული კავშირი არ არსებობს. პირველი მეორედან არ გამომდინარეობს. ფაქტურად ისინი და მოუკიდებელი მოთხრობებია. მათს შორის

მიზეზობრივი კავშირი სუსტად არის მოტივირებული. საქმეს ვერ შევლის ის განაზოება, რომ ტატესა და თამარს შორის სიყვარული მოიკიდებს ფესს, ვერც ის, რომ თამარი ტატეს ჩამოიყვანს თავის სოფელში და ვერც ის, რომ ტატე ფინეთიდან სიყვარულის ბაზათებს ეგზანის მას მომავალი ცხოვრების შესახებ. ყველაფერი ეს მკრთალი და სუსტია. მათი სიყვარული ნაწარმოებში მექანიკურად და ნაძალადეოდ არის შემოტანილი. ვერც იღუერი ზერხემალი გამოიყურება გამძლეად ამ მოთხრობაში. მწერალს აუღლია გვერდი სოფლად არსებულ მძაფრი კლასობრივი ბრძოლებისათვის. მოთხრობა მიმდინარეობს კოლმურნეობის წამოყალიბების წინა პერიოდში და შემდეგ, როცა კოლმურნეობები უკვე ჩამოყალიბებულია. ეს ის დროა, როცა ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკური პარტია დიდი სტალინის მეთაურობით გაშლილ სოციალისტურ შეტევას აწარმოებდა კულაკობისა და კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ. ხდება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია და საკოლმურნეო მოძრაობა ბრძოლით იკადავს ვხსს. ეს ამბავი, როგორც ეციით უმტივირებულად არ მომხდარა. ამ ნაწარმოებში კოლმურნეობის არსებობა და კლასთა ბრძოლა, რომელსაც მეტად დაძაბული ხასიათი ჰქონდა, სრულებით არ იგრძნობა. საერთოდ თუ არსებობდა ამ დროს კოლმურნეობა, სრულებით არ ჩანს და ვერც გაიგებთ, თუ არ მივიღებთ მხუდველობაში ერთადერთ სიტყვას, რომ თამარს კოლმეტრეში უნდა იმეშას და ოჯახი უშლინ მას კოლმეტრეში სიარულს, ჩადგან ნიკო კოლმეტრეშია და ქალი კი ოჯახში უნდა იყოსო ესა და ეს.

რასაკვირველია, ამ მოთხრობას უარყოფით მხარეების გარდა საქმაოდ გააჩნია დადებითიც. ამ მოთხრობის დადებითი თვისება ისაა, რომ შიგ მკვეთრად არის ხაზგასმული სოციალისტური მშენებლობისა და საერთოდ საბჭოთა ეპოქის გარდამქნელი ძალა აღმინანთა აღზრდის საქმეში. ნაწევნებია, თუ როგორ ზრდის, ანეითარებს, აკეთილშობილებს და ავალბებებს აღმინანებს საბჭოთა წყობილება.

დ. მინაღორაშვილი.



ანალიზი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები № 1947

ბიბლიოგრაფია

1945 წლის ოქტომბერში ორასი წელი შეუსრულდა XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებას „საქართველოს ცხოვრებას“.

ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების ეს მნიშვნელოვანი თარიღი ჩვენმა საბჭოთა მეცნიერულმა საზოგადოებრივობამ საგანგებოდ აღნიშნა: მას მიეძღვნა სპეციალური სხდომები, შრომათა კრებულები, წერილები.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა თავის მხრივ მოაწყვეს გაერთიანებული საიუბილეო სენია, რომელზედაც მოსმენილი იყო ათეული სამეცნიერო-კვლევითი მოხსენება.

ისტორიის ინსტიტუტის ნაშრომათა მორიგი წიგნი, რომელიც „ენიმუს“ მოამბის ტრადიციას განაგრძობს, მაგრამ ამ ინსტიტუტის ორად გაყოფის შემდეგ „ანალიზის“ I ტომის სახით გამოდის, ამჟამად საგანს მიეძღვნა. მასში, უწინარეს ყოვლისა, გამოქვეყნებულია ის მოხსენებები, რომლებითაც წარსდგა ინსტიტუტის კოლექტივი ზემოაღნიშნულ სერიასზე.

სარეცენზიო ტომის რედაქტორი აკად. ს. ჯანაშია იყო; განსვენებულმა მეცნიერმა არსებითად დამატარა მისთვის ამ უკანასკნელი ტომის რედაქტირება, თუმცა ზელსმოწერა ვეღარ მოასწრო...

ტომი იწყება ს. ჯანაშიას წერილით „ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ“. ეს ნაშრომი ქართული ფეოდალიზმის პრობლემისადმი მიძღვნილი ვრცელი მონოგრაფიის ერთ ნაწილს წარმოადგენს. მასში განხილულია და ისტორიულად შეფასებულია ვახუშტის მიერ აღწერილი ფიგურები საზოგადოების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები — შემოქმედრობითი უფლების გარკვეული სახე, ამ უფლების მატერიალური საფუძველი, სამხედრო საქმისა და სამსახურის განსაკუთრებული მნიშვნელობა და სხვ. ქართული ფეოდალიზმის საზოგადოების ვახუშტისეული აღწერილობა, რომლის მიხედვით ეს საზოგადოება განვითარების პროცესში წარმოდგენილი („შეშინებული წესი“ და სხვ.) და მის მიერ მოცემული განზოგადოვანი სიმუხლებს აღლევს ს. ჯანაშიას ხაზი გაუსვას იმ წარმატებას, რომელსაც მიაღწია ამ დროსათვის ქართულმა ისტორიოგრაფიამ და მაღალი შეფასება მისცეს საკუთრივ ვახუშტის როგორც ისტორიკოსს.

დოქ. შ. მესხიას წერილი „ვახუშტი და ძვე-

ლი ქართული საისტორიო მწერლობა“ ეხება ვახუშტის ისტორიის წყაროებსა და მათადამი ვახუშტის დამოკიდებულებას. ავტორის დაკვირვებით ვახუშტი ვარდა „მალი ქართლის ცხოვრებისა“, რომელიც მისთვის ძირითად წყაროს წარმოადგენდა, ისეთი წყაროებითაც სარგებლობდა როგორცაა სუბმათ დავითის-ძის ქრონიკა, თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება, ლაშა-ვიორგის დროინდელი მატიაზე, საპართლის ძეგლები, გუჯარები, ბერძნული ხრონოლოგიები, სომხური წყაროები, ბარონიუსის „საეკლესიო ანალები“, სტრატიმანის „თეატრის მატიაზე“ და სხვ.

ავტორს მოყვანილი აქვს არა ერთი და ორი ფაქტი წყაროებისადმი ვახუშტის კრიტიკული უამოკიდებულების დასამტკიცებლად, ამ ფაქტების სინათლეზე ვახუშტის სიტყვები „ეიშოვეთ და შემოწმებულად ექმენით“ წარმოაჩენს მასში თავისი დროის არა მარტო დიდს ერუდიტს, არამედ აგრეთვე ფიზიკლსა და კრიტიკული აღლთის დაჯილდოებულ ისტორიკოსს.

ვრცელი წერილი მიუძღვნა დოქ. ე. ვაბაშვილმა ვახუშტის შეფასებას XVII — XVIII საუკუნეთა ევროპული ისტორიოგრაფიის ფონზე. ამ საკითხის გარკვევის მიზნით ავტორი დაწერილებით იხილავს ვახუშტის წინა დროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიას, აღნიშნავს იმ მაღალ დონეს, რომელსაც მიაღწია ქართულმა საისტორიო მწერლობამ XI — XII საუკუნეში, შემდეგ ზოგადად არკვევს XVII — XVIII საუკუნეთა ევროპული ისტორიოგრაფიის ძირითად მიმართულებებს და ამჟამად პერიოდის რუსულ ისტორიოგრაფიას.

ავტორი ეხება იმ უცხოურ წყაროებს, რომლებიც მოხსენებული აქვს ვახუშტის, ან რომელთა კვალი ამჟამად მოჩანს მის ისტორიაში (ე. ბარონიუსი, ე. სტრატიმანი, ლ. ფელიე, დელილი; ბერძნული, სომხური და სპარსული მატიაენი; რიკოტი კანტემირი, ი. გონელი და სხვ.) და გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ ვახუშტის ევროპული ისტორიული ლიტერატურა უნდა გაეცნო როგორც რუსულ თარგმანებში, ისე ლათინურ ორიგინალებში. ამის შემდეგ ავტორი იძლევა შეფასებას ვახუშტისას, რომელიც, ზოგა ნაკლის მიუხედავად, არამცხოვრებელი XVII — XVIII საუკუნეთა ევროპული ისტორიოგრაფიის სიმალღვე იღგა, არამედ, გარკვეულ შემთხვევებში, უბირატე-სობითაც განსხვავებულად ბევრი იმპროინდელი ისტორიკოსისაგან.

როგორც ცნობილია, ვახუშტის ნაშრომს დართული აქვს მის მიერვე შედგენილი ატლასი, რომელიც შეიცავს მსხვილმასშტაბიან რუკებს. მათი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ვახუშტი აქვდა მისი დროის ქართველთა განვითარების სიმაღლეზე დგას; ქ. თბილისის ვახუშტისეული „სახე“ შარდენისა და ტურნეფორის მიერ შედგენილ რუკებთან შედარებით გაკლებით უფრო ზუსტი და სანდო აღმოჩნდა.

დოქ. ვახტანგ ბერიძის წერილი „XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით“ სწორედ თბილისის ვახუშტისეული „სახე“ შეეხება. ამ გეგმის მონაცემებისა და ვახუშტისავე თხზულებაში დაცული ცნობების საფუძველზე ავტორი არკვევს და თანამედროვე თბილისის საორიენტაციო პუნქტების შესაბამისად ადგენს ვახუშტისჯგოფიანი თბილისის სამ ძირითად ნაწილს (თბილისი, კალა, ისანი); ქალაქის ციხე-გალავნებს, ძირითად მაგისტრალებს და ნაგებობებს და სხვა-ამასთანავე ხსენებულ ნაშრომში ვახუშტისეული და ვახუშტისდროინდელი ცნობების შეპირისპირების გზით გარკვეულია ქალაქის ბუნებრივი ზრდის პერსპექტივა.

ვახუშტისეული გეგმის შესწავლამ და მასთან ერთად წერილობითი წყაროებისა და დღევანდლამდე შემონახული ნაშთების მოშველიებამ კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ ვახუშტის ისტორიულსა და გეოგრაფიულ თხზულებებს სავსებით კანონიერად აქვთ მოჭევილი ის ნაწილი, რომლითაც ისინი სარგებლობენ. გარდა უშუალოდ ვახუშტის მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი წერილებისა, „ანალების“ ამ ტომში მოთავსებულა რამდენიმე ეთნოგრაფიული და ისტორიული ნაშრომი.

პროფ. ვ. ჩიტიას წერილი „ხევსურული სახლის სენე“ შეეხება ხევსურული სახლის ამ ნაწილს, რომელშიაც, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო მკვეთრად მოჩანს ხევსურთა სამეურნეო ყოფის თავისებურებანი. ხევსურეთში დამოწმებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის ტიპოლოგიის დადგენის შემდეგ („კოლონიის სახლი“, „კომუნური სახლი“, „საბაღური სახლი“ და „ბარული სახლი“) ავტორი იძლევა ხევსურული სახლის ზუსტსა და ვრცელ აღწერილობას და ამ სახლის ცალკეული სართულებისა და ნაწილების სამეურნეო და სოციალური ფუნქციების ამოხსნას. ამ ნაშრომში მოაჯარი ყურადღება ექცევა „სენეს“ დანიშნულებისა და მისი კულტურულ-ისტორიული რაობის გარკვევას. დადგინდა, რომ ხევსურული სახ-

ლის ამ ნაწილის ერთადერთი ფუნქცია რძის პროდუქტების დამზადება-შენახვა და სწორედ მით არის შეპირობებული მისი ცეცხლის ადგილიცა და ტექნიკაც, მთის წლის მსხვილფეხა მესაქონლეობის ნიადაგზე აღმოცენებული ხევსურული სახლის „სენეს“ მოძებნილი აქვს პარალელები ანალოგიურ სამეურნეო ნიადაგზე აღმოცენებულ ნაგებობათა შორის; ასეთია აჭარული ზღა-სახლისა და მესხური დარბაზული სახლის „სარბიე“ და სვანური სახლის — „სენა“.

ნაშრომში მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად, მოტანილია ქართული ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური ძეგლების, კლასიკური მწერლობის მონაცემები და ასურულ წყაროებში დაცული ცნობები; ამ მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ხევსურული სახლის „სენე“ ქართველ ტომებში რძის მეურნეობის ძველთაგან მომდინარე ტრადიციებზე და განვითარების მთლიან დონეზე მიუთითებს.

დოქ. კ. ზარაძის ნაშრომში „ხევსურული რჯული“ ვრცლად არის განხილული ხევსურთა ჩვეულებითი საბაზლის საკითხები — უმთავრესად ავტორის მიერვე წლების მანძილზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ხევსურული რჯული, როგორც გვაროვნული წყობილების წიაღში აღმოცენებული ინსტიტუტი. ყველაზე კარგად სწორედ სისტემატისობაში მოჩანს და ამდენად ხვესურული რჯულის საკითხი გვაროვნული წყობილების ამ ინსტიტუტის მასალაზე განხილული. ძირითადი ტერმინების გარკვევისას; ავტორი არსებითად ივანე ჯავახიშვილს მისდევს და აბალი ეთნოგრაფიული მასალით ამოკავებს ამ ტერმინების ინტერპრეტაციას. შემდეგ ავტორი იხილავს მკვლელობისა და დაჭრის ნიადაგზე აღმოცენებული ურთიერთობის საკითხებს და მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით უჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული ხევსურული რჯულში ბჭეებისა და ანჯარებებს. ნაშრომში გაშუქებულია აგრეთვე ხევსურული რჯულის შედარებით აბალი შენაძენი — გარეგანა ანუ რიგის დაყენება, რაც ველის-ხეობის „მამკედარისა“ და „მამკელავის“ ნათესავთა უსისხლოდ შერეობას გარკვეული საფრავის გადახდის შემდეგ (თვ-ნისხლი, პატრეი, სამასნლო). ეს ნაშრომი მრავალ აბალ მასალას შეიცავს ხევსურთა საზოგადოებრივი ყოფის უძველესი ფორმების შესწავლის თვალსაზრისით.

ლ. ბოჭორიშვილის წერილი „კახური ჩაცმა-დახურვა“ მოცემულია კახელი ქალის ჩაც-

შუღაბის მეცნიერული აღწერა, ავტორის დაკვირვებით კახელი ქალის ძირითადი და ტიპური ჩასაცმელია საქართველოს სხვა ეთნოხევისში ფართოდ გავრცელებული ე. წ. ქართული კაბა, რომელსაც აქ წელიანი, ყურთ-მუჯიანი და სარტყელფულისპირიანი კაბა ეწოდება. შრომაში ნაჩვენებია ამ კაბისათვის ხმარებული მასალა, მისი შეკერვის ტექნიკა და ის შემთხვევები, როდესაც ამ კაბის ჩაკემა აუცილებელია (ქორწილი, ქმრის გარდაცვალება). გარდა ამისა, აღწერილია კახელი ქალის ზემოდან ჩასაცმელიც: ქათიბი, დობანდი, ტალმა და სხვა. დაწვრილებით არის აღწერილი მესტები, ჭოშები, ფოსტლები, წინდები. დისასრულ, ავტორს განსაკუთრებული ყურადღება მიუძღვით კახელი ქალის თავსაბურავისათვის. აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია აღწერილობა სინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა ქართველი ქალის ჩაცმულობის ისტორიისათვის.

დოკ. ალ. რომაქიძის წერილში „თოფის წამლის დამზადება პირაკეთ ხევისრეთში“ ავტორის მიერ ხევისრეთში შეკრებილი მასალა შედარებულია მის მიერვე შეკრებილ სენსორ, რაჭულ და დიდორე მასალასთან. ხევისრეთელი მასალის შედარებით შესწავლისა და ლიტერატურული წყაროების მოშველიების შედეგად დადგენილია კულტურის ამ ელემენტის ერთობლიობა კავკასიის მთიელთათვის.

დოკ. მაქს ბერძნიშვილის წერილში „იონი-ვარაზგაჩასათვის“ მოყვანილია ისტორიული წყაროებში დაკვირვებული ცნობა იონი-ვარაზგაჩას ვინაობის შესახებ, რომელიც აქამდე მიჩნეული იყო იონი ათონელად, ცნობილი ექვთიმე ათონელის მამად. ავტორის გამოკვლევით X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ძეგლებში მოხსენებული იონი-ვარაზგაჩე იონი-თორნიკეს ძმაა.

დოკ. ო. სოსელიას „წერეთლიანთ სათავადოს ისტორიიდან“ ვრცელი მონოგრაფიის ნაწილია. ამ ნაშრომში ავტორი ამატებს უმთავრესად ორ საკითხს დას. საქართველოს ამ დიდი ფეოდალური წარმონაქმის ისტორიიდან — წერეთლიანთ დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, იმერეთის სამეფო ტახტთან, ხოლო, მეორე მხრივ, იმერეთში რუსეთის თვითმპყრობელურ პოლიტიკასთან. XVII — XVIII საუკუნეთა ისტორიული დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგენილია ფაქტები, რომლებიც ნათელსკოფენ ზაალ და პაპუნა წერეთლის ბრძოლას იმერეთის სამეფო ტახტის წინააღმდეგ; გარკვეულია აგრეთვე წერეთლიანთ საგვარეულოს სხვა გამოჩენილი წარ-

მომადგენლების როლი სოლომონ I და სოლომონ II ტახტის განმტკიცების საქმეში და ნაჩვენებია წერეთლიანთ ორი განსაკუთრებული შრომის ერთი სამეფო ტახტის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, ხოლო მეორე ზელს უწყობდა იმერეთში რუსეთის დამკვიდრებას. წერეთლიანთ სათავადოს კარგად დახატული სურათი მნიშვნელოვანი წყაროა გვიანფეოდალური საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

დოკ. გ. მელიქიშვილმა თავისი ნაშრომი უძველესი ურარტული ტომების უძველესი კერის ლოკალიზაციის საკითხს. ამ მიმართულებით ძიებისას ავტორი გამოდის ზურულ და ურარტულ ენათა მონათესაობის ფაქტიდან და ამ ენებთან დაკავშირებულ ეთნიკური ელემენტების გავრცელების ფარგლებში ძვ. წ. მეორე ათასწლეულში ავტორის მიერ ძველ ტექსტებში მიკვლეულია ტოპონიმიკური მასალა, რომლის ანალიზის შედეგად იგი აღგენს „ლულუ“ ზალის ადგილსამყოფელს. ეს ზალბი დიდი ხნის განმავლობაში მტრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ურარტუსთან და ამდენად მისი სახელწოდება „მტრის“ აღმნიშვნელ სიტყვად გადაიქცა. ავტორის მიერ ლოკალიზებულია სალმანასარ I ერთ წარწერაში მოხსენებული „ურარტი“, რამაც ზემოთმოყვანილ მასალასთან ერთად საშუალება მისცა ავტორს წამოეყენებინა დებულება, რომლის მიხედვითაც ურარტუსა ერთი უძველესი პოლიტიკური და კულტურული კერა ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სანახებში არის ნაგულისხმევი.

დოკ. ვლ. ფეთურიძის წერილში „ქართველი მოღვაწეები ურანის კულტურულ ასპარეზზე“ მოცემულია მასალები იმ ქართველების შესახებ, რომელთაც XVI — XVII საუკუნის მანძილზე სპარსულ ლიტერატურას გარკვეული კვალი დაატყვეს. ავტორს მოყვანილ ფაქტები, რომლებიც ასახავენ ქართველთა მონაწილეობას ურანის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სამხედრო ცხოვრებაში. იგი იხსენიებს რუსტომიან სააკაძეს, რომელმაც ვერ კიდევ ყრმამ შეაფარა თავი ურანს და შამაბას II ტახტზე ასვლისას ურანის შეიარაღებულ ჯარებს სარდლობდა ხორისანში და რომელმაც თავისი მოქიშვე ვეზირის მსხვერპლი გახდა მოყვანილია აგრეთვე ცნობები ურანში მოყოლი ქართველი მხატვრების, ზოიომ-ბეგისა და ჯაბადარის შესახებ, რომელთა შორის პირველზე სპარსული წყაროები ამბობენ: „ვერც ერთი ოსტატი ვერ შეედრებამ“... ცნობები სპარსულ ლიტერატურის სარბიელზე მოღვაწე ქართველთა შესახებ ავტორის ამოღებული აქტს

შირზე მოამედი თავრ ნასრაბადის თესქერი-
დან (ანთოლოგია), რომელშიც დაკულია ქაი-
ხოსრო-ანის, ზეინალბეგის, სოჰრან-ბეგის, ფას-
ლი ალი-ბეგისა და ალი-ხან-ბეგის ლექსების
ჰეიზე ფრამენტები.

ზოგ ნაშრომს დართული იქვს ნახაზები და
ფოტოსურათები.
„ასაკარადის“ I ტომი შედგება 111 მუხარფი
ქართულ საბჭოთა ისტორიულ მუცხიერებაში.

ალ. როზაპიძე.



მ. ლერმონტოვი „მასკარადი“ ოთხმოცმედეზიანი დრამა ლექსად.
თარგმანი დავით ბაჩიჩილასისა. სახელგამნი 1947

დიდი რუსი პოეტი მიხეილ ლერმონტოვი
მხოლოდ ხუთი პიესის ავტორია და უნდა ით-
ქვას, რომ გენიოსი ლირიკოსის დრამატურგია
მისი პოეზიის პარალელურ მოვლენას წარმოად-
გენს. ამიტომ, რაც აწუხებდა ლერმონტოვს
თავის ლირიაში, იგივე იყო მისი დრამატურ-
გის საგანი. მისი პირველი დრამები „ესპანე-
ლები“ (1830), „ადამიანები და ენებანი“ (1830)
და „უცნაური კაცი“ (1831) უფრო ავტობიო-
გრაფიულ ხასიათს ატარებენ. „ორი მამა“ (1836)
უკვე არღვევს ამ ავტობიოგრაფიულობის
რკალს. რაც შეეხება „მასკარადს“ (1835 —
1836) — იგი რუსული კლასიკური დრამატურ-
გის უდავო შედეგია.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მიერ
დღეს უკვე საკმარისად აღდგენილია „მასკარა-
დის“ შექმნისა და მისი დადგმის ისტორია, რა-
დესაც 21 წლის ლერმონტოვმა პირველად წა-
რუდგინა მეფის ცენზურას თავისი დრამა „მას-
კარადი“ პეტერბურგის თეატრში დასადგმე-
ლად. იგი ჯერ კიდევ უცნობი პოეტი იყო. მან
სახელი პირველად მხოლოდ 1837 წელს მოი-
ხვეჭა, როდესაც ა. პუშკინის სიყვდილს მრისხა-
ნე ლექსით გამოეხმაურა. უცნობი ავტორის
პიესა მეფის ცენზურამ „უზნეო ნაწარმოებად“
გამოაცხადა და მისი დაჯგმა თეატრში აკრძალა.

ლერმონტოვის არცერთი დრამა მისი სიცოცხ-
ლის დროს არც დაბეჭდილა და არც დადგმულა.
„მასკარადი“ პირველად მხოლოდ 1842
წელს დაიბეჭდა, პოეტის სიყვდილის ერთი
წლის შემდეგ. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ
დრამას, ისინი მხოლოდ 1880 წელს დაიბეჭდა
ერთ წიგნად. უფრო საბედისწერია ლერმონტო-
ვის პიესის სცენიური ისტორია. დღეს უკვე
საკმარისად დადგენილია, რომ ლერმონტოვი
„მასკარადს“ თეატრისათვის სწერდა: იგი უნდა
დადგმულიყო ცნობილ მსახიობ-ქალის მ. ვალ-
ბერხოვსა საბუნებისოდ პეტერბურგში. ამ მსა-
ხიობმა იმდენი ვერცხა და დაიწინა გამოიჩი-
ნა, რომ მიაღწია კიდევაც თავის მიზანს და
1852 წელს მაინც დადგა თავის ბენეფისზე

„მასკარადი“. თუმცა არა სრული ტექსტით.
ამის შემდეგ იგი 1853 წ. მოსკოვის მცირე
თეატრში დაიჯგა მთლიანად. მაგრამ ოდიცია-
ლურად მეფის ცენზურის მიერ „მასკარადის“
დადგმის ნებართვა მხოლოდ 1862 წელს იყო
გაცემული. მანამდე მეფის ცენზურა არ უშ-
ვებდა ამდროინდელი მაღალი საზოგადოების
მამხილებელ პიესას, მაგრამ დრომ ვერ დაბ-
ლენგა ამ შესანიშნავი ნაწარმოების სატრუ-
ლი ძალა. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწ-
ვევს ის ვებულება, რომ „მასკარადი“ — სო-
ციალური დრამა. არბენინის ტრაგედია — ნი-
კოლოზ პირველის საზოგადოების „მასკარადის“
სახიზლოობისა და უჯგანობის შედეგია. მიე-
ლი ის ავტორი, რომელიც ასტეხა არბენინმა
პეტერბურგის მაღალ საზოგადოებასა და სა-
კეთარ ოჯახში ბუნებრივად გადიზარდა ამ
საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ამბოხ-
ბად. ლერმონტოვმა, რომელიც კარგად იც-
ნობდა ამ მაღალ საზოგადოებას, დიდი მამხი-
ლებელი ძალით გამოამქლავნა მისი ვტიკტის
სიყალბე, ჩამოაღიჯა ამ საზოგადოების წარ-
მოადგენლებს ნიღაბები და გააშიშვლა ჩვენს
წინ მათი ნამდვილი სახეები: ბანქოს მოთამა-
შეების, შულერების და სხვა ათასგვარი ვი-
გინდარებისა — „век блестящий, но нич-
тожный“, როგორც თვითონ ლერმონტოვი
ახსიათებს იმ დროს. არბენინი დიდი სულიე-
რი ძალის პიროვნებაა, მის სურს ნინასაღმი
სიყვარულში ჰპოვოს სულიერი აღორძინება,
მაგრამ პეტერბურგის „დიდაკურმა“ საზოგა-
დოებამ გასთელა მისი რწმენა და სიყვარული:
ნინა იღუებდა, არბენინი ვაგიუდებდა.

შველი დროის რეაქციული პრესა ავრკე-
ლებდა „მასკარადის“, როგორც თეატრალური
ნაწარმოების, არასცენიურობის ლევერდას, მაგ-
რამ ავტორ კიდევ 1843 წელს რუსული სცენის
უდიდესი ტრაგიკოსი მ. მოჩალოვი მოითხოვდა
„მასკარადს“ თავის საბენეფისოდ: „Он го-
ворит, что он воскреснет в этой драме“
უებნებოდა ბოტკინი ა. კრავცკის. მართალია,

3. შოხალავს არ ეღივსა არბენინის როლის შესრულება, მაგრამ რუსულ ძველ თეატრს ახსოვს ისეთი მსახიობები, როგორც კარატივინი, აგრამოვი, სამარინი, სამოილოვი, პისარევი და ლუნსკი, რომელთაც შესანიშნავად განახორციელეს არბენინის როლი. ნინას როლს ასრულებდნენ ისეთი მსახიობები, როგორც სავინა, ფედოტოვა და სხვ. არბენინის როლს განსაკვირვებელი შესრულებები იყო ჩვენს დროში განსვენებულ იური იურიევი. ქართულ ენაზე „მასკარადი“ პირველად გადმოთარგმნა ვრ. წინამძღვრიშვილმა 1864 წელს პრიზად. დაიდგა კიდევაც 1889 წელს ქართულ სცენაზე: არბენინს ასრულებდა — კოტი მესხი, ნინას — ეფემია მესხი.

სამუშაო ხელისუფლების დროს ქართულ სცენაზე „მასკარადის“ დადგმა პირველად განახორციელა მარჯანიშვილის თეატრმა (რეჟისორი ვ. უშვიტაშვილი) 1945—1946 წლებში. სპეციალურად ამ დადგმისათვის „მასკარადის“ ახალი თარგმანი შეასრულა პოეტმა დავით გოჩეილაძემ. პიესა დღევანდლამდე დიდის წარმატებით იდგმება. კარგად მოიქცა საბოტაჟში, რომ ეს პიესა ცალკე წიგნად გამოიცა, რადგან „მასკარადი“ არა მარტო თეატრალური, არამედ დიდი ლიტერატურული მოვლენაა. სამწუხაროდ პიესის დადგმის დროს თარგმანი ჩვენს რეცენზენტებისაგან არავითარი შეფასება არ მიიღო. ალბათ იმიტომ, რომ ძნელია თარგმანის შეფასება მხოლოდ პიესის მოსმენით, საქმითა მისი წაითხვაც. უნდა ითქვას, რომ დ. გოჩეილაძემ შესწავლა ამ ძნელი და სპასტისმგებელი თარგმანის შესრულება ცალკეული ადგილები და მონოლოგები ლერმონტოვისებურად ეღერენ. მიუხედავად ამისა ზოგჯერ იგი ადგილების თარგმანი ვერ გვაქვამოფილეს, ცხადია, არა იმიტომ, რომ ეს ადგილები უხეიროდ ან ცუდად ყოფილიყოს თარგმანი, არამედ იმიტომ, რომ ლერმონტოვის მთარგმნელისაგან უფრო მეტს მოვითხოვთ, რადგან როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, „მასკარადი“ მსოფლიო დრამატურგიის ერთერთი შედევრია.

როგორც ვრიბოვლოვის „ვაი ჭკუისაგან“, აქაც ლერმონტოვი ზოგ ადგილებში მიმართავს აფორიზმებს, რომ უფრო მეტს სიძლიერით გამოამყლავნოს თავისი სიტყვის მამხილებელი ძალა. აი, მაგ., „Кто нынче не гнется, ни до чего тот не добьется“, რაც შესანიშნავად გამოხატავს იმდროინდელ ევგრაფოვდებულ შიდალი საზოგადოების ერთერთ დამახასიათებელ თვისებას. მთარგმნელის მიერ ამ თქმის აფორისტული ძალა შესუსტებულია: „ვინც

ორკეცად არ ილუნება, ის რას მიაღწევს, ღმერთს ამოღ დავიმდურება“ (გვ. 5). ფიფქოს ადგივი, მაგრამ მაინც ის არაა. ან კიდევ: „портрету хорошему — оригинал-то скверен“ — „კარგათ დახატუ—თუმც დედანი ცუდია მეტად“ (გვ. 8). არც ეს ვარგა. „в тебе одном весь отражился век, век нынешний, блестящий, но ничтожный“, ქართულად „მხოლოდ შენშია, ვით სარკეში გამოხატული, ამ სუქუნის ბრწყინვალება ფქსაეატური“ არ გამოხატავს მაინც ლერმონტოვის სიძლიერეს.

კარდა ამისა თარგმანში მოიპოვება არა ზუსტი გამოთქმები, მაგ., „ვით ნიაღვარი, მე თან დამყვა მდულარე სული, სანამ ვაღბვება, ის ქვასავით არის მაგარი“ (გვ. 39). „ნიაღვარი... მესამავით მაგარი“—ცუდი შედარებაა, ლერმონტოვი ადარებს არბენინის მდულარე სულს ველკანის ლავას და არა ნიაღვარს: „как лава“, „შემიძლია შენი ფიქრიც კი დავინახო“ — (გვ. 18). არ ვიცი როგორ შეუძლია? ლერმონტოვი აქვს „о чем ты размышлял. — и это мне известно“. „მე კი ჯერ მიინავს“ (იქვე), რატომ „მიინავს“, როდესაც არის „Зеваю“? განა ეს ერთი და იგივეა? „Пламенный любовник“, — „ცეცხლოვანი მიჯნური“ (გვ. 39) არ ვარგა.

მეორე მოქმედებაში ბარონესა შტრალის მონოლოგში ლერმონტოვმა ჩააწოვა თავისი აღშოთება იმდროინდელი ქალის უნუგეშო მდგომარეობის გამო, როცა ქალს უტყუროდნენ, როგორც შამაკაის სათამაშო ნივთს: „зачем живем мы? для того ли, чтоб вечно угрождать на чуждым нрав и рабствовать всегда“ — ესე იგი, ნუთუ იმისთვის ვცხოვრობთ, რომ სულ მუდამ შამაკაის გუნებაზე ვიყოთ, „нрав“ აქ ზნეობას კი არ ნიშნავს, არამედ გუნებას, ხასიათს, ამიტომ თარგმანში არ არის სწორი „საძულველ წესებს ზნეობისას“, გამოდის უზნეობის ქაღაგება. შემდეგ იგივე შტრალი ამბობს, რომ ქალი შამაკაში აფთხებს იმას; თუ როგორი დატენებით მიისწრაფის იგი თავის სუტრფოსთან, „женщины ценят настойчивость в мужчине“, რა შუამია აქ სულის სიმტკიცე (გვ. 53), ქალი კი უნდა იყოს უფრო თავდაპირილით და მოკრძალებული შამაკაის მიმართ და არა „ქეთილი და ფრთხილი“: „поменьше строгости и скромности побольше“.

კაზარინი შპრისხს შენობით ელაპარაკება, შპრისხი კი თქვენობით, ეს გატყუებდა ლერმონტოვის მიერ განგებ ზანგასმულია, ეს ახალიათებს, როგორც კაზარინს, ისე შპრისხს. ეს

განსხვავება არ არის დაცული თარგმანში: „შენ სულ ხუმრობ“, ეუბნება შპრიხი კახარინს, ან „მინდა სხვა გელაპარაკო“ (გვ. 58). შემდეგ: შპრიხს სურს მიპყიდოს კახარინს მწვერარი ძაღლები, ძალიან ჩააცვივდება, მაგრამ არაფერია გამოვა „Ваш брат находится этой был бы рад“ და „ваш брат охотник, вот купить бы славно“, ეუბნება იგი კახარინს. შთარგმნელს სიტყვა-სიტყვით გადაუთარგმნია „თქვენნი მამა არის მონადირე, თუ გამოსალდეს“ და „თქვენს ძმის ეს დიდად გაახარებს“, (გვ. 58) საქმე იმაშია, რომ აქ კახარინის არაერთი მამაზე არ არის ლაპარაკი, ეს მხოლოდ მიმართებაა, რაც რუსებს ხშირად სწვევიათ, ესე იგი თქვენსთანა ხალხმა, მონადირე ხალხმა, ასეთი მწვერები რომ იყიდოთ დიდად გახარებული იქნებით და სხვა-შემდეგ აქვე კახარინი ეუბნება შპრიხს „В женитьбе верность, счастье — все враки“ და ურჩევს „не женися, Шприх“, ესე იგი, ერთგულება, ბედნიერება ყველაფერი ეს ტყუილი ყოფილა, ამიტომ ცოლი არ შეირთოთ. შთარგმნელს სულ საწინააღმდეგო აქვს: „ოჯახში ცოლის ერთგულება ყველაფერიაო“. (გვ. 81) „Ну, а там стрелялись?“ ვ. ი. დღელი შესვლა თუ არაო, თარგმანშია „შერე სროლა იყო!“, „что слезы женские? вода!“ — თარგმნილია „დღედაციის ცრემლი რაა? წყალი წვიმისა?“ რატომ „წვიმისა?“ შეიძლება მოქმედებაში უცნობი უამბობს არბენის თავის ცხოვრების ისტორიას, თარგმანში

უცნობი ისე ლაპარაკობს თითქოს თავის თავზე კი არა, არამედ სხვა ვიღაც უმწველზე ლაპარაკობდეს: „შენ იცნობდი... შენთან დავიდა და ითამაშა“ და სხვა, მაშინ, როდესაც ლერმონტოვთან უცნობი პირდაპირ ამბობს „я был молод.. я сел играть с тобой“ და სხვ.

სამ ადგილას ლერმონტოვის სტრუქტურები სრულიად გამოტოვებულია და არ არის თარგმნილი. რატომ? თეატრი თუ მიმართავს ხოლმე ამ ცუდ ტრადიციას, თარგმანში ყოველ შემთხვევაში ეს საეხებით დაუშვებელია. შესაძლო მოქმედების არბენის მონოლოგში გამოტოვებულია „Но я не бою и не прощаю“ (გვ. 89), შეიძლება მოქმედებაში „Ну вот и я упал пред вами на колени“ (გვ. 118), კახარინის სიტყვები „Не правда ли, что древле все было лучше и дешевле“ (გვ. 65). სამაგიეროდ სრულიად მძულვებელია ისეთი ჩამატება ლერმონტოვის ტექსტში, როგორც „ო, მე კი არა შენ ხარ მკვლელ“ (გვ. 118). ამას ასე აშკარად არბენის არ ეუბნება უცნობს და რა საჭირო იყო ამის შეთხზვა.

პოეტმა დ. გაშენილიძემ, ეიმორებით, დიდი შრომა გასწია „მასკარადის“ თარგმანზე. ეს საშკაროდ სწინას, ამიტომ ვფიქრობთ, რომ შთარგმნილი მიიღებს ყველა ამ შენიშვნას და გადახედავს თავის თარგმანს, რათა უფრო სრულყოფილად გამოიუფერებოდეს იგი.

თეატრალი.



მუსკან ლეზანიძე — „მშობი“, ლეკსების კრიტიკული

მხატვრულ ლიტერატურას, კერძოდ კი საბავშვო ლიტერატურას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. ახალგაზრდობის მხატვრული აღზრდა სწორი ნიდაზე რომ იხვეს, ამისათვის საჭიროა თვით საბავშვო ლიტერატურა იდგეს მაღალ იდეურსა და მხატვრულს დონეზე. ამ მხრივ ქართულ საბავშვო ლიტერატურაში ბევრი კარგი და სასარგებლო ნაწარმოები მოიპოვება. მათ შორის აღსანიშნავია ახალგაზრდა პოეტის მურმან ლეზანიძის საბავშვო ლექსები, რომელიც საბოლოტკამმა გამოსცა 1948 წელს. მურმან ლეზანიძე ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტია. მისი ნიჭი და მხატვრული გემოვნება საყმათ სიცხადითაა გამოვლენებული ამ წიგნში.

ეს ლექსები და პოემები იდეურად შტაიცე და მხატვრულად საყმათ ძლიერნი არიან. ამ ლექსებში დიდი სიბო, სიხარული, ახრთა სიციხეველე და საპოთა ქვეყნისაღი მტყიცე სიყვარული იგრძნობა. ყველაფერი ეს ისეთს ბუნებრივს, თავისუფალ და რეალისტურ ფორმასა მოცემული, რომ მკითხველი მისი წყითხვისას ძალდაუტანებლად ითვისებს პოეტის ნაზრტვას და მონაფქრს. პოეტის ლექსების შთამაჯონებელი სტაინის სახეა, რომელსაც როგორც ამომავალ მზეს ისე შეხარაინ საპოთა ბავშვები:

„ო, დღეს ვფიცავთ: ლიხველი, ბზიფელი თუ რიონელი, — საქართველოს ყველა სოფლის და ქალაქის ბიონერი,

რომ ავიღებთ იმ მწვერვალს,
მზეში რომ სჩანს — ძია სტალინი —

ასე მიმართავენ ქართველი პიონერები ბელადს და პირობას აძლევენ მას, რომ მუდამ გაახარებენ საბჭოთა სამშობლოს სწავლითა და შრომით.

„ფრიალ-ფრიალა დროშებზე
ეარსკვლავი ოქროსფერია,
სათი მიღიხართ, დროშებო,
ია ჯა ვარდი გვენიათ!
ოცდაათი მზე ამოდის —
რა დიდი ოქროშებრია!
მედოლე, დოლე დამკარი, —
ქისტრიც მოგღერია...
სიმღერა სირდარხელის,
ვოლგელის, რიონელისა,
ხარ-ბრუნვეით ვასაძაზე,
საყვირო პიონერისა!“

უბრალოება, სისადაე და ხალხურობა ამ ლექსებს მეტს დამაჯერებლობასა და მიმზიდველობას ანიჭებენ.

იმმა დღეი უბედურობა მოეტანა ხალხებს ძღვეამოსილი საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებანი და ამ ომიდან საბჭოთა ქვეშირის ძღვეამოსილად გამოსვლა, განცდილ უბედურებასა და ტანჯვას აწვლენ, მაგრამ ისინი დაეწყებან როდი ეძლევიან. სედასა და მწუხარებას სიხარულს ცრემლები სცელიან. აი ლექსი „სიხარულს ცრემლები“. 1945 წლის 9 მაისის გამარჯვების დღეა, სკოლის მოედანზე გოგობიკების ფერხულია. სიხარული უმაღლეს წერტილს აღწევს, ყველა მხიარულსა და ყველა ზეიმობს. უცებ ერთმა თვალხატულა გოგონამ თავი დახარა, მკლავები ძირს დაუშვა და ატირდა. შეწყდა ტანში მიხვდნენ: შარშან მამა ფრონტზე დაედუპა გოგონას. ნუგეში სურთ და ნუგეში როგორა სცენ? როგორ უთხრან არ იტიროს, შეიმშრალოს ლაწეები, რომ გამარჯვების დღესასწაულს ცრემლები არ შეენის, მაგრამ აი, უცებ ბავშვები სკოლის მძალე კედელს მიანგრდნენ: ხედავენ, რომ ბელადს, დადგნულს დიდებით, მკერდს ახვევია ბავშვები, ბრძენი ადამიანი ბავშვებს ეალერსება. ჯანაზა ეს მამის დაღუპვით დასევდიანებულმა, გულმოკლულმა გოგონამ და...

„შეკრებია.. ზემად შეიმშრალა
დაცრემლილი ლაწეები,
გაელია სვედინი
ლიმით, გულს დამწველით,
მიხვდა, ობოლს მამაცა კეაეს
და ათასი დაძმებიც“

ღიბ, მისი მამა სტალინი და საბჭოთა ქვეყანაა. ჩვენში ობოლი არავინაა, ყველას ყავს პატრონი. მათი პატრონი სოციალისტური ქვეყანაა. კარგია ამ ლექსის, როგორც იღეა, ისე მისი შესრულებაც, მისი მხატვრული განსხეულებაც.

უთუოდ ამბულეგებელია ლექსი „ბალადა პატარა წითელფლოტელზე“. პატარა წითელფლოტელის ბიჭის ბედი, რომელიც მტერს ჩაუვარდა კლანკებში, — ტრაგიკულია: იგი არ ტყდება, სულიერად არ ეცემა და გმირულად კვდება. სიკვდილის წინ გაისმა სიმღერა სამშობლოსათვის ეკედებო. გმირული და გაუტყებელი სული ჩვენი საბჭოთა ადამიანების გუნუფელი თვისებაა. მისი ორგანიული ნაწილია. ასეთ გმირობას მასიურად იხენდნენ პიონერები სამამულო ომის დროს. პოეტმაც გმირი პიონერის სახე შესანიშნავად გამოკვეთა.

მტრმან ლებანიძემ ამ ლექსებში მხატვრული გააზრება მისცა იმ უღატესად აქტუალურ თემას, რომელსაც მეგობრობის თემა ეწოდება და, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ჩვენი ხალხების გამარჯვების საქმეში. ეს თემა კარგად და დამაჯერებლადაა მოცემული ლექსში „მეგობრები“ (ზოგდან ჩალიდან) და პოემაში „ძმები“. ქართველი ბიჭი შაქრო და უკრაინელი ბიჭი პანასა ცოცხალი სახეებია. მათი შეხვედრა და დამეგობრება ნათლადაა დხატული. ამგვარი მეგობრობა სინამდვილეში მართლაც არსებობს უკრაინელი და ქართველი ხალხების შორის და ამიტომაც მას მეტი დამაჯერებლობა და მხატვრულობა ეძლევა. განსაკუთრებით დამაჯერებელია მათ მიერ ჯერ სტალინგრადის, შემდეგ ვოლგისა და ბალოს საქართველოს ნახვა. უფრო გულში ჩამწვდომი და უფრო დამახასიათებელია პოემა „ძმები“ მოცემული იღეა მეგობრობისა, ერთმანეთისადმი ხელისშეწყობისა. უკრაინელ უპატრონი ბიჭს, უღედ-მამო მიკოლას ვერის ბაზარში შეხვედბა დიდძელი ბიჭი გელი. გელს შეეცოდება მიკოლა და მასთან მიიხმობს, ზილით გაუმასპინძლდება. ირგვლივ ქალები ფესფუსებენ. ისინი ერთმანეთს ეცოდებნან, არა მე წაიყვან სახლში და არა მეო, ვიშვილებთ და გამოვზრდითო, მაგრამ გელა ყველას დასძლევს და, როგორც დედისერთა ბიჭი, მიკოლას მძალ მიიჩნევს და სახლში წაიყვანს, ერთმანეთს მეგობრობაში ფიცით შეეკრებნან.

კარგია პოემა „ფიცი პატარა ქობში“. ამ პოემის იღეა, რომ სტალინისადმი სიყვარული და სტალინზე უბრალო ვაფიქრებაც თი ანთავისუფლებს ადამიანს უარყოფითი ეფისებებიდან, — აუცილებლად სწორი და ნამდვილია.

ბელადისადმი სიყვარული და პატივისცემა ყველაზე გამოუსწორებელ მოსწავლეებს, ზურასა და გურამის, რომლებიც არ სწავლობენ, სკოლას აცდენენ და ბოლოს მიიპარებიან სახლიდან,—აბა თუ სწორ გზაზე დააყენებს, არამედ ისინი (გურამი), სახლიდან გაქცეულნი, ბელადის სახლში ფიცს აძლევენ ერთმანეთს, რომ მუდამ იზრძოლებენ ბელადის იდეებისათვის და არასოდეს არ აწყენინებენ მშობლებს. ცხადია, ამ პოემაში პირველ პლანზეა წამოწეული დიდაქტიკაში, მაგრამ იგი მაინც ბუნებრივად და დამატებლად გვეჩვენება მიუხედავად მისი ზოგიერთი სქემატიკობისა.

ყურადღებას იმსახურებს პოემა „ქართული ავტობიოლი“, განსაკუთრებით რელიეფურად სჩანს ამ პოემაში საბჭოთა ტექნიკის უპირატესობა დასავლეთის ბურჟუაზიულ ტექნიკის წინაშე. ამ მხრივ ეს თემა აქტუალურია, მაგრამ უშედეგოდ შემდარია პოეტს, როცა ძველ ქუთაისს შავ ქუთაისს უწოდებს. მართალია, ქუთაისი კოკარდიანი ჩინოვნიკების, შეშანების, ვაჭრებისა და მომეტებულად წერილი ბურჟუაზიის ქუთაისი იყო ძველად, მაგრამ მშრომელი ხალხის გულის ფეთქება და რევოლუციური მოძრაობა ქუთაისს არასოდეს არ ხდოდა შავაჯ-საინტერესო ლექსები: „აპრილი“, „მეცლე“, „პირველი თოვლი“, „წყარო“, „პატარების პოსტანი“, „ნანი და არჩვენები“ და სხვ.

როგორც ვხედავთ მურმან ლეხანიძის წიგნი „ძმები“ კარგი საბუქარია ბავშვებისათვის, მიუხედავად ამისა ამ წიგნს საგრძნობლად ახლავს ნაკლი.

ამ წიგნის თემატიკა სრული და მთლიანი არ არის. ისეთი აქტუალური თემა თანამედროვე-

ობისა, როგორცია საყოლმურნო წარმოება, შეძლებული ცხოვრებისათვის ბრძოლა კოლმურნოებში, მაღალი მოსავალი, ქრეცალისტური შრომის გმირები, ნორნი თათბის მონაწილეობა საყოლმურნო საქმიანობაში და სავითოდ ახალი სოფელი და სოფლის ახალი ვითარებანი, — აბა თუ შორიდანა დაწახული, არამედ სულ ზემოთხედილი და გვერდულია პოეტის მიერ. სინამდვილეში კი ჩვენ კარგად ვიცით, რომ ახალგაზრდობა და ნორნი თათბის უაღრესად აქტუალურ მონაწილეობას დებულობს სოფლად საყოლმურნო ცხოვრებაში. ამის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს მრავალი ახალგაზრდის დაჯილდოება სოფლის მეურნეობაში წარმატებით შრომისათვის. ამ მომენტის უგულვებლყოფა წიგნის იდეურ სიმძაფრეს ანელებს. ამას გარდა წიგნში ახალგაზრდობისა და ბავშვების ცხოვრება ერთფეროვნად არის მოცემული. პოეტის მიერ დახატულ ადამიანებს აკლიათ მოძრაობა, მოქმედება, აქტიურობა.

ლექსები თვით შესრულების მხრივაც ნაწილობრივ სქემატიური და ერთფეროვანია. ყველანი ერთი რიტმით ეღერან. ზედმეტი სისადავისაკენ ლტოლვა ზოგჯერ თემის უბრალო გამარტივებამდის არის დასული, აქა-იქ, ზოგიერთ ლექსში ნაცნობი ხმები და სტრუქტურები სჩანს. ლექსის „სამღერა მოსკოვზე“, პირველი სტრიქონები გადმოწერილის შთაბეჭდილებას სტრუქტურაში. („ეინ არ იცის კრემლის კოშკი, როგორ ცამდის მაღალია“). ამას გარდა აქა-იქ ზოგიერთი სტრიქონები გაუმართავი და დაუხვეწებელია.

სიმონ წიგრაძე.



ბ. ი. ბაბრძინე — „მართლმადიდებელი ბიბლიოგრაფია 1819 — 1945 წწ“.

მასალალები ქართული ეურნალისტიკის ისტორიისათვის, ე. ეგნატაშვილის რედაქციით. 1947 წ. თბილისი, წიგნის პალატის გამოცემა.

„ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ აქამდე უქონლობა, უდავოდ მნიშვნელოვანი ხარვეზი იყო საერთოდ ქართველოლოგიასა და კერძოდ ქართულ ბიბლიოგრაფიაში. ქართულ პერიოდიკულ გამოცემათა ისტორიისა და ბიბლიოგრაფიის მხრივ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ უკვე გამოაქვეყნა „ქართული ეურნალისისა და კრებულების ანალი-

ტიკური ბიბლიოგრაფიის“ სამი დიდი ტომი, რომლებიც მოიცავენ 1852 — 1905 წლების პერიოდს; გამოიცა აგრეთვე რიგი შრომებისა პერიოდიკის ისტორიის სხვადასხვა საითხებზე. ცალკე უნდა აღინიშნოს საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის ისეთი მონუმენტური გამოცემა, როგორცია „ქართული წიგნი“, ბიბლიოგრაფია, ტ. I, 1629—1920 წწ. მთელი ეს ბიბლიოგრაფიული შრომები მხო-

ლოდ ნაწილია ამ დიდი მუშაობისა, რასაც ეწევიან სათანადო დაწესებულებები და პირები, რომელთაც სისტემატურ მზრუნველობასა და დახმარებას უწევს პარტია და ხელისუფლება, რათა მემკვიდრეობით მიღებული კულტურა ადვილად ხელმისაწვდომი და ასათვისებელი გახადოს ჩვენი თაობისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანებისათვის.

ბიბლიოგრაფიული კრებულები თავისებური შეგზურებია, რომლებიც გვინათებენ მეცნიერულად შესასწავლ ლიტერატურულ მასალებთან მისასვლელ გზებს და ბევრდროს სიტყვის გაგანძობის უდიდესი მასიდან გვიჩვენებენ ჩვენთვის საინტერესო საკითხურ საკითხებზე არსებულ წყაროებს. ამით განუზომლად გვიადვილებენ საქმეს და, მისასაღამე, გვებმარებინან შრომის მწარმოებლობაში. რა თქმა უნდა, მით უფრო საპასუხისმგებლო და რთულია ბიბლიოგრაფიული მუშაობა. ზემოთდასახელებული ქართული ბიბლიოგრაფიული შრომების გამოცემა მთხებდავად მათი ზოგიერთი ნაკლოვანებების, ცხადია, მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენენ.

კერძოდ გ. ბაქრაძის მიერ შედგენილი „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ შინაარსობრივად, სარჩევის მიხედვით, რედაქტორისა და ავტორის წინასიტყვაობის შემდეგ, მთელი მასალა შემდგენიარად არის დაჯგუფებული: 1. ეურნალ-გაზეთები (1819—1945 წ. წ.) 2. ერთდღიურები, ერთდროული გამოცემები, პერიოდული კრებულები (1878—1945 წ. წ.) და დამატების სახით წარმოდგენილია აგრეთვე: ჰეტიგრაფიული და ხელნაწერი ეურნალებისა (1873—1945 წ. წ.) და საქართველოში 1889—1920 წ. წ. ეეობულ ენებზე გამოსულ გამოცემათა აღწერა. წიგნს დართული აქვს ალფაბეტური, გეოგრაფიული, სისტემატური, დაწესებულება-ორგანიზაციითა და რედაქციის-გამომცემლობის თანამშრომელთა სახელების საიხებლები და, დასასრულ ქართული პერიოდიკის შესახებ არსებული ლიტერატურის მოკლე სია. უკვე ეს ჩამოთვლაც თავისთავად ლაპარაკობს ამ წიგნის სიღიღრისა და საჭიროებისათვის.

ამგვარი სამუშაოს შესრულება მით უფრო ძნელი იყო, რომ აღებული პერიოდის ქართული პერიოდიკა თავმოყრილია არა ერთს რომელიმე წიგნისაკავში, არამედ ვაფანტულია საქართველოს სხვადასხვა ქალაქების ბიბლიოთეკებში, სადაც მათი შესწავლა, შემოწმება და სხვა სამუშაოები, ცხადია, დიდ ჯიფასა და გულმოდგინებას მოითხოვდა.

თუ წინათ, მაგალითად, თვით ცხრასიან წლებში მთელ საქართველოში სულ რამდენიმე პერიოდული ორგანო (გაზეთი და ჟურნალი) გამოდიოდა, საბჭოთა ხელმძღვანელებმა დაიწყეს მათი რიცხვი ფრიად ვიზარდა. ვარდა ცენტრალური, რესპუბლიკური, ორგანოებისა დღეს ყოველ რაიონში იბეჭდება ადგილობრივი გაზეთი. „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ შემდგენელიც აცხადებს, „განსაკუთრებით ძნელი იყო სისტრული რაიონული გაზეთების აღწესება-აღწერა“. მაგრამ იგი ცდილა არ დაეტოვებია არც გამსვლელი რედაქციებისა და სხვა ერთდროული გაზეთების, რომლებიც, შემდგენელისავე სამართლიანი განცხადებით, „ჩვენს რაიონებში გაცხოველებული მშენებლობის შესახებ ფაქტებით სავეტატიანეს წარმოადგენენ“.

თუ რამდენად ვანიფთარდა საბჭოთა ეპოქაში ქართული პერიოდული გამოცემლობა, საინტერესო სტატისტიკური მონაცემების მიღება შეიძლება თვით საარქივო წიგნიდანაც. ასე, მაგალითად, ყოველგვარ პერიოდულ ორგანოთა რაოდენობა, სარეცენზიო წიგნის მიხედვით, გამოცემლობის დაწყების წლებსა შესაბამისად უღრიდა: (1819—1900 წ. წ. . . . 43. 1901—1914 წ. წ. 293. 1915—1921 წ. წ. 25 თებერვლამდე 195. 1926 წ. 25 თებერვლიდან 1945 წლას ბოლომდე 1.152. სულ 1683).

ამგვარად, 1921—1945 წ. წ., ე. ი. საბჭოთა წყობილების მხოლოდ 25 წლის მანძილზე, გამოდიოდა თითქმის ორნახევარჯერ მეტი ორგანო, ვინამ ქართული პერიოდიკის ისტორიის მთელ წინა ასწლიან პერიოდში (1819—1921 წ. წ.).

გ. ბაქრაძეს, ვარდა მისთვის ხელმისაწვდომ ბიბლიოთეკებში დაცული ორგანოებისა, თავის წიგნში შეუტანია ცნობები ისეთ პერიოდულ გამოცემათა შესახებაც, „რომლებიც დღეს ბიბლიოთეკებში არ მოიპოება“, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, შემდგენელისათვის გერჯერობით არ იყო გამოვლინებული. ასეთი ორგანოების შესახებ ცნობები მას ამოუღია „ეკვაზისა“ და სხვა გაზეთების ქრონიკებიდან.

მიუხედავად ყოველივე ამისა, და შემდგენელიც ამაში ვეფიანხმება, სრულებით არაა გამოიცხული შესაძლებლობა, რომ თვით მის მიერ შესწავლილ წიგნისაკავითა ფონდებშიაც აღმოჩნდეს ისეთი ორგანოები, რომლებიც ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ ან სულ არ არიან მოხსენებულნი, ანდა მთლიანად და იმომწურავდ არ არიან აღწერილინი.

ისეთ წიგნში, როგორცაა „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“, რა თქმა უნდა, სრული ამომწურველობის პრეტენზია, და ისიც პირველ

გამოცემაში ავტორსაც არ შეიძლება პქონდეს. გარდა თვით პერიოდულ ორგანიზაცია სისტრული აღრიცხვაში მოსალოდნელი ხატვებებისა, არა გამოირჩეული ზოგიერთი უზუსტობანი თვით დასახელებულ ორგანიზაცია აღწერაშია, მაგალითად, გამოცემისა და ჯახურის თარიღების, გამოცემული ნომრების რაოდენობისა და სხვ.

ამ მხრივ უდასახელებლ ზოგიერთ შემჩინულ ლუფეტებს, რაც, ვთვლით, დაეხმარება ავტორს საკითხზე შემდგომ შესაბამის:

№ 69. ვახ. „შიწას“ უკანასკნელი ნომერი (19) გამოცემა არა 1907 წლის 21 აპრილს, როგორც „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ ნაჩვენებია, არამედ 1908 წლის 13 იანვარს (№ 2), ე. ი. ეს ვახეთი გამოიცემოდა მომდევნო წელსაც.

№ 75. ვახ. „გზას“ უკანასკნელი ნომერი (6) გამოვიდა არა პირველ იანვარს, არამედ 3 იანვარს (№ 7) 1907 წლისა.

№ 121. ვახ. „ცხოვრების სარკე“ უკანასკნელი ნომერი (24 ჯა არა 23) გამოცემა არა 26, არამედ 21 მაისს 1908 წლისა.

№ 157. ვახ. „ჩვენი საქმეს“ 1909 წ. უკანასკნელი ნომერი, როგორც წინას, ყოფილა არა 37, არამედ 38, — (19 აპრილს).

№ 205. ვახ. „საქმეს“ 1910 წ. უკანასკნელი ნომერიც არა სწორად ნაჩვენებია, იგი, 47, გამოვიდა 21 ნოემბერს.

№ 206. ვახ. „სინათლეს“ უკანასკნელი ნომერი იყო არა 9, არამედ 122 და ეს ვახეთი გამოვიდა არა 11 იანვარამდე, არამედ 1911 წლის 29 სექტემბერამდე.

№ 242. ვახ. „მნათობის“ უკანასკნელი ნომერი (85) გამოვიდა არა 23 დეკემბერს, არამედ 30 ნოემბერს (№ 86).

№ 401. ვახ. „რევოლუციური ნობათის“ უკანასკნელი ნომერი იყო არა 23, არამედ 73, 1918 წლის 7 ივლისისა.

პერიოდულ ორგანიზაცია ბიბლიოგრაფიული აღწერისას, დამკვლელია აგრეთვე ანალოგიური ხასიათის სხვა უზუსტობანი, რაც ნაწილობრივ შეიძლება კორექტურულ შეცდომიიაც აიხსნას (მაგალითად, №№ 59, 68, 72, 74, 85, 129, 134, 199, 226, 317, 327 333).

ზოგიერთი ორგანიზაცია ალბათ მცირე რაოდენობით, სავსებით არაა მოხსენებული „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“. მაგალითად:

ვახ. „პროლას“ ბიულეტენი „პროლას ფურცლები“, რაც გამოიცემოდა 1902 წელს. ვახ. „თბილისის პროლეტარი“, რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის თბილისის კომიტეტის ორგანო, რომელიც გამოვიდა 1910 წელს.

„თბილისის პროლეტარის ფურცლები“, ამავე ორგანიზაციის ორგანო, რომელიც პირველი ნომერი გამოვიდა 1910 წელს (წ. აბრეშუნი ვახ. „კომუნისტი“ — რკმ (3) თბილისის კომიტეტის არალეგალური ორგანო, რომლის გამოცემა დაიწყო 1920 წლის 18 აპრილს (ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ პირველი ნომერი).

მოიპოვება სხვა ხასიათის უდემეტებიც. მაგალითად:

№ 54. ვახ. „ახალი დროება“ 1906 წ. წარმოდგენილია, როგორც „ლეგალური ბოლშევიკური ვახეთი“, ნამდვილად კი ეს იყო ლებერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ორგანო ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ თავის ადგილას (№ 73) აღწერილია ბოლშევიკური ვახეთი „ახალი დროება“, რომელიც 1906 — 1907 წ. წ. ო. სტალინის ხელმძღვანელობით გამოვიდა.

№ 79. აღწერილია ვახ. „მნათობი“, 1907 წ. მაგრამ არაა აღნიშნული, რომ ეს არის ბოლშევიკური ვახეთი.

შემდგენელს სხვადასხვა წიგნსაცაეთა შორის ძალიან ხშირად აქვს მითითებული „საქართველოს სარევოლუციო მუზეუმის ბიბლიოთეკა“. ეს ბიბლიოთეკა კი, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1936 წელს შეუერთდა მარქსისტულ-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ბიბლიოთეკას, რაც ნაწილობრივად და ისიც, როგორც თვითონ აცხადებს, მხოლოდ კატალოგის მიხედვით შეუსწავლია შემდგენელს ეს ვარეშობა მით უფრო სამწუხაროა, რომ, როგორც წინას, სწორედ ამ წიგნსაცაეთა დატული ზოგიერთი პერიოდული გამოცემების სრული კომპლექტი და ზოგიერთი კიდევ ისეთი ორგანოც, (მაგ., ზემოთდასახელებული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში მოხსენებული გამოცემები), რომლებიც შემდგენელის მიერ შესწავლილ ფონდებში სრულებითაც არ ყოფილან შემონახულნი. ამასთანავე უნდა შევნიშნათ რომ, ჩვენის აზრით, არცთუ იმდენად აუცილებელი იყო მასალათა გეოგრაფიული დალაგებაც მაშინ, როდესაც წიგნს დართული აქვს გეოგრაფიული საბიებელი.

დასასრულ ვინდა ითქვას რომ ასეთ გამოცემაში, სანამ გარდა ზ. შვინიანის ცნობისა სხვა დამადასტურებელი საბუთი არ არის, არ იყო აუცილებელი „პროლასა და უწყებას“ (1763 — 1767 წ. წ.) ანდა „ლეპორტის“ შესახებ ლაპარაკი, მით უმეტეს აღწერის საბუთი ისეთი ობიექტისა, რომელიც კაცს არ უხილავს და ამდენადვე, ჯერჯერობით მაინც, ასე

ვლქეთ, ისტორიის გასაღრმავებლად მოგონილ ამბავს წარმოადგენს.

მაგრამ ჩვენს მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ ამცირებს იმ დიდ და გულმოდგინე შრომის ღირებულ-

ბას, რაც წიგნის ავტორს გ. ბაქრაძეს წერს-რულდება. წიგნის პალატის ეს წამოწყებაც უდავოდ მსასალმებელი და წაქვჩვენილურია.

პ. გუგუშვილი.

★

„21.000 კილომეტრი“

ეს რიცხვი აღნიშნავს იმ მანძილს, რომელიც შეუნელებელი ბრძოლით გაიარა შტრის ღრმა ზურგში სამშოთა კავშირის გმირმა, პარტიზანულ ბრძოლის ისტატმა დავით ილიაძემ ბაქრაძემ.

სამამულო ომის დაწყების პირველ ხანებში დ. ბაქრაძე, არტილერიის სერკანტი, თავისი განაყოფით ბრიანსკის ახლოს შტრის გარემოცვაში მოექცა, მაგრამ მამაცმა პარტიოტმა ამხანაგების ჯგუფთან ერთად მოახერხა პიტლერელეებისაგან თავისდაღწევა და ხანგრძლივი ძებნის, აუტანელი გაჭირვებისა და მრავალი წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად შეუერთდა უკრაინის პარტიზანულ რაზმს, რომელსაც ლეგენდარული გმირი კოვაკი მეთაურობდა.

პარტიზანულ რაზმში დავით ბაქრაძემ მალე მოიპყრო ყველას ყურადღება, როგორც თავისი დევნილობის შესახებაობით, ისე საბრძოლო მამაცებით. ბაქრაძე აქაც საარტილერიო ბრძოლებს ხელმძღვანელობდა. კოვაკის რაზმის შეტევის დროს ბაქრაძის არტილერია ყოველთვის სამაულებს ახდენდა. კოვაკის ბრძანებით მალე იგი შეეხებ საგანგებო ასეულის მეთაურად დაინიშნა. ყველაზე ძნელი საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად სწორედ ბაქრაძის ასეულს გზავნიდნენ და ისიც შტრის სასტიკი დამარცხებით ასრულებდა საბრძოლო დავალებებს.

აღსანიშნავია ბაქრაძის ბრძოლები უკრაინაში, როდესაც კოვაკელებმა დნუპრის მარჯვენა ნაპირის რეიჯი ჩაატარეს. ეს რეიჯი დიდი სტალინის პირადი დავალებით მოეწყო და მამაცმა პარტიზანებმა ღირსეულად განახორციელეს ისტორიაში უმაგალითო საბრძოლო რეიჯი, რომლის მარშრუტი 2.000 კილომეტრს უდრიადა.

მაგრამ შტრის ღრმა ზურგში — კარპატის მთებში — მამაცი პარტიზანებისა და გამსაჯობებით ბაქრაძის ასეულის ბრძოლები და შემდეგ ძნელ მთიან პირობებში გარემოციდან თავისდაღწევა, ნამდვილად გასაოცარი იყო. ამ ბრძოლების შესახებ ლამარაკობა მთელი ჩვე-

ნი ქვეყანა. დავით ბაქრაძეს, როგორც მეოშარს, ყოველთვის ახასიათებდა ატრანობა, სწრაფი მოსაზრებულობა, უშიშროება და დაბრკოლებათა აუცილებელი გადალახვა. ამ შესანიშნავი თვისებებს შედეგად მან მრავალ წარმატებას მოაღწია გერმანულ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში და კიდევ ასახელა თავისი საყვარელი სამშობლო. სამშოთა მთაგრობამ ღირსეულად დააფასა მამაცი მებრძოლი, მიაჩნა სამშოთა კავშირის გმირის წოდება და მრავალი ორდენითა და მედლით დააჯილდოვა.

სამამულო ომის ძღვეამოსილად დამთავრების შემდეგ 1944 წლის დეკემბერში სამშობლოს წინაშე სახელოვნად ვალმოხდილი დავით ბაქრაძე დაბრუნდა მშობლიურ საქართველოში, ესტუმრა საყვარელ თბილისს, შემდეგ ბავშვობის ტბილი მოგონებებით აღსავსე სოფელ ბორის (ზარაგოელის რაიონი). გამარჯვებული შვილის ჩამოსვლით უსაზღვროდ გახარებული მშობლები და თანსოფლები აღფრთოვანებით შეეგებნენ სახელოვან ვმირს. ეს შეხვედრა მთელი სოფლის სახალხო დღესამაულებად გადაიქცა.

დაინტერესებულმა სოფლის კომკავშირულმა ახალგაზრდობამ სთხოვა გ. ბაქრაძეს, რომ ეამბნა მისთვის იმ ბრძოლების შესახებ, რომლებიც პარტიზანებმა და კერძოდ მან გაიარა, რისთვისაც გმირის წოდება, ამდენი ჯილდო და ხალხის ესოდენი სიყვარული დამსახურა-ბაქრაძე თავისთავზე სიტყვა-ძენწია, ხოლო ამხანაგების ბრძოლებზე ბევრს ლამარაკობს-ამიტომ 'ზორისეულ ახალგაზრდებს მისი ბრძოლების შესახებ უყვება. დ. ბაქრაძის უკრაინელი თანამებრძოლი მეგობარი, პარტიზანი, დავითის სოფელში სტუმრად მყოფი მართი დ. ა. ნოვაკოვსკი.

მართი ნოვაკოვსკი მოუთხრობს ახალგაზრდებს ბაქრაძის საგმირო ბრძოლების შესახებ, რომელიც ძლიერ მოკლედ ზემოთ იყო აღნიშნული.

ასეთი გვევით არის დალაგებული მიხეილ დავითაშვილის ნარკვევი „21000 კილომეტრი მტრის ზურგში“.

ავტორს საფუძვლიანად შეესწავლია, როგორც კოვკასის პარტიზანთა რაზმის საბრძოლო ისტორია, ისე დავით ბაქრაძის მიერ განვლილი საბრძოლო ბიოგრაფია და ახალგაზრდობისათვის სასარგებლო საკითხავ წიგნად ჩამოუყალიბებია.

ამ წიგნის საშუალებით მკითხველი ძირფესვიანად ეცნობა დავით ბაქრაძისა და მისი პარტიზანული პოლკის უაღრესად რთულ საბრძოლო ოპერაციებს, რომლებიც მან დიდი სამამულო ომის პერიოდში ჩაატარა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. — იგი ვაიკებს, რომ ბაქრაძემ „სამამულო ომში მოაბო 5000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, გაანადგურა 67 ტანკი, 19 ზარბაზანი, 300-ზე მეტი ავტომანქანა, დაამსხვრია 9 ეშელონი, წაოილო ნადავლი: 8 სარკინიგზო ეშელონი, მათგან 3 ტანკი, 42 ტყვიამფრქვევი, 2500 ავტომობილი, შაშხანა და სხვა მრავალი სამხედრო ქონება“

წიგნის ავტორს კარგად აქვს გაკეთებული დასკვნითი ნაწილი, როცა ბაქრაძე მოუწოდებს ახალგაზრდობას დაეუფლოს სპორტს. „ი მე ვაევიარე ათასობით კილომეტრები, — ეუბნება გმირი ახალგაზრდებს, — დიდხანს ეცხოვრობდი ტყეებში, ჭაობებში და ჯანმრთელობას არასოდეს არ უღალატნია ჩემთვის, ამასი უნდა ვუმაღლოდე, უმთავრესად სპორტს, რომელსაც ბავშვობიდანვე მოვიკიდე ხელი. ჩემი შეგობრული რჩევაა — სისტემატურად ავიარე მეთ, რომ გამოიპყრობოთ თქვენი სხეული. კარგი ფიზიკური გამოიპყრობა, სპორტული ჩვევები სწავლაში, შრომაში, ბრძოლაში — წარმატების საწინდარია!“

როგორც ზემოთ ვთქვი, დავითაშვილის წიგნი „21000 კილომეტრი მტრის ზურგში“ საინტერესოა გმირთა საბრძოლო ცხოვრების შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდობისათვის.

წიგნს აქვს მკირეოდენი ნაკლიც, რაც ენობრივ და სტილისტურ შეცდომებში გამოიხატება. მგვალითად (გვ. 14), „~~უფროსი~~ უფროსი მკრთალ ღებოდა“ (გვ. 15) „... კრემლა და კოვკასა იცოდ“ (გვ. 27) „კოვკაელებთან მიიხწრაფებოდა ტყეობიდან გაქცეული ანისიმოვ-ბაქრაძის ჯგუფი“ (გვ. 21). არასწორად არის შედგენილი წინადადება: „გერმანელ ბარბაროსთა მიერ ჩადენილი საშინელი ბოროტმოქმედებანი ამტარებდა მეტროლებს შალე მიეღწიათ პარტიზანებთან, რათა შური ეძიათ მათი პირსისხლიანი საქმიანობისათვის“ (გვ. 22), ნაკვალაზული მათი ამ შემთხვევაში პარტიზანების აღმნიშვნელია და ამიტომ შეცდომა გამოდის.

ასეთივეა წინადადება „...დაზვერვითი ხასიათის სროლა ცენტრში ქმნიდა გადასვლის სამზადისის შთაბეჭდილებას იქ, სადაც იგი [გადასვლის სამზადისი — ა. თ.] ნამდვილად მზადდებოდა კიდევ. შეცდომაში შეყვანილი მოწინააღმდეგე უცუელად ინარჩუნებდა თავის დაჯგუფებას“ (გვ. 61). თუ დაზვერვითი ხასიათის სროლა ქმნიდა გადასვლის სამზადისის შთაბეჭდილებას იქ, სადაც იგი ნამდვილად მზადდებოდა, როგორ შეიძლება მტერი შეეყვანა შეცდომაში?

დაუკვირებელი გასწორების შედეგია აზვაცი: „შუადღისას ბაქრაძის პარტიზანები მოადგნენ სოფელს და მოულოდნელად გარს შემოერთყნენ გერმანელთა პოლკის შტაბს“ (გვ. 62). ხოლო წინა და მომდევნო აზვაციებიდან კი ირკვევა, რომ ეს გარშემოერთყმა მოხდა არა შუადღისას, არამედ ღამით, როგორც ეს საერთოდ ჩვევია პარტიზანულ თავდასხმებს.

ამ ნაკლოვანებებს, რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ. ისინი ვერ ამცირებენ ნაშრომის ღირსებას. ეს წიგნი კარგი საჩუქარია ახალგაზრდობისათვის, რომელიც ვაეცნობა ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ერთერთი თავდადებული მებრძოლის გმირულ საქმიანობას.

ანდრო თევზაძე.



ლიონ ძინაილი — ჯოტოს მამა, რომანი, გაგრძელება	3
მარლამ შურული — შრომის გმირებს, ლექსები	26
ლადო ავალიანი — ყარები შგოსანი, ნოველა	53
იონა მაკელი — თამარ შეფე, პიესა	114
მიხეილ ლერმონტოვი — სიმღერა შეფე ვასილის-ძეზე, ახალგაზრდა ოპრინიკ კობეველისა და მამაკ ეკვარ კალაშნიკოვზე, პოემა, თარგმანი კოლაუ ნადო-რაძისა	127

შალვა რადიანი — კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება, წერილი	154
შალვა ქაშვადი — ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართულ მუსიკაში, წერილი	161

დ. მინაფორაშვილი — „მარიამ გარიყული — მოთხრობები“, ბიბ-ლიოგრაფია	164
ალ. რომაშვილი — „ანა ლევი“, ბიბლიოგრაფია	167
თეატრალი — „მ. ლერმონტოვი — მასკარადი“, ბიბლიოგრაფია	169
სიმონ წვირაპა — „მუკრან ლებანიძე — მძევი“, ბიბლიოგრაფია	171
პ. გუბუშვილი — „გ. ი. ბაქრაძე — ქართული პერიოდიკის ბიბ-ლიოგრაფია 1819 — 1945 წწ.“, ბიბლიოგრაფია	174
ანდრო თიშვანი — „მ. დავითაშვილი — „21.000 კილომეტრი მტრის ზურგში“, ბიბლიოგრაფია	

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია

ალექსანდრე აბაშიძე, ნიკოლოზ აბიასვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროშვილი, სერგო კლდია-შვილი, ალიო მირცხულავა (გაზაშვილი), ბესარიონ შლენგი, ბალატიონ ტაბიძე, სანდრო შანშიასვილი, დამანა შინგელაია.

ბელმოწერალია დისაბეჭდად 17/V-48 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11 ფ. ში 02701. შევე. № 678. ტირაჟი 7.000

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მინაბლს ქ. № 13, ტელეფ. № 3-04-64.

КНИЖНАЯ ПАЛАТА

29

ВУЗОВСКОЕ БИБЛИОТЕЧНОЕ УЧЕБНО-МЕТОДИЧЕСКОЕ ПОСОБИЕ

СЕКЦИОНАЛЬНЫЕ



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ